ვლადიმერ მაზარაძე

ფარმაციის ისტორია აჭარაში

ბათუმი
2021

წიგნში განხილულია წამალთმცოდნეობისა და ფარმაციის განვითარების ისტორია აჭარაში უძველესი დროიდან 2020 წლამდე. თურქთა სამასწლოვანი ბატონობის პერიოდში აჭარა ამოვარდა ზოგადქართული სივრციდან და შეწყდა შემდგომი განვითარება, თუმცა ბოლომდე არ ჩამკვდარა, რასაც მოწმობს „აგარელის კარაბადინის“ და „ფემბასეული ხელნაწერის“ აჭარაში აღმოჩენილი ვარიანტები. ნაშრომში განხილულია აჭარაში ფარმაცევტული მრეწველობის განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ისტორია, უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლების კადრების მომზადების საკითხები. აქვე საუბარია აჭარის ფარმაცევტთა საზოგადოების, შემდგომში ასოციაციის შექმნისა და საქ'მიანობის მრავალმხრივ ასპექტებზე.

ცალკე თავი დაეთმო ღვაწლმოსილი და თვალსაჩინო მოღვაწეების, ფარმაციის ამაგდარი მუშაკების ბიოგრაფიებს, მათი წარმატებებისა და დამსახურებების წარმოჩენას.

წიგნი განკუთვნილია როგორც ფარმაციის დარგის მუშაკების, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

წიგნში მრავალი მასალა პირველად ქვეყნდება. მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ავტორის თანხმობით.

ISBN 978-9941-8-3948-1
© ბათუმი–2021

მცირე მეწარმე „მაია ჯაველიძე“

წინათქმა

საქართველოში ფარმაციის ისტორიის შესწავლა-გამოკვლევის კუთხით ჯერ კიდევ მრავალი სამუშაოა წინ, თუმცა გარკვეული მონოგრაფიები, წიგნები და გამოკვლევები არსებობს (სოკრატ სალუქვაძე, გურამ ხანთაძე, კოტე სანდომისაშვილი, პეტრე გელბახიანი, იოველ ქუთათელაძე, რეზო მსხილაძე, ბიძინა ჭუმბურიძე, რამაზ სურმანიძე, ნინო აბულაძე და სხვები), მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი ქართული კარაბადინების შესწავლა-განხილვას ეხება ან საბჭოთა პერიოდის სააფთიაქო საქმეს. ნაკლებადაა შესწავლილი წამალთმცოდნეობა და ფარმაცია რეგიონებში, როგორც ქართული ფარმაციის მნიშვნელოვანი შენაკადი და შემადგენელი ნაწილი. განსაკუთრებით ეს ეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (მესხეთ-ჯავახეთი და აჭარა), რომელიც სამასი წლით ამოვარდა ერთიანი ქართული სივრციდან ოსმალური დაპყრობის შედეგად.

ამ დიდ ისტორიულ კატაკლიზმებს, ბუნებრივია, მოჰყვა ძირფესვიანი ცვლილებები მოსახლეობის სოციალურ სფეროში, განსაკუთრებით ეს დააჩნდა რეგიონის მედიცინისა და ფარმაციის განვითარებას, რადგანაც ქრისტიანული ცენტრებისა და ეკლესია - მონასტრების ნგრევა-განადგურებასთან ერთად მთლიანად მოისპო სამონასტრო-საეკლესიო მედიცინა. ეს უკანასკნელი აჭარაში, ხალხურ მედიცინასთან ერთად, ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა, რადგანაც იმ დროისათვის მხარეში სამოქალაქო - პროფესიული მედიცინის გავლენა ძალზე უმნიშვნელო იყო.

წიგნში „წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე (თბილისი, 1987) ფარმაციისა და წამალთმცოდნეობის ცნობილი მკვლევარი სოკრატ სალუქვაძე წერდა: „საქართველოს ტერიტო-

რიულ-რეგიონალური პრინციპის შესაბამისად სათანადო მასალების სიმცირის და ჯერჯერობით შეუგროვებლობის გამო, წამალთმცოდნეობის ისტორია სრულყოფილად ვერ გაშუქდა. ამ ასპექტით თითქმის არავითარი მასალა ტაო-კლარჯეთის მხარის შესახებ ხელთ არა გვაქვს".

აჭარის რეგიონში წამალთმცოდნეობისა და ფარმაციის ისტორიის შესწავლისა და გამოკვლევის საქმეში ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვის პროფესორ რამაზ სურმანიძეს. მან აღმოაჩინა და სრულყოფილად გამოიკვლია ქართული კარაბადინების აჭარაში შემონახული ვარიანტები (მე-18 საუკუნის ძეგლები - „აგარელის კარაბადინი" და „ფემბასეული ხელნაწერი"), რითაც საფუძველი ჩაუყარა რეგიონული წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევებს საქართველოში. როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს რომელიმე რეგიონის მედიცინასა და ფარმაციაზე, მისი ცალკე გააზრება, საქართველოს ერთიანი სურათიდან ამოგლეჯა და ცალკე კონტექსტში განხილვა მართებული ვერ იქნება. ყველა კუთხეს მეტ-ნაკლები სპეციფიკა და თავისებურება აქვს, მაგრამ როგორც სხვადასხვა ფერისა და ზომის ფერადი კენჭები ქმნიან ერთიან ულამაზეს მოზაიკურ ტილოს, ასევე რეგიონული მრავალფეროვნება ქვეყნის სიმდიდრეა. ზოგადი კონკრეტულში და კერძო ზოგადში ხომ დიალექტიკურად გადადის.

რეგიონებში უფრო მწირი მონაცემებია შემონახული, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იქაც დაახლოებით ისეთივე დონე იყო, როგორც ქვეყანაში ზოგადად.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი ისიცაა, რომ აჭარის რეგიონში შენახული და არსებული მასალების შეგროვებით, გამოკვლევითა და გამომზეურებით გარკვეული წვლილი შევიტანოთ საქართველოში წამალთმცოდნეობისა და ფარმაციის განვითარების ისტორიის ერთიანი სრული სურათის შექმნის საქმეში.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ქ-ნ ციური გოგიტიძეს ქობულეთის სამეცნიერო-საცდელი სადგურის შესახებ ფასეული ისტორიული ცნობების მოწოდებისათვის.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქ-ნ თინა სარჯველაძეს ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის შესახებ მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობების მოწოდებისათვის.

გულთბილი მადლობა მინდა გადავუხადო რევაზ უზუნაძეს, მანანა ხაბაძეს, გულნარა ბასილაძეს, ტარიელ ქობულაძეს, ეთერი ჯაყელს, ხათუნა ვარშანიძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც საინფორმაციო ხასიათის ცნობები მომაწოდა, რაღაც ფორმით მაინც დამეხმარა ამ წიგნზე მუშაობისას.

გამორჩეული მადლობა ჩემს მეუღლეს ნაზი ფუტკარაძეს, რომლის მხარდაჭერის გარეშე ეს წიგნი ვერ შეიქმნებოდა.

წიგნი მოიცავს დიდ ეპოქას, ის დაზღვეული ვერ იქნება ნაკლოვანებებისა და შეცდომებისგან, ამიტომ ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადადებას ავტორი სიამოვნებით მიიღებს და შემდგომ გამოცემებში გაითვალისწინებს.

ავტორი

შესავალი

ქართველ ერს, როგორც ერთ-ერთ უძველეს კულტურულ ერს, უხსოვარი დროიდანვე ჰქონდა თავისი საექიმო-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა თუ შეხედულება სიცოცხლესა და მის წარმოშობაზე, ავადმყოფობაზე, მის მიზეზებზე, მკურნალობასა და სიკვდილზე.

საქართველოში მედიცინისა და წამალთმცოდნეობის ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათი განვითარების საწყისები წინ უსწრებს რელიგიურ შეხედულებათა წარმოშობას და ფილოსოფიურ მოძღვრებათა გაჩენას.

ქართველი მეცნიერების, მედიკების მიერ თავიანთ ნაწარმოებებში ისეთი ფილოსოფოსების, მწერლების და ექიმების ნაშრომთა გამოყენება და მოშველიება, როგორებიც იყვნენ ჰომეროსი, ჰერაკლიტე, დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე, პლუტარქე, სოკრატე, ემპედოკლე, ჰიპოკრატე, დიონისე, გალენი, ავიცენა, ნიზამი, ფირდოუსი და სხვა, ლაპარაკობს მათ დიდ განსწავლულობასა და ერუდიციაზე.

ქართველი ხალხი თავის მდიდარ კულტურას ძველთაგანვე ქმნიდა მეზობელ ხალხებთან მჭიდრო კონტაქტებისა და თანამშრომლობის გზით. ქართულ კულტურას საფუძველი ჩაეყარა ჯერ მაღალი კულტურის მქონე ხალხებთან (ხურიტები, ხეთები, ურარტუელები) კონტაქტებითა და ინტენსიური ურთიერთობით, შემდეგ რომისა და საბერძნეთის კლასიკურ კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობით. და ბოლოს, ქართველმა ხალხმა საქართველოს დამპყრობთა და მოძალადეთა (არაბეთი, ირანი, თურქეთი) კულტურული საგანძურიდანაც აითვისა და ამრავლა რაც მათში კარგი და პროგრესული იყო. „ამით ქართველთა აზროვნებას ფართო მსოფლმხედველობა გადაეშალა და ბერძნულ-ქრისტიანულ დინჯ და მკაცრ შემოქმედებასთან ერთად მწველ აღმოსავლეთის ლაღი და სიცოცხლით

აღსავსე ფერადოვანი კულტურის ნაყოფი იგემა (ივ.ჯავახიშვილი)".

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ტომები სხვა ხალხებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდნენ წინა აზიის უძველესი კულტურის შექმნაში, რომელიც სხვადასხვა დროს გაბატონებული ამა თუ იმ ტომის სახელით შევიდა ისტორიაში (1).

საქართველოს მედიცინის განვითარების დონე I ათასწლეულში (ძვ.წ.) წინა პერიოდთან შედარებით უფრო ამაღლდა. აღმავლობა დაკავშირებული იყო იმ ეკონომიკურ და კულტურულ გაძლიერებასთან, რასაც აღნიშნულ ხანაში იბერიისა და კოლხეთის სამეფოებმა მიაღწიეს (2).

I ათასწლეულში (ძვ.წ.) საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა წამალთმკეთებლობა. მცენარის თითქმის ყველა ნაწილის-ფოთლის, ღეროს, ფესვის, ყვავილის-გამოყენება წამლისათვის მხოლოდ მრავალი წლების დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად შეიძლებოდა გამხდარიყო ცნობილი (3).

სამკურნალო პრაქტიკა, რომელიც ადამიანის წარმოშობის გარიჟრაჟზე გაჩნდა, ყოველთვის დაკავშირებული იყო შრომის პროცესებთან, პირველ რიგში კი - საკვების მოპოვებასთან. ცნობილია ისიც, რომ ადამიანის საკვებს დასაბამიდან დიდი ხნის განმავლობაში მცენარეულობა შეადგენდა ბალახები, მცენარეთა ფესვები, ხეების ნაყოფები და სხვ.), რომელთა შეგროვებას უმთავრესად ქალი აწარმოებდა.

სამკურნალო ბალახებისა და მცენარეების დადგენის შემდეგ, ქალმა ისწავლა ამ ბალახებიდან და მცენარეებიდან სავადასხვა სახის წამლებისა და მალამოების დამზადებაც. ხოლო როცა ადამიანმა, მცენარეებთან ერთად, ხორცეული საკვებიც გამოიყენა, იგი თანდათანობით ცხოველური წარმოშობის სამკურნალო საშუალებებსაც გაეცნო.

საკაჟიას გამოქვაბულში მოპოვებული მასალებით დადასტურებულია, რომ ქვის ხანის ადამიანი ცხოველის ძვლის ტვინისა და ქონისაგან უკვე ამზადებდა მალამოს და კანის დასარბილებელ საშუალებებს (4).

საქართველოს სინამდვილეში მითი ამირანის შესახებ, მითი არგონავტებისა და მედეას შესახებ, მრავალი ქართული ლეგენდა და ზღაპარი, მდიდარი ფოლკლორული მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ საქართველოში პირველი მკურნალი - ქალი იყო. ისევე როგორც ყოვლისშემძლე პოლიმედა ეგვიპტეში, ოქროსთმიანი აგამედა საბერძნეთში, გრძნეული მედეა საქართველოში სამკურნალო ნივთიერებათა და საწამლავების მომზადების მცოდნე ლეგენდარული პირია.

წარსულის შესწავლა ცხადად გვიჩვენებს, რომ საქართველოში ცოდნის ერთ-ერთი დარგი - მედიცინა არ იყო ჩამორჩენილი მეცნიერების დანარჩენ დარგებს. ჩვენი ქვეყანა ამ მხრივაც ჯვარედინი იყო აღმოსავლურ-დასავლურ სამედიცინო მეცნიერებათა, რომელთაც ჩვენი წინაპარნი კრიტიკულად ითვისებდნენ და საკუთარსაც ხშირად უმატებდნენ.

წამალთმცოდნეობის ისტორიის ყველაზე ადრინდელ ხანას შუქს ჰფენს არქეოლოგიური მასალა, რომელშიც ხშირია სამედიცინო შინაარსის თიხის ფირფიტები იეროგლიფური დამწერლობით, პაპირუსები, ქვაზე ამოკვეთილი ტექსტები („ჰამურაბის კანონი"), პინცეტები, დანები, სააფთიაქო სასწორები, წამლის შუშები, გველის გამოსახულებიანი სამედიცინო დანიშნულების კერამიკული და ნეიტრალური რეაქციის მქონე მინის სხვადასხვა ჭურჭელი, რომლებიც თავის დროზე წამლის მოსამზადებელი კომპონენტების შესანახად ყოფილა გამიზნული, ტრეპანირებული თავის ქალები, ნამკურნალები ძვლები და სხვ.

წამალთმცოდნეობის ისტორია, მისი განვითარება კავშირშია ქვეყანაში კულტურის, მეცნიერების, ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველების და ზოგადად, სოციალურ - ეკონომიკური განვითარების დონესთან. ამიტომ მისი შესწავლის წყაროები მრავალფეროვანია. გარდა საკუთრივ სამედიცინო - ფარმაცევტული ლიტერატურისა, რომელშიც იგულისხმება ძველი ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატები, სამედიცინო წიგნები და კარაბადინები, საარქივო დოკუმენტები და ა.შ. ძირითად წყაროდ მიჩნეულია მხატვრული

და აგიოგრაფიული ლიტერატურაც, ზოგადი ისტორიული ხასიათის ნაწარმოებები, უცხოური წყაროები, ხალხური მედიცინა, სამედიცინო ეთნოგრაფია და ფოლკლორი, არქეოლოგია, უძველესი კომუნალური ნაგებობანი, სანიტარულ-ჰიგიენური ტექნიკა და სხვ.

მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში აჭარა, საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად მიიტაცა ოსმალოს თურქეთმა. დამპყრობლები აწიოკებდნენ მოსახლეობას, ძარცვა-გლეჯა მათი ყოველდღიური საქმიანობა იყო. განსაკუთრებით სძულდათ და ანადგურებდნენ სულიერი კულტურის ძეგლებს-წიგნებს, ტრაქტატებს, ხელნაწერებს, ქრისტიანულ ლიტერატურას და ა.შ. ამის გამო წერილობითი ძეგლები რეგიონში დღემდე ძალიან ცოტაა შემორჩენილი.

ქართული წერილობითი ძეგლები, რომლებიც აჭარაში დაიწერა ამ კუთხის მკვიდრთა მიერ და რომლებიც დღემდეა მოღწეული, შემდეგია:

1. XIII საუკუნის მწერლისა და მეცნიერის აბუსერისძე-ტბელის „ასტრონომიული ტრაქტატი", მისივე „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი" და „გალობანი წმიდათა იოვანეთა".

2. ლენინგრადში, აზიის ხალხთა ინსტიტუტში დაცული XII-XVII საუკუნის ხელნაწერი „ტბეთის სულთა მატიანე".

3. კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია 1639 წელს მარკოზ აჭარელის მიერ გადაწერილი ჰაგიოგრაფიული კრებული (H-კოლექცია, საბუთი # 972).

4. ე.წ. „აგარელის კარაბადინი", რომელიც 1893 წელს აჭარაში, ქედის მახლობლად, სოფელ აგარაში აღმოაჩინა გაზეთ ივერიის კორესპოდენტმა და სახალხო მკურნალმა აბდულ მიქელაძემ. ინახება კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში (s-კოლექცია, საბუთი #2493) (5).

5. ე.წ. „ფემბასეული ხელნაწერი", რომელიც 1987 წელს ზემო აჭარაში აღმოჩენილი იქნა პროფესორ რამაზ სურმანიძის მიერ (ინახება მასთან).

საქართველოს სამეფოს გაუქმებამდე აჭარაში შექმნილი სხვა ასეთი ხასიათის ძეგლი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა (6).

მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში აჭარა, საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად მიიტაცა ოსმალოს თურქეთმა. დამპყრობლები აწიოკებდნენ მოსახლეობას, ძარცვა-გლეჯა მათი ყოველდღიური საქმიანობა იყო. განსაკუთრებით სძულდათ და ანადგურებდნენ სულიერი კულტურის ძეგლებს-წიგნებს, ტრაქტატებს, ხელნაწერებს, ქრისტიანულ ლიტერატურას და ა.შ. ამის გამო ნერილობითი ძეგლები რეგიონში დღემდე ძალიან ცოტაა შემორჩენილი.

მედიცინის ისტორიის მკვლევარები იყენებენ პერიოდიზაციის მეთოდს, რათა მისი განვითარების ისტორიის შესწავლა მოხდეს ცალკეული ისტორიული ეტაპებისა და პერიოდების მიხედვით.

ქართული მედიცინის ისტორიის პერიოდიზაციიდან ჩანს, რომ მე-13 საუკუნემდე ქართული მედიცინა გაერთიანებული და ძლიერი სახელმწიფოს ყველა მხარეში თითქმის ერთნაირად ვითარდებოდა და სოციალური ყოფის სხვა დარგებთან ერთად აყვავებას განიცდიდა. მე-13 საუკუნიდან მონღოლთა შემოსევის დროს იწყება დაცემის პერიოდი, რაც ქვეყანაში სამი საუკუნე გრძელდებოდა. მე-16 საუკუნიდან იწყება აღდგენის პერიოდი, მაგრამ ეს სამხრეთ საქართველოს არ შეხებია. პირიქით, ამ რეგიონს შემოესია ოსმალთა ურდოები, რის გამოც დაცემის პერიოდი კვლავ გაგრძელდა. ამ უღლისაგან მესხეთ-ჯავახეთი 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გათავისუფლდა, ხოლო აჭარაში და შავშეთ-იმერხევში ოსმალთა ბატონობა კვლავ გაგრძელდა. ამგვარად, აჭარაში დაცემის პერიოდი კვლავ სამი საუკუნე გაგრძელდა, გარდამავალი პერიოდი საერთოდ არ არსებულა, ხოლო კაპიტალისტურ ურთიერთობათა პერიოდი დაიწყო 1878 წლიდან, რომელიც ამავე დროს აღდგენის პერიოდის დასაწყისადაც ითვლება (7).

ფრიად საყურადღებოა პროფ. რ. სურმანიძის მიერ მოწოდებული მედიცინის განვითარების პერიოდიზაცია აჭარაში (8), სადაც ნათლად აისახა სამხრეთ - დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი

აჭარაში მომხდარი ისტორიული მოვლენები, სპეციფიკური თავისებურებები და ვითარებანი.

ცივილიზებული კაცობრიობისათვის ძველი და ახალი სამყაროს მიჯნად იქცა ქრისტეშობა. სწორედ ამ მომენტიდან აითვლება ახალი წელთაღრიცხვა ანუ ახალი ერა.

ქართულ სამედიცინო ისტორიულ ლიტერატურაში მიღებული პერიოდიზაციით ცალკეა უძველესი დროიდან მე-4 საუკუნემდე და შემდეგ, ანუ მიჯნად აღებულია საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საუკუნე. აჭარის სინამდვილეში, ჩემის ღრმა რწმენით, მიჯნად აღებული უნდა იქნეს სწორედ პირველი საუკუნე ანუ ქრისტეშობა.

საყოველთაოდ აღიარებულია და დადასტურებულია, რომ მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა აჭარიდან დაიწყეს ქადაგება და ქრისტიანობის გავრცელება. ეს მოხდა ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასაწყისში. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული ეპოქა აჭარისათვის იწყება პირველი საუკუნიდან და ამიტომ ახალი ერის დასაწყისად პირველი საუკუნე შეიძლება მივიჩნიოთ. ისტორიული ქრონოლოგიის თვალსაზრისითაც ეპოქათა მიჯნა ქრისტეშობაა, ამიტომ მოხერხებულად მიგვაჩნია წამალთმცოდნეობის განვითარების ისტორიის პერიოდიზაცია აჭარაში, მოვახდინოთ შემდეგნაირად:

1). წამალთმცოდნეობა უძველესი დროიდან ახ.წ. I საუკუნემდე (ანუ ქრისტეშობამდე);

2). წამალთმცოდნეობა ახ.წ. I საუკუნიდან (ანუ ქრისტეშობიდან) დღემდე.

ეს მეორე პერიოდი (ეპოქა) აჭარის სინამდვილეში, ყოველივე ზემოთქმულის შეჯერებითა და გათვალისწინებით, შეიძლება დავყოთ უფრო წვრილ შემდეგ ეტაპებად:

1. წამალთმცოდნეობა და ფარმაცია აჭარაში ახ.წ. I საუკუნიდან 1878 წლამდე;
2. ფარმაცია (სააფთიაქო საქმე) ბათუმის ოლქში 1878-1920;
3. ფარმაცია საბჭოთა აჭარაში 1921-1990;

4. ფარმაცია თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში (აჭარის მაგალითზე)1991-2020.

აქვე ცოტა იმის შესახებ, თუ რატომ ვხმარობთ ზოგჯერ ტერმინს „წამალთმცოდნეობა" და ზოგჯერ კი - „ფარმაცია", არის თუ არა მათ შორის განსხვავება თუ სინონიმებია და შეიძლება თუ არა დღევანდელ ფარმაცევტს ეწოდოს წამალთმცოდნე.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ლენინგრადელმა პროფესორმა ელინოვმა ჟურნალ „ფარმაციის" ფურცლებზე წამოიწყო პოლემიკა იმის შესახებ, რომ ფარმაცევტისთვის მინიჭებულიყო წამალთმცოდნის კვალიფიკაცია, რადგანაც ამ ორივე ტერმინში ის ერთნაირ შინაარსს ხედავდა. ეს იდეა საქართველოში აიტაცა ბ-ნმა ს. სალუქვაძემ და ის თავის პუბლიკაციებში ხელს აწერდა, როგორც წამალთმცოდნე. ს.სალუქვაძე თავის ცნობილ წიგნში „წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე" (თბილისი, 1987წ.) წამალთმცოდნეობას განმარტავს შემდეგნაირად: „წამალთმცოდნეობა კომპლექსური მეცნიერებაა, რომელიც მოიცავს წამალთფორმების ტექნოლოგიას, ფარმაკოგნოზიას, ფარმაცევტულ ქიმიას, თვისებით და რაოდენობით ანალიზურ ქიმიას, ფარმაკოლოგიას, ტოქსიკოლოგიურ ქიმიას და ფარმაკოპეას" (გვ.15). იქვე მე-5 აბზაცში იძლევა ფარმაციის შემდეგ განმარტებას: „თანამედროვე გაგებით, ფარმაცია სამედიცინო სამკურნალო დისციპლინების კომპლექსია, რომელიც სწავლობს წამალთმცოდნეობის სხვადასხვა საკითხს". როგორც ჩანს, განსხვავება „წამალთმცოდნეობის" და „ფარმაციის" განმარტებებში შესამჩნევია. ავტორი აკონკრეტებს მსჯელობას და აქვე მე-7 აბზაცში ვკითხულობთ: „ძვ.წ. V-IV საუკუნეებიდან და ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან სიტყვის ფუძე „ფარმაკონ" თანდათან გადავიდა მსოფლიოს ყველა ხალხში და დღეს ფარმაცია ნიშნავს სამკურნალწამლო ნივთიერებათა მიღებასა და წამლის მომზადება-გაცემასთან დაკავშირებულ საქმიანობას. ზოგადად ამ საქმეს ემსახურება წამალთმცოდნეობაც, ასე რომ, „წამალთმცოდნეობა" და „ფარმაცია" მჭიდრო ურთიერთკავშირშია".

ტერმინ „ფარმაცია“-ს წარმოშობა მიეკუთვნება უძველეს დროს. ძველი ეგვიპტის გაღმერთებული ექიმის ტოტას გამოსახულების ქვეშ ნახული იქნა წარწერა: ფარმაკი, რაც ნიშნავს განკურნების მჩუქებელს, მხსნელს, მფარველს.

ბერძნებმა, რომლებიც ეგვიპტელებისაგან სწავლობდნენ საექიმო ხელოვნებას, ამ ფუძისაგან წარმოქმნეს თავიანთი ტერმინი - „ფარმაკონ“, რაც ნიშნავს წამალს, შხამს. ელინურ სამყაროში და ძველ რომში წამალთმცოდნეობის სხვადასხვა სპეციალისტები აღინიშნებოდნენ ტერმინებით, რომელთა საფუძველიც იყო ფუძე „ფარმა“ (ფარმაკეის, ფარმაცევტე, ფარმაკოპოლე და მრავალი სხვა). სამკურნალო საქმის ან წამალთან დაკავშირებული საქმიანობის მცოდნენი ცნობილი არიან ძალიან დიდი ხანია, მაგრამ, ფარმაცია, როგორც მეცნიერება ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი დარგი, იყო მედიცინის შემადგენელი ნაწილი და წამალთმცოდნეობის გამოჩენილი მოღვაწეები იმავდროულად ექიმებიც იყვნენ, რომლებიც თავიანთი საქმიანობით მოიცავდნენ არა მარტო მედიცინის ყველა დარგს, არამედ ქმნიდნენ წიგნებს სამკურნალო მცენარეებზე (ფარმაკოგნოზია), ადგენდნენ კარაბადინებს (ფარმაკოპეის წინასახე), ამზადებდნენ წამლებს გამონაცემებისა და მონახარშების სახით (გალენი და მისი პრეპარატები), ფლობდნენ ბუნებისმეტყველებას და თავისი დროის ფილოსოფიასაც (ჰიპოკრატე, გალენი, ავიცენა, რაზესი, პარაცელსი და სხვ.).

1224 წელს წმინდა რომის იმპერიის იმპერატორის ფრიდრიხ II-ის მიერ გამოცემული იქნა დეკრეტი, რომელმაც გაყო ექიმებისა და ფარმაცევტების უფლებები და მოვალეობები. ამ დეკრეტმა საფუძველი დაუდო ფარმაციის, როგორც დამოუკიდებელი სპეციალობისა და დისციპლინის ჩამოყალიბებას. განისაზღვრა ნაფიცი ფარმაცევტების მიერ სამკურნალო პრეპარატების მომზადების, ასევე შხამების შენახვისა და გაცემის წესები. ექიმებს ეკრძალებოდათ აფთიაქების გახსნა, სავაჭრო ურთიერთობები ავადმყოფებთან და მათი მომარაგება წამლებით. თავის მხრივ, აფთიაქებსაც ეკრძალებოდათ ავადმყოფების მკურნალობა. შემოღებული იქნა აფთიაქების რევიზირება. ექიმის წოდების მინიჭების უფლება ჰქონდა

მხოლოდ სალერნოს სამედიცინო სკოლას, რომლის ლიცენზიის გარეშე სამედიცინო საქმიანობა უკანონოდ ითვლებოდა და იკრძალებოდა. ფარმაცევტებს, რომელთაც არ ჰქონდათ სპეციალური მოწმობა, დამადასტურებელი მათ მიერ სამედიცინო ფაკულტეტზე სათანადო გამოცდების ჩაბარებისა, ეკრძალებოდათ წამლების რეალიზაცია.

სალერნოს სკოლაში კურსდამთავრებულთათვის დადგენილი იქნა 4 ხარისხი.

1-ლი ხარისხი - ლიცენციატი - ენიჭებოდა პირს ამა თუ იმ დისციპლინის სრული კურსის გავლის შემდეგ. მაგალითად, ავადმყოფის მოვლის, მზა მასალებიდან სამკურნალწამლო ნარევების მომზადების და ა.შ. კურსები;

მე-2 ხარისხი - ბაკალავრი - ენიჭებოდა იმ პირებს, რომელთაც ენდობოდნენ სხვათა სწავლებას;

მე-3 ხარისხი - მაგისტრი - ენიჭებოდა იმ პირებს, რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ ამა თუ იმ მეცნიერებას და უნარი ჰქონდათ გადაეცათ ეს ცოდნა სხვებისათვის;

მე-4 ხარისხი - დოქტორი - ენიჭებოდათ იმ პირებს, რომლებიც დამოუკიდებლად ავითარებდნენ ამა თუ იმ მოძღვრებას (დოქტრინას).

ალქიმიის და განსაკუთრებით იატროქიმიის პერიოდში ქიმიისა და ტექნიკის განვითარებას მოჰყვა სამკურნალწამლო საშუალებათა კატალოგის მნიშვნელოვანი გამდიდრება. ფარმაცევტული პრეპარატების მომზადებამ და სრულყოფამ თავი მოიყარა სააფთიაქო ლაბორატორიებში, რომლებიც ფარმაცევტული ქიმიის აკვანად იქცა. მრავალმხრივი ცოდნა ყოველთვის იყო წამალთმცოდნეობისა და ფარმაცევტული განათლების საფუძველი. აფთიაქები თანდათანობით სამეცნიერო ცენტრებად გადაიქცა.

რუსეთში სამკურნალო საშუალებების რეალიზაციის მოწესრიგების მიზნით 1701 წელს პეტრე I-მა გამოსცა ბრძანებულება პირველი რვა კერძო აფთიაქის გახსნის შესახებ და ნებისმიერ სხვა ადგილას (მათ შორის მწვანე დუქნებში) წამლების გაყიდვის აკრძალ-

ვის შესახებ. ამ ღონისძიებით რუსეთში დამყარდა სააფთიაქო მონოპოლია, ხოლო აფთიაქები აღმოჩნდნენ უაღრესად პრივილეგირებულნი, კერძოდ:

- აფთიაქები თავისუფლდებოდნენ გადასახადების გადახდისაგან;

- სამკურნალო საშუალებების მომზადება და გაყიდვა მხოლოდ აფთიაქებში იქნა ნებადართული;

-მოცემულ რაიონში ყველა სხვას ეკრძალებოდა აფთიაქის გახსნა;

- აფთიაქები თავისუფლდებოდა სამხედრო ბეგარისაგან, ხოლო აფთიაქარები - ჯარში გაწვევისაგან;

- აფთიაქის დაფუძნების მსურველებს ეძლეოდათ თავისუფალი შენობა და ხელფასი პირველი სამი წლის განმავლობაში;

- აფთიაქებს უფლება ჰქონდათ გამოესახათ სახელმწიფო გერბი როგორც აბრაზე, ასევე შეფუთვებზე: აფთიაქარებს უფლება ეძლეოდათ მიეღოთ საპატიო მოქალაქეობა;

- აფთიაქის გახსნის მსურველებს საელჩო პრიკაზში უნდა მიეტანათ თხოვნა მეფის სახელზე. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მათ ეძლეოდათ წყალობის სიგელი და მიწის ნაკვეთი აფთიაქის ასაშენებლად, ასევე უფლება წამლების მოსამზადებლად საჭირო სპირტის საზღვარგარეთ და საპორტო ქალაქებში შეძენისა.

მე-18 საუკუნის რუსეთისთვის სააფთიაქო მონოპოლია პროგრესული მოვლენა იყო და მან დიდი როლი შეასრულა სააფთიაქო საქმის განვითარების საქმეში.

როგორც ვხედავთ, რუსეთის სინამდვილეში, ფარმაციის, როგორც განსაკუთრებული დისციპლინის საბოლოო გამოყოფა (გამოცალკევება) მედიცინისაგან და მისი დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბება მოხდა XVIII საუკუნეში.

ზოგიერთი ენციკლოპედიის ან ლექსიკონის ან სახელმძღვანელოს მიხედვით წამალთმცოდნეობა ფარმაციის ან ფარმაკოლოგიის ან ფარმაკოგნოზიის სინონიმია. (მაგ. **Краткая медицинская энциклопедия**, Москва, 1990, т.3., უცხო სიტყვათა ლექსიკონი,

თბილისი, 1989., Энциклопедический словар аптечного работника, М., 1960).

სხვა განმარტებებით ფარმაცია ფარმაკოლოგიასთან ერთად შეადგენს მეცნიერებას წამლის შესახებ ანუ წამალთმცოდნეობას (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.10, გვ 231., Криков-«Организация и экономика фармации», М.,1976).

არის განმარტებები, რომელთა მიხედვითაც ფარმაცია წამალთმცოდნეობის დარგია ან შეისწავლის წამალთმცოდნეობის სხვადასხვა მხარეებს (ს.აბაშიძე და სხვ. რუსულ-ლათინურ-ქართული სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 358; Муравьев И.А. Технология лекарств, М., 1980 т.1, стр.5., Серов-Учебная книга по фармацевтической химии, М.,1939).

ეს ბოლო ჯგუფი განმარტებებისა უფრო ხშირად მეორდება ფარმაციის ავტორიტეტულ მეცნიერებთან.

ბუნებრივად იბადება კითხვა: ზემოთ ჩამოთვლილი ავტორიტეტული ენციკლოპედიების, ლექსიკონებისა და სახელმძღვანელოების მიერ მოწოდებული განმარტებებიდან რომელი უფრო ზუსტად განმარტავს ფარმაციისა და წამალთმცოდნეობის არსს და რა განსხვავებაა მათ შორის.

ჩვენ ორ ლიტერატურულ წყაროზე გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება: 1) აკადემიკოსი ბ.ჭუმბურიძე ცნობილ სახელმძღვანელოში („ფარმაცევტული ქიმია", თბილისი,1992.) მიმოიხილავს რა ფარმაცევტული ქიმიის (წამალთა ქიმიის) განვითარების ისტორიას საქართველოში, დაახლოებით მე-18 საუკუნემდე წამლის ცოდნის სფეროში დასაქმებულ პირებს მოიხსენებს წამალთმცოდნეებად, ხოლო შემდგომი პერიოდის ისტორიის დახასიათებისას - ფარმაცევტებად და დარგს - ფარმაციად. 2) „სააფთიაქო მუშაკის ენციკლოპედიური ლექსიკონის (მოსკოვი, 1960) მიხედვით, „ფარმაციის", როგორც განსაკუთრებული დისციპლინის საბოლოო გამოყოფა (გამოცალკევება) მოხდა მე-18 საუკუნეში".

საქართველო ევროპისა და აზიის მიჯნაზეა. ამავე დროს მთელი ორი საუკუნე-მე-19 და მე-20, რუსეთის მფარველობის თუ გავლე-

ნის თუ შემადგენლობის ქვეშაა, რამაც ბუნებრივია გავლენა მოახდინა წამალთმცოდნეობის განვითარებაზეც. ევროპული მიდგომით, ფარმაციის, როგორც დარგის დამოუკიდებლობა 1224 წლიდან შეიძლება ავთვალოთ, ხოლო საქართველოში პირველი ევროპული ტიპის აფთიაქების გახსნისა (კათოლიკე მისიონერებმა 1740 წელს თბილისში გახსნეს აფთიაქი-წამალხანა, რომელიც 1755 წლამდე, ე.ი. საქართველოდან კათოლიკების პირველ გაძევებამდე არსებობდა) და იმის გათვალისწინებით, რომ პირველი პროფესიონალი პროვიზორები (ფარმაცევტები უმაღლესი განათლებით) საქართველოში ასპარეზზე გამოდიან და მოღვაწეობას იწყებენ მე-19 საუკუნეში, შეიძლება დავასკვნათ, რომ მე-18 საუკუნე ათვლის მიჯნად საქართველოსთვისაც მისაღებია.

მოყვანილი არგუმენტების შეჯერებით ვფიქრობთ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ლოგიკური დასკვნები:

1). საქართველოში მე-18 საუკუნემდე პერიოდის დახასიათებისას წამალთან დაკავშირებული ცოდნის და საქმიანობის აღსანიშნავად მართებულია ვიხმაროთ ტერმინი „წამალთმცოდნეობა“ და ამ საქმიანობით დაკავებულ პირებს ვუწოდოთ „წამალთმცოდნეები“. ამ მიჯნამდე ექიმისა და ფარმაცევტის პროფესიის გამიჯვნა ვერ ხერხდება. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ უდიდესი წამალთმცოდნეები სწორედ ექიმები იყვნენ (ჰიპოკრატე, გალენი, ავიცენა, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, დავით ბაგრატიონი და სხვები).

2). მე-18 საუკუნიდან ფარმაცია ყალიბდება ცალკე, დამოუკიდებელ სამეცნიერო-პრაქტიკულ დარგად და ამიერიდან წამლის ძიებით, მოპოვებით, დამზადებითა და შენახვა-გაცემით დაკავებულ პირებს უკვე ეწოდებათ პროვიზორები, „ფარმაცევტები“ (ზოგ ქვეყანაში „აფთიაქარი“), ხოლო დარგს - „ფარმაცია“.

3). თანამედროვე ეტაპზე ტერმინი „წამალთმცოდნეობა“ მხოლოდ ზოგადად შეიძლება ვიხმაროთ წამლის შესახებ ყოვლისმომცველი აზრის გამოსახატავად და არ იქნება მართებული მივუსადაგოთ რომელიმე კონკრეტულ სამეცნიერო დისციპლინას ან

დარგს (ფარმაციას ან ფარმაკოლოგიას, ფარმაკოპეას ან ფარმაკოგნაზიას). სხვა სიტყვებით, წამალთმცოდნეობის ქვეშ იგულისხმება მრავალი ფარმაცევტული, ფარმაკოლოგიური, სამედიცინო, ბიოლოგიური თუ სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინა და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება „წამალთმცოდნეობის" დაყვანა ერთი რომელიმე კონკრეტული სამეცნიერო დარგის დონეზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. მ. გ. საკაშვილი, ა.პ. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტომი III , წიგნი 1, თბილისი,1956, გვ. 21.
2. იქვე, გვ. 28.
3. იქვე, გვ. 32.
4. გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში, თბილისი, 1953, გვ 56, 59 და სხვ.
5. რ. სურმანიძე, ქართული კარაბადინი (აჭარაში აღმოჩენილი ვარიანტები), მე-18 საუკუნე. ავტორეფერატი დისერტაციისა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1999, გვ.17.
6. იქვე, გვ.17.
7. იქვე, გვ.10.
8. რ. სურმანიძე, რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში, წიგნი I, ბათუმი, 2001, გვ.10.

თ ა ვ ი I

წამალთმცოდნეობა და ფარმაცია უძველესი დროიდან ახ. წ. I საუკუნემდე

წამალთმცოდნეობისა და ფარმაციის ისტორია იწყება შუმერიდან

მედიცინა გაჩნდა მაშინ, როცა გაჩნდა ადამიანი. პირველი მასწავლებელი წამალთმცოდნეობისა თვით ბუნება იყო. ამაზე აღარავინ კამათობს, მაგრამ როცა საუბარია ისტორიაზე, რომელიც რწმენისა და აზროვნების განვითარებას სწავლობს, მაშინ ვნახავთ, რომ მეცნიერების, ადამიანის ყოფისა და საქმიანობის არც ერთ სფეროში ისე არ გაერთიანებულა ეს ორი კომპონენტი (რწმენა და აზროვნება - ვ.მ.), როგორც მედიცინაში, საექიმო საქმეში.

მედიცინისა და წამალთმცოდნეობის ისტორიის, როგორც ასეთის დაწყება ალბათ შესაძლებელია ისტორიულ თვალსაწიერზე კულტურული საზოგადოების გამოჩენასთან ერთად (რ. შენგელია). ქრისტეშობამდე VII ათასწლეულიდან ჩნდება პირველი მონაცემები (ჯ.მელაარტი) მცირე აზიაში მეტალურგიის ჩასახვისა და განვითარების შესახებ. აღმოჩენა, აღიარებული მოსაზრებით, პროტოქართველურ ტომებს უკავშირდება და თავისთავად, ერთი მხრივ, განვითარებული საზოგადოების მაჩვენებელია და მეორე მხრივ, კარგ მატერიალურ - ტექნიკურ საფუძვლად უნდა შექმნილიყო მედიცინის ცალკეული დარგების განვითარებისათვის (მაგ. ქირურგია, ქიმია- ფარმაცია და ა.შ.)

VI-V ათასწლეულები ე.წ. „კერამიკულ ხანადაა" მიჩნეული და ისიც მცირე და წინა აზიის არეალშია მოქცეული. აღმოჩენილია სარიტუალო, მცირე ზომის ქანდაკებები, რაც მაგიური მედიცინის არსებობაზე მიუთითებს (რ. შენგელია).

IV ათასწლეულს განეკუთვნება შუმერული თიხის ფირფიტები, რომლებმაც მედიცინის შესახებ უძველესი ცნობები შემოგვინახეს. არის ცნობები ცალკეული დაავადებების, ტრავმების შესახებ, საუბარია ბავშვთა მოვლისა და აღზრდის შესახებ, ხოლო ზოგიერთ მათგანზე მოტანილია სრულიად უნიკალური რეცეპტურა, რომლის შემადგენლობა თითქმის მთლიანად მცენარეულია.

ფრანგმა არქეოლოგმა ერნესტ სარზეკმა 1877წ. აწარმოა გათხრები დღევანდელ ერაყის ტერიტორიაზე ქ. ნასირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ქრისტეშობამდე ოთხი ათასი წლის წინანდელი შუმერული ქალაქის - ლაგაშის ნანგრევები იხილა. აქ იყო ლურსმნული დამწერლობით დაფარული ქანდაკებები, უამრავი ინფორმაციის შემცველი თიხის ფირფიტები და სხვა. ეს იყო და არის დღემდე ცნობილი ყველაზე ძველი ცივილიზაცია და ისიც - ძალიან მაღალი.

შუმერიდან წამოსული კულტურა ჯაჭვური რეაქციით(რასაც მისი ნაკლებადკულტურულ ერებთან შეჯახება იწვევს) მიიწევს ჩრდილო-დასავლეთით. შუმერები დასაბამს აძლევენ ბრწყინვალე ბაბილონურ და ასურულ კულტურებს, სადაც მათი კვალი ადვილი შესამჩნევია.

1889 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტმა ერაყში გაგზავნა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც გათხრები აწარმოა ნიფურში (თანამედროვე ბაღდადიდან დაახლ. 160 კმ-ით სამხრეთით). როგორც შემდეგ გამოირკვა, ნიფური შუმერელთა რელიგიური და კულტურული ცენტრი ყოფილა.

ნიფურში აღმოჩენილ ტექსტებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია შუმერულ ენაზე შედგენილი რეცეპტების ტექსტი (ფირფიტის ზომაა დაახლ. 9,5X16 სმ.). ფირფიტა დაწერილი უნდა იყოს, ბოლოდროინდელი ქრონოლოგიური გამოკვლევების თანახმად, დაახლ. ძვ-წ. 2300 წელს. ეს არის ჯერჯერობით ყველაზე ძველი ფარმაკოპეა კაცობრიობის ისტორიაში. ს. კრამერმა და მ. სივილმა მოახერხეს ზემოაღნიშნული ფირფიტის სრული გაშიფრვა და საბოლოო ვარიანტის დადგენა (1).

ფარმაკოპეა 145 სტრიქონისაგან, ანუ უკეთ, წინადადებისაგან შედგება. ძლიერი დაზიანების გამო პირველი 21 სტრიქონის გაშიფრვა ვერ მოხერხდა. რაც შეეხება საკუთრივ რეცეპტებს, ისინი სულ თხუთმეტია და იწყება 22-ე სტრიქონიდან. (პირველი სვეტის ქვედა ნაწილი). ამა თუ იმ სამკურნალო საშუალების ხმარების წესის მიხედვით რეცეპტები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს. პირველი ჯგუფი შედგება რვა წამლისაგან. ესენია ცხელი საფენები. მათი მომზადების წესი ასეთი თანმიმდევრობითაა გადმოცემული: ჯერ ჩამოთვლილია კომპონენტები, რომლებისგანაც მზადდება წამალი; შემდეგ მითითებულია, რომ საჭიროა ეს კომპონენტები ფხვნილად იქცეს და შეერიოს სითხეს, ვიდრე პასტისებურ მასას არ მიიღებენ. შემდეგ ეს მასა ცხლად უნდა დაეფინოს წინასწარ ზეთით დაზელილ მტკივნეულ ადგილს. ზეთის წასმას ან სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა, ანდა კანის დამცველისა, როცა ზედ ცხელი საფენი დაეკვრებოდა.

მოგვყავს ამ „ცხელი საფენების“ სიტყვა-სიტყვითი თარგმანი (მხოლოდ ოთხი რეცეპტის ამოკითხვა გახდა შესაძლებელი) კურსივით გამოყოფილია ის სიტყვები, რომლებიც სამკურნალო ბალახის სახელწოდებაა და დღემდე მათი გაშიფრვა ვერ მოხერხდა. ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები შუმერულ ტექსტში არ არის, მაგრამ მათი ჩართვა აუცილებელია აზრის დასაზუსტებლად. წერტილებით კი აღნიშნულია დაზიანებული ნიშნები.

„რეცეპტი №4. დაფხვენით მცენარე ანადიშა, ეკლიანი ბუჩქის ტოტები (ალბათ. Prosopis stephaniana), დუაშბურის თესლი (შესაძლოა, Atriplex halimus L.) (და)...; (აქ, სულ ცოტა, ორი სამკურნალო ბალახის სახელწოდება მაინც უნდა ყოფილიყო); დავასხათ მას (ამ დაფხვნილი ბალახების მასას) წყალში გაზავებული ლუდი, დავზილოთ (მტკივანი ადგილი) მცენარეული ზეთით (და) დავაფინოთ (ლუდში არეული ამ დაფხვნილი ბალახებისაგან დამზადებული პასტა);

„რეცეპტი №5. დაფხვენით მდინარის შლამი (და)...; გახსენით წყალში; დაზილეთ დაუწმენდელი ზეთით (და) მიაკარით საფენი“.

„რეცეპტი №6. დაფხვენით მსხალი (?) (და) მცენარე მანა; გახსენით ლუდის ნალექში, დაზილეთ მცენარეული ზეთით (და) მიაკარით საფენი".

„რეცეპტი №8. დაფხვენით ფესვები... ხისა... და მშრალი მდინარის ასფალტი; გახსენით ლუდში, დაზილეთ ზეთით (და) მიაკარით საფენი".

მეორე ჯგუფი წამლებისა დასალევია. სულ სამი რეცეპტია. პირველი წამლის დასამზადებლად საჭიროა ლუდი და თხევადი ასფალტი.

„რეცეპტი №9. ჩაასხით მაგარი ლუდი... მცენარის ფისში; გააცხელეთ ცეცხლზე. შემდეგ აურიეთ თხევადი მდინარის ასფალტში (და) მიეცით (ავადმყოფს) დასალევად".

შემდეგი ორი წამლის მომზადების ხერხი ერთი და იგივეა. ორი კომპონენტი უნდა დაიფხვნას, გაიხსნას ლუდში და მიეცეს ავადმყოფს დასალევად.

„რეცეპტი №10. დაფხვენით მსხლები (?) და მცენარე მანანას ფესვები; (ფხვნილი) აურიეთ ლუდში (და) მიეცით (ავადმყოფს) დასალევად".

„რეცეპტი №11. დაფხვენით ბოსტნეული ნიგნაგარის, მირის (?) (და) ქონდარას ფესვები, დაასხით ლუდი (და) მიეცით (ავადმყოფს) დასალევად".

რეცეპტების მესამე ჯგუფი იწყება ძნელი და ჩემის აზრით, მეტად იდუმალი წინადადებით. რომელიც ასე იკითხება: „შემოაფინეთ (?) ლერწამი (ავადმყოფს) ხელებზე და ფეხებზე". ჯერჯერობით ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, რა მიზანს ისახავს ეს პროცედურა და რატომაა იგი ჩაწერილი მაინცადამაინც ამ ადგილას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს სტრიქონი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩანს, კერძოდ, სხეულის რომელ ნაწილებს სჭირდება მკურნალობა.

ეს არის ფირფიტის შესავალი. შემდეგ იწყება საკუთრივ რეცეპტები. სულ ოთხი თავი წამალია და მათი შემადგენლობა უფრო რთულია და მრავალფეროვანი, ვიდრე ზემოხსენებული თერთმეტისა. სამი რეცეპტის მიხედვით, სხეულის დაავადებული ნაწილი

ჯერ საგანგებოდ შემზადებული ხსნარით უნდა ჩამოიბანოს, მერე კი მაშინვე რაღაც ნივთიერება უნდა დაედოს. ორ შემთხვევაში ეს, როგორც ჩანს, ნაცარია, მეოთხე და ბოლო რეცეპტში კი, რომლის საწყალი სტრიქონები წაშლილია, მხოლოდ სამკურნალო ბალახებია ჩამოთვლილი, შემდეგ კი ნათქვამია, რომ მიღებული წამალი უნდა დაედოს (?). ეტყობა, ავტორს გამორჩა შუალედი ოპერაცია. აი, ეს რეცეპტი:

„რეცეპტი №12. გაიცრას და საგულდაგულოდ აირიოს ერთმანეთში კუს დანაყილი ჯავშანი, მცენარე ნაგას ყლორტები (ამ მცენარისაგან სოდას და სხვა ტუტეებს ღებულობდნენ), მარილი (და) მდოგვი; მოიბანოს (ნატკენი ადგილი) მაგარი ლუდით (და) ცხელი წყლით; დაიზილოს (ნატკენი ადგილი) ამ (მომზადებული შემადგენლობით), შემდეგ კი წაესვას მცენარეული ზეთი (და) დაედოს (?) სოჭის დაფხვნილი წიწვები.

„რეცეპტი №13. გახსენით წყალში გამხმარი და დაფხვნილი ანკარა, მცენარე ამამაშუმკასკალი, ეკლიანი ბუჩქის ფესვები, დაფხვნილი ნაგი, სოჭის სკიპიდარი (და) ამ სითხით მობანეთ (ნატკენი ადგილი), შემდეგ კი დაზილეთ მცენარეული ზეთით (და) დაადეთ შაკი".

„რეცეპტი №14. გახსენით წყალში ნარევი, რომელიც მომზადებულია გამხმარი (და) დაფხვნილი ძროხის თივთიკისაგან, ეკლიანი ბუჩქის ტოტებისაგან, „ვარსკვლავა" მცენარისაგან, „ზღვის" ხის ფესვებისაგან, გამხმარი ლეღვებისა (და) მარილი იბ-ისაგან; შეათბეთ (და) მობანეთ (მტკივანი ადგილი) ამ სითხით, შემდეგ დაადეთ ლერწმის ნაცარი (?).

„რეცეპტი №15. ტირიფისაგან მიღებული..., გირბის ნალექი (?), ღვინის თხლე, მცენარე ნიგმი, მცენარე არინას (?) ფესვები და ღერო, (და) დაადეთ (?) ნაცარი (?)".

ტექსტიდან აშკარაა, რომ შუმერელი ექიმი, ისევე, როგორც მისი თანამედროვე ყველა კოლეგა, წამლის დასამზადებლად იყენებდა მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის პროდუქტებს. მისი საყვარელი მინერალური კომპონენტები იყო სუფრის

მარილი, მდინარის ასფალტი და მღვრიე ზეთი. ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიდან იყენებდა თივთიკს, რძეს, კუს ჯავშანს, ანკარას. მაგრამ წამლების უმეტესობა მაინც მცენარეებისაგან მზადდება. ესენია: ბეგქონდარა, მდოგვი, ქლიავის ხე, მსხალი, ლეღვი, კომში, Atriplex halimus L; Prosopis stephaniana, მცენარეები მანა, სოჭი, ფიჭვი. წამლის გასახსნელად ხმარობდნენ ლუდს, ღვინოს, ზეთს.

აღსანიშნავია, რომ ამ უძველეს დოკუმენტში არსად გვხვდება არც მაგიური შელოცვები და არც ჯადოქრობის რაიმე ნიშანი, რაც ხშირია უფრო მოგვიანო ხანის ლურსმულ სამედიცინო ტექსტებში. არცერთი ღმერთი თუ დემონი ნახსენები არ არის. ეტყობა, მისი შემდგენელი ემპირიულ და რაციონალურ საფუძვლებს უფრო ეყრდნობოდა, მართალია, დაბეჯითებით არ შეგვიძლია მტკიცება, რომ იგი ექსპერიმენტულად შემოწმებულ წამლებს იყენებდა, მაგრამ, საფიქრებელია, რომ მის მიერ დანიშნულ მკურნალობას სასურველი შედეგი ჰქონდა: იგი, ხომ თავის პროფესიულ რეპუტაციას დებდა სასწორზე! ამიტომ გამორიცხული არ არის, ამ რეცეპტებს თანამედროვე სამედიცინო კვლევა-ძიების თვალსაზრისით ერთგვარი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდეს.

სამწუხაროდ, უძველესი ფარმაკოლოგია არავითარ წარმოდგენას არ გვაძლევს იმ დაავადებებზე, რისთვისაც ეს წამალი იყო განკუთვნილი. შესავალი, რომელიც წინ უძღვის რეცეპტებს და რომელსაც ფირფიტის თითქმის მთელი სვეტი უკავია, ძლიერაა დაზიანებული. თუმცა, აქა-იქ შემორჩენილი ნიშნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ არც არის ლაპარაკი დაავადებათა სახეობაზე. პირველ რეცეპტში, რომელიც თითქმის მთლიანად წაშლილია, ამოვიკითხევთ სიტყვები „ზურგი" და „დუნდულები", მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთ კონტექსტში, რომელიც მათ ვერ ხსნის. მესამე ჯგუფის რეცეპტების წინასიტყვაობაში გაირჩევა სიტყვები: „ხელები" და „ფეხები", მაგრამ აქაც კონტექსტი მეტად გაუგებარია და იდუმალი. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, ერთი განსაზღვრული დაავადების სამკურნალოდ ერთი რეცეპტი არსებობდა, თუ რამდენიმე. თუმცა,

ადვილი შესაძლებელია, ესეც და კიდევ სხვა წვრილმანებიც ზეპირად გადაიცემოდა. აქედან გამომდინარე, უნებურად ვუფიქრდებით იმას, თუ რა მიზეზებმა და მოტივებმა შთააგონა უძველესი ექიმი ასეთი სიის შესადგენად.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველად ექიმები და მათ შორის ჩვენი ფარმაკოპეის ავტორიც, მხოლოდ თავიანთი პროფესიით როდი იყვნენ შემოფარგლულნი. ისინი კულტურული, მეტად განათლებული ადამიანები, „ჰუმანისტები" იყვნენ. ლამაზად და გამართულად რომ ეწერა, დაუფლებოდა ასობით ნიშანს, თითოეულს რომ ათასგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, უძველეს შუმერს თავისი სიჭაბუკის საუკეთესო წლები სკოლაში ანუ „აკადემიაში" - ედუბბაში (ე.ი. - „ფირფიტების სახლში") უნდა გაეტარებინა. იქ იგი ყველა იმ სამედიცინო დარგში ნათლდებოდა, რაც იმ დროს იყო ცნობილი. მაშინდელი „სახელმძღვანელოები" ხომ ძირითადად ამა თუ იმ დარგის სიტყვების, გამოთქმებისა და ამა თუ იმ ნაწყვეტის სიებისაგან შედგებოდა. მთელ მასალას ამზადებდა უმია, ანუ აკადემიის "პროფესორი", მოწაფეებს კი მანამ უნდა ეწერათ ტექსტი, ვიდრე ზეპირად არ დაისწავლიდნენ. ეს ლაკონური, მშრალი ტექსტები უეჭველად ზეპირი ახსნა-განმარტებებით, ანუ „ლექციებით" იქნებოდა შევსებული. ადვილი შესაძლებელია, ჩვენი ფარმაკოპეაც ასეთი კონსპექტი იყო, მომზადებული იმ ექიმის მიერ, რომელიც აკადემიაში კითხულობდა „ლექციებს". თუ ეს მოსაზრება სწორია, შეგვიძლია ეს ჩვენი დოკუმენტი მედიცინის დარგში არსებულ ერთ-ერთ უძველეს „სახელმძღვანელოდ" მივიჩნიოთ.

მესოპოტამიის შუმერული პერიოდის (ძვ.წ. III ათასწლეული) და ბაბილონის პერიოდის (ძვ.წ. II ათასწლეულის) საკანონმდებლო კოდექსები დღემდე შემორჩენილია და ძვირფასი ისტორიული წყაროა ძველი აღმოსავლეთის ისტორიისათვის. შუმერული კანონები ფრაგმენტებად არის შემორჩენილი, ხოლო ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონები კი შედარებით სრულყოფილად არის შემორჩენილი.

ბაბილონელი მეფის ჰამურაბის მიერ შექმნილ კანონთა შორის, რომლის ტექსტი 282 მუხლისაგან შედგება და ეხება მაშინდელი ბაბილონის საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს, რამდენიმე მუხლია (207, 215-222), რომლებიც მედიცინასა და ფარმაციას ეხება. ამ მუხლებიდან ჩანს ექიმის განსაკუთრებული ადგილი საზოგადოებაში, პროფესიონალი ექიმის საქმიანობა, მისი უფლებები, მოვალეობა, გასამრჯელო და სხვა. მკაცრად რეგლამენტირებულია ურთიერთობები ექიმს, პაციენტსა და სახემწიფოს შორის. ფიქრობენ, რომ ეს კანონები შუმერული წარმოშობისაა, როგორც ამ ძეგლის შემქმნელი მეფეც.

II ათასწლეული ძვ.წ. ვითარდება ემპირიული მედიცინისა და წამალთმცოდნეობის მიმართულებები. ეგვიპტეში, ჩინეთსა და ბაბილონში დაარსდა სამედიცინო სკოლები და გამოიცა პირველი სამკურნალო წიგნები.

XVI საუკუნე ძვ.წ. ებერსის პაპირუსში „სხეულის ყველა ნაწილისათვის წამლის მომზადების წიგნში“ აღწერილია დაყენების, გაწურვის, აფუების, გამოწურვის, გამოხდის, ექსტრაგირების, აქროლების პროცესები, ასევე აღწერილია წამალთფორმების: მალამოების, წყალხსნარების, ოყნების, კომპრესების, მდოგვის საფენების, პლასტირების, გამონაცემების, მონახარშებისა და აბების გამოყენება.

უძველესი ქართული ეპოსი „ამირანიანი“ და საექიმო-წამალთმცოდნეობითი იდეები, მანიპულაციები

ქართული მედიცინა და წამალთმცოდნეობა სათავეს კაცობრიობის გარიჟრაჟიდან იღებს და იგი ერის კულტურის განუყოფელი ნაწილია.

უძველესი ქართული ეპოსი *„ამირანიანი“* III-II ათასწლეულის საუკუნეებს განეკუთვნება და ამდენად მედეას ეპოქას საუკუნეებით წინ უსწრებს. იგი ყველაზე ადრინდელი ქართული წყაროა, რომელშიც მოცემულია მკურნალობისა თუ საექიმო საქმიანობის რაციონალური მეთოდები და მანიპულაციები მაგიურ-რელიგიური რიტუალების ნაცვლად. საერთოდ, პირველი ცნობები წამალთმცოდნეობის შესახებ საქართველოში უკავშირდება პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდს ისევე, როგორც ძველი ცივილიზაციების ისტორიულ-კულტურული წარსული მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვის ხანის ეპოქასთან. უძველესი მედიცინაც ერის უძველესი კულტურის განუყოფელი ნაწილია. პირველი მასწავლებელიც წამალთმცოდნეობისა თვით ბუნება იყო.

ამირანიანში მოცემულია ისეთი ბიოლოგიური იდეები და საექიმო-პრაქტიკული მანიპულაციები, რომელთა არსებობა და ცოდნა ამ ეპოსის შექმნის პერიოდისათვის უაღრესად მრავლისმეტყველია. „ამირანი“ყველაზე ადრინდელი წყაროა, რომელშიც მოცემულია მკურნალობისა თუ საექიმო საშუალების რაციონალური მეთოდები თუ მანიპულაციები, ნაცვლად მაგიურ-რელიგიური რიტუალებისა. მაგალითად, ზეციდან ჩამოყვანილი ღმერთქალი ყამარი პირველად თაგვიდან (მიწის ამ უმწეო არსებიდან) გაიგებს ბალახის სამკურნალო თვისებების შესახებ. თაგვმა მკვდარი გააცოცხლა და მისი მიბაძვით ყამარიც აცოცხლებს ამირანს, ბადრსა და უსიბს. რასაკვირველია, აქ ეპოქისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლიზმია, მაგრამ მას აქვს რეალური საწყისი, რომელიც მცენარეთა სამკურნალო თვისებების ცოდნასა და გამოყენებას გულისხმობს (2).

ასეთ იდეათა და მანიპულაციათა რიცხვს ეკუთვნის ჭრილობის მკურნალობა, ჭრილობის შეხორცების შემაფერხებელი საშუალებების ცოდნა და გამოყენება, მინერალურ ნივთიერებათა გამოყენება, ემბრიონალური ზრდის (დღენაკლულთა) ხელოვნური მეთოდები, საძილე საშუალებათა გამოყენება, თვალის „ამოღება და ჩადგმა“, ყვავილისაგან თვალის დაზიანება, საკეისრო გაკვეთის მსგავსი მანიპულაცია, მინერალური წყლების სამკურნალო თვისებათა ცოდნა და.ა.შ.

შ. ნუცუბიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება ერთ საინტერესო ადგილს „ამირანიანში“ და აღნიშნა, რომ ეპოსის შექმნისას, ე.ი. ძვ.წ. II ათასწლეულში, საქართველოში უკვე არსებობდა აზრი სამყაროს ოთხი ძირითადი ელემენტის (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) შესახებ. მისი სიტყვით, „პოემა „ამირანში“... ოთხი სტიქიონია შეტანილი ქვეყნის საერთო სურათის აღნაგობაში: წყალი... აღიარებული იყო ყოველივე ცოცხალის და მზარდის საწყისად, ჰაერი კი იყო სფერო, სადაც ბრუნვაში მოდიოდნენ ზეციური ჯამ-ელემენტები, ცეცხლი - ეს იყო ერთი ძირითადი ზეციური სტიქიონი, რომელიც ამირანის მცდელობითა და მოღვაწეობით გამოტაცებულ იქნა ღმერთებისაგან, ხოლო დასასრულ, მიწა - რომელიც უპირისპირდება ზეცას. იგივე საწყისი, ე.ი.მიწა ამირანის მისწრაფების მიზანია, რადგან ამირანი თვითონ არის მიწასთან დაკავშირებული, როგორც განსახიერება ბუნებისა და ყოველივესი, რაც ცოცხლობს და იზრდება დედამიწაზე“.

ფიქრობენ, რომ ამირანის ეპოსში ფიქსირებული ეს იდეა საქართველოდან შევიდა ძველ საბერძნეთში და საფუძვლად დაედო ესქილეს ტრაგედიას „მიჯაჭვული პრომეთე“.

ძველი წელთაღრიცხვის III-II-I-ათასწლეულების კოლხურ-იბერიულ ტომებში მედიცინის განვითარების ცალკეული საკითხები და ეტაპები (ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალები, ამირანიანი, Cura Mediana, მითრიდატე პონტოელი და კოლხურ-იბერიული მედიცინა) შეისწავლა და ცალკე მონოგრაფიად გამოსცა ქართული მედიცინის ისტორიის დიდმა მკვლევარმა, პროფესორმა მიხეილ შენგელიამ (3).

უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამირანიანისა და ძველაღმოსავლური ეპოსის გილგამეშის ურთიერთობის საკითხებს.

გილგამეშიანი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლიტერატურული ქმნილებაა. იგი 50 საუკუნის წინათ შეიქმნა. ის შუმერული ეპოსია. თვით გოლგამეში უძველესი შუმერული ქალაქის ურუქის მეფეა, მაგრამ დღემდე მოღწეული გილგამეშიანის ტექსტი შუმერების კულტურული მემკვიდრეების - ბაბილონელებისა და ასურელების მიერ იქნა ჩაწერილი აქადურ (ბაბილონურ-ასურულ) ენაზე მეორე ათასწლეულის ბოლოს. როგორც ძირითადი იდეა, ასევე სიუჟეტიც ამირანიანში და გილგამეშიანში მსგავსია. „გილგამეშიანის“ ძირითადი იდეა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული საკითხია, სიკვდილთან ჭიდილი, ბოროტებასთან ბრძოლა, გმირთა დამეგობრება, ღმერთებთან შეპაექრება, ღმერთების განაჩენი, დასჯა...

ქართული „ამირანიანი“ ისეთივე უძველესი ეპოსია, როგორც გილგამეშიანი. მისი ჩასახვისა და გავრცელების არეალი დროსა და სივრცეში თან ხვდება გილგამეშიანის წარმოშობის ეპოქასა და ძველი ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიულ ზონებს. ემთხვევა ზოგიერთი სამედიცინო-ბიოლოგიური იდეებიც.

ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მონაცემებით მტკიცდება, რომ ქართველ ტომებსა და მესოპოტამური კულტურის მქონე ხალხებს ერთნაირი წარმოდგენა ჰქონდათ ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზებზე და მისი მკურნალობის ხერხებზე. ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზად, ისევე როგორც შუმერები და ხეთა-სუბარები, ქართველი ტომებიც ავ სულებს-დემონებს თვლიდნენ. ქართველი ტომების წარმოდგენით, ბევრი ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზად, მათ შორის ინფექციურ სნეულებათა გამომწვევად, წმიდა ბარბალეა მიჩნეული, რომელიც შუმერული ბაბარის ადეკვატურია. ქალღმერთი მუშთარი ქართველი ტომების წარმოდგენითაც, ისევე როგორც შუმერისა და ბაბილონის ხალხების რწმენით, ავადმყოფთა და ორსულ ქალთა მფარველია. ქართველ ტომებს და შუმერისა და ბაბილონის ხალხებს სრულიად ადეკვატური

წარმოდგენა ჰქონდათ აგრეთვე იმის შესახებ, რომ თავის ტკივილს თითქოს იწვევს დემონი-შაკიკი, სარძევე ჯირკვლის ანთებას-დემონი ალუ, ანუ ალი და სხვა.

ქართველი ტომების, ხეთა-სუბარებისა და შუმერის ხალხების სამედიცინო პრაქტიკასა და აზროვნებაში ბევრი ელემენტის ასეთი სრული დამთხვევა და იდენტურობა უკვე საკმაოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს (4).

საქართველოში ნაპოვნი ირმის რქა გველის გამოსახულებით განეკუთვნება XIV საუკუნეს ძვ.წ., რომელიც იხმარებოდა სისხლის ასაღებად და გამოსაშვებად, რაც ესოდენ გავრცელებული იყო საქართველოში უძველესი დროიდან თითქმის XVIII საუკუნემდე, როგორც სამკურნალო საშუალება მთელ რიგ დაავადებათა დროს.

მედეას ეპოქა



მედეა. ზურაბ ხაბაძის ნახატი

XIII-XII სს.ძვ.წ. საქართველოში მედეას დროინდელი კოლხიდა-იბერია საერთო კულტურის განვითარების მაღალ დონეზე იმყოფება და მაღალია მედიცინის დონეც. დადასტურებულია სამკურნალო მცენარეთა ბაღის არსებობა, რომელიც ჰეკატეს (მედეას დედისა) და თვით მედეას სახელთან არის დაკავშირებული. ყველა ის სამკურნალო მანიპულაცია, სამკურნალო მცენარეთა ცოდნა და გამოყენება, მათი ტექნოლოგიური პროცესები, შხამების დამზადება და მრავალი სხვა, რომელიც მედეას სახელთან არის დაკავშირებული, ცნობილია მსოფლიო მედიცინის ისტორიაში „კურა მედიანას" სახელით. თქმულების მიხედვით, აიეტი და პერსევსიორივე მზის შვილებია; ჰეკატე, ამ უკანასკნელის ქალიშვილი, მისთხოვდა აიეტს და მისგან გააჩინა მედეა და ცირცეა. ჰეკატე, ღამის ასული, შხამიანი ბალახების აღმომჩენი, ძლიერ დახელოვნებული იყო მომაკვდინებელი და სამკურნალო საშუალებების შეზავების საქმეში. მისგან ისწავლეს მისმა ქალიშვილებმა ეს ხელოვნება. მედეას გრძნეულს უწოდებდნენ. მან მოამზადა წამალი, რომლითაც ოქროს ვერძის მცველი გველეშაპი დააძინა და იაზონს დიდი საქმეები ჩაადენინა.

თქმულებათა მიხედვით, მედეამ ჰეკატესა და კირკესგან ისწავლა წამლების დამზადება და მკურნალობა, მაგრამ შემდგომში ისე დახელოვნდა, იმდენად სრულყო თავისი ცოდნა, რომ მასწავლებლებსაც გაუსწრო და დიდად განსწავლული მკურნალის სახელი მოიხვეჭა არა მარტო კოლხეთში, არამედ საბერძნეთშიც.

ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის მწერლებისა და ისტორიკოსების მიერ არის აღიარებული მედეა ისტორიულ პიროვნებად, ხოლო კოლხეთი და მთელი საქართველოს ტერიტორია-საუკეთესო სამკურნალო ბალახებით და საშუალებებით უმდიდრეს ქვეყნად.

საბერძნეთის ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (63 ძვ.წ.-24 ახ.წ.) ამტკიცებს, რომ გრძნეული მედეა ისტორიული პიროვნებაა. ჰორაციუსის (65-8 ძვ.წ.) მიხედვით, იბერია წამლეული ნივთიერებებით მდიდარი ქვეყანაა.

ფსევდო პლუტარქის ცნობით, მედეა აგროვებდა „პრომეთეს ბალახს", ფშვნიდა, ახმობდა და სამკურნალო საშუალებად ხმარობდა.

დიოდორე სიცილიელი (75 წ.) გადმოგვცემს, რომ ჰეკატემ შხამების შედგენაში ღრმა ცოდნა შეიძინა, მან თვითონ აღმოაჩინა ბაია (aconitum). იგი მომწამავ ნივთიერებებს მის ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელებს სხვადასხვა სანუკველ საჭმელებთან ერთად აძლევდა და ასე სცდიდა მათ თვისებებს.

აპოლონიოს როდოსელის თქმით, მედეა საოცრად იყო დახელოვნებული წამალთმკეთებლობაში. აღსანიშნავია, რომ მის სამკურნალწამლო არსენალში ძირითადად ნივთიერი საშუალებანი გვხვდება, მათ შორის მცენარეულიც, თუმცა მისი სამკურნალო ქმედება არ არის თავისუფალი მაგიური მედიცინის ელემენტებისაგან.

კლიმენტი ალექსანდრიელის მიხედვით „მედეამ, აიეტის ასულმა, კოლხმა, პირველმა გამოიგონა თმის შეღებვა". ადამიანის გაახალგაზრდავების მიზნით სისხლის გადასხმის თავისებურ წესსაც მედეას მიაწერენ. ამის შესახებ მოგვითხრობს ოვიდიუს ნაზონი. სხვა საქმეა, თუ როგორია დღევანდელი გაგებით სისხლის გადასხმის ამ მეთოდის შეფასება, მაგრამ თვით ფაქტი, რომ ესოდენ დიდ ცოდნას მედეას მიაწერენ, მეტად საგულისხმოა და ძველ სამყაროში კოლხური მედიცინის მაღალ ავტორიტეტზე მიუთითებს.

არ დარჩენილა იმ დროის თითქმის არცერთი უცხოელი ავტორი, რომელიც ცოტად თუ ბევრად არ შეხებოდა მედეას წამალთმკეთებლობას და სამკურნალო საქმეში დახელოვნებას. მაშინდელმა საქართველომ, მედეამ და მისმა დამ ცირცეამ, რომელიც არანაკლებ დახელოვნებული იყო წამალთმკეთებლობაში, ადგილი ჰპოვეს ჯერ კიდევ ჰომეროსის „ოდისეაში"(5).

ჰეკატეს ბაღის მცენარეები ამჟამად ცნობილი „ორფიკული არგონავტიკითა“ და ბერძნულ-რომაული წყაროებით 58-ია, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი კოლხურ-იბერიული მცენარეებია.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში ოფიციალურ თუ ხალხურ მედიცინაში დღესაც გამოიყენება სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ჰეკატეს ბაღის მცენარეთა სიაში შედის. ეს მცენარეებია: კამა, ასფოთოლა, შმაგა, იელი, ალისარჩული, შინდი, ყოჩივარდა, უცუნა, მარჯნისძირა, დრაცენა, ზაფრანა, ტილჭირი, ვენერას თმა, მთის ჩადუნა, ყაყაჩურა, სურო, ხარისძირა, ღავი, დაფნა, ლავანდი, ლიკოპუსი, ბალბა, მანდრაგორი, სამკურნალო მატრიკარია, პიტნა, თავშავა, იორდასალამი, ყაყაჩო, ძირთეთრა, ჭადარი, სალბი, ძაღლყურძენა, ბეგქონდარა, კატაბალახა, ცირცველა და სხვ. ასეთი მონაცემები ერთხელ კიდევ გვაფიქრებინებს, რომ თქმულება ჰეკატეს ბაღზე არ უნდა იყოს მოკლებული რეალურ ისტორიულ სინამდვილეს. ლეგენდის მიხედვით ჰეკატეს ბაღი გაშენებული იყო მდინარე ფაზისის ქვემო წელში, გარს შემოვლებული ჰქონდა ცხრა საჟენის სიმაღლის ღობე. აქ მოშენებული ყოფილა რამდენიმე ასეული მცენარე, თვით ჰეკატე, ხოლო შემდგომ მისი შვილები - მედეა და ცირცეა მაღალ დონეზე ფლობდნენ სხვადასხვა (მათ შორის შხამიანი) წამლების მომზადების ხელოვნებას და სასწაულებს ახდენდნენ.

მედეას ეპოქა 150-ზე მეტი წლით უსწრებს მედიცინის ღმერთად აღიარებული ცნობილი მკურნალის ასკლეპიოსის (ბერძნულად), იგივე ესკულაპის (რომაულად) ეპოქას. კურტ შპრენგელის კონცეფციას ნათელი მოჰფინა ნორვეგიელი მოგზაურის ტიმ სევერინის მოგზაურობამ, რომელიც განხორციელდა ეგეოსის ზღვიდან ძველი კოლხეთის (ფაზისის) მდ. რიონის დელტამდე 1984 წლის 21 ივლისს. კოლხეთის უძველეს ქალაქ ვანში გემ „არგოს“ გემბანიდან ტიმ სევერინმა განაცხადა: „კაცობრიობას აწვალებდა ფიქრი, მითი არგონავტების შესახებ ზღაპარი იყო თუ სინამდვილე და დღეს უფლებამოსილი ვარ განვაცხადო, რომ ჩემი მოგზაურობა

განხორციელდა რა წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, მითი სინამდვილეს შეესაბამება“.

გამოჩენილი გერმანელი ექიმი, ბუნებისმეტყველი, მედიცინის ისტორიკოსი კურტ შპრენგელი (1766-1833) თავისი განთქმული ხუთტომიანი შრომის: „გამოყენებითი სამკურნალო ხელოვნების ცდის ისტორიის“ პირველი ტომის პირველივე თავს „უძველესი კოლხური მედიცინით“ იწყებს. მან მსოფლიოს ცივილიზებულ ერებს შორის ჯეროვანი ადგილი დაუთმო უძველეს კოლხურ-იბერიულ მედიცინას. ეგვიპტის, ჩინეთის, ინდოეთის, არაბეთის, რომის, საბერძნეთის და სხვა ცივილიზებულ ერებთან ერთად ქართულ მედიცინას სრულიად დამსახურებულად ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მიაკუთვნა.

„პონტო განთქმული იყო მთელ ანტიკურ სამყაროში თავისი შხამიანი და სამკურნალო ბალახების სიუხვით“- წერს კურტ შპრენგელი. მან აჩვენა, რომ ძვ.წ. II ათასწლეულში კოლხეთის დაბლობზე 40-მდე სამკურნალო მცენარის კულტივირება ხდებოდა. ეს კი თავისთავად ძველი კოლხური მედიცინის მაღალ დონეზე მეტყველებს.

ძველი ბერძნული და რომაული წყაროები ადასტურებენ იმასაც, რომ კოლხეთში მოპოვებული სამკურნალო მცენარეები და აქ დამზადებული სამკურნალო ნივთიერებანი ცნობილი ყოფილა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. სამკურნალო მცენარეების ფართოდ გამოყენებასა და მასიურ დამზადებაზე მეტყველებს აგრეთვე გათხრების შედეგად მოპოვებული სხვადასხვა სახისა და ზომის შუშისა და თიხის ჭურჭლები, რომლებშიც ინახებოდა სამკურნალო ბალახები და წამლები.

X-VIII სს. ძვ.წ. პალეოპათოლოგიური მასალების შესწავლით დადგენილია, რომ საქართველოში უკვე იცოდნენ მკურნალობის მიზნით თავის ქალას ტრეპანაციის წარმოება, ძვლების რეპოზიცია, იმობილიზაციითა და კიდურების დაჭიმვით, მოტეხილი ძვლების თავისუფალი ფრაგმენტების ამოღებით და სხვა. საქართველოს მთიან რაიონებში, განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთში, უკანასკნელ დრომდე შემორჩა თავის ქალას ტრეპანაცია უძველესი

წესით. ხევსურეთში მგელიკა ლიქოკელი, გუგუა ჭინჭარაული, ალეკო ოჩიაური და სხვები მე-20 საუკუნის მეორე ნახევრამდე წარმატებით აკეთებდნენ თავის ქალას ტრეპანაციას, ეწეოდნენ მოტეხილი ძვლებისა და ჭრილობების მკურნალობას და სხვ.

ჯერ კიდევ პირველ ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, სამკურნალო ბალახებიდან და მცენარეებიდან შხამების, მალამოებისა და წამლების დამზადება ცნობილი ყოფილა არა მარტო კოლხეთში, არამედ იბერიაშიც. უფროსი პლინიუსის ცნობით, „კამის საუკეთესო წვენის გამოხდა იბერიაშიც იციან“.

მითრიდატე და წამალთმცოდნეობა

„მითრიდატუმი“ ანტიკური მსოფლიოს სამკურნალო საშუალებათა შორის ყველაზე პოპულარული იყო და იგი თითქმის XIX ს. ბოლომდე გავრცელებული იყო ევროპასა და აღმოსავლეთის ყველა კულტურულ ქვეყანაში და მიჩნეული იყო უნივერსალურ საშუალებად მოწამლვებისა და შხამების საწინააღმდეგოდ და მთელ რიგ დაავადებათა სამკურნალოდ. იგი გერმანულ ფარმაკოპეაში 1872 წლამდე, ხოლო ფრანგულში კი-1884 წლამდე შედიოდა.

„მითრიდატუმის“ შემქმნელია პონტოს სამეფოს სახელოვანი მეფე, მითრიდატე VI - ევპატორი, მითრიდატე პონტოელი. პონტო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო III ს-ში ჩამოყალიბდა ქრისტემდე. ამ სამეფოში ქართველური ტომები ცხოვრობდნენ.

მითრიდატე V მოკვლის შემდეგ მისი მეუღლე ლაოდიკე (სელევკიდების შთამომავალი იგდებს ხელში ძალაუფლებას. ამ დროს მითრიდატე VI-ევპატორი 11 წლის იყო. ლაოდიკე ცდილობს მის მოწამლვას, ამიტომ იგი საჭმელთან ერთად ყოველღიურად ღებულობდა საწამლავის საწინააღმდეგო საშუალებას, რამაც საბოლოოდ გამოუმუშავა მას იმუნიტეტი. იგი 20 წლისა პონტოს მეფე გახდა.

მითრიდატე და მისი დროინდელი პონტოს სამეფო ცნობილია განსაკუთრებით შხამებისა და საწამლავ ნივთიერებათა შესწავლით და შხამსაწინააღმდეგო საშუალებების, ანტიდოტების შექმნითა და გამოყენებით, რაც თავის მხრივ მსოფლიო მედიცინის ისტორიაში ტოქსიკოლოგიის ისტორიის ერთ-ერთ უპირველეს წყაროდ უნდა მივიჩნიოთ.

პლინიუსი ამბობს: „მითრიდატემ თვითონ დამოუკიდებლად შეადგინა გეგმა, რომლის მიხედვით მას უნდა მიეღო ყოველდღიურად შხამი (მას შემდეგ, რაც მიიღო წამალი), რომ გამოემუშავებინა თავის ორგანიზმში იმუნიტეტი,ორგანიზმის უბრალო მიჩვევის გზით. მან პირველმა აღმოაჩინა სხვა ანტიდოტები, რომელთაგან ერთ-ერთს ეწოდა მისი სახელი. მან მოაწოდა აგრეთვე ანტიდოტებში შეერიათ პონტოს იხვის სისხლი, რადგან ისინი იკვებებოდნენ შხამიანი ნივთიერებებით“.

შხამებისა და ანტიშხამების გარდა მითრიდატემ შექმნა მთელი რიგი სამკურნალქამლო საშუალებები სხვადასხვა თერაპიული დაავადებების სამკურნალოდ.

გამარჯვებული პომპეუსი ძვ.წ.62 წელს დაბრუნდა პონტოდან რომში, შესაბამისად მითრიდატეს წიგნების თარგმნაც უნდა მომხდარიყო მას შემდეგ. რომელ ენაზე წერდა მითრიდატე, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ პლინიუსის ცნობით ის 25 ენას ფლობდა.


„მითრიდატუმში“ 36 დან 54 კომპონენტამდე შედიოდა.

„მითრიდატუმი“ საკმაოდ გავრცელებული ჩანს შუა საუკუნეების ქართულ სამკურნალო ძეგლებშიც: „წიგნი სააქიმოში“ რამდენჯერმე გამოყენებულია „მითრიდატოსის მაჯუნი“, „მითრიდატოსის თერიაყი“ სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობაში. ხოჯა-ყოფილს იგი გამოყენებული აქვს ეპილეფსიის, კუჭის დაავადებების, გველის ნაკბენისა და ილეუსის დროს.

კურტ შპრენგელი თავისი მეცნიერული ინტუიციით თუ არსებულ წყაროთა შეჯერებით იმ დასკვნამდე მიდის, რომ პონტოს სამეფოს მედიცინა, ძველი კოლხურ-იბერიული მედიცინის უშუალო ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს.

აჭარის ტერიტორიაზე ნაპოვნია თიხის, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, მინის, ფოლადის ნაწარმი, მათ შორის ჰიგიენური და კოსმეტიკური დანიშნულების ჭურჭლები. საყურადებოა, რომ ნივთების ერთი ნაწილი შემკულია გველის რელიეფური გამოსახულებით(6).

აჭარა ერთ დროს კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და ამგვარად თავისი წვლილი შეჰქონდა მსოფლიოში სახელგანთქმული კოლხური მედიცინის განვითარების ისტორიაში. ამაზე მეტყველებენ არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ანტიკური ხანის ნივთები, რომლებიც უკავშირდება მკურნალობის იმდროინდელ ხელოვნებას.



სამკურნალო ნივთიერებათა შესანახი ჭურჭელი, გველის გამოსახულებით (ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისი)

თიხის ჭურჭლები, რომლებზედაც ერთი ან რამდენიმე გველია გამოხატული, მიუთითებს იმას, რომ ეს ჭურჭლები სამკურნალო ნივთიერებათა შესანახად იხმარებოდა და ზედ გველი, როგორც ამ ნივთიერებათა დამცველი დარაჯი, ისე იყო გამოხატული.

საინტერესოა,რომ ქართულ ფოლკლორში, ლეგენდებში, ზღაპრებში სამკურნალო წყლების მფლობელისა და დარაჯის როლში ყოველთვის გველი და გველეშაპი გამოდის.

ქართულ ხალხურ მკურნალობაში გველის ორგანიზმის შემადგენელი ნაწილების სამკურნალოდ გამოყენება ფართოდ იყო გავრცელებული და დიდ ხანს შემონახული. გველის ხორცი, ქონი და კანი შედის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ბევრ იმ სამკურნალო საშუალებებში, რომლებიც აღწერილია ქართულ კარაბადინებში: „უსწორო კარაბადინი“, „წიგნი სააქიმოი“, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი - კარაბადინი“ და სხვ.

დროთა განმავლობაში შეიქმნა გველის კულტი, როგორც ყოველგვარი სიუხვის, დოვლათის, სიკეთის და ჯანმრთელობის დამცველისა. ადამიანის წარმოდგენაში *გველის ჯანმრთელობის ღვთაებად ჩასახვასა და განმტკიცებას* საფუძვლად ისიც დაედო, რომ მანამდე გველის შხამი, ხორცი და გველის პერანგიც კი სამკურნალოდ იხმარებოდა.

პირველყოფილი თემური წყობილების დროს ქართველ ტომებს თავიანთ ტოტემად აღიარებული ჰყავდათ ზოგიერთი ცხოველი (მაგალითად, გველი), ზოგიერთი ხე (მაგალითად, მუხა, სვანეთშინაძვი) და სხვ. ამიტომ ჯანმრთელობის დაცვას და დარღვეული ჯანმრთელობის აღდგენას გამოსთხოვდნენ საკულტო ხეებს, ცხოველებს; მათ სჯეროდათ, რომ ჯანმრთელობის დამცველი თვისება აქვს რკინას, კერძოდ რკინის მჭრელ იარაღებს და სხვ.

ქართველი ხალხის აზროვნებაში გველის დაკავშირება მკურნალობისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმესთან შემონახულია ქართულ ფოლკლორულ მასალაშიც. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ხალხური თქმულება „ხოგაის მინდია“. ამ თქმულების მიხედვით, რომელიც რამდენიმე ვარიანტითაა შემონახული, მინდია ქაჯეთს ტყვედ ჩავარდა. ქაჯებმა განიზრახეს მისი მოწამლვა, რისთვისაც გველი მოუხარშეს და აჭამეს. გველის ხორცმა მინდია მოწამლვის ნაცვლად მისნად, ბრძენად აქცია. ამიერიდან მას ყველა მცენარის და მხეცის ენა ესმოდა. ყველა ყვავილი და მცენარე მინდიას თავის სამსახურს სთავაზობდა და მისძახოდა: მე ამა და ამ სნეულების წამალი ვარო. მინდია მისნად, სწორუპოვარ მკურნალად იქცა. მაგრამ ასეთი მისნობა მისი პირადი ცხოვრების ტრაგედიად იქცა, რადგან ბალახთა, მცენარეთა და მხეცთა სიბრალული მის ფიზიკურ არსებობას უსაზღვროდ ზღუდავდა.

ყველაზე ძველი თიხის ჭურჭელი, რომელიც წამლების დასამზადებლად გამოიყენებოდა და ფიჭვნარის „ნამჭედურის“ ნამოსახლარზე აღმოაჩინეს მიეკუთვნება ძვ.წ. XVI-XV სს. აქვე, მახლობლად, სამაროვანზე აღმოჩენილია ძვ.წ. V ს ფერადი მინის სანელსაცხებლები, წამლის მოსამზადებელი თიხის ჭურჭელი და ბერ-

ძნული თიხის სანელსაცხებლები (ლეკითოსები). ძვ.წ. V-III საუკუნეებს მიეკუთვნება ფიჭვნარის სამაროვანზევე აღმოჩენილი თიხის საწოვარა (გუტუსი), რომლითაც ბავშვებსა და ავადმყოფებს თხევად საკვებს და წამლებს ასმევდნენ (7).



ძვ. წ. V საუკუნის ფერადი მინის სანელსაცხებლები,
აღმოჩენილია ფიჭვნარის ნამოსახლარზე

მდიდარი არქეოლოგიური მასალები აღმოჩნდა ციხისძირის მიდამოებშიც. აქ დიდ ინტერესს იწვევს ბრინჯაოს პინცეტი, რომელიც ძვ.წ. IV-III სს მიეკუთვნება. როგორც ჩანს, ეს არის ერთ-ერთი უნიკალური და უძველესი ქირურგიული იარაღი, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა (8). იგი უეჭველია, გამოიყენებოდა ტრავმული შემთხვევების (მოტეხილობები, ჭრილობები, სისხლის დენა და სხვ.) დროს და მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა „პატრიარქალური გვარის განვითარებასთან ერთად მტკიცდებოდა ტომი. სიმდიდრის მოხვეჭის, საძოვრების დაუფლების სურვილი და სხვა სასიცოცხლო მოთხოვნილებანი იწვევდა ბრძოლებსა და შეტაკებებს ტომებს შორის, რაც უდავოა, ზრდიდა ტრავმატიზმის შემთხვევებს“ (9).



წამლის მოსამზადებელი თიხის ჭურჭელი და ბერძნული თიხის სანელსაცხებლები (ლეკითოსები)

ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნებზე იპოვეს მაგიური დანიშნულების ბრინჯაოს ზარაკები, მინის თვალედი მძივები, რომლებიც ძვ.წ. V-III ს მიეკუთვნება, ხოლო მახვილაურის ნამოსახლარებთან აღმოჩნდა საკულტო დანიშნულების ქვის ამულეტები,

რომლებიც უფრო ადრეული-ძვ.წ. VI ათასწლეულისა უნდა იყოს (10).

მკურნალობის მაგიური მეთოდები, შელოცვები იმ პერიოდისათვის ძალზე გავრცელებული მოვლენა იყო. ადამიანისათვის ბევრი რამ აუხსნელი იყო, რაც ცრურწმენებსაც ბადებდა. სამკურნალო შელოცვა ხალხის ხსოვნაში დარჩენილი, მეცნიერული თვალსაზრისით ძალზე საინტერესო ჟანრია. მაგიური მკურნალობის სათავეები, როგორც ჩანს, შელოცვებთან იყო დაკავშირებული. თუ გავითვალისწინებთ მკურნალობის პროცესში სიტყვის, შთაგონების უდიდეს ზეგავლენას, გასაგები გახდება, რომ შელოცვაც გარკვეულწილად დადებითად მოქმედებდა ავადმყოფების განწყობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ აჭარაში გავრცელებულ შელოცვებში მოცემულია ხალხური მკურნალობის უძველესი ხერხი, ჩამოთვლილია სამკურნალო საშუალებები, რითაც ეს ტექსტი სცილდება მაგიურ-რელიგიური ფოლკლორის ფარგლებს და ხალხური მკურნალობის მნიშვნელობას იძენს. ქართულ ხალხურ სამედიცინო ტექსტებში ჩამოთვლილი საშუალებები ხშირად დღესაც გამოიყენება საყმაწვილოს სამკურნალოდ. ასე მაგალითად, სელის ზეთი, დიკა პური, ლილა ქარვანაი და ძაღლყურძენა საყმაწვილოს სამკურნალოდ გამოიყენება, ხოლო ღოლო და ლენცოფას ძირი, აგრეთვე კარაქზე დამზადებული გოგირდის მალამო-მუნის სამკურნალოდ (12).

ხალხმა სამკურნალო შელოცვებში უძველესი შინაარსი და სიტყვაწყობა შემოინახა. აჭარისთვის, განსაკუთრებით მისი მთის ზოლისათვის, დამახასიათებელი იყო გარკვეული კარჩაკეტილობა. საყურადღებოა, რომ ისლამის გავრცელების მიუხედავად, სამკურნალო შელოცვებში სრულებით არ გვხვდება ბარბარიზმები. სამაგიეროდ ხშირად ვხვდებით ქრისტიანული აღმსარებლობისათვის დამახასიათებელ გამოთქმებს (13).

მკითხველისთვის საინტერესო იქნება გავაცნოთ რამდენიმე ეპიზოდი, რომლებიც გათამაშდა კოლხეთის სანაპიროზე ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე და დაკავშირებულია

ცნობილი ბერძენი ისტორიკოსისა და მხედართმთავრის ქსენოფონტეს (434-359 ძვ.წ.) და რომაელი სარდლის პომპეუს გნეის (106-48 ძვ.წ.) შავიზღვისპირეთში ლაშქრობებთან და რომელთაც ფარმაკოგნოზიისა და ფარმაცევტული კუთხით გარკვეული ინტერესი გააჩნიათ. ამის შესახებ დაწვრილებით გვიყვება პროფესორი რამაზ სურმანიძე (14): „იქ (კოლხეთში, რ. ს.) არა იყო რა გასაოცარი, გარდა მრავალი სკისა. მეომართაგან ყველამ, ვინც ფიჭი შეჭამა, დაკარგა გონება, აღებინა, კუჭი აეშალა და არცერთ მათგანს სწორად დგომა არ შეეძლო. ისინი ვინც ცოტა ჭამა, მაგრად დამთვრალებს ჰგვანდნენ, ხოლო ვინც მეტი - შეშლილებს ან მომაკვდავებს. უმრავლესობა ეყარა ისე, როგორც ომში დამარცხების შემდეგ და ღრმა სასოწარკვეთილებას მისცემოდა...“ (15).

როგორც ვხედავთ, ქსენოფონტე თავის ჯარში თაფლით მოწამლვის მასობრივ შემთხვევას ჩვეულებრივ რიგით მოწამლვად თვლის, კოლხეთში მისი ჯარისკაცები გადაეყარნენ მრავალ სკას, ჭამეს ფიჭები და მოიწამლენო.

ანალოგიურ ეპიზოდს ეხება სტრაბონიც (ძვ.წ.63 -ახ.წ.20). ის ახასიათებს ადგილობრივ მოსახლეობას, ჰეპტაკომეტებს და მიაჩნია, რომ თაფლით სავსე ჭურჭლები მათ შეგნებულად დადგეს გზისპირებზე, სადაც პომპეუსის ჯარს უნდა გაევლო: „სკიდისეს მწვერვალები უჭირავთ ჰეპტაკომეტებს... ცხოვრობენ კოშკებში, ამიტომაა, რომ ძველები მათ მოსინიკებს უწოდებენ, რადგანაც კოშკებს მოსინები ჰქვიათ. იკვებებიან ნადირის ხორცით და ხილით, ჩამოდიან მაღლობებიდან და თავს ესხმიან მოგზაურებს. ჰეპტაკომეტებმა პომპეუსის სამი რაზმი ამოწყვიტეს, რომლებიც გადიოდნენ ამ მთიანეთში. მათ გზებში კრატერებით დადგეს შერეული გამაცოფებელი თაფლი, რომელიც მიღებულია ხის ტოტებისაგან... რომაელები დაგიჟდნენ, მაშინ თავს დაესხნენ მათ და იოლად ამოწყვიტეს ხალხი. ზოგიერთნი ამ ბარბაროსთაგან იწოდებოდნენ ბიძერებად“ (16).

როგორც ჩანს, ქსენოფონტედან რამდენიმე საუკუნის მანძილზე ჰეპტაკომეტებმა თუ სვანებმა და მეგრელ-ჭანებმა კარგად შეისწავ-

ლეს მომწამვლელი თაფლის თვისებები და ის მტრის საწინააღმდეგო იარაღად გამოიყენეს, რასაც დიდი წარმატება მოჰყვა ისეთი მრისხანე თავდამსხმელთან შეტაკებისას, როგორიც იყო პომპეუსის არმია.

გერმანელი ენტომოლოგი ჰერმან აუგუსტ ჰაგენი (1817-1893) ამ მოვლენებს სუფთა ფარმაკოგნოზიური კუთხით მიუდგა და აღნიშნა, რომ თაფლს, რომელიც ქსენოფონტეს და პომპეუსის ჯარისკაცებმა მიიღეს, ფუტკარი ბათუმის მახლობლად კოლხური როდოდენდრონისაგან და Azalea pontika-საგან ამზადებსო. მეცნიერი აზუსტებს აგრეთვე ჯარისკაცთა რაოდენობას და ამბობს პომპეუსის ჯარში 1500 კაცი დაიღუპაო.

ჰაგენის დაკვირვება შხამიან თაფლსა და მცენარეებზე თავისთავად ძალზე საინტერესოა, მაგრამ მისი მოსაზრება, რომ ქსენოფონტეს თუ პომპეუსის ჯარი ბათუმის მახლობლად მოიწამლაო ისტორიულ მნიშვნელობას იძენს. თუ ამ მოვლენების გეოგრაფიაზე მეცნიერს მართლაც რაიმე წყარო გააჩნდა, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ ბათუმი, როგორც დასახლებული პუნქტი, არსებულა ჩვენს ერამდე მე-4-2 საუკუნეებში (14).

რომაელი ავტორი კლავდიუსი (395 წ. ქრ.შ-მდე) კავკასიისა და მისი ბუნებრივი რესურსების შესახებ წერდა: „მე კარგად ვიცნობ სხვადასხვა ხეების წვენებსა და ყველა იმ მომაკვდინებელი მცენარეების მოქმედებას, რომლებიც იზრდებიან შხამიანი მცენარეებით უხვ კავკასიაში“.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფსევდოპლუტარქი განსაკუთრებული მცენარის „ხვალოს“ შესახებ, რომელიც იზრდება ფაზისში, რომ „მას აგროვებენ გაზაფხულის დასაწყისში იმ დროს, როდესაც დღესასწაულობენ ჰეკატეს მისტერიას“. ხვალო სამკურნალო მცენარეა და მისი მკურნალობით სახელგანთქმული ჰეკატეს მისტერიაში მოხსენიება თვით ამ დღესასწაულს მკურნალობისა და ჯანმრთელობის დაცვის ელფერს აძლევს, იგივე ავტორი სხვა ადგილას „ხვალოს“ „ვაზსაც უწოდებს, რაც ამ მცენარეს მეტ საკრალურობას ანიჭებს (17).

ქრისტეშობამდე I საუკუნის სახელგანთქმული ექიმი დიოსკურიდი თავის „Materia Medica"-ში ასეთ პასაჟს გვთავაზობს, როდესაც სამკურნალო მცენარეების გავრცელების არეალებს ეხება: „ერთია ძლიერი სასიამოვნო სუნის, რომელიც კოლხიდაში იზრდება, მეორე კი - რომელსაც ზოგიერთნი გარეულ ნიორს უწოდებენ, ჰქვია „კოლხიკი".

პლინიუსი (29-79 ქრ.შ.-დან) „Historia Naturalis"-ში წერს, რომ „ყველაზე კარგი ფესვი ზამბახისა იზრდება კოლხეთში, მდინარე ფაზისთან" აგრეთვე: „კამას სახელი გაუთქვა გველმა, რადგან სჭამს კამას, აღიდგენს მხედველობის სიმახვილეს და ადვილად იძრობს კანს. აქედან დაასკვნეს, რომ მისი წვენით იკურნება მხედველობის სისუსტე. თვითონ წვენს აშრობენ მზეზე, მისგან თაფლის დამატებით აკეთებენ მალამოს. ყველაზე კარგ წვენს ღებულობენ იბერიაში"...

ასევე, ბერძენი ავტორები აღწერენ „პრომეთეს ბალახს" (ქართულ ფოლკლორში - „ამირანბალახა"), რომელიც თითქოსდა პრომეთეს დანაწვეთი სისხლიდან ამოვიდა. ის მხოლოდ კავკასიაში ხარობს და საუკეთესო სამკურნალო თვისებების მატარებელია.

ჰიპოკრატეს, სამედიცინო აზროვნების ამ ტიტანსა და საყოველთაოდ აღიარებულ მამამთავარს, იმთავითვე იცნობდა საქართველო. ამიტომაც არის, რომ იგი დღემდე შემორჩენილ ქართულ სამედიცინო ძეგლებში ყველგან არის ნახსენები, ციტირებული. მაგრამ, სამწუხაროდ ჰიპოკრატეს არც ერთი ნაწარმოები მთლიანად ჯერ ქართულად არ ყოფილა თარგმნილი და გამოცემული (18).

პროფესორმა თ. ყაუხჩიშვილმა გამოსცა ჰიპოკრატეს წიგნის „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ (19) მეორე ნაწილის ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით. ინტერესი და არჩევანი ჰიპოკრატეს ამ ნაწარმოებზე განაპირობა იმან, რომ მასში შემონახულია ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ. იგი აღწერს ამ ქვეყანას, მის მდიდარ ფლორასა და ფაუნას. ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიონომიას, აქ გავრცელებულ დაავადებებს. მისი სტუმრობა კოლხეთში შემთხვევითი არ უნდა იყოს. ის მიზნობრივი

ჩანს, - ადგილობრივი რესურსებისა და სამკურნალო ტრადიციების შესწავლის მიზნით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. სემიუელ ნ. კრამერი, ისტორია იწყება შუმერიდან, თბ. 1988.
2. მიხ. შენგელია, მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, თბილისი, 1961, გვ. 26.
3. მიხ. შენგელია, უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა, თბილისი, 1979.
4. ვლ. ჟღენტი, პ. გელბახიანი, ირ. ტატიშვილი, მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები, თბილისი, 1971, გვ. 68.
5. მ. გ. საკაშვილი, ა. პ. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტომი III, წიგნი 1, თბილისი, 1956, გვ. 33.
6. რ. სურმანიძე, მედიცინა უძველესი დროიდან ახ. წ. IV ს-მდე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი I , ბათუმი, 2007, გვ. 361.
7. იქვე, გვ. 362.
8. იქვე, გვ. 362.
9. მ. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი,1980, გვ. 25.
10. რ. სურმანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 362.
11. იქვე, გვ. 364.
12. თ. შიოშვილი, ქართული ხალხური შელოცვები, ბათუმი, 1994.
13. იქვე, გვ. 39.
14. რ. სურმანიძე, ეტიუდები ფარმაციიდ ისტორიიდან, გაზეთი „ფარმაკონი“ (53), აგვისტო, 2008 წ.
15. თ. მიქელაძე, ქსენოფონტეს ანაბასისი, თბილისი, 1967, გვ. 89-134.

16. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 204, 251.
17. რ. შენგელია, მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია (წიგნი I: ძველი აღმოსავლეთი), თბილისი, 2009, გვ.66.
18. მ. შენგელია, ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბილისი, 1981, გვ. 81.

თავი II.

წამალთმცოდნეობა და ფარმაცია აჭარაში I ს. ახ.წ.-1878 წლამდე

ახ.წ. I ათასწლეული (ადრეფეოდალური საქართველო)

სრულიად საქართველოს, მისი ერთ-ერთი ძირძველი კუთხის აჭარის ფარმაციის ისტორია ორგანულად არის დაკავშირებული ერის წარსულთან.

აჭარა მდიდარია სამკურნალო მცენარეული რესურსებითა და მინერალური წყლებით. აქ ბუნებრივი სამკურნალო საშუალებების ძიებისა და გადამუშავების უმარტივეს ხერხებს ჯერ კიდევ უძველეს დროში იყენებდნენ. შუახევის აბანოდ ცნობილ სამკურნალო მინერალური წყაროს კაპტაჟის დროს აღმოჩნდა უძველესი, ქვაში ნაკვეთი აბაზანის ნაშთი, რომელიც სპეციალისტთა აზრით, ადრეულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება (12).

ახ.წ. I ათასწლეულის სამედიცინო ძეგლები არ შემონახულა. სხვა წერილობითი ძეგლების მიხედვით ქრისტიანულ ტაძრებში სამედიცინო საქმიანობას ეწეოდნენ არა მხოლოდ რელიგიურ-მაგიური რიტუალებით, აგრეთვე რაციონალური, საკმაოდ ფართო ასორტიმენტის სამკურნალო საშუალებებით.

მკლევარები დიდ შეფასებას აძლევენ ციხისძირის სამაროვანში აღმოჩენილ მინის კოლბს, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მინის ჭურჭლებს შორის ეს ერთ-ერთი უძველესი ექსპონატია, რომელიც შესაძლოა სამკურნალო საქმეშიც გამოიყენებოდა (1).

ადრეფეოდალური ხანა აჭარაში და მთელ დასავლეთ საქართველოში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა, როგორიცაა ახალი რელიგიური იდეოლოგიის-ქრისტიანობის ქადაგება და

გავრცელება. ქართული საეკლესიო წყაროებით, აჭარაში ქრისტიანობა ვრცელდება მის პირველ მოციქულთა (ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, მატათა) მიერ.

ქართლის ცხოვრების ჩანართების თანახმად, ანდრია პირველწოდებული სვიმონ კანანელთან ერთად ჯერ ტრაპიზონის მხარეს ეწვია, შემდეგ „ქვეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდების“. ქრისტეს პირველ მოციქულთა მოღვაწეობამ ნიადაგი მოამზადა აჭარაში ქრისტიანობის შემდგომი გავრცელება-დამკვიდრებისა და მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისათვის (4).

ადრეფეოდალურ საქართველოში (V-X ს.ს.) ვითარდება მედიცინა. სამკურნალო საქმიანობას ეწევიან, ქართული სამონასტრო ტაძრები: ქართული ლავრა საბაწმინდა, ხანძთის სავანე, ვარძიისა და ვანისთავის მონასტრები და სხვა (2).

ნინო კაბადოკიელს, იაკობ ცურტაველს, შუშანიკს, პეტრე იბერს და სხვებს სამედიცინო განათლება ჰქონდათ. პეტრე ივერს პალესტინაში თავის მონასტერთან საავადმყოფო ჰქონდა, ხოლო მისმა დედამ დედოფალმა გურანდუხტმა ქართლში სამოქალაქო საავადმყოფო გახსნა (მიხეილ შენგელია).

ამ პერიოდის ისტორიის სურათს იძლევა მხოლოდ ქართული აგიოგრაფიული ძეგლები (პეტრე იბერიელისა და წმინდა ნინოს ცხოვრება, შუშანიკის წამება, გრიგოლ ხანძთელისა და ილარიონ ქართველის ცხოვრება და სხვ.). ზემოთქმული ნათელყოფს მხატვრული და აგიოგრაფიული ძეგლების მნიშვნელობას. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ხალხური მედიცინის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესწავლა. მასში გადმონაშთის სახით შემორჩენილია უძველესი წარმოდგენები ადამიანის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიური პროცესების შესახებ, უძველესი სამედიცინო ლექსიკა, ტერმინები, რომლებიც შუქს ჰფენენ იმდროინდელი მედიცინისა და წამალთმცოდნეობის განვითარების დონეს.

სამკურნალო და სამედიცინო ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ იმ დროის გამოჩენილი მოღვაწეები: მარტვილი საბაწმინ-

დელი (VIIს.), იოანე ზედაზნელი, აბიბო ნეკრესელი, შიო მღვიმელი (VI ს.), ილარიონ ქართველი (IXს.), გრიგოლ და ეპიფანე ხანძთელები (VIII-IXს.) და სხვები (3).

შუა საუკუნეებში სამხრეთი საქართველო, მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი ზემო ქართლი, რომელშიც აჭარაც შედიოდა, განათლებისა და კულტურის მხრივ დაწინაურებული მხარე იყო. ხანძთის, ტბეთის, ხახულის, ოშკის, ზარზმის, პეტრას, სხალთის, ნინოწმინდის, ბანას, იშხანის, პარხალის, ოთხთა ეკლესიის, დიდაჭარის, თხილვანის, არტანუჯის, არტაანის და სხვა ეკლესიებში, ციხე-კოშკებსა თუ სამონასტრო ცენტრებში სისხლსავსე კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება დუღდა. ხანძთაში, იშხანსა და შატბერდში თარგმნეს ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატი გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმე“, რომელსაც დიდი ადგილი უკავია ქართული სამედიცინო-ბიოლოგიური აზრივნების ისტორიაში. ცხადია, რომ მაღალი კულტურის პირობებში წამალთმცოდნეობაც და მედიცინაც კარგად იქნებოდა განვითარებული.

ერთი დიდი სამსახური კიდევ მიაგო ამ მხარემ საქართველოსა: „ მე-10 საუკუნემდე მთელი საქართველო დაგლეჯილი და დანაწილებული იყო პატარ-პატარა სამთავროებად და სამეფოებად. მაშინდელმა მესხეთის მფლობელმა დავით კურაპალატმა იშვილა ბაგრატ III, მეფე ქართლისა, და მთელი საქართველოს მეფედ დაადგინა. ამ დროიდან იწყება ძველი საქართველოს ერთობა, გაძლიერება და აყვავება“ (იაკობ გოგებაშვილი).

ტაო-კლარჯეთის დიდი განმანათლებლის გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით შეიქმნა პირობები ლიტერატორთა, მთარგმნელთა და ფილოსოფოსთა ოფიციალურ დაწესებულებებში მომზადებისათვის. ვინაიდან ტაო-კლარჯეთში ეკლესია-მონასტრები დიდად განვითარდა და განივრცო, ბუნებრივია, განვითარდებოდა საეკლესიო-სამონასტრო მედიცინა და წამალთმცოდნეობაც. დიალექტიკური კავშირი მედიცინის განვითარებისა საერთო ეროვნული განვითარების დონესთან კამათს არ იწვევს. „უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება მე-9-10 საუკუნიდან, შექმნილია ამ მონასტრებში“ (13).



უფლისციხის აფთიაქის ნაშთები

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ დიდი კორექტივი შეიტანა ადრე არსებული ხალხური მკურნალობისა და წამალთმცოდნეობის საქმეში. გამოჩნდა პირველი აგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებშიც დაცულია ცნობები წამლების მომზადებასა და ამა თუ იმ დაავადებისაგან ავადმყოფთა განკურნებაზე. სამოქალაქო-პროფესიულ და ხალხურ მედიცინას გამოეყო საეკლესიო-სამონასტრო მედიცინა, რომლის მთავარ ცენტრად საეკლესიო-კულტურული კერები იქცნენ (5).


ქრისტიანულმა ეკლესიამ მედიცინა თავის სამსახურში ჩააყენა. ამაზე მეტყველებს სატაძრო მედიცინის ფართო ქსელი და დიდ საეკლესიო მოღვაწეთა ბიოგრაფიები, სადაც ფართო სამონასტრო-საეკლესიო საქმიანობასთან ერთად ავადმყოფთა მკურნალობაც არის ასახული. მართალია, მკურნალობის პროცესში უპირატესად გამოყენებული იყო მაგიური მეთოდები, შელოცვები და თილისმები, მაგრამ კარგად ესმოდათ, რომ მკურნალობაში უფრო დიდი ეფექტის მისაღებად აუცილებელი იყო ხალხური მეთოდების გამოყენება.

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ცენტრებში საეკლესიო-სამონასტრო სამედიცინო სამსახურის მსგავსად სამედიცინო დახმარება უნდა არსებულიყო სხალთის, თხილვანის, ჭვანის, ვერნების, ხინოს, ხუცუბნის, გვარას, კვირიკეს, სამების და აჭარის სხვა საეკლესიო ცენტრებში (7).


ახ.წ. II ათასწლეული-განვითარებული ფეოდალური ხანა

შუა საუკუნეების აჭარის ისტორიაში განსაკუთრებული პერიოდი იყო მისი მეორე ეტაპი (XI საუკუნე-XVI საუკუნის პირველი ნახევარი), რომელიც განვითარებულ ფეოდალურ ხანას ემთხვევა.

საქართველოს მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კლასიკურ ხანას (XI-XIII საუკუნეები). ამ პერიოდში გელათისა და იყალთოს აკადემიებში შეიქმნა მეცნიერული და პრაქტიკული მედიცინის და ფარმაციის ღირშესანიშნავი წერილობითი ძეგლები: ქანანელის-„უსწორო კარაბადინი“ და ხოჯაყოფილის -„წიგნი სააქიმოი“.



გვერდი უსწორო კარაბადინიდან



„წიგნი სააქიმოი“-ს სატიტულო ფურცელი

ამ წიგნებში თანამედროვე მედიცინის თითქმის ყველა სპეციალისტს შეუძლია იპოვოს საინტერესო ცნობები ანატომიისა და ფიზიოლოგიის, პროფილაქტიკის, ჰიგიენის, თერაპიისა და სამკურნალო საშუალებათა შესახებ; განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი წამლის ფორმები. ამ ცნობების სიზუსტე განცვიფრებას იწვევს და ბევრი რამ მომავალი კვლევის საგანია.

განვითარებულ, ანუ შუაფეოდალურ ხანაში აჭარა კიდევ უფრო დაწინაურდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა, საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება; მრავლად აშენდა ხუროთმოძღვრული ძეგლები (ეკლესია-მონასტრები, საფორტიფიკაციო ნაგებობანი, ქვის თაღიანი ხიდები) და ა.შ.

აჭარა, რომელიც საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ სახელმწიფოს-ტაო-კლარჯეთის შემადგენლობაში შედიოდა და მას VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე ქართველი ბაგრატიონები მართავდნენ, XI საუკუნიდან აბუსერისძეთა საგვარეულოს გამგებლობაში ექცევა (6).

აბუსერისძეთა საგვარეულოს ყველაზე გამორჩეული და ღირსეული წარმომადგენელი იყო XIII საუკუნის ცნობილი მწერალი და მოაზროვნე, მეცნიერი, ზემო აჭარის მკვიდრი, აბუსერისძე ტბელი. მართალია, მის თხზულებებში უშუალოდ ავადმყოფის მკურნალობის შესახებ პირდაპირ ცნობებს ვერ ვხვდებით, მაგრამ გარკვეული წარმოდგენა გვექმნება ზოგადად მეცნიერებისა და საკუთრივ მედიცინის განვითარების იმდროინდელ დონეზე. ამ თხზულებებს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ყოფა-ცხოვრებისა და, საერთოდ, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლაში.

ტბელის თხზულებაში „ცხოვრება ქვითხუროსა ბასილისა“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხიხათა ეკლესიის მშენებლობის დროს დაჭერილი თადარიგი, რათა ქვის დაცემის და ტრავმის მიღების, ან მგლის დაკბენის შემთხვევაში, კალატოზებს არ

დაუგვიანდეთ სამედიცინო დახმარება, აგრეთვე ქვის მაღაროში მყოფნი ან მაღალი ადგილიდან ფეხაცდენილნი დროულად იქნან ამოყვანილი. ისინი ხანგრძლივი ავადმყოფობისათვის არიან განწირულნი და დროულ მკურნალობას საჭიროებენო, ამბობს ტბელი (8).

ბუნებრივია „ქვისა დასაცემად, ტიალსა ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა“ და „ფერხჩაცთუმილთა აღმოყვანებით და წამოქცეულთა კლდეთაგან მშვიდობით დასახსნელ“ ადამიანებს შიშველი ხელებით დახმარებას ვერ გაუწევდნენ. აქ მწერალი გვესაუბრება მძიმე ტრავმულ და კატასტროფულ შემთხვევებზე, რომელთა თავიდან აცილება და განკურნება დიდ სამედიცინო ცოდნა-გამოცდილებას, და, რაც მთავარია, სპეციალურ სასნეულოში აუცილებელ მოთავსებას საჭიროებდა (9).

„შუა საუკუნეებში, - წერდა ი. გოგებაშვილი, - როდესაც საქართველოს სამეფო ჰყვაოდა, მესხეთი (მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით მასში აჭარაც შედიოდა-ვ.მ.) ძლიერ დაწინაურებული ნაწილი იყო ჩვენის ქვეყნისა. განათლებით, მოქალაქეობით, სხვადასხვა ხელოვნების ცოდნით მესხნი ბევრად სჯაბნიდნენ სხვა ქართველებსა. ამის მიზეზი იყო სიახლოვე მათთან საბერძნეთისა, რომისა, ბიზანტიისა და სხვა განათლებული სახელმწიფოებისა - ამ ქვეყნებთან აქაურებს შავი ზღვით ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ, სწავლობდნენ მეცნიერებასა, გონივრულს წესებსა და შემოჰქონდათ ისინი თავის ქვეყანაში. აქ მე-8 საუკუნეში პირველად გამოიჩინა თავისი ძალა ბაგრატიონთა გვარმა და აქედანვე გაავრცელა თავისი მფლობელობა მთელს საქართველოზე. აქ არის აშენებული უკეთესი ტაძრები და მონასტრები, უკეთესი მთელს საქართველოში სიმშვენიერითა და ხელოვნებით. აქაური ქართველები იყვნენ მცველნი მაშინდელს საქართველოს სამეფოსი და სახელგანთქმული მეომარნი“.

ქართული სამედიცინო მეცნიერების და წამალთმცოდნეობის აღმავლობა გრძელდებოდა მონღოლების შემოსევამდე.

მონღოლების შემოსევამ XIII საუკუნეში დაშალა საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობა. დაინგრა ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები. მეცნიერება, მათ შორის მედიცინა, წამალთმცოდნეობა დეგრადირებულ იქნა, გაჩნდა ექიმბაშობა, ხალხური მკურნალობა.


მე-16 საუკუნიდან საქართველოში იწყება აღორძინება მედიცინისა და წამალთმცოდნეობისა, რასაც მოწმობს ისეთი უმნიშვნელოვანესი სამედიცინო ძეგლები, როგორებიცაა ზაზა ფანასკერტელის - „სამკურნალო წიგნი კარაბადინი" და დავით ბატონიშვილის - „იადიგარ დაუდი".

ჩამოთვლილი წიგნები უნიკალური ძეგლებია ქართული მედიცინის და ფარმაციის ისტორიისა. ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ ძეგლების ზეგავლენა აჭარაში აღმოჩენილ უნიკალური ძეგლებზე - „აგარელის კარაბადინსა" და „ფემბასეულ ხელნაწერზე", ძალზედ დიდია, რაც აჭარის დედასამშობლოდან მოწყვეტის მიუხედავად, რეგიონში სამედიცინო ცოდნა -გამოცდილების გარკვეული დოზით შემონახვაზე მიუთითებს.



ზაზა ფანასკეტელის
„სამკურნალო წიგნი"

წამალთმცოდნეობა აჭარაში თურქთა ბატონობის პერიოდში (XVI-XIX სს)



„ფემბასეული ხელნაწერის“ სანიმუშო გვერდი

აჭარაში მე-18 საუკუნემდე რაიმე სახის საერო სამედიცინო ან წამალთმცოდნეობითი ძეგლი არ შემონახულა. თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკლესიები და მონასტრები სამკურნალო ადგილებიც იყო. ქურუმებს, ბერ-მონაზვნებს გარკვეულად ექიმებისა და წამალთმკეთებლების ფუნქციებიც ჰქონდათ შეთავსებული.


მე-18 საუკუნით თარიღდება უნიკალური ძეგლები - „აგარელის კარაბადინი“ და „ფემბასეული ხელნაწერი“, რომლებიც ღრმად შეისწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა პროფესორმა რამაზ სურმანიძემ. აჭარაში შემონახული წერილობითი ძეგლები, რომლებიც დაიწერა ამ კუთხის მკვიდრთა მიერ, სულ რამდენიმეა შემორჩენილი, რაც იმის შედეგია, რომ ისტორიული ძნელბედობისა და ქარტეხილების შედეგად ხელნაწერთა დიდი ნაწილი ან ნადგურდებოდა ან უცხოელების მიერ იქნა გატაცებული. ამ ფონზე, მე-18 საუკუნის ძეგლები -„აგარელის კარაბადინი“ და „ფემბასეული ხელნაწერი“, რომელთაც პროფ. რ.სურმანიძემ უწოდა ქართული კარაბადინის აჭარაში აღმოჩენილი ვარიანტები, ფასდაუდებელია. ისინი შეიცავს მდიდარ მასალას წამალთმცოდნეობისა და ფარმაციის საკითხებზე და ადასტურებს წამალთმცოდნეობის მაღალ კულტურას მოსახლეობაში.

ექიმმა, მწერალმა, პუბლიცისტმა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა რამაზ სურმანიძემ 1996 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ქართული კარაბადინი. აჭარაში აღმოჩენილი ვარიანტები. (XVIII საუკუნე)“. ამ წიგნში რ. სურმანიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ დღეისათვის „ქართული მედიცინის განვითარების

შესწავლის ძირითად წყაროს სამედიცინო ხელნაწერები წარმოადგენს, სამწუხაროდ ისტორიის ქარტეხილებმა აჭარაში თითქმის მოსპო ქართული ეროვნული კულტურის ძეგლები, მათ შორის ხელნაწერებიც, ამიტომ რეგიონის მედიცინის ისტორია მეცნიერთა ყურადღების მიღმა დარჩა".

რ.სურმანიძემ სამედიცინო ხელნაწერებიდან ერთს პირობითად უწოდა „აგარელის კარაბადინი" (რადგანაც აღმოჩენილია სოფელ აგარაში და ავტორის ვინაობა უცნობია), მეორეს - „ფემბასეული ხელნაწერი" (იგი ფემბა შერვაშიძის საკუთრება ყოფილა). ორივე ხელნაწერი წარმოდგენას იძლევა რეგიონში მედიცინის განვითარების ისტორიაზე და ავსებს ქართული მედიცინის ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდის შესწავლაში არსებულ ზოგიერთ ხარვეზს.

აგარული კარაბადინი აღმოაჩინა აბდულ მიქელაძემ. ეს ნაშრომი მე-18 საუკუნითაა დათარიღებული. იგი ერთ-ერთი იშვიათი ქართული ხელნაწერი დოკუმენტია. „წიგნს მრავალი განსაცდელი გამოუვლია და ქართული ენისა და გვარის მსგავსად შეურყვნელად შემორჩა საქართველოს ამ მრავალჭირნახულ კუთხეს"- წერდა ზ. ჭიჭინაძე. მასვე მინაწერი აქვს გაკეთებული, საიდანაც ირკვევა, რომ კარაბადინი აბდულ ეფენდის ქედის რაიონის სოფელ აგარაში აღმოუჩენია, ერთი ქართველი მაჰმადიანის ოჯახში. ხელნაწერი კარაბადინი მოხუცი ქალბატონის საკუთრება ყოფილა, რომელსაც კარგად სცოდნია წერა-კითხვა. „ივერიაში" გამოქვეყნებული მასალის თანახმად, ხელნაწერი ორასი წლის მაინც ყოფილა და რომ იგი ძალზე ფაქიზად შემოუნახია მოხუცებულს. „ქართული კარაბადინის" აჭარაში აღმოჩენილი ვარიანტების ძირფესვიანი გამოკვლევით რ. სურმანიძემ ფაქტობრივად პირ-



აგარულის კარაბადინის სანიმუშო გვერდი

ველმა შეისწავლა აჭარის რეგიონის ხალხური მედიცინა, მცენარეული და ცხოველური სამკურნალო საშუალებები, შეეცადა დაედგინა ჰეკატეს ბაღის რამდენიმე ათეული სამკურნალო მცენარის სია, მისი მოკვლეული მასალები ამაგრებს ჰიპოთეზას არა მარტო ჰეკატეს ბაღის, არამედ თავად მედეას, როგორც გენიალური მკურნალის, რეალურ არსებობაზე.

„ქართული კარაბადინი" შეიცავს მდიდარ მასალას წამალთმცოდნეობისა და ფარმაციის კუთხით. ხსენებული კარაბადინის სახით ხელთა გვაქვს ძეგლი - პირველწყარო, რომელიც აჭარის რეგიონში მედიცინისა და წამალთმცოდნეობის საკმაოდ მაღალ დონეზე მიუთითებს თურქების ბატონობის პერიოდშიც კი.

ფარმაცევტებისათვის სასიამოვნოა იმ ფაქტის გახსენება, რომ ცხრაასიანი წლებიდან ქართული კარაბადინების შესახებ, ექიმებთან ერთად, სტატიებს აქვეყნებდა და აქტიურად იღვწოდა პროვიზორი ილია ალხაზიშვილი. პროვიზორ ს. სალუქვაძეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის წამალთმცოდნეობის ისტორიის კვლევის საქმეში. თავის დროზე ზ. ჭიჭინაძე მიუთითებდა კარაბადინების შესწავლის აუცილებლობაზე, სწამდა, რომ „ქართულ მკურნალობაში და კარაბადინებში აღმოჩნდება ბევრი ისეთი რამ წამლობა და მკურნალობა, რის განკურნება კი არა და, იქნებ ევროპიელთ ხსენებაც არ იციან. ევროპიელთ ასეთი ძვირფასი მკურნალობის არაფერი შეუტყვიათ და ჩვენს წიგნებში იგი უქმად არის გაბნეული".

„ქართული კარაბადინის" გამოვლენითა და ღრმა შესწავლით რ. სურმანიძე თამამად შეიძლება დავაყენოთ იმ დიდი მეცნიერების გვერდით (კ. ერისთავი, ნ. შაშიკაშვილი, მ. სააკაშვილი, მ. შენგელია, ი. ქურჩიშვილი, რ. შენგელია, ს.სალუქვაძე, პ.ფირფილაშვილი და სხვები), რომლებმაც საქართველოს მედიცინის ისტორიის, კერძოდ, ხალხური მედიცინის შესასწავლად დიდი შრომა გასწიეს და მრავალი მონოგრაფიაც გამოსცეს.

„აგარელის კარაბადინში" მოხსენებულ სამკურნალო მცენარეულიდან 55 შეტანილია კ. ერისთავისა და სხვათა მიერ შედგენილ „ძველ საქართველოში სამკურნალოდ ხმარებული მცენარეულის

მიახლოებით სიაში", ხოლო 30 სამკურნალო მცენარე, მოხსენიებული აგარელის კარაბადინში, ამ სიაში არ არის. ამდენად, ეს ხელნაწერი, შესაძლოა იყოს ერთადერთი წყარო, რომელშიც მედიცინისათვის ჯერ კიდევ უცნობი სამკურნალო საშუალებებია მოცემული.

„ფემბასეულ კარაბადინში" გამოყენებულია 400-ზე მეტი სამკურნალო საშუალება, მათ შორის 235 მცენარეული და 150-ზე მეტი ცხოველური წარმოშობის. ამ საშუალებათაგან 80-მდე სხვა კარაბადინებსა და ხელნაწერებში არ გვხვდება. კ. ერისთავისა და თანაავტორების მიერ მოწოდებულ „სიაში" არ არის შეტანილი 58 მცენარე, რომლებიც გვხვდება ფემბასეულ ხელნაწერში, ხოლო 26 მცენარე არ გვხვდება არა მარტო ხსენებულ „სიაში", არამედ ამჟამად გამოკვლეულ და გამოცემულ ქართულ კლასიკურ კარაბადინებში.

„ხელნაწერებში ვხვდებით ზოგიერთ ისეთ სამკურნალო საშუალებას, რომლების დღესაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ატრიბუტად იქცა. ასე მაგალითად, ფემბასეულ ხელნაწერებში ვხვდებით რეცეპტს, რომელიც შეიცავს პიტნის, მიხაკისა და დარიჩინის ზეთების ნაერთს. თუ ამას დავუმატებთ ეკალიპტის ზეთს, სახეზე გვექნება დღეს ჩვენს ყოფაში ფართოდ გავრცელებული ვიეტნამური ბალზამი-„ოქროს ვარსკლავი". ასევე ინტერესს იწვევს დანამასტაკის (კევის) ხმარების წესი. როგორც ცნობილია, საღეჭი რეზინის ხმარება ჩვენს ქვეყანაში საძრახის საქციელად ითვლებოდა. 20-30 წლის წინ იგი ჩვენთან საზღვარგარეთიდან შემოვიდა და დამკვიდრდა არა როგორც გასართობი, არამედ როგორც კბილებისა და ღრძილების გასამაგრებელი საშუალება" (9).

როგორც ფემბასეული ხელნაწერიდან ირკვევა, ამ მიზნით კევის ღეჭვა საქართველოსათვის უძველესი დროიდან ყოფილა ცნობილი: „საკმეველი, დანამასტაკი, ორივე ერთად ღეჭე, კბილებს დაამაგრებს, კბილების სიმყრალეს ამოიღებს, ღრძილებსაც დაამაგრებს, უცხო კარგია" (11).

რ.სურმანიძემ მეცნიერულად დაასაბუთა, რომ „ფემბასეული ხელნაწერი" სხვა კარაბადინებისგან იმითაც განსხვავდება, რომ აქ

მოცემულია წამლების დამზადების წესების დეტალური აღწერა, ნედლეულის დამუშავების წესი და წონა, მითითებულია მცენარეული ნედლეულის დამზადებისა და შეგროვების ვადებზე და. ა.შ. ავტორის დაკვირვებით, ხელნაწერში არის მრავალინგრედიენტიანი წამლის ფორმებიც. კერძოდ, საყმაწვილოს სამკურნალოდ, ერთი წამლის შემადგენლობაში 33 დასახელების ნედლეულია მითითებული.

აჭარაში მედიცინისა და ფარმაციის განვითარების ისტორიაზე დღემდე არსებულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ 1878 წლამდე, ე.ი. დედასამშობლოსთან დაბრუნებამდე ან მხარეში სამედიცინო და სააფთიაქო დახმარების ჩანასახიც კი არ არსებობდა და ავადმყოფთა ბედი მთლიანად ექიმბაშებზე იყო მინდობილი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ პერიოდში სახელმწიფოს ხარჯზე მართლაც არ არსებობდა საავადმყოფო და ამბულატორია, ასეთი შეფასება შესაძლოა გამართლებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ „სამედიცინო და სააფთიაქო დახმარების ჩანასახზე“ ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, ეს შეფასება სწორი არ არის. ამის დამადასტურებელ ცნობებს ვხვდებით მოგზაურთა ჩანაწერებში, იმდროინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებში და აჭარაში აღმოჩენილ სამკურნალო ხელნაწერებში (14).

1872 წელს, აჭარის განთავისუფლებამდე 6 წლით ადრე, ამ მხარეში იმოგზაურა ინგლისის კონსულმა ვ. ჯიფორდ პალგრევმა, რომელსაც რეზიდენცია ქ. ტრაპიზონში ჰქონდა. მან მოიარა მთელი სამზრეთი საქართველო, ისტორიული ტაო-კლარჯეთი, ზემო ჭარა, ქ. ბათუმი და დაგვიტოვა მეტად საინტერესო, საკმაოდ ვრცელი ჩანაწერები, რომელიც ათი წლის შემდეგ 1882 წელს გამოაქვეყნა თბილისში. მასში კერძოდ ნათქვამია, რომ 1872 წლისათვის ბათუმში მოქმედებდა სამედიცინო კარანტინი, ლაზარეთის გარეშე, რომელშიც ექიმი მუშაობდა.

საინტერესო ცნობას გვაწვდის გაზეთ „დროების“ ბათუმელი კორესპოდენტი ლევან მჭედლიშვილი („კრაზანა“). ერთ-ერთ კორესპონდენციაში (1880წ.) ის აღწერს ქალაქში ჩამოსულ სოფლელ მამაკაცთა შორის ვენერიული სნეულების ფართოდ გავრცელებას,

რომელიც შემდეგ ოჯახში სოციალურ უბედურებად გადაიქცეოდა ხოლმე. აქვე ნათქვამია, რომ ოსმალთა მფლობელობის პერიოდში, ბათუმში ყოფილა საექიმო ნაწილი, სადაც 1860 წლიდან მსახურობდა ფარმაცევტი ჟ. ბენლი (როგორც ჩანს წარმოშობით ფრანგი). მას აქ გაუხსნია აფთიაქი. დაკვირვებული უცხოელი დაუფლებია ქართულ ენას, მას კარგად შეუსწავლია ადგილობრივ მცხოვრებთა ხასიათი, ადათ-წესები და ძალზე მალე დიდი ავტორიტეტიც მოუხვეჭია. ხალხი ჟ. ბენლის იმდენად ენდობოდა, რომ ავადმყოფის სანახავად სახლშიც კი მიყავდა. იმდროინდელი ფანატიზმის ვითარებაში, არც კი ერიდებოდნენ უცხო კაცისათვის ავადმყოფები ეჩვენებინათ და თავისი მდგომარეობა გაეზიარებინათ.

ამ ფაქტის სისწორეზე გარკვეულად მეტყველებს ერთი საბუთი, რომლის ავტორია ოზურგეთელი სოფრომ ვასილის ძე ხუნდაძე. ამ პიროვნებას 1872 წ. ოზურგეთში ჰქონდა სააფთიაქო მაღაზია, ერთი წლის შემდეგ კი ქუთაისის გუბერნატორს, გენერალ ლევაშოვს იგი თხოვს აფთიაქის გახსნის ნება დართოს. ამას ასაბუთებს მოსახლეობის მომსახურების საჭიროებით, „რადგან ადგილობრივ მცხოვრებლებს წამლისათვის სიარული ფოთის, ბათუმის და ქუთაისის აფთიაქებში უხდებათო (15). ჩანაწერი ადასტურებს, რომ 1872 წ. ბათუმში არსებობდა აფთიაქი, სადაც წამლების საყიდლად გურიიდანაც ჩამოდიოდნენ.

რუსული მმართველობის შემოღებიდან დამკვიდრდა წესიც, რომ ვისაც რუსული უნივერსიტეტი არ ჰქონდა დამთავრებული და არ გააჩნდა შესაბამისი დიპლომი, რუსეთის საბრძანებელში ეკრძალებოდა მუშაობა. ასეთი ბედი ეწია ჟ.ბენლისაც. სწორედ ამ არასასიამოვნო ფაქტს გამოეხმაურა ლევან მჭედლიშვილი: „რასაკვირველია ყოველივე წესდება შესრულებული უნდა იქნეს, მხოლოდ თუ მივიღებთ მხედველობაში, ერთის მხრით ბათუმის ცუდი ავადმყოფობით საცოდავ მდგომარეობაში ყოფნას და მეორეს მხრივ იმას, რომ ამასთან (ჟ. ბენლისთან, რ. ს.) ყველანი მოურიდებლად დაიარებიან რჩევის მისაღებად და სხვებთან სხვათაშორის ენის უცოდინარობის მიზეზითაც, ვერ მივლენ და ვერც გააგებინებენ ვერაფერს, - ამ შემთხვევაში სასურველი უნდა იყოს, რომ

ჩვენმა ბათუმის ადმინისტრაციამ ეს ყველა ხალხის მდგომარეობა სახეში იქონიოს და პრივილეგია მისცეს უფ.ჟ.ბენლის მოქმედებას და არ შეხედოს ჩინოვნიკური ფორმალისტურის თვალით...“ („დროება“, #43, 24 თებერვალი, 1880 წ.).

ჩვენ არ ვიცით, რა ბედი ეწია ჟ.ბენლის, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მას დიდი სახელი ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობაში, ქართულიც იცოდა („სხვებთან სხვათაშორის ენის უცოდინაროზის მიზეზითაც ვერ მივლენ“) და მისმა შევიწროებამ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია აჭარის მოსახლეობაში. სწორედ ამას გამოეხმაურა „დროებაც“. რაც მთავარია, ამ დოკუმენტით ცხადი ხდება, რომ ოსმალთა მმართველობის დროსაც ბათუმში იყო საექიმო ბაწილი და აფთიაქი.

აჭარაში ექიმბაშრები, რომ მოქმედებდნენ, ეს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მოსახლეობა მხოლოდ მათ ამარა რომ არ იყო დარჩენილი ამაზე მეტყველებს აჭარაში აღმოჩენილი სამკურნალო ხელნაწერები. ერთი მათგანი 1893 წელს სოფელ აგარაში, დევაძეების ოჯახში აღმოაჩინა „ივერიის“ კორესპოდენტმა აბდულ მიქელაძემ, ხოლო მეორე სოფელ ჭალაში პროფესორმა რამაზ სურმანიძემ. იგი მკურნალი ქალბატონის ფემბა შერვაშიძე-სურმანიძის კუთვნილებაა. ჩვენ ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ ამ ორივე ხელნაწერი კარაბადინების შესახებ. დამატებით აღვნიშნავთ, რომ ორივე ხელნაწერი გამოცდილი სახალხო მკურნალების ხელში იყო. ისინი მოსახლეობას საკმაოდ დიდი წარმატებით უწევდნენ სამედიცინო დახმარებას ისევე, როგორც მთელს საქართველოში.

ამგვარად, თუ მომავალში სამხრეთ საქართველოს მედიცინის ისტორიაზე კვლავ დაიბეჭდება წიგნები, აუცილებელია ითქვას, რომ ოსმალთა ბატონობის დროს ბათუმში მოქმედებდა საექიმო ნაწილი, საექიმო-სანიტარული კარანტინი ლაზარეთის გარეშე და ჟ. ბენლის კერძო აფთიაქი. სოფლის მოსახლეობა სამკურნალო დახმარებისათვის მიმართავდა აგრეთვე სახალხო მკურნალებს, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ სამკურნალო ხელნაწერებით (14).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. სურმანიძე რ. - ხალხური მედიცინა. წიგნ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი II, ბათუმი, 2009, გვ. 528.
2. ჭუმბურიძე ბ. - ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოება საქართველოში XX საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 2010, გვ.15.
3. იქვე, გვ.16.
4. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი II , ბათუმი, 2009, გვ. 9.
5. სურმანიძე რ. - ხალხური მედიცინა. წიგნ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი II, ბათუმი, 2009, გვ. 528.
6. მუსხელიშვილი დ. - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბილისი, 1980, გვ. 84.
7. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი II , ბათუმი, 2009, გვ. 530.
8. სურმანიძე რ. - ხალხური მედიცინა. წიგნ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი II, ბათუმი, 2009, გვ. 531.
9. იქვე, გვ. 532.
10. იქვე, გვ. 533.
11. რ.სურმანიძე. ქართული კარაბადინი, ბათუმი, 1996, გვ. 23.
12. სურმანიძე რ. ხალხური მედიცინა. წიგ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი II, ბათუმი, 2009, გვ. 528.
13. თავზიშვილი გ., რჩეული ნაწერები, თბილისი,1974, გვ.16.
14. სურმანიძე რ.- ეტიუდები ფარმაციის ისტორიიდან. გაზეთი „ფარმაკონი“, N6 (53), აგვისტო, 2008.
15. უჯმაჯურიძე ს.- გურიაში სააფთიაქო საქმის განვითარების ისტორიიდან. გაზ."ფარმაცევტული მაცნე“, აპრილი-მაისი, 2001 წ. გვ. 7.

16. სურმანიძე რ. - ქართული კარაბადინი. აჭარაში აღმოჩენილი ვარიანტები. (XVIII საუკუნე), ბათუმი, 1996.
17. მახარაძე ვ. ი. - მედიცინის ისტორიის მნიშვნელოვანი შენაძენი, გაზ. „მედიცინა". 31 აგვისტო,1999.
18. საქართველოს ენციკლოპედია. თბილისი, 1997, ტ. I, გვ. 246.
19. Саакашвили М. Г. и др. Медицина грузии. Книга II. Тб. 1986.
20. Шенгелия М. С. История медицины грузи. Тб. 1984.
21. სანიკიძე ლევან. - ძველი მედიცინის ისტორია. თბილისი, 1997.

თავი III.

ფარმაცია (საბაფთიაქო საქმე) ბათუმის ოლქში 1878-1920

თურქთა სამასწლოვანმა ბატონობამ მძიმე მემკვიდრეობა დატოვა. სახელმწიფო მოსახლეობის ჯანმრთელობაზე საერთოდ არ ზრუნავდა, ამ მხრივ რაიმე კვალი ან ჩანასახიც კი არ არსებობდა. ხალხის ჯანმრთელობა მთლიანად თითო - ოროლა სახალხო მკურნალისა და მატყუარა ექიმბაშებისა და მოლების ხელში იყო.

1878 წლის 25 აგვისტოს რუსულ-ქართულ განმათავისუფლებელ ჯარს ბათუმში თან შემოჰყვა სამედიცინო-სანიტარული ქვეგანაყოფი, რომლის ბაზაზეც შეიქმნა სამხედრო ჰოსპიტალი. იგი გამონაკლისის სახით დახმარებას უწევდა ადგილობრივი მოსახლეობის მხოლოდ პრივილეგირებულ ფენას.

1887 წელს ბათუმში გაიხსნა 25 საწოლიანი ქსენონი, რომელიც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა კაპიტალიზმის კვალობაზე მზარდი ქალაქის მოთხოვნილებებს. ქუნონში მხოლოდ ერთი ექიმი იყო.

მოსახლეობის რიცხვის ზედამ დღის წესრიგში დააყენა ბათუმში საავადმყოფოს გახსნის აუცილებლობა, რაც განხორციელდა კიდეც 1902 წ. 3 სექტემბერს, ექიმების - გ. ელიავას, კ. მხეიძის, გ. ვოლსკის, ქალაქის თავის ლ. ასათიანის, ზ. აბაშიძის და სხვათა თაოსნობით.

ცოტა რამ ბათუმის ისტორიიდან

სახელწოდება „ბათუმი" წერილობით წყაროებში პირველად ძვ.წ.აღ.ით მე-4 საუკუნეში არისტოტელესთან გამოჩნდა.

იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) მმართველობის დროს ბათუმი „ბათისის" სახელითაა ცნობილი.

ძველი ბათუმი მდინარე ყოროლისწყლის შესართავთან მდებარეობდა და მისი გადმონაცვლება სამხრეთით მე-18, მე-19 საუკუნეებში მოხდა.

1878 წლის 25 აგვისტოს ქალაქ ბათუმის გადაცემის ცერემონიალი გაიმართა. აჭარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ბათუმის ოლქის სახით შევიდა. ამიერიდან აჭარის მოსახლეობის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. იგი ჩაება კაპიტალისტური განვითარების ფერხულში და სულ მალე ბათუმი ამიერკავკასიის მესამე სამრეწველო ცენტრი გახდა თბილისისა და ბაქოს შემდეგ.

ქ. ბათუმის მოსახლეობა 4000 სულს არ აღემატებოდა. იგი წარმოადგენდა სოფლის ტიპის პატარა ზღვისპირა დასახლებას ბინძური ნაპირით. ქუჩები ვიწრო და მოუკირწყლავი იყო. ქალაქის დაუსახლებელი ადგილი ჭაობს წარმოადგენდა...

1883 წელს ბათუმი რკინიგზით დაუკავშირდა თბილისს და ბაქოს. 1888 წელს ბათუმს მიენიჭა ქალაქის სტატუსი, გაუქმდა საპოლიციო მმართველობა და ჩატარდა ბათუმის მმართველობის პირველი არჩევნები. პირველ თავად აირჩიეს კ. გოვროვსკი.

ბათუმის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა. თუ 1890 წელს ქ. ბათუმში იყო 15 400 მცხოვრები, 1897 წლის 28 იანვრის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით კი-28.508 სული (23). საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმავე აღწერის მიხედვით ბათუმის ოკრუგში მოსახლეობა 88.444 სულია (ქალი-35.295, კაცი-53.159), ტერიტორია კი 2675,7 კვადრატული ვერსი (1ვერსი-1,06 კილომეტრი). ამ დროისათვის ბათუმის ოკრუგი ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა, რომელიც თავის მხრივ 7 მაზრასა და 3 ოკრუგს აერთიანებდა(24).

ბათუმის ოლქი შეიქმნა 1878 წელს, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული. არსებობდა 1883 წლამდე, 1883 წელს ბათუმის ოლქი გაუქმდა და იგი ოკრუგის სახით ქუთაისის გუბერნიაში შევიდა. 1903 წელს ბათუმის ოლქი კვლავ აღდგა, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული. ბათუმის ოლქის უფროსები, სამხედრო გუბერნატორები გენერალ-მაიორის ჩინით სხვადასხვა დროს იყვნენ: კ. კომაროვი (1878-1881), ა. სმეკალოვი (1881-1883), მ. დრიაგინი (1903-1905), პ. ფონ პარკაუ (1905-1908), ბ. რომანოვსკი-რომანკო (1909-1917) (25).

მე-19 საუკუნის დასასრულისათვის ქალაქ ბათუმის ცენტრის საზღვარმა გადაინაცვლა ახლანდელი ბარათაშვილის ქუჩაზე, რკინიგზის სადგური კი განლაგებული იყო ამჟამინდელ თავისუფლების მოედანზე.

1918 წლის 1 აპრილს თურქეთის ჯარმა ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაცია მოახდინა. 30 ოქტომბერს მუდროსის ზავის თანახმად თურქ იმპერიალისტთა და გერმანელთა ჯარებმა ბათუმი და მისი ოლქი დატოვეს. 22 დეკემბერს ოლქში ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის 15000 ჯარისკაცი შემოვიდა. ბათუმი და მისი ოლქი ინგლისის კოლონიად გადაიქცა. გუბერნატორად კუკ-კოლისი დაინიშნა.

1920 წლის 7 მაისს დაიდო ხელშეკრულება რსფსრ-სა და მენშევიკურ საქართველოს შორის, რომლის შედეგად აჭარა აღიარებულ იქნა საქართველოს განუყოფელ ნაწილად. ინგლისელი იმპერიალისტები იძულებულები გახდნენ და 7 ივლისს ბათუმი და მისი ოლქი დატოვეს. ქალაქში საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს ჯარი შევიდა, აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა.

ბერლინის ტრაქტატის შესაბამისად ბათუმის ოლქი რუსეთს შეუერთდა. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარი ბათუმში შევიდა. როდესაც რუსეთის ჯარებმა ბათუმი ჩაიბარეს, იგი უფრო სოფელს წააგავდა, ვიდრე ქალაქს. მოსახლეობა 2-3 ათასს კაცს შეადგენდა.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ აქტუალური გახდა აჭარისათვის დახმარება, ერთიან ქართულ სივრცეში მისი ადაპტაციის დაჩქარება. ჟურნალ „ივერიის“ 1879 წლის აპრილის ნომერში ილია მიუთითებდა: „თუ ჩვენი სიხარული აჭარა-ქობულეთის შემოერთებაზე პირმოთნეობა არ იყო, თუ ჩვენგან წარმოთქმულ მხურვალე სიტყვებს მკვიდრი საფუძველი ჰქონდა, ეხლა უნდა გავუმართოთ ხელი ამ ახლადდაბადებულს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ვალად დავსდოთ, რომ აჭარაში და ქობულეთში, რაც შეიძლება მომეტებულ შკოლები გაიმართოს“.

აჭარას ყველა სფეროში სჭირდებოდა დახმარება, მათ შორის

წამალთმომსახურების სფეროშიც. მით უმეტეს, რომ თურქთაგან განთავისუფლებილ აჭარაში არც სააფთიაქო და არც სამედიცინო დაწესებულების ჩანასახი არ დახვედრიათ.

შეჭირვებულ მოსახლეობაზე დახმარების მიზნით 1890 წლის ნოემბერში ბათუმის საქველმოქმედო საზოგადოებამ მაშინდელი მარინეს პროსპექტის N37-ში (დღევანდელი მემედ აბაშიძის გამზირი) დააფუძნა ამბულატორია, რომელიც განკუთვნილი იყო ღარიბი და უპოვარი მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურებისათვის. იგი ყოველწლიურად საშუალოდ 3500-4000 ავადმყოფს ყწევდა მომსახურებას. ფუნქციონირებდა 1902 წლამდე. XIX_XX საუკუნეების მიჯნაზე აჭარაში არსებული სააფთიაქო დაწესებულებების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან თავიანთ შრომებში მეცნიერ-მკვლევარები: რამაზ სურმანიძე, ოთარ ბზიკაძე, შოთა მახარაძე, თეიმურაზ კომახიძე და სხვები, მაგრამ ამ პერიოდში აჭარაში მოქმედი სააფთიაქო დაწესებულებების შესახებ ბევრი რამ ჯერ კიდევ შესასწავლ-დასაზუსტებელია.

პროფესორი რამაზ სურმანიძე სანდო წყაროებზე დაყრდნობით (1) ადასტურებს, რომ „ოსმალთა მფლობელობის პერიოდში, ბათუმში ყოფილა საექიმო ნაწილი, სადაც 1860 წლიდან მსახურობდა ფარმაცევტი ჟ. ბენლი (როგორც ჩანს წარმოშობით ფრანგი). მას აქ გაუხსნია აფთიაქი. დაკვირვებული უცხოელი დაუფლებია ქართულ ენას, მას კარგად შეუსწავლია ადგილობრივ მცხოვრებთა ხასიათი, ადათ-წესები და ძალზე მალე დიდი ავტორიტეტიც მოუხვეჭია. ხალხი ჟ. ბენლის იმდენად ენდობოდა, რომ ავადმყოფის სანახავად სახლშივ კი მიყავდა, იმდროინდელი ფანატიზმის ვითარებაში არც კი ერიდებოდნენ უცხო კაცისთვის ავადმყოფები ეჩვენებინათ და თავისი მდგომარეობა გაეზიარებინათ.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისათვის, კერძოდ, 1863 წლისათვის, ბათუმში აფთიაქის არსებობას ადასტურებენ აგრეთვე მედიცინის ისტორიის ცნობილი მკვლევარები: ვლ. ჟღენტი, პ. გელბახიანი, ირ. ტატიშვილი (2).

რუსული მმართველობის შემოღებიდან მეორე წელს ბათუმში ახალი აფთიაქი გაუხსნიათ. ოთარ ბზიკაძის ცნობით ეს იყო 1879

წელს, როცა ლორის მელიქოვის (ახლანდელი ნოე ჟორდანიას) ქუჩაზე აფთიაქი გაუხსნია კილიჩენკოს. მომდევნო წლებში კი გოგეშვილს, გაპოიანს, ზემლინსკის, დავითაშვილს და სხვებს-სააფთიაქო მაღაზიები. მაშინდელი წესების მიხედვით, ვისაც რუსული უნივერსიტეტი არ ჰქონდა დამთავრებული და არ გააჩნდა შესაბამისი დიპლომი, რუსეთის საბრძანებელში მუშაობა ეკრძალებოდა. ასეთი ბედი ეწია ჟ. ბენლისაც.

პროფ. შ. მახარაძე საარქივო წყაროებზე დაყრდნობით (3) ასაბუთებს, რომ პირველი აფთიაქი ქ. ბათუმში გაიხსნა რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებიდან მე-2 წელს, ანუ 1879 წელს, რომელმაც ორი წელი იარსება. ეს გამოკვლევა თანხვედრაშია ო.ბზიკაძის მიერ მითითებულ თარიღთან და ვფიქრობთ, რომ თურქთაგან განთავისუფლებულ ბათუმში პირველი აფთიაქის გახსნის თარიღი საბოლოოდ და დაზუსტებულად უნდა ჩაითვალოს.

ქ.ბათუმში მეორე აფთიაქის გახსნის თარიღად რიგ გამოკვლევებში მითითებულია 1898 წელი. მაგრამ, როგორც საარქივო მასალებიდან ვგებულობთ (3), ჯერ კიდევ 1889 წლის 27 აპრილს (და არა 1898 წელს) ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე გადაწყდა საკითხი ბათუმში უკვე რიგით მეორე აფთიაქის გახსნის შესახებ. ეს აფთიაქი გახსნა პროვიზორმა პეტკევიჩმა, რომელმაც დაარწმუნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, რომ აფთიაქის გახსნა ქალაქს სარგებელს მოუტანდა და არც შემოწირულობაზე იქნებოდა დამოკიდებული (4).




პეტკევიჩის აფთიაქი მარიას ქუჩაზე (ეხლანდელი მემედ აბაშიძის პროსპექტი) (მარკვნივ 1-სართულიანი შენობა)

1899 წელს ბათუმში აფთიაქი გახსნა პროვიზორმა ვ.ა. ვიტუშინსკიმ (იგი იმ დროისათვის მეორე მოქმედი აფთიაქია), ხოლო 1900 წელს აფთიაქი გახსნა ს.ს. ელიაშვილმა.

XIX საუკუნის დასასრულს რუსეთი, აჭარაში დამკვიდრების შემდეგ, საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე, ბათუმის სამკურნალო გამაჯანსაღებელ კერად გადაქცევას ცდილობდა. ისინი აცხადებდნენ, რომ ბათუმი მათთვის იყო: „Теплица России, который несомнено может и должень превратится в санитарную станцию"(5).

1894 წლის 22 იანვარს, ქუთაისში მცხოვრები პროვიზორი თეოფანე ბეჟანის ძე ნანეიშვილი თხოვნით შევიდა ბათუმის თვითმმართველობის წინაშე, რათა ქალაქში გახსნილიყო რიგით მესამე აფთიაქი. ამის მთავარ მიზეზად მან დაასახელა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა (1894 წლის აღწერის მიხედვით ქალაქის მოსახლეობა უდრიდა 25000 ადამიანს) და მასთან შესაბამისობაში წლიური რეცეპტების სტატისტიკა. ამ პერიოდში რეცეპტების ზუსტ რაოდენობას ადგენდა ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის ექიმთა განყოფილება. აღნიშნულ სხდომაზე ერთი

კურიოზული ამბავიც მოხდა. ბათუმის თვითმმართველობის 1894 წლის 14 მარტის სხდომაზე სიტყვით გამოსულმა სომეხმა, ვინმე ო.გ. მელქონიანმა აღნიშნა, რომ ქალაქში აფთიაქების რაოდენობის ზრდა გამოიწვევდა უაზრო კონკურენციას, რაც ასახვას ჰპოვებდა მედიკამენტების ხარისხზე. სხდომის თავმჯდომარემ მიანიშნა, რომ 1873 წლის 25 მაისს, აფთიაქების გახსნის შესახებ მიღებული წესების მიხედვით სამხედრო პორტებში ყოველ აფთიაქზე მოდიოდა 7 000 მცხოვრები და 12 000 რეცეპტი. სხდომაზე დამსწრე ექიმებმა გ. მხეიძემ და გ. ელიავამ ხაზი გაუსვეს ქალაქში მესამე აფთიაქის გახსნის აუცილებლობას და ამასთან აღნიშნეს, რომ სწორედ კონკურენციის მიზნით იყო საჭირო აფთიაქების რაოდენობის ზრდა, რაც შესაბამისად გამოიწვევდა მედიკამენტების ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებას. გაბრაზებულმა მელქონიანმა ბუტბუტით დატოვა სხდომის დარბაზი (6).



პეტკეიჩის აფთიაქი (მარცხნივ 1-სართულიანი შენობა)

1902 წლისათვის ბათუმში ყოფილა 3 აფთიაქი და არა 4, ხოლო პროვიზორ ნანეიშვილს ბათუმში აფთიაქი საერთოდ არ გაუხსნია (3,7). ასევე უკვე წარმატებით ფუნქციონირებდა სააფთიაქო საქონელით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობის ბათუმის განყოფილება.

აღნიშნული განყოფილება „სააფთიაქო საქონელით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობა"-მ 1901 წელს გახსნა ბათუმში მიხაილოვის (ამჟამად ზვიად გამსახურდიას) ქუჩაზე მდებარე შახნაზაროვის ორსართულიან ქვის სახლში, რომელიც საკუთრებაში 23,000 მანეთად შეიძინა (11).

ვ.ა.ვიტუშინსკის აფთიაქი მდებარეობდა ახლანდელი კ. გამსახურდიას ქუჩა #3-ში, ი. ი. პეტკევიჩისა - მემედ აბაშიძის ქუჩაზე, შემდგომში ცნობილი ქ. ბათუმის #1 აფთიაქი, ამ აფთიაქს მოიხსენიებს ცნობილი ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი წიგნში „ზღაპრული ქვეყანა". ჰამსუნი ბათუმში 1899 წელს ჩამოვიდა, მწერალი ავად გამხდარა, ამიტომაც დასჭირვებია აფთიაქი. აფთიაქი თავდაპირველად ერთსართულიანი შენობა ყოფილა. მეორე სართული მოგვიანებით დაუშენებიათ. კიდევ ერთი სართული პირველ აფთიაქს 2010 წელს დააშენეს და აფთიაქიც დაიხურა. ს.ს. ელიაშვილისა - 9 აპრილისა და ჟორდანიას ქუჩების კუთხეში, ყოფილი ვაპიდის სახლი. მომდევნო წლებში სააფთიაქო ქსელს შეემატა გიორგი ნიკიტინის, თევდორე გობრონიძის, ს.ს. ავალიანის და სხვათა აფთიაქები. სააფთიაქო მაღაზიებს ფლობდნენ: ა. ო. ჯეროიანი, ი. ვ. იმნაძე, ე. გ. ქურჭიანი, ი. ტ. მიხაილიდი, ა. ნ. სტეფანოვი, მ. ს. სოგოიანცი, პ.დ.ჩანდარლიოტი, ნ. იაკალისი და სხვ.

ცოტა რამ გიორგი ნიკიტინის შესახებ. იგი ბათუმში მე-19 საუკუნის ბოლოს ქუთაისიდან გადმოსულა საცხოვრებლად. მას უმაღლესი ფარმაცევტული განათლება კიევში ჰქონია მიღებული. ცნობილი ქველმოქმედისა და პროვიზორის გ. ნიკიტინის ოჯახი ბათუმში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ოჯახად ითვლებოდა. გ. ნიკიტინმა ბათუმში გადმოსვლისთანავე დონდუკოვო-კორსაკოვის (ახლანდელი კონსტანტინე გამსახურდიას) ქუჩაზე იყიდა უზარმაზარი სახლი და პირველ სართულზე აფთიაქი გახსნა. ეს იყო ყველაზე დიდი აფთიაქი ბათუმში. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გ. ნიკიტინის განკულაკება ორ ეტაპად მოახდინა: 1922 წელს მას ჩამოართვეს სახლის დიდი ნაწილი (8 სულიან ოჯახს 23 ოთახიდან ექვსი დაუტოვეს) და აფთიაქი დიდძალი საქონელითა და წამლებით, ღირებული რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის,

მაშინდელი კურსით. შემდეგში ამ აფთიაქის საწყობებიდან მარაგდებოდა ბათუმის სხვა აფთიაქები (გაზ. „ბათუმელები", N36 (57), 22-29 სექტემბერი, 2004).

ქალაქ ბათუმში, ყოველწლიურად გამომავალ კალენდარში, 1902 წლისათვის კონკრეტულად ჩამოთვლილია ბათუმში იმ დროისათვის მოქმედი სამივე აფთიაქი და ცხრა სააფთიაქო მაღაზია, რომელთაგან ერთ-ერთი ეკუთვნოდა სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობას (12).

А П Т Е К И :

Витушинскаго В.А., арендаторъ провизоръ Н.А. Бялускй. Дондуково-Корсак., с. д., при аптекъ заводъ искуств. минер. водъ (ახლანდელი კონსტანტინე გამსახურდიას ქ. #3).

Петкевича Ю.Ю., уголъ Маринск. и Тифлисской, д. Іоселани (ახლანდელი მემედ აბაშიძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩების კუთხეში).

Элашвили С.С., уг. Михайловской и Лорисъ-Мелик., д. Каппиди (ახლანდელი ზვიად გამსახურდიას და ნოე ჟორდანიას ქუჩების კუთხეში).

Аптекарске магазины.

Джероянъ А.О., Лорисъ-Мелик. (ახლანდელი ნოე ჟორდანიას ქ.), д. Лемли-Оглы, Химическе продук., резин. изд., парфюмероя и пр.

Имнадзе И.В., Набережная (ახლანდელი გოგებაშვილის ქ.), д. Куртъ-Оглы.

Курджанъ Е. Г., Барятин. (ახლანდელი ვახტანგ გორგასალი ქ.), д. Мдивани

Михайлиди И.Т., Лорисъ-Мелик. (ახლანდელი ნოე ჟორდანიას ქ.), д. Ипполитова.

Степановъ А.Н., Кутаисская, д. Григоради.

Согоянцъ М.С., Кутаисская д. Муфтеазади.

Чандарлооти П.Д., Базарная (ახლანდელი ზურაბ გორგილაძის ქ.), прот. гауптвахты, Нуря.

Якалисъ Н., Оглобжинская у. (ახლანდელი მერაბ კოსტავას ქ.), Д. Хелимъ-Эфенди. Химическе продукты, резин. изд., парфюмерия русск. и заранич. фабрикъ, Фотографическоя принадлежности.

Кавказское Т-во торговли аптекарскими товарами, уголъ Михайловской и Маринскаго пр., с. д. (ახლანდელი ზვიად გამსახურდიას და მემედ აბაშიძის ქუჩების კუთხეში).

ქალაქში სააფთიაქო ქსელის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა ამ სფეროს მუშაკთა რაოდენობაც. 1909 წელს ბათუმის ოლქში დასაქმებული იყო 20 მუშაკი, მათ შორის 5 პროვიზორი და 7 მოწაფე. შეგირდს აფთიაქში მუშაობის სამი წლის შემდეგ უფლება ეძლეოდა ჩაებარებინა გამოცდები მეაფთიაქის თანაშემწის წოდების მისაღებად (22).

ცალკე უნდა ითქვას სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობის შესახებ, რომელმაც მე-19 საუკუნის მიწურულსა და XX-საუკუნის დასაწყისში, დიდი როლი შეასრულა აფთიაქების მომარაგების საქმეში და პრაქტიკულად, მისი მცდელობით გადაიჭრა მოსახლეობის სამკურნალო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საქონლით უზრუნველყოფის პრობლემა.

1882 წელს გაიხსნა სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობის მაღაზია ქ. თბილისში, კავკასიის მუზეუმის მოპირდაპირე მხარეს, მოსახვევში. ამ ამხანაგობის მთავარი კანტორა მდებარეობდა ქ. თბილისში, ხოლო განყოფილებები განთავსებული იყო ქ. ბათუმსა და ქ. ბაქოში. ეს იყო კავკასიაში პირველი სანიმუშო და მასშტაბური სავაჭრო საწარმო, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა კავკასიაში სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის საქმეში და თვალსაჩინო ადგილი რუსეთში მსგავს ფირმებს შორის. თბილისში 1907 წლისათვის 30-მდე სააფთიაქო მაღაზია იყო, მაშინ როცა მე-19 საუკუნის სამოციანი წლების ბოლოსათვის თბილისს არ ჰქონდა ადგილობრივი სააფთიაქო ვაჭრობა. პიონერი ამ საქმისა გახლდათ პროვიზორი არტემ სტეფანეს ძე ცურინოვი, რომელმაც 1872 წელს ამიროვთან ერთად გახსნა სოლოლაკის ქუჩაზე მცირე ზომის სააფთიაქო საწყობი, შედარებით მცირე კაპიტალით - თორმეტი ათასი რუბლით. ეს საწყობი იყო პირველი

და კარგა ხანს ერთადერთი, რომელმაც შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია. ამხანაგობა ოფიციალურად დაარსდა 1882 წლის 29 იანვარს და განთავსდა ხიტაროვის სახლში მუზეუმის პირდაპირ. 1882 წლის 23 ივლისს შედგა მეპაიეების პირველი საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ: კ. მ. ალიხანოვი, ი. ა. ამიროვი, ს. ი. ანანოვი, ს. ა. ამიროვი, მ. ო. არამიანცი, გ. ა. ახვერდოვი, ნ. ა. ბაბაევა, ა.ს. ბახუტოვა, კ.კ. ვეკმანი, ა. ა. მელიქ-აზარიანცი, პ. კ. მელიქ-კარაკოზოვი, მ. დ. როტონიანცი, ფ. კ. ოტენი, ხ. გ. ხაჩატუროვი, ა. ს. ცურინოვი, ე. ო. ცურინოვა და ა. ზ. ჩელოკაევა. ეს სია სპეციალურად მოვიტანეთ იმის საილუსტრაციოდ, რომ სამწუხაროდ ვერც ერთი ქართული გვარი იქ ვერ აღმოვაჩინეთ!!

1884 წელს გახსნა ამხანაგობამ განყოფილება ქ. ბაქოში. ბაქოს გამოცდილება, რომ თბილისის გარეთაც შეიძლებოდა სავაჭრო საქმიანობის მნიშვნელოვანი განვითარება, გამოიყენა ამხანაგობამ, როცა წყდებოდა საკითხი ბათუმში განყოფილების გახსნის შესახებ.

ბათუმში ქ. ოდესიდან პირდაპირ დაიწყეს საქონლის შემოტანა და უფრო იაფადაც ჰყიდდნენ, ვინაიდან თბილისიდან ამხანაგობის საქონელი ბათუმში აღწევდა კომისიონერებისა და აგენტების მეშვეობით ძვირად. შესაძლოა ოდესელებს განყოფილებაც გაეხსნათ. ამის გათვალისწინებითაც უკვე 1901 წელს გაიხსნა ბათუმის განყოფილება, რომელმაც 1918 წლამდე იარსება (22)

ბათუმის განყოფილება გაიხსნა ამხანაგობის მიერ შახნაზაროვისაგან საკუთრებაში შეძენილ, ორსართულიან ქვის შენობაში მიხაილოვის ქ-ზე (ეხლანდელი ზვიად გამსახურდიას ქუჩა).



სააფთიაქო საქონელით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობის ბათუმის განყოფილება (შახნაზაროვის ორსართულიან კერძო სახლში)

განყოფილების გამგედ ბაქოდან გადმოიყვანეს პროვიზორი ტატევოსოვი, 1903 წლის მეორე ნახევარში ის შეცვალა პროვიზორმა აგარონიანმა, რომელიც მოკლე დროში პროვიზორმა ბ. ი. ბრაბეკმა შეცვალა.


ბათუმის განყოფილების (ისევე როგორც ბაქოს) განვითარება შეაფერხა გაფიცვებმა და რევოლუციურმა გამოსვლებმა, რომელმაც 1905 წელს პიკს მიაღწია, 1906 წლიდან კი ნორმალიზება იწყო.



ბათუმის განყოფილების თანამშრომლები

ბათუმის განყოფილებას დაეკისრა მთელი დასავლეთ საქართველოს მომარაგება სააფთიაქო საქონლით, მათ შორის ზღვისპირა პორტებისა და რკინიგზის, ასევე ბათუმის საბაჟოზე შემოსული ამხანაგობის საქონლის განბაჟება, ყველანაირი საბაჟო ფორმალობების შესრულება და საქონლის კლასიფიკაცია, რაც ბევრად უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე საქმისათვის უცხო კომისიონერების მეშვეობით.

საერთო კრების წინაშე გამგეობის მიერ ბათუმის განყოფილების ანგარიშში 1906 წელს ნათქვამია, რომ „ბათუმის განყოფილებაში საქმის საერთო მდგომარეობა მტკიცდება, რისი საფუძველიცაა ცვლილებები მოსამსახურეთა შემადგენლობაში და საქმის უკეთ დაყენება. არის ნიშნები მომავალში საქმის სრული წარმატებით დაგვირგვინებისა“ (11). ამხანაგობის 25 წლიანი საქმიანობის ანგარიშის მასალებიდან ირკვევა, რომ მისი დამფუძნებლები



იყვნენ იოსებ არტემის-ძე ამიროვი და არტემ სტეფანეს-ძე ცურინოვი. ხოლო ამხანაგობას მართავდნენ ლუკასი (1882-1884), კ.მ. ალიხანოვი (1884-1899), კ.ს. სარქისოვი (1899-1907). ამხანაგობის

გამგეობა 1907 წლისათვის წარმოდგენილი იყო ოთხი წევრით: ს.ბ. ხალატოვი, კ.მ. ალიხანოვი, კ.ს. სარქისოვი და ა.ა. ჯანშიევი.

მედიკამენტებისა და სამედიცინო საქონლის სიმცირის, აგრეთვე სააფთიაქო მაღაზიების მხრივ კონკურენციის გამო, ზოგი აფთიაქი დაიხურა და წამლებით მოსახლეობის მომარაგება მთლიანად სააფთიაქო მაღაზიებმა იკისრეს. ზოგჯერ პირიქითაც ხდებოდა. აფთიაქების კონკურენციას ვერ უძლებდა და მაღაზიები იხურებოდა.

წიგნში „მათზე წერდა „აჭარა" ("გამომცემლობა „აჭარა", ბათუმი-2009), სტატიაში - „სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული კაცი" ჟურნალისტი ნუგზარ ჟორდანია წერს, რომ ქობულეთში ქართული სკოლის გახსნის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა დედე-აღა ნიჟარაძემ „სკოლის მშენებლობისათვის საჭირო სახსრების მოძიება დაიწყო და საამისოდ შემოიკრიბა პირველ აფთიაქის მეპატრონე ემირიძე, ვაჭარი სულეიმან ჯაფარიძე და სხვ. ამ ინფორმაციით ირკვევა, რომ 1890 წლისათვის ქობულეთში უკვე ყოფილა აფთიაქი, მაგრამ წყაროებში ის ყველგან მოხსენიებულია კოსინსკის აფთიაქად და სხვაგან არსად არ ჩანს, რომ მისი მეპატრონე ემირიძეა. ვფიქრობთ, ეს საკითხი დამატებითი შესწავლის ღირსია.

1887 წელს ბათუმში გაიხსნა 25 საწოლიანი ქსენონი, რომელიც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა კაპიტალიზმის კვალობაზე მზარდი ქალაქის მოთხოვნილებებს, ქსენონში მხოლოდ ერთი ექიმი იყო.

„...აფთიაქების გახსნა დაწყებულა აჭარის რაიონებშიც. მის შესახებ მკითხველს აუწყებს გაზეთი „ივერია": „ჩვენთან ერთი სასიამოვნო ამბავი მხოლოდ ისღა არის, რომ ამას წინათ პროვიზორმა ბ-ნმა ი. კასინსკიმ ჩვენს დაბა ჩურუქსუში აფთიაქი გამართა, თუმცა იმის სურვილს ერთი გავლენიანი კაცი არ სწყალობდა" („ივერია", 163, 31 ივლისი, 1890 წ.). ჩვენთვის უცნობია პროვიზორ კოსინსკის ვინაობა და ისიც, კერძოდ სად მდებარეობდა ეს აფთიაქი. არც ის ვიცით, რომელი გავლენიანი ჩინოვნიკი ეწინააღმდეგებოდა ქობულეთში აფთიაქის გახსნას. თუმცა ეს ცნობა საკურორტო ქალაქის

ისტორიისათვის მაინც საინტერესოა. როგორც ჩანს, ამ აფთიაქმა დიდხანს იარსება. 1921 წლისათვის ქობულეთში ერთი აფთიაქის ცნობა გვაქვს და ეს სწორედ ი. კოსინსკის მიერ გახსნილი აფთიაქი უნდა იყოს" (17).

1902 წლის 3 ოქტომბერს (ძვ. სტ.) ბათუმში გაიხსნა ქალაქის საავადმყოფო (ამჟამად რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო (8).

საავადმყოფოს აფთიაქი მუშაობას შეუდგა 1902 წლის 28 ოქტომბერს. აფთიაქს დაუთმეს 2 ოთახი. ერთ ოთახში იდგა კარადები მედიკამენტებისათვის, ხოლო მეორე გამოყენებული იყო მედიკამენტების სამარაგოდ, ბოთლების, სადეზინფექციო ხსნარების შესანახად.

აფთიაქის გამგედ მუშაობდა ექიმი ალ. შატილოვი. წამლების დამზადება დავალებული ჰქონდა საავადმყოფოს ფერშალს. ყველა გალენურ პრეპარატს აფთიაქი ღებულობდა კავკასიის ამხანაგობის ადგილობრივი საწყობიდან. ალკალოიდებს, ქლოროფორმს და სხვ. იწერდნენ ჰამბურგიდან ჯერ მერკის, შემდეგ ბრანდტისა და ტიმანისაგან, რაც გარკვეულწილად ეკონომიური იყო.

გახსნიდან 14 თვეში აფთიაქში შემოვიდა 3310 რეცეპტი. მხოლოდ სტაციონარული ავადმყოფებისათვის (ამბულატორიულ ავადმყოფებს აქედან წამლები არ ეძლეოდათ). რეცეპტის ყოველდღიური რაოდენობა საშუალოდ 20-ს უდრიდა.

ამავე პერიოდში აფთიაქში დაიხარჯა: სპირტი – 8 ვედრო (64 ლიტრი), ბენზინი 5 ფუთი (80 კგ.), მწვანე საპონი 10 ფუთი (160 კგ.), ქლოროფორმი 14 კგ., თერმომეტრი 16 დუჟინა (184 ცალი), შპრიცები -18 ცალი, მედიკამენტებისათვის გადაიხადეს 1442 მან. საფთიაქო საგნებისათვის 450 მან."(9).

1903წ. ხულოში, ქობულეთში, ართვინსა და არტანუჯში გაიხსნა საექიმო პუნქტები 10-15 საწოლით, სადაც ავადმყოფს ძირითადად ფერშლები მკურნალობდნენ.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ბათუმში მოღვაწე ქართველ და რუს ქველმოქმედთა ერთობლივი ძალისხმევით არაერთი სამკურნალო და სააფთიაქო დაწესებულება გაიხსნა. მათ შორის

აღსანიშნავია რუსი გენერალი, გრაფი ტატიშჩევი, რომელმაც 1896 წელს ბათუმის საავადმყოფოს მშენებლობისათვის 100 000 მანეთი გაიღო. სწორედ ამ და სხვა ქველმოქმედთა დამსახურებით, 1896 წლის 15 ოქტომბერს ბათუმში დაიწყო საავადმყოფოს მშენებლობა 120 საწოლით"(10).

1904 წელს ხ.მ. შმაევსკის ტიპოგრაფიაში ბათუმის თვითმმართველობის გადაწყვეტილებით დაიბეჭდა ქალაქის საავადმყოფოს წესდება, რომელიც დაამტკიცა შინაგან საქმეთა მინისტრმა, თავადმა სვიატოპოლკ-მირსკიმ (13). ბათუმის თვითმმართველობა, ქველმოქმედთა დახმარებით, დიდ მზრუნველობას იჩენდა ექიმთა საზოგადოების მიმართ. საავადმყოფოს წესდება ითვალისწინებდა მოსახლეობის მომსახურებას მინიმალური თანხების ფარგლებში, ქალაქში მუდმივად თუ დროებით მცხოვრებ მოსახლეობაზე, მიუხედავად წოდებისა და ეროვნებისა ...მთავარი ექიმი ანგარიშვალდებული იყო თვითმმართველობის წინაშე, თავის მხრივ თვითმმართველობა ყოველი თვის დასაწყისში საავადმყოფოს შესანახად გასცემდა გარკვეულ თანხას. ასევე ბათუმის თვითმმართველობა საავადმყოფოს მოთხოვნის საფუძველზე უთანხმდებოდა ქალაქის აფთიაქს, რომელიც გასცემდა მედიკამენტებს. ქალაქის თვითმმართველობა ერთგვარად საავადმყოფოსა და აფთიაქს შორის შუამავლის როლს ასრულებდა. საავადმყოფოს მიერ გაცემული რეცეპტების ნუსხა ინახებოდა აფთიაქში არსებულ განსაკუთრებულ წიგნში. ბათუმის თვითმმართველობას უფლება ჰქონდა გაეხსნა აფთიაქი ქალაქის საავადმყოფოსთან. როგორც საავადმყოფოს ისე აფთიაქის გერბს წარმოადგენდა ბათუმის გერბი წარწერით ქალაქის საავადმყოფო ან კიდევ ქალაქის აფთიაქი...

1905-1907 წლებში, რუსეთის იმპერიაში მიმდინარე მოვლენებმა (იაპონიასთან ომი, ეკონომიკური კრიზისი, რის გამოც რუსული ნავთი ვერ გადიოდა შორეულ აღმოსავლეთში) გამოიწვია აჭარაში სავაჭრო-სამრეწველო წარმოების დაცემა, რამაც ასახვა ჰპოვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სააფთიაქო დაწესებულებების საქმიანობაზე. მიუხედავად ასეთი კრიზისული ვითარებისა, გამო-

ჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც მორალური და ფინანსური დახმარება გამოუცხადეს აღნიშნულ დაწესებულებებს. ასეთი იყო ბათუმის პორტის სავაჭრო განყოფილება და ბარონი ნოლდე, რომელიც კავკასიის რეგიონს კურირებდა. 1905-1907 წლებში ბათუმის პორტმა საკუთარი სპეციალური სახსრებიდან ქალაქის სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სააფთიაქო დაწესებულებებს 17,500 მანეთი გამოუყო (14).

აღნიშნულ პერიოდში, ბათუმის თვითმმართველობას ქალაქის საავადმყოფოს შენახვისათვის საჭირო თანხა არ გააჩნდა, რაც აისახა ქალაქის თავის ივანე ანდრონიკაშვილის სპეციალურ მიმართვაში, გაკეთებული თვითმმართველობის 1905 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე. ბათუმის თვითმმართველობის ინიციატივით ამასთან დაკავშირებით მოწვეული იქნა ქალაქის საზოგადოების კრება, სადაც გენერალ-ადიუტანტმა, რუსმა თავადმა გოლიცინმა და კავკასიაში სამოქალაქო საქმეთა მმართველმა, გენერალ-მაიორმა ტროფიმოვმა, ქალაქში არსებული ვითარების გამო დიდი შიში და ძრწოლა გამოთქვეს. მათ მიმართვაში აღნიშნულია: „Город Батуми по своему географическому положению, находится в исключительных условиях, служа проводником для занесения в империю зараэных болеэней черэ свой порт и обяэань поэтому принимат для локализации етих болезней меры, требуюшых эначительных расходов" (15). როგორც ზემოთ თქმულიდან ჩანს, რუს მმართველებს რუსეთის იმპერიის და საკუთარი მოსახლეობის ბედი უფრო აწუხებდა და ამიტომ გასამრჯელოსაც არ იშურებდნენ.

1913 წელს მთელი აჭარის სამედიცინო ქსელი შედგებოდა ქ. ბათუმის ერთი საავადმყოფოსაგან, რომელშიც იმ დროს 81 საწოლი იყო, საავადმყოფოსთან არსებული ამბულატორიისა, ქოლერის საწინააღმდეგო 40 – საწოლიანი ბარაკისა და 2 სასოფლო საავადმყოფოსაგან (12 საწოლით). მთელ ამ ქსელს, აგრეთვე კერძო საუწყებო სტაციონარებს ემსახურებოდა ბათუმში გახსნილი 5 კერძო აფთიაქი (19).

ქოლერის, შავი ჭირის, პარტახტიანი და მუცლის ტიფების ეპიდემიებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ბათუმის ოლქის თურქებისა და ინგლისელების ოკუპაციის პერიოდში, მენშევიკების თარეშის დროს, როდესაც მთლად მოიშალა და გაჩანაგდა ის მცირედიც კი, რაც აჭარას გააჩნდა სამკურნალო გულის დარგში (19).

„...1910 წლისათვის ბათუმის ოლქში მოქმედებდა 7 აფთიაქი, რომელთაგან 5 იყო ნორმალური, ხოლო 2 სასოფლო. ყველა მათგანში წამლები იყიდებოდა სრული ასორტიმენტის მიხედვით. საანგარიშო წელს ამ აფთიაქებმა მიიღეს 86391 რეცეპტი, ამათგან შემოსავლის რიცხვმა 49531 მანეთს მიაღწია, ხოლო ხელზე გაყიდული წამლების შემოსავალი 6403 მანეთი იყო, ე.ი. სულ 55934 მანეთი.

აფთიაქების რევიზიას ატარებდა ოლქის ექიმი (ი.ნ. სოკოლოვსკი). არც ერთ შემთხვევაში არსებითი დარღვევა, შეცდომა და დანაშაული არ გამოვლინებულა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ აფთიაქის მუშაკები ტრადიციულად გამოირჩეოდნენ კეთილსინდისიერებით, პუნქტუალობითა და კოლეგიალობით.

1910 წლისათვის ბათუმის ოლქში მუშაობდა 22 ფარმაცევტი და 14 აფთიაქარის მოწაფე"(16).

ზემოთ აღნიშნული აფთიაქები ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის საოლქო მმართველობის საექიმო განყოფილებას და კავკასიის სამედიცინო სამმართველოს ექვემდებარებოდა.



ელიავას აფთიაქი (მერიის შენობის მოპირდაპირე მხარეს 1-სართულიან სახლში)

როგორც 1912 წლის ალმანახიდან ჩანს, ქ. ბათუმში ამ დროისათვის ფუნქციონირებს 5 აფთიაქი (21):

1. ვ. ა. ვიტუშინსკის
2. დ.მ. კანდელაკის
3. გ.ნიკიტინისა და კოკოჩევის
4. უ.უ. პეტკევიჩის
5. ს.ს. ელიაშვილის

და ერთი აფთიაქი ქობულეთში - კოსინსკის.

ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ ქ. ბათუმში 1912 წლისთვის არსებობდა ორი კერძო (ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური და ანალიზური) ლაბორატორია:

1. პროვიზორ გ.ლ. ავალიანის, მარინას პროსპექტისა და შერემეტიევოს ქუჩების კვეთაში, ელიაშვილის აფთიაქის გვერდით.
2. პროვიზორ ა.ი. კროლისა (ტაძრის შესახვევი, 8. პეტკევიჩის აფთიაქის ახლოს).


სამკურნალო დაწესებულებებიდან და ამბულატორიებიდან:

ქალაქის საავადმყოფო 120 საწოლზე, რომელსაც ჰქონდა ქირურგიული, თერაპიული, გინეკოლოგიური, სამეანო და მწვავე - გადამდებ სნეულებათა განყოფილებები.

სამხედრო ჰოსპიტალი 311 საწოლზე.

1-ლი კერძო ამბულატორიული სამკურნალო. ახდენდა სხვადასხვა სპეციალობების მიხედვით ავადმყოფთა ამბულატორიულ მიღებას. მდებარეობდა მარიას პროსპექტზე, პეტკევიჩის აფთიაქის გვერდით.

ქალაქის სადეზინფექციო კამერა (სადგური). განთავსებული იყო საქალაქო საავადმყოფოსთან ახლოს ცალკე შენობაში. გადამდებ სნეულებათა მქონე ავადმყოფების ტანსაცმელი და ნივთები დეზინფიცირდებოდა ორთქლით ან ფორმალინით უფასოდ. ასეთი ავადმყოფების საცხოვრებელი ფართებიც ასევე უფასოდ დეზინფიცირდებოდა სანიტარული ექიმის მითითებათა საფუძველზე.



კანდელაკის აფთიაქი

სამედიცინო და ფარმაცევტული თვალსაზრისით საინტერესო ცნობებია დაცული გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“, რომლის 500 ნომრიდან ჩვენამდე 40-მდე ნომერმა მოაღწია მხოლოდ. გაზეთი გამოდიოდა მემედ აბაშიძის რედაქტორობითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1919-1921 წლებში. გაზეთში შუქდებოდა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული საკითხები. ახალი ამბების სვეტში ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთ ინფორმაციასაც წავაწყდით. აი ისინიც:

„სააფთიაქო წამლებზე ნიხრის დარღვევის საჩივრები მიიღება საოლქო აფთიაქის გამგესთან“ (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 15 მაისი,1920 წელი, N 360);

„31 მაისს ქალაქის საავადმყოფოში იყო 82 ავადმყოფი, კიდევ მოიყვანეს 6. მორჩა და გამოეწერა 7. ამავე დღეს საავადმყოფოში იყო 2 მუცლის ტიფით ავადმყოფი და 2 შებრუნებითი ტიფით“ (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 15 მაისი,1920 წელი, N 360);

„ქალაქის თვითმართველობის სანიტარულ განყოფილების გამოკვლევით მაისის თვის განმავლობაში ქალაქში პარტახტიანი ტიფით ავათ გამხდარა 49 კაცი. მათ შორის 23 ყოფილა ადგილობრივი მცხოვრები. ყვავილით ავათ გამხდარა 17 კაცი, ამათგან ადგილობრივი მცხოვრები ყოფილა 13. შებრუნებითი ტიფით მაისის თვის განმავლობაში ავათ გამხდარა 10. ამათ შორის ადგილობრივი მცხოვრები, მხოლოდ ერთი კაცი ყოფილა. ეროვნების მიხედვით მაისის თვეში შებრუნებითი ტიფით ავად გამხდარა 9 რუსი და 1 თურქი. გარდა ამისა კიდევ ავად გამხდარა დივტერიტით-1, სკარლატინით-1, მუცლის ტიფით-1, და სხვ. მაისის თვის განმავლობაში დეზინფექცია 49 გაუკეთებიათ შენობისათვის“(გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 9 ივნისი,1920 წელი, N 378);

1920 წლის მაისში დასრულდა ქ. ბათუმის მცხოვრებთა აღწერა, შედეგი ამგვარია: ქალაქში სულ 43.348 კაცი მცხოვრები ითვლება, მათგან ქართველია 10.112, რუსები და სომხები (ლტოლვილებიანა)-20.138 ადამიანი, დანარჩენი მოსახლეობა სხვადასხვა ეროვნებისაა (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 22 მაისი,1920 წელი, N 365).

რეზიუმე

ჩვენს მიერ კიდევ ერთხელ შეჯერებული იქნა ლიტერატურაში არსებული მონაცემები იმ საარქივო-დოკუმენტურ წყაროებთან, რომლებიც პროფ. შ. მახარაძემ მოგვაწოდა და რომლებიც ჩვენც მოვიძიეთ აჭარის სახელმწიფო არქივში და შეგვიძლია დადასტურებულად ჩავთვალოთ ქ. ბათუმში პირველი აფთიაქებისა და სააფთიაქო მაღაზიების გახსნისა და არსებობის შემდეგი ქრონოლოგია:

ქ. ბათუმში აფთიაქი პირველად გახსნილა თურქთა ბატონობის დროს 1860 წელს ფრანგი ჟ. ბენლის მიერ. უცნობია, რამდენ წელს იარსება, სულ ცოტა, სამი წელი მაინც(2).

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ თურქთა ბატონობისაგან თავისუფალ ქ. ბათუმში პირველი აფთიაქი გაიხსნა 1879 წელს რუსი სამხედრო სააფთიაქო საქმის მცოდნე კილიჩენკოს მიერ. ამ აფთიაქმა 2 წელი იარსება.

1889 წელს ბათუმში გაიხსნა რიგით მე-2 აფთიაქი პროვიზორ ი. პეტკევიჩის მიერ.

1899 წელს ბათუმში რიგით მესამე აფთიაქი გახსნა პროვიზორმა ვ.ა. ვიტუშინსკიმ.

1900 წელს ბათუმში აფთიაქი გახსნა ს.ს. ელიაშვილმა.

1910 წლისათვის ბათუმის ოლქში მოქმედებდა 7-აფთიაქი (აქედან 5 ბათუმში), სადაც მუშაობდა 22 ფარმაცევტი და 14 აფთიაქარის მოწაფე.

1912 წლისათვის ბათუმში იყო 5 აფთიაქი: 1. ვიტუშინსკის 2. კანდელაკის 3. ნიკიტინისა და კოკოჩევის 4. პეტკევიჩის 5. ელიაშვილის

1915 წელს, ბათუმის ოლქში არსებობდა შემდეგი აფთიაქები: ნიკიტინის, კოკოჩევის, პეტკევიჩის, ვიტუშინსკის, ელიაშვილის, კანდელაკის, ქობულეთში კოსინსკის აფთიაქი, ჩაქვში კახიანის აფთიაქი, ართვინის ოლქში ჩხეიძის აფთიაქი არენდირებული აბოიანცის მიერ. ამ პერიოდში რეცეპტების რაოდენობა უდრიდა 95.915, ხოლო მოგების თანხა რეცეპტების მიხედვით შეადგენდა 58.519 (18).

1917 წელს აჭარაში მოქმედებდა 7 აფთიაქი

1921 წელს აჭარაში (გასაბჭოების მომენტისათვის) მოქმედებდა 10 აფთიაქი და სააფთიაქო მაღაზია. ბათუმის ოლქში ცხოვრობდა 25 ექიმი და 45 ექიმის თანაშემწე, 6 პროვიზორი და 24 ფარმაცევტი (22).

შედარებისათვის აღვნიშნოთ, რომ საქართველოში იმავე პერიოდისათვის ფუნქციონირებდა 161 აფთიაქი, რომელთაგან თვითმმართველობისა იყო-13, სამაზრო ერობისა-49, სამონასტრო-1, თემისა-1, სასოფლო-4, საზოგადოებრივი-5, დანარჩენი აფთიაქები კერძო პირებს ეკუთვნოდათ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. რ. სურმანიძე, ეტიუდები ფარმაციის ისტორიიდან. გაზეთი "ფარმაკონი", #6 (53), აგვისტო, 2008 წ.

2. ვლ.ჟღენტი, პ.გელბახიანი, ირ.ტატიშვილი, მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები, თბილისი,1971, გვ.545.

3. შ. მახარაძე, ზოგიერთი ცნობები სააფთიაქო დაწესებულებების შესახებ აჭარაში (1860-1915 წლებში), გაზ. „ფარმაკონი", #5-6 (62-63), მაისი-ივნისი, 2009 წ.

4. აჭარის ა/რ არქივი ფონდი ი-7, ანაწ.1, საქმე 46 გვ.1-22.

5. აჭარის ა/რ არქივი ფონდი ი-7, ანაწ.1, საქმე 461 გვ.13.

6. აჭარის ა/რ არქივი ფონდი ი-7, ანაწ.1, საქმე 183 გვ.17.

7. ვლ. მახარაძე, ფარმაციის ისტორიისათვის აჭარაში. გაზეთი „ფარმაკონი", #5 (52), ივლისი, 2008 წ.

8. რ. სურმანიძე, რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში. წიგნი I. ს.ს. „გამომცემლობა აჭარა", ბათუმი, 2001, გვ. 44.

9. იქვე, გვ. 65.

10. აჭარის ა/რ არქივი ფონდი ი-7, ანაწ.1, საქმე 244 გვ.5.

11. «Кавказское Товарищество Торговли Аптекарскими Товарами

въ Тифлисъ, отделенія; въ Баку и Батумъ. Очеркъ 25-лътней въятельности. 1882-1907г. стр.34-3512.

12. «Всеобщій Адресъ Ежегодникъ города Батума на 1902 годъ» , изд. книжнаго магазина М. Николадзе, Годъ I-й, стр. 88.

13.აჭარის ა/რ არქივი ფონდი ი-6, ანაწ.1, საქმე 635ა გვ.3.

14.აჭარის ა/რ არქივი ფონდი ი-6, ანაწ.1, საქმე 648 გვ.2.

15.აჭარის ა/რ არქივი ფონდი ი-6, ანაწ.1, საქმე 648 გვ.10.

16. რ.სურმანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ71.

17.რ. სურ¬მანიძე, ეტიუდები ფარმაციის ისტორიიდან. გაზეთი „ფარმაკონი", #6 (53), აგვისტო 2008 წ.

18. აჭარის ა/რ არქივი ფონდი ი-81, ანაწ.1, საქმე 123 გვ.7.

19. ნ.შაშიკაშვილი, ი.დიასამიძე, ი.ქურჩიშვილი, ნარკვევები სამედიცინო საქმის განვითარების შესახებ აჭარაში, თბილისი, 1958, გვ.15.

20. რ. სურმანიძე, რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში. წიგნი I. ს.ს. "გამომცემლობა აჭარა", ბათუმი, 2001, გვ. 385-386.

21. Южный берегъ черного моря. Русские субтропики. Климатолечебный курортъ БАТУМЬ. 1912 г. стр. 22-23.

22. თ.კომახიძე, აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, წიგნი II, ბათუმი, 2011, გვ. 94-95.

23. ვახტანგ გურული, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი III, თბილისი, 2019, გვ.18

24. იქვე, გვ.19

25. იქვე, გვ.596

თავი IV.

ფარმაცია საბჭოთა ბზარამდე 1921-1990

აჭარა საქართველოს ის კუთხეა, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე (ფართობი შეადგენს 3.0 ათას კვ.კმ., საქართველოს ტერიტორიის 4.2%) ბუნების მრავალსახეობაა წარმოდგენილი.

მდიდარია აჭარა მინერალური და სამკურნალო წყლებით, ჭარბობს რკინისა და გოგირდოვანი წყაროები: ქედის რაიონში-მერისის ჯგუფი, ნამონასტრევის წყლები, სოფ. კოკოტაურის ტუტეკირიანი წყლები (მისი ჩამოსხმა წარმოებს), დუმბაძეებისა და ბაკანეთის რკინის წყლები, შავაბურის სამკურნალო წყალი (თვალებისათვის), სოფ. აგარისა და ხულოს გოგირდოვანი წყლები და სხვ. სულ ცნობილია 63-ზე მეტი წყარო (აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ცნობარი), ნაკვეთი II, თბილისი, 1987, გვ.50).

აჭარის მხარე მდიდარია სამკურნალო მცენარეებით (როგორც ველურად მოზარდი, ისე კულტივირებული). ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების დიდი ნაწილი გამოიყენება მეცნიერულ მედიცინაში, ნაწილი კი-ხალხურ მედიცინაში. აჭარის ტყეების ბინადარი სამკურნალო მცენარეებიდან შედარებით უფრო ფართოდ გავრცელებულია აბზინდა, ამი კბილის, ალისფერი სათითურა, ასკილი, ბაღის პიტნა, ბოსტნის წალიკა, გვირილა, გულყვითელა, დვალურა, ვარდკაჭაჭა, ვირისტერფა, თავშავა, თუთუბო, კავკასიური სოჭი, კავკასიური ცაცხვი, კავკასიური ხარისძირა, კატაბალახა, კოწახური, კრაზანა, კულმუხო, კუნელი, მაჟალო, მარწყვი, მატიტელა, მეჭეჭიანი არყი, მთის პიტნა, მოცვი, მრავალძარღვა, ნეგო (უკვდავა), ორკბილა, ფარსმანდუკი, ფითრი, ფშატი, ქაცვი, ქრისტესისხლა, შვიტა, შმაგა, შროშანა, წითელი მოცვი, წყავი, ჭინჭარი, ხეჭრელი, ხურმა, ჯორისძუა (შვიტა) და ა.შ (ნ. ვარშანიძე, აჭარაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების სახეობრივი მრავალფეროვნება, ბათუმი, 2013).

1921 წლის 18 მარტს ქალაქი ბათუმი და მისი ოლქი ოკუპირებული იქნა საბჭოთა ხელისუფლების სამხედრო რევოლუციური კომიტეტის მიერ.

1921 წლის 20 მარტს დროებითმა სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა მოიხსნა თავისი მოვალეობა და მართვა-გამგეობა რევოლუციურ კომიტეტს გადასცა.

ბათუმის საოლქო რევკომი იყო საბჭოთა ხელისუფლების დროებითი საგანგებო ორგანო აჭარაში. მის ფუნქციას შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების შექმნა, განმტკიცება, საჭოების არჩევნების მომზადება და მთელი ძალაუფლების გადაცემა საბჭოებისადმი (ეს მოხდა 1922 წლის იანვარში (14-ში) საბჭოების პირველ ყრილობაზე. რევკომმა თავისი საქმიანობა შეწყვიტა).

რევოლუციურმა კომიტეტმა ძველი თვითმმართველობა გააუქმა. ჯერ განყოფილებები დაარსა, შემდეგ სახალხო კომისარიატები.

1921 წლის 20 მარტს შეიქმნა აჭარისტანის რევოლუციური კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება. გამგედ დაინიშნა ილია მამულია (20.03.1921-1.07.1921). შემდეგ ამ განყოფილებას ეწოდა ქ. ბათუმის და მისი ოლქის რევოლუციური კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილება. გამგედ - ალექსანდრე თუმანოვი (1. 07. 1921 –17.09.1921).

მედიკამენტების უქონლობამ და სააფთიაქო სისტემაში არსებულმა ქაოსმა ადგილობრივი ხელმძღვანელობა აიძულა 1925 წლის 6 ივნისს სააფთიაქო ქვეგანყოფილება სააფთიაქო სამმართველოდ გადაეკეთებინა და სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაეყვანა.

აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო - კომისარიატის სააფთიაქო სამმართველოს თავმჯდომარედ 1925 წლის 12 ივნისს დაინიშნა ოსმან კონცელიძე. მუშაობდა ამ თანამდებობაზე 1926 წლის 20 მარტამდე (ფ-რ-83, ანაწ. 2, საქ. 13, ფ.239. ფ-რ-83, ანაწ. 2. საქ.13, ფ. 373).

სააფთიაქო სამმართველო კვლავ გადაკეთდა ფარმაცევტულ განყოფილებად, რომლის გამგედაც 1929 წლის 18 იანვრამდე მუშაობდა ღვინეტაძე (ფ.რ.3, ანაწ.2. საქ.6, ფ. 108 ფ-რ-3, ანაწ.2. საქ.6, ფ. 92)

სააფთიაქო სამმართველოს სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ საშუალება მისცა სააფთიაქო სამმართველოს შეევსო აფთიაქებში ის მედიკამენტები და საჭირო საგნები, რაც აუცილებელ საშუალებას წარმოადგენდა.

სააფთიაქო სამმართველომ ფარმაცეტული განყოფილებიდან (ზოგ წყაროებში სააფთიაქო ქვეგანყოფილებადაა მოხსენიებული, ვ. მ.) გადაიბარა:

1. ქ. ბათუმში - 5 აფთიაქი
2. ქობულეთში - 1 აფთიაქი
3. გოროდოკში 1 აფთიაქი (გადაცემული იქნა იჯარით)
4. ქ. ბათუმში წითელი ნახევარმთვარის 1 აფთიაქი

აჭარის ასს რესპუბლიკის მთავრობამ სააფთიაქო სამმართველოს 58800 მანეთი გამოუყო, რის შედეგად წლიური რეალიზაცია 30000 დან 35000 მანეთამდე გაიზარდა.

1929-30 წლებში კვლავ გამოიყო 504000 მანეთი. ამ წლებში სააფთიაქო განყოფილების (თუ სამმართველოს) კომპეტენციაში შედიოდა:

1. ცენტრალური საწყობი;
2. სანიტ. და ჰიგიენის მაღაზიები;
3. ქ. ბათუმში 3 აფთიაქი;
4. მუშათა რაიონებში 2 აფთიაქი;
5. მაზრებში 4 აფთიაქი

(აჭარის არ ცსა ფ.რ. - 4, ანაწ. 1, საქ. 336, ფ 18).

1921 წლის 18 მარტს აჭარაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რომლის მუშაობასაც რევოლიციური კომიტეტი წარმართავდა. იმავე წლის 16 ივლისს საქართველოს რევოლიციურმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი N54, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალ¬ისტური რესპუბლიკის, როგორც საქართველოს საბჭოთა სო-

ციალისტური რესპუბლიკის ნაწილის, მოწყობის შესახებ. დეკრეტის მე-3 მუხლში ჩამოთვლილ იმ ორგანოებს შორის, რომლებიც აჭარის ასსრ განაგებდნენ, დასახელებულია ჯამრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი (1).

ჯამრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი სამკურნალო საქმის ცენტრალური ორგანო გახდა. კომისარიატს ჰქონდა შემდეგი განყოფილებები: 1) სამკურნალო; 2) სანიტარულ-ეპიდემიური; 3) ფარმაცევტული და 4) დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილება. 1922 წელს გახსნილ იქნა დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილება. ერთდროულად აჭარის წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საზოგადოებასთან დაარსდა სააფთიაქო განყოფილება, რომელიც 1936 წელს გაუქმდა, როგორც სააფთიაქო საქმის ხელმძღვანელობაში არსებული პარალელიზმი.

ახლადჩამოყალიბებული ფარმაცევტული განყოფილების უპირველესი და უმთავრესი ზომა იყო იმ დროს არსებული ყველა კერძო აფთიაქის ნაციონალიზაცია როგორც ქალაქში, ისე მაზრებში. აფთიაქში დარჩენილი მედიკამენტების მარაგი იყო ის ერთადერთი ფონდი, რაც პირველ ხანებში გააჩნდა განყოფილებას, რომელსაც ძალიან გაუჭირდა აფთიაქებიდან და ახლად დაარსებული ცენტრალურ სააფთიაქო საწყობიდან მედიკამენტების მიწოდება სამკურნალო დაწესებულებებისათვის, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა საჭიროებისათვის.

1921 წლის ბოლოსათვის აჭარაში უკვე მოქმედებდა 21 სამკურნალო - პროფილაქტიკური დაწესებულება, მათშორის 5 საავადმყოფო, 4 ამბულატორია – პოლიკლინიკა, 8 საექიმო უბანი, სამალარიო სადგური, 5 კბილის საექიმო კაბინეტი, რენტგენის კაბინეტი, 5 აფთიაქი, 5 სააფთიაქო მაღაზია და ა.შ. (4).

1921 წლის ბოლოს მედიკამენტების ნაკლებობა ძალიან გამწვავდა, რადგან აფთიაქებს უბრალო წამლებითაც კი არ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ მოქალაქეთა და სამკურნალო დაწესებულების მოთხოვნები. შექმნილი მდგომარეობიდან ჯანსახკომისარიატმა შეძლო გამოსვლა 1922 წლის მარტს ცენტრიდან მიღებული მედი-

კამენტების პარტიით. ამ გარემოებამ შესაძლებელი გახადა მეტნაკლებად ორგანიზებულად წარმართულიყო საქმიანობა. დაწესდა მტკიცე შტატი აფთიაქებში და ფასიანი მედიკამენტური დახმარების შემოღების შედეგად შესაძლებელი შეიქმნა წამლებზე ნიხრის დადება.

1922 წელს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპი) დროს დაშვებული იყო ნაციონალიზებული აფთიაქებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა არენდით კერძო პირებზე გადაცემა. 1923 წლიდან კი დაიწყო კერძო არენდატორებზე სააფთიაქო დაწესებულებების ჩამორთმევა. ამ ღონისძიებამ კვლავ გაართულა მდგომარეობა და მალე ისევ იმავე პირობებში ჩავარდნენ, როგორც 1921 წელს.

სახსრების უქონლობის გამო არ იყო საშუალება შეეძინათ მედიკამენტები საზღვარგარეთ ან სსრ კავშირის მსხვილ ცენტრებში, ამის გამო იძულებელი იყვნენ ეწარმოებინათ შემთხვევითი შესყიდვები ადგილობრივი სპეკულიანტებისაგან, რაც ნამდვილ ღირებულებაზე რამდენჯერმე ძვირად უჯდებოდათ და საქონელიც ხშირად უხარისხო იყო.

ზემოაღნიშნული და ზოგიერთი სხვა მიზეზების გამო შექმნილმა კრიტიკულმა მდგომარეობამ გამოიწვია მედიკამენტებზე ფასის 100% - ით გადიდება.

1923 წელს მდგომარეობა უკეთესი არ ყოფილა. იმ წელს მიღებული ზომებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. ქალაქში აფთიაქების რიცხვის შემცირება. (ორი აფთიაქი დაიხურა),
2. 1922 წელს დამზღვევ სალაროზე გადაცემული აფთიაქი უკან დაბრუნდა ფარმგანყოფილების განკარგულებაში,
3. მედიკამენტების ფასებზე საგრძნობი დაწევა,
4. ქალაქში არსებული მედიკამენტების ყველა მარაგის აღრიცხვაზე აყვანა,
5. ბათუმიდან ნებადაურთველად მედიკამენტების გატანის აკრძალვა.

ორმა უკანასკნელმა ზომამ მნიშვნელოვნად გააადვილა მედიკამენტების შეძენა(5).

აჭარის ასსრ საბჭოების I ყრილობის რეზოლუციაში ჯანდაცვის კომისარიატის მუშაობის შესახებ 1922 წლის 13 იანვარს, ვკითხულობთ: „მოისმინა რა მოხსენება ჯანდაცვის კომისარიატის მუშაობის შესახებ, აჭარის საბჭოების I ყრილობა იწონებს მის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებს. ყრილობა ასევე მიუთითებს ჯანდაცვის კომისარიატების ყველა რაიონსა და თემში საექიმო და ფარმაცევტული პუნქტების შექმნის აუცილებლობაზე და ხალხისათვის წამლების შეზიდვაზე".6

1925 წლისათვის თითქმის ყველა კერძო პირზე არენდირებული აფთიაქები სახელმწიფოს გადაეცა. ამ პერიოდიდან აფთიაქები დაიყო ორ ჯგუფად: ღია ტიპის-სამეურნეო ანგარიშზე მყოფ აფთიაქებად და დახურულ, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ აფთიაქებად.

სამედიცინო იარაღ-მოწყობილობებზე და აპარატურაზე სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად 1927 წელს გაიხსნა სპეციალიზებული სააფთიაქო საამქრო, 1930 წელს კი ოპტიკური განყოფილება, რომელიც მომსახურებას უწევდა დასავლეთ საქართველოს რეგიონებს.

1930 წლია 1 იანვრისათვის აჭარის სააფთიაქო სამმართველოს კომპეტენციაში შედიოდა: ცენტრალური საწყობი, მაღაზიები, სანიტარული და ჰიგიენის დაწესებულებები. ქ.ბათუმში 3 აფთიაქი მუშაობდა, მაზრებში 4 (შ.ცეცხლაძე, აჭარის მოკლე ისტორია, ქრონოლოგიური ჩანაწერები, ბათუმი, 2015, გვ.49).

1932 წელს გაუქმდა აჭარის ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის ფარმაცევტული განყოფილება და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს აჭარის განყოფილება.

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 9 თებერვლის N50 დადგენილების თანახმად აჭარის წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საზოგადოების შემადგენლობაში არსებული 1

აფთიაქი, 4 სანიტარულ – ჰიგიენური მაღაზია და 2 სანიტარული ფარდული გადაეცა საქ. მთავარი სააფთიაქო სამართველოს აჭარის განყოფილებას (მმართველი კობა თომას-ძე მეგრელიშვილი) მთელი თავისი აქტივითა და პასივით (7).

1939 წლისათვის საქართველოს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს აჭარის განყოფილების შტატი ასეთი იყო: განყოფილების მმართველი - 1, მმართველის მოადგილე, იგივე ინსპექტორი - 1, ეკონომისტი - მგეგმავი - 1, უფროსი ბუღალტერი - 1, უფროსი ბუღალტერის მოადგილე - 1, ბუღალტერი - 1, საქმისმწარმოებელი მემანქანე -1, შიკრიკი დამლაგებელი - 1(8).

აჭარის ფარმაცევტული განყოფილების უფროსი მეგრელიშვილი 1939 წელს 29 იანვარს თბილისში წერდა, რომ აჭარაში იხსნება 5 პუნქტის აფთიაქი შემდეგ ადგილებში:

1. შუახევი – ხულოს რ-ი; 2. ხიხაძირი – ხულოს რ-ი; 3. ცხმორისი – ქედის რ-ი; 4. გონიო – ბათუმის რ-ი; 5. ბობოყვათი – ქობულეთის რ-ი

პუნქტის აფთიაქი მაშინდელი დებულებით იყო უახლოესი აფთიაქის ფილიალი (განყოფილება) საიდანაც ის მარაგდებოდა საჭირო მზა წამლებით. პუნქტის აფთიაქი არსებობდა სოფლის საექიმო დაწესებულებებთან (საექიმო და საფერშალო პუნქტებთან და საავადმყოფოებთან). მათ ადგილზე წამლების მომზადების უფლება არ ჰქონდათ. პუნქტის აფთიაქის გამგე თავის მუშაობაში ემორჩილებოდა იმ აფთიაქის გამგეს, რომელზედაც ის იყო მიმაგრებული. პუნქტის აფთიაქს ბინით და ინვენტარით უზრუნველყოფდა ჯანდაცვის ადგილობრივი ორგანოები.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჯანმრთელობის დაცვის საქმე და მოსახლეობის სამედიცინო – სანიტარული მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუ 1924 წელს იყო 18 სამკურნალო - პროფილაქტიკური დაწესებულება, 1940 წელს – 114. 1921 აჭარაში იყო 1 საფერშლო პუნქტი, 1940 წელს კი – 14 (2).

1931-1941 წლებში აჭარის მაღალმთიან რაიონებში: ხულოში, ქედაში, სოფლებში: აჭარისწყალზე, მახუნცეთში, ოჩხამურსა და ქალაქ ბათუმში (მენავთობეთა დასახლებაში) აფთიაქები გახსნეს.

1940 წლის 1 იანვრისთვის აჭარაში იყო შემდეგი სააფთიაქო დაწესებულებები: ქ. ბათუმის #1, 2, 3, 4, 5, 6 და 7 აფთიაქები, ქობულეთის, ჩაქვის, ოჩხამურის, მახუნცეთის, ხულოს და ქედის აფთიაქები, სულ 13 ობიექტი, სადაც 70 ფარმაცევტი მუშაობდა, ასევე საწყობი და საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორია. ამ ობიექტებში დაშვებული იყო 180 საშტატო ერთეული, რომელთაგან 57 ერთეული იყო ვაკანტური – ძირითადად პროვიზორებისა და ფარმაცევტების.

II მსოფლიო ომის შემდგომი ფარმაცია

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში არსებითი გარდატეხა მოხდა ომის შემდგომ პერიოდში. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის ფართო ქსელი. მასში შედიოდა: საავადმყოფოები, დისპანსერები, სანიტარული განათლებისა და სამშობიარო სახლები, ამბულატორია-პოლიკლინიკები, სასწრაფო დახმარების, სისხლის გადასხმის, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და ჯანდაცვის პუნქტები, აფთიაქები და სხვა. 1950 წელს აჭარაში 113-ზე მეტი სამედიცინო დაწესებულება აღირიცხა (ო.თურმანიძე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომის შემდგომ პერიოდში (1946-1990 წწ), ბათუმი, 2005, გვ.469).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინტენსიურად დაიწყო სახალხო მეურნეობის განვითარება, მათ შორის ფარმაციის დარგისაც. სწრაფი ტემპით იზრდებოდა სააფთიაქო დაწესებულებათა ქსელი. გაიზარდა ფარმაცევტული ეროვნული კადრები, შეიქმნა უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლების სისტემა. ქვეყნის მეცნიერული პოტენციალი აქტიურად ჩაერთო რესპუბლიკის უმდიდრესი სამკურნალწამლო ფლორის შესწავლის საქმეში, რათა მაქსიმალურად გამოყენებულიყო ეს პოტენციალი მაღალეფექტური სამკურნალწამლო ფორმების შესაქმნელად.

ომის შემდგომი უახლესი პერიოდის ამოცანა იყო სააფთიაქო ასორტიმენტის ე.წ. „სამხედრო ასორტიმენტიდან" გადაწყობა მშვიდობიანი ეპოქის შესატყვის ასორტიმენტზე, რადგანაც სულ უფრო აქტუალური ხდებოდა დიდი სამამულო ომის ინვალიდთა, დემობილიზებულ პირთა, დედათა, სოფლის მშრომელთა და მოსახლეობის სხვა კატეგორიის პირთა მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სამკურნალწამლო საშუალებებსა და სამედიცინო საქონელზე (მ/შრორის სანიტარიის, ჰიგიენისა და ავადმყოფის მოვლის საგნებზე).

ომის შემდგომ პირველსავე წელს სააფთიაქო დარგის წინაშე დაისახა შემდეგი ამოცანები:

1) სააფთიაქო ქსელის გაფართოება, პირველ რიგში სოფლად (აფთიაქები და სააფთიაქო პუნქტები); ჯიხურების, ფარდულებისა და დატარებითი ვაჭრობის ქსელის აღდგენა და გაფართოება.

2) ადგილებზე დეცენტრალიზებული დამზადების მაქსიმალური გაზრდა, განსაკუთრებით ავადმყოფის მოვლის საგნების.

3) სამომხმარებლო კოოპერაციის ჩართვა ფართე მოხმარების ურეცეპტო წამლებისა და სააფთიაქო საქონლის გაყიდვის საქმეში.

4) უპირველესად სოფლად არსებული სააფთიაქო ქსელის მომარაგება სამედიცინო საქონლით.

5) სასაქონლო მარაგების ბრუნვადობის დაჩქარება პირველ რიგში, ცენტრალურ სააფთიაქო საწყობებში სასაქონლო მარაგების მკვეთრი შემცირება.

6) მედიკამენტებით ვაჭრობის კულტურის დანერგვა, გაფართოება და ამაღლება, რისთვისაც აუცილებელია აფთიქების უზრუნველყოფა ყველაზე უფრო გაყიდვადი სამედიცინო საქონლის სრული ასორტიმენტით, მოსახლეობისა და სამკურნალო დაწესებულების სისტემატური ინფორმირება (რადიოს, ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანოების, რეკლამისა და სხვ. მეშვეობით) აფთიაქებში არსებული საქონლისა და მათი შემცვლელების შესახებ აფთიაქებში სანიტარულ - საგანმანათლებლო სამუშაოების აღდგენა, ცნობათა ბიუროების აღდგენა და ორგანიზება, სადაც მოსახლეობასა და სამკურნალო დაწესებულებებს შესაძლებლობა ექნებათ

მიიღონ მონაცემები წამლების ან მათი შემცვლელების არსებობისა და გამოყენების შესახებ. სააფთიაქო მუშაკების სპეც. ტანსაცმლით უზრუნველყოფა, აფთიაქების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ჩატარება და ა.შ.

7). ოპტიკური სახელოსნოების საქმიანობის გადართვა ინდივიდუალური შეკვეთებით სათვალეების დამზადებაზე, ამ მიზნით საოლქო, რაიონულ და საქალაქო ცენტრებში, მსხვილ აფთიაქებში უნდა შექმნილიყო ოპტიკის სპეციალური კაბინეტები.

ზემოაღნიშნული უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრა მოითხოვდა ფარმაცევტული საქმიანობის მართვის სტრუქტურის შეცვლასაც.

1945 წელს შეიქმნა საქართველოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატთან მთავარი სააფთიაქო სამმართველო (ადრე იწოდებოდა სააფთიაქო განყოფილებად). სტატუსით ეს იყო დამოუკიდებელი სამმართველო ფინანსური საქმიანობის თვალსაზრისით, დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფებოდა და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დირექტივებით.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სააფთიაქო მეურნეობის მართვის მიზნით შეიქმნა საქართველოს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს აჭარის განყოფილება (პირველ ხანებში „სააფთიაქო სამმართველოდაც“ იწოდებოდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ჰქონდა სააფთიაქო განყოფილების საქმიანობის კონტროლის უფლება.

1946 წლის 15 მარტს აჭარის ასსრ სახალხო კომისარიატები აჭარის ასსრ სამინისტროებად გადაკეთდა, შესაბამისად, ჯანდაცვის სახალხო კომისარიატს გადაერქვა სახელი და ეწოდა ჯანდაცვის სამინისტრო პარალელურად საქართველოს სხვა რეგიონებში -სამხრეთ ოსეთში, ზუგდიდში, მახარაძესა და ქუთაისში შეიქმნა სარაიონათაშორისო კანტორები, რომლებიც რამდენიმე რაიონის სააფთიაქო დაწესებულებების მართვას ახორციელებდნენ.

საქართველოში 1946 წლისათვის 1 აფთიაქზე მოდიოდა 7,9 ათასი ადამიანი (შედარებისათვის, 1940 წელს 8,8 ათასი).

1945 წლიდან 1967 წლამდე აფთიაქები გაიხსნა: შუახევში, ხელვაჩაურში, კურორტ მახინჯაურში, სოფლებში-ხიხაძირში, დიოკნისში, სოფ.ქობულეთში, დაგვაში, ლეღვაში, მუხაესტატეში. ქალაქ ბათუმში - მე-8 და ქალაქ ქობულეთში-მე-2 აფთიაქები. აჭარის სააფთიაქო საწყობთან შეიქმნა გალენურ-საფასოო ლაბორატორია. გაუმჯობესდა წამლის ხარისხის კონტროლის სისტემა, რეკონსტრუქცია გაუკეთდა აფთიაქებსა და სააფთიაქო საწყობს, აღჭურვილი იქნა ისინი თანამედროვე ავეჯით, ტექნიკითა და იარაღებით.

დიდი ყურადღება დაეთმო ფარმაცევტული კადრების შერჩევასა და განაწილებას. დიდი სამამულო ომის დროს მრავალი გამოცდილი ფარმაცევტი ფრონტზე წავიდა, ბევრი დაიღუპა კიდეც. მრავალი თანამდებობა გამოუცდელ კადრებს ეკავათ. დემობილიზებული გამოცდილი ფარმაცევტებით არაკომპეტენტური კადრები შეიცვალა, რამაც გააძლიერა სააფთიაქო ქსელი და თითქმის ყველა ფარმაცევტული თანამდებობა დაკომპლექტებული იქნა კარგად მომზადებული უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრებით.

თუ 1917 წელს აჭარაში მოღვაწეობდა 5 პროვიზორი და 7 თანაშემწე, 1967 წლისათვის-56 პროვიზორი და 76 თანაშემწე იყო. ყოველ 14 ექიმზე ერთი პროვიზორი მოდიოდა. ერთ აფთიაქზე 1967 წელს 11.000 მცხოვრები მოდიოდა, 1945 წელს კი-14.300 მცხოვრები

აჭარაში ფარმაცევტული საქმის განვითარებას ხელი შეუწყო 1952 წელს ჩამოყალიბებულმა ფარმაცევტულმა სამეცნიერო საზოგადოებამ.

წამლის ხარისხის კონტროლის ორგანიზაცია

საქართველოში საბჭოთა ფარმაციის ფუძემდებლად აღიარებულია იოველ გრიგოლის-ძე ქუთათელაძე. იგი უნივერსიტეტმა მოიწვია ოდესიდან. ფარმაციის პროფესორი ი. ქუთათელაძე, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა პრაქტიკულ ფარმაციაშიც, კარგად ხედავდა, რომ ნაციონალიზებული აფთიაქების მარაგი ხარისხის მხრივ სანდო არ იყო. მან უნივერსიტეტის ფარმაცევტული კათედრის ასისტენტს ნიკოლოზ მასხულიას დაავალა შეესწავლა წამლის ხარისხი, რომელიც ადგილობრივი აფთიაქებიდან გაიცემოდა მოსახლეობაზე. ნ. მასხულიას მიერ ადგილობრივი აფთიაქებიდან საანალიზოდ აღებული 52 ნიმუშიდან 46-ის, ე.ი. თითქმის 90 %-ის უხარისხობა დადგინდა.

ი.ქუთათელაძის მითითებითა და ხელმძღვანელობით ნიკოლოზ მასხულიას მიერ ჩატარებულმა მუშაობამ დასაბამი მისცა წამალთა საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიების შექმნასა და აფთიაქში კონტროლის დაწესებას. ეს მოხდა მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში ჯერ არავის ეთქვა ანალიზური სამსახურის შექმნის თაობაზე სიტყვა და არც პრეპარატების ვარგისობის ვადების დადგენაზე. არამც თუ ჩვენს, არამედ ევროპისა და ამერიკის აფთიაქებშიც პრეპარატებს მარად ვარგისად მიიჩნევდნენ და არ ითვალისწინებდნენ, რომ დროთა განმავლობაში მათი ხარისხი უარესდებოდა.

სამკურნალო საშუალებებისა და აფთიაქში მომზადებული წამლის ფორმების ხარისხის ლაბორატორიულ-ქიმიური ანალიზებით შემოწმების აუცილებლობა ცხოვრებით იყო ნაკარნახევი, მაგრამ ამ საქმის ჯეროვნად გაშლას ხელს უშლიდა სათანადო კადრების ნაკლებობა, მატერიალური ბაზის (შენობები, მოწყობილობა და სხვ.) უქონლობა. არსებული სიძნელეების მიუხედავად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა პირობები სათანადო კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად.

1935 წლის 1 სექტემბერს საფუძველი ჩაეყარა საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორიის შექმნას აჭარაში. ამ საქმის ორგანიზაციისათვის N82 ბრძანების საფუძველზე თბილისიდან ბათუმში მოავლინეს პროვიზორი ბარბარე კონსტანტინეს ასული ბენდიანიშვილი. საორგანიზაციო მუშაობა გაგრძელდა 1936 წლის 1 აპრილამდე. დიდი სიძნელეების მიუხედავად, აჭარის ლაბორატორიამ მუშაობა დაიწყო 1936 წლის 10 აპრილიდან. იმხანად ბათუმში არსებობდა 7 აფთიაქი, რაიონებიდან ნიმუშების ჩამოტანა ევალებოდათ აჭარის განყოფილების ფარმაცევტ-ინსპექტორებს. ზოგი აფთიაქი კვლავაც ძველი პრინციპით მუშაობდა. პრეპარატები ინახებოდა ყოველგვარი ვადის აღუნიშნავად, ზოგიერთი უეტიკეტოდაც კი.

წამლის ხარისხის სათანადო დაცვას მიეძღვნა აჭარის ასსრ სააფთიაქო დარგის მუშაკთა თათბირი, რომელიც ჩატარდა 1936 წლის ნოემბერში. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი წამლის ხარისხის კონტროლის გაუმჯობესებისათვის. 1939 წლის სექტემბერში ლაბორატორიის ქიმიკოს-ანალიტიკოსად დაინიშნა პროვიზორი ნ. ჭყონია.

სხვადასხვა დროს ლაბორატორიაში მუშაობდნენ პროვიზორები: ნ. ჭყონია, ვ. ნანავა, ნ. ესებუა, თენგიზ ნაკაიძე, პ. დარახველიძე, ი. მოგელაძე, ვალენტინა პიხოვკინა, შალვა ახობაძე.

აჭარის ასსრ აფთიაქებში ექსპრეს-ანალიზის მაგიდების მუშაობა დაინერგა 1950 წლიდან, მომდევნო წლებში კი გაიხსნა საკონტროლო-ანალიზური კაბინეტები.[11]

1945 წელს აჭარის ფარმაცევტული განყოფილება აერთიანებდა 14 აფთიაქს, 7 სააფთიაქო მაღაზიას, სააფთიაქო საწყობს, საკონტროლო – ანალიზურ ლაბორატორიას და საფასოო – ოპტიკურ განყოფილებას (9).

სააფთიაქო ქსელის შემდგომი განვითარება

1950 წელს აჭარის ფარმაცევტული განყოფილება აერთიანებდა: ქ. ბათუმის N 1, 2, 3, 4, 5, 6, და 7 აფთიაქს, ასევე აფთიაქებს ჩაქვში, ქობულეთში, სოფ. ქობულეთში, ოჩხამურში, გონიოში, აჭარისწყალზე, მახუნცეთში, ქედაში, შუახევში, ხულოში, ხიხაძირში და ჭვანაში (I ჯგ. სააფთ. პუნქტი), სულ 19 სააფთიაქო დაწესებულებას, 4 მაღაზიას, ერთ საწყობს და ერთ საკონტროლო – ანალიზურ სააფთიაქო ლაბორატორიას (10).

1957 წლისათვის აჭარაში სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის ზრდის პარალელურად გაიზარდა აფთიაქების რიცხვიც, რომელთაგან 10 სოფლის მოსახლეობას ემსახურებოდა (ნ.ნიჟარაძე, ნ.ჯიბუტი, აჭარის ასსრ ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ბათუმი, 1957, გვ.147).

1960 წელს აჭარაში აღირიცხა 19 აფთიაქი და 6 I ჯგ. სააფთ. პუნქტი), სულ 25 სააფთიაქო დაწესებულება, რაც 12 ერთეულით აღემატებოდა 1945 წლის მაჩვენებელს. 1960 წლის შემდეგ აფთიაქების ქსელი დიდად არ გაზრდილა.

1967 წელს აჭარაში მუშაობდა 26 აფთიაქი, 3 სააფთიაქო მაღაზია, პირველი ჯგუფის სააფთიაქო პუნქტი–3, მე-2 ჯგ. სააფთიაქო პუნქტი–73, საკონტროლო - ანალიზური ლაბორატორია, სააფთიაქო საწყობი, გალენურ - საფასოო ლაბორატორია და ცნობათა ბიურო (3).

სააფთიაქო საქმის შემდგომ განვითარებას დიდად ხელი შეუწყო 1969 წელს მიღებულმა სსრ კავშირის კანონმა „ჯანდაცვის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო საფუძვლები". ამ კანონით განსაზღვრა ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელების პრინციპები, ფარმაცევტულ მუშაკთა პროფესიული მოვალეობები, უფლებები და შეღავათები, მათი პროფესიული ცოდნის სრულყოფის ამოცანები, სამკურნალწამლო დახმარების აღმოჩენის წესი, სამკურნალო საშუალებების წარმო-

ებაზე კონტროლის უზრუნველყოფა. განისაზღვრა ნომენკლატურა იმ თანამდებობებისა, რომელთა დაკავება შეეძლოთ უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლების მქონე პირებს.

ზემოაღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 1970 წლის 1 ივლისს. ამ პერიოდსითვის უკვე შემუშავებული იქნა დებულებები სააფთიაქო დაწესებულებების შესახებ, განისაზღვრა იმ თანამდებობათა ნომენკლატურა, რომელთა დაკავება შეეძლოთ უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლების მქონე პირებს.

მე-20 საუკუნის 60 - იანი წლების შუახანებამდე მთავარი სააფთიაქო სამმართველოს განმგებლობაში იყო სამედიცინო ტექნიკის მონტაჟის, რემონტისა და მომარაგების ორგანიზება. შემდეგ იგი გადაეცა რესპუბლიკურ კანტორას „საქმედტექნიკა“. ამ რეორგანიზაციის შედეგად საფთიაქო სამმართველოთა ძალისხმევა მთლიანად იქნა მიმართული სამკურნალო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საქონლით მოსახლეობისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების უზრუნველყოფაზე.

სააფთიაქო სამმართველოები სრულად იქნა გადაყვანილი სამეურნეო ანგარიშზე და დამოუკიდებლად ასრულებდნენ მათზე გადაცემულ ფუნქციებს. მათი საქმიანობის საფუძველი იყო სავაჭრო- საფინანსო გეგმა.

საქართველოს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს განმგებლობის სფეროში შედიოდა ჯანდაცვის დამოუკიდებელი დაწესებულებები - აფთიაქები, სააფთიაქო მაღაზიები, სააფთიაქო ჯიხურები, სააფთიაქო საწყობები, საკონტროლო ანალიზური ლაბორატორიები.

სააფთიაქო ქსელის გაფართოებას საფუძვლად ედო მოსახლეობის რაოდენობა ერთ აფთიაქზე. მე-20 საუკუნის 70 -იანი წლების მეორე ნახევრიდან ამოქმედდა ასეთი ნორმატივი - ქალაქის ტიპის დასახლებებში 11 ათას მცხოვრებზე ერთი აფთიაქი და 100 ფარმაცევტული თანამდებობა ყოველ ასი ათას მოსახლეზე.

სოფლად 7 ათას მცხოვრებზე ერთი აფთიაქში და 35-40 ფარმაცევტული თანამდებობა ყოველ ასი ათას მოსახლეზე. სოფლის ტი-

პის დასახლებაში, სადაც აფთიაქის გახსნა ეკონომიკურად არახელსაყრელი იყო, იხსნებოდა აფთიაქების ფილიალები და საფთიაქო პუნქტები.

გაანგარიშებებში არ შედიოდა საუწყებო აფთიაქები და ბიუჯეტზე მყოფი სამკურნალო - პროფილაქტიკური დაწესებულებების აფთიაქები.

ქალაქის აფთიაქების განლაგების ძირითად პრინციპად იქცა დასახლებული ტერიტორიის სტრუქტურულ ერთეულებად დაყოფა: საცხოვრებელი რაიონები და მიკრორაიონები, ხოლო სოფლად: რაიონული ცენტრები, მიზიდულობის ცენტრები, რიგითი დასახლებული პუნქტები.

ყველა ადმინისტრაციული რაიონის ცენტრში ერთ აფთიაქს უნდა შეესრულებინა ცენტრალური რაიონული აფთიაქის ფუნქციები და ის ტერიტორიულად უნდა ყოფილიყო ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოსთან კომპლექსში.

დასახლებულ პუნქტებში, სადაც საუბნო საავადმყოფოები იყო, იხსნებოდა აფთიაქი ან ფილიალი.



აჭარის ფარმაციის მოწინავეთა ერთი ჯგუფი. მეორე რიგში მარცხნიდან: გრიშა ბაქანიძე, უცნობი, დავით გაბრიაძე, ტარიელ ტოროტაძე,

რიგით დასახლებულ პუნქტებში, სადაც საფერშლო - საბებიო ან საფერშლო პუნქტები იყო, რეკომენდებული იყო სააფთიაქო პუნქტების გახსნა.

აფთიაქებისა და წვრილსაცალო სააფთიაქო ქსელის ტერიტორიული პრინციპით განლაგებამ სასოფლო დასახლებებში შესაძლებელი გახადა, რომ მომსახურების რადიუსი 5-7 კმ -მდე შემცირებულიყო, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვე 50-70 მცხოვრები ერთ კვ.მ-ზე.

მცირედასახლებიანი პუნქტების მქონე რაიონებში მომსახურების რადიუსი ერთ აფთიაქზე უფრო დიდი იყო, მაგრამ ამ პრობლემას ებრძოდნენ I და II კატეგორიის სააფთიაქო პუნქტების ორგანიზების მეშვეობით.

1980 წლისათვის საქართველო იყოფოდა შემდეგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად: 2 ავტონომიური რესპუბლიკა, ერთი ავტონომიური ოლქი, 51 ქალაქი, 65 რაიონი, 926 სასოფლო საბჭო, 61 დაბა და 4.5 ათასამდე სოფელი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში შედიოდა 5 რაიონი, 2 ქალაქი, 333 სოფელი, 5 დაბა. მოსახლეობა - 358 ათასი სული, სიმჭიდროვე -119,4 ადამიანი ერთ კვ. კილომეტრზე.

სააფთიაქო ქსელის განვითარების შედეგად უკვე 1975 წლისთვის 1 აფთიაქზე მოდიოდა 8.5 ათასი მცხოვრები (11.0 ათასი ადამიანი ქალაქად და 7.0 ათასი ადამიანი სოფლად). ცენტრალური რაიონული აფთიაქები.

სააფთიაქო საქმიანობის მართვის დეცენტრალიზაციისა და სოფლად სააფთიაქო ქსელის ხელმღვანელობის რეორგანიზაციის, ასევე სოფლის მოსახლეობის წამალთმომსახურების გაუმჯობესების მიზნით დიდი როლი შეასრულა ცენტრალური რაიონული აფთიაქების შექმნამ. ქვეყნის რაიონული დაყოფის პარალელურად, იქმნებოდა ცენტრალური რაიონული აფთიაქები 1942 წლიდან. განსაკუთრებით ტემპი მიეცა ამ საკითხს სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1958 წლის 7 ივნისის N297 ბრძანების შემდეგ. უკვე

60-იანი წლებიდან სოფლის მოსახლეობის ცხოვრების კულტურული დონის გაზრდამ, სოფლების გარდაქმნამ კეთილმოწყობილ დასახლებულ პუნქტებად გადამწყვეტი როლი შეასრულა სოფლის მოსახლეობის წამალთუზრუნველყოფის დონის ქალაქის დონესთან მიახლოების საქმეში.

ცენტრალურ რაიონულ აფთიაქებს დაეკისრა საორგანიზაციო-მეთოდური, საკონსულტაციო, სამეურნეო და მაკონტროლებელი ფუნქციები. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, რაიცენტრალურ აფთიაქებს დამატებით ეკისრებოდა სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის დაგეგმარება, ცალკეული სააფთიაქო დაწესებულების სტატისტიკური და ბუღალტრული ანგარიშგების დამუშავება, მათი საქმიანობის შედეგების კრებსითი მონაცემების შედგენა, ასევე დაქვემდებარებული აფთიაქების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება. ფაქტობრივად, ცენტრალური რაიონული აფთიაქები რაიონის სამოქმედო ტერიტორიაზე სააფთიაქო სამმართველოს ფუნქციებს ასრულებდნენ. ყოველივა ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყო სასოფლო აფთიაქების საქმიანობის სრულყოფასა და მოსახლეობის წამლით უზრუნველყოფის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

60-იანი წლების დასაწყისში საქართველოში 51 ცენტრალური რაიონული აფთიაქი ფუნქციონირებდა, ხოლო 1979 წლია 1 იანვრისათვის-53, რომელთაგან 12 გაერთიანებული იყო სარაიონათაშორისო კანტორებში.

ცენტრალური რაიონული აფთიაქები ყოველწლიურად წარადგენდნენ სააფთიაქო სამმართველოში კრებსით საბრუნავ უწყისებს და ცალკეული აფთიაქების მიხედვით საბრუნავ უწყისებს. კვარტალის ბოლოს კრებსით და ცალკეული აფთიაქის მიხედვით მონაცემებს მიმოქცევის ხარჯების, მოგებისა და ზარალის, დებიტორებისა და კრედიტორების შესახებ, ასევე ცნობებს სახელფასო ფონდის ხარჯვის შესახებ.

სააფთიაქო ქსელის ამ მნიშვნელოვანი რგოლის განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა 1964 წლიდან გატარებულმა ისეთმა ღონისძიებებმა, როგორიცაა დებულებების დამტკიცება

ცენტრალური რაიონული აფთიაქების და მათი მმართველების შესახებ, ფარმაცევტული და დამხმარე პერსონალის საშტატო ნორმატივების გაზრდა (დაემატა უფროსი პროვიზორისა და ქიმიკოს-ანალიტიკოსის საშტატო ერთეულები), რამაც ხელი შეუწყო ფარმაცევტული წესრიგის დაცვაზე კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას და აფთიაქებში პროდუქციის ხარისხის გაზრდას.

მასიური საველე სამუშაოებისა და მოსავლის აღების დროს სასოფლო რაიონებში სამკურნალწამლო დახმარების მოსახლეობასთან მიახლოების მიზნით ცენტრალური რაიონული აფთიაქებისა და მათი ქვემდებარე ობიექტების მიერ ორგანიზებული იქნა სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის დატარებითი და ჩამოტარებითი ვაჭრობა.

ზოგადად, სანიტარულ-ჰიგიენურ ღონისძიებებს რაიცენტრალური აფთიაქები ატარებდნენ ჯანდაცვის რაიონულ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში.

ცენტრალური რაიონული აფთიაქების მნიშვნელოვანი ფუნქცია ყოველთვის იყო მცენარეული სამკურნალწამლო ნედლეულის შეგროვების ორგანიზება და მოსახლეობაში სანიტარულ-საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარება.

აჭარის სინამდვილეში ცენტრალური რაიონული აფთიაქები ორგანიზებული იქნა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ხულოს რაიონებში. ქედისა და შუახევისა რაიონებში ასეთი მიზანშეწონილი არ იყო, რადგან ამ რაიონებში აფთიაქების რაოდენობა და მოქმედი დებულება ამის საშუალებას არ იძლეოდა.

ხელვაჩაურის რაიონში სააფთიაქო საქმის ისტორია აჭარისწყლიდან იწყება. 1925 წლის 12 ივლისს აჭარისწყლის სამაზრო აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება აჭარისწყალზე აფთიაქის გახსნის თაობაზე (ოქმი №4, არქივი რ-4, აღწერა 1, საქმე 89). მაგრამ აფთიაქი მხოლოდ 1926 წელს გაიხსნა. ეს იყო პირველი აფთიაქი ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე.

1956 წელს რაიონში იყო სამი აფთიაქი. მომდევნო წლებში აფთიაქები გაიხსნა გონიოში - 1946; მახინჯაურში-1956., აჭარისწყალზე-1965; ჩაისუბანში, ხელვაჩაურში, ახალშენში.

1986 წლისათვის რაიონში იყო 6 აფთიაქი (აჭარისწყალზე, ხელვაჩაურში, გონიოში, მახინჯაურში, ჩაისუბანში, ახალშენში). უბნის აფთიაქების უმეტესობას არ ჰქონდა მუშაობისათვის ნორმალური პირობები, სუსტი იყო მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ისინი ძირითადად მოსახლეობას ამარაგებდნენ მზა წამალთფორმებით და სამედიცინო საქონლით. წამლების მომზადება ადგილზე ნაკლებად ხდებოდა, გარდა ზოგიერთი აფთიაქებისა (აჭარისწყალი, მახინჯაური, ხელვაჩაური, გონიო). მიუხედავად ამისა, მათ დიდი როლი შეასრულეს მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის საქმეში.

ხელვაჩაურის ცენტრში აფთიაქი შედარებით გვიან გაიხსნა. მისი პირველი მმართველი იყო ბიჭიკო საყვარელიძე.

აფთიაქი მოთავსებული იყო ყოვლად შეუფერებელ, პატარა ფართობის მქონე ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებელ ბინაში. მოსახლეობა მას დიდად ემადლიერებოდა, მისი აფთიაქიდან უკმაყოფილო მომხმარებელი არ გასულა. იგი ამარაგებდა მოსახლეობას როგორც მზა ფორმის მედიკამენტებით, ასევე მოსამზადებელი საშუალებებითაც.

1960 წლიდან საექიმო უბნებში-საავადმყოფოებსა და ამბულატორიებში მასიურად იხსნებოდა პუნქტის ტიპის (II ტიპი) აფთიაქები, სადაც იყიდებოდა პირველადი დახმარების მზა სამკურნალწამლო საშუალებები, სამედიცინო დანიშნულების საქონელი.

ხელვაჩაურის აფთიაქი 70-იანი წლებში გადაკეთდა ცენტრალურ რაიონულ აფთიაქად. აფთიაქი აღჭურვილი იყო საჭირო აპარატებით, მუშაობდნენ კვალიფიციური კადრები. ამ აფთიაქის მშენებლობაში, მის მოწყობა - მომარაგებაში დიდი წვლილი მიუძღვის პროვიზორ თემურ ფალავანდიშვილს. აფთიაქი აშენდა 1967 წელს. აფთიაქი აშენებული იქნა ხელვაჩაურში ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე, შენობა იყო კაპიტალური, ორსართულიანი, ტიპიური პროექტით აშენებული.

თ. ფალავანდიშვილი რაიონულ აფთიაქს ხელძღვანელობდა 1967 წლიდან 1980 წლამდე. მისი ინიციატივით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა, მომზადდა და დაკომპლექტდა აფთიაქი კვალიფიციური კადრებით. მოამარაგა საჭირო აპარატებით, მოწყობილობებით, ინვენტარით. აფთიაქი ამარაგებდა მედიკამენტებითა და სამედიცინო საშუალებებით დაქვემდებარებულ სასოფლო აფთიაქებს, რაიონულ და საუბნო საავადმყოფოებს, ამბულატორიებს, საფერშლო-საბებიო პუნქტებს. უზრუნველყოფდა სამედიცინო დაწესებულებებს როგორც მზა წამალთფორმებით, ისე საინექციო ხსნარებით, რომლებიც მზადდებოდა სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნის დაცვით.

თ. ფალავანდიშვილის მიერ ორგანიზებული იყო სამკურნალო მცენარეთა დამზადება, რომელიც იგზავნებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში. ამისათვის მან გამოაყოფინა მიწის ნაკვეთი, დაამონტაჟა ე.წ. ანგარი, აღჭურვა ნედლი მცენარეული ნედლეულის დასაქუცმაცებელი და საშრობი მოწყობილობებით. ამზადებდნენ ძირითადად ევკალიპტის ფოთოლს, ასკილის ნაყოფს, ორკბილას ბალახს, სიმინდის ულვაშს, მოცვის ნაყოფს, პიტნის ბალახს, სიმინდის ულვაშს და სხვ. ამ საქმის უშუალო ხელმძღვანელი და ნიჭიერი ორგანიზატორი იყო ლამბო ელენიდი.

რაიონის სააფთიაქო ქსელში სხვადასხვა დროს წარმატებით საქმიანობდნენ: თემურ ფალავანდიშვილი - რაიონული აფთიაქის ხელძღვანელი 1967-1980 წლებში. ვანო ელიავა - აჭარისწყლის აფთიაქის მმართველი (1965-1976); ვლადიმერ მახარაძე - ცენტრალური რაიონული აფთიაქის უფროსი პროვიზორი (1978-1980); თენგიზ დიდმანიძე-ჭარისწყლის აფთიაქის მმართველი (1976-1980); ინეზა სიხარულიძე - 1987 წლიდან რაიცენტრალური აფთიაქის ჯერ რეცეპტორ-კონტროლიორი, ერთი წლის შემდეგ - მმართველის მოადგილე, 1981 წლიდან - მმართველი. ამირან შამილაძე - რაიცენტრალური აფთიაქის მმართველის მოადგილ (1978-1979);

თამაზ ავალიანი-აჭარისწყლის აფთიაქის მმართველი (1980-1985); თამარ ზოიძე - 1976 წლიდან რეცეპტარ-კონტროლიორი,

შემდეგ კი-მმართველის მოადგილე და სხვა პროვიზორები და ფარმაცევტები.

ქობულეთში ცენტრალური რაიონული აფთიაქი ჩამოყალიბდა სამოცდაათიანი წლების დასაწყისში. 1980 წლისათვის იგი აერთიანებდა 8 აფთიაქს, ესენია: ქ. ქობულეთის N2 აფთიაქი, სოფ. ქობულეთის, მუხაესტატეს, ოჩხამურის, ლეღვას, დაგვას და ჩაქვის აფთიაქები. ქსელს ორ ათეულ წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა გამოცდილი პროვიზორი ავთანდილ მაჭავარიანი.

ქობულეთის მე-2 აფთიაქს დიდხანს ხელმძღვანელობდა პროვიზორი შალვა პატარაია.

ხულოს რაიონში ცენტრალური რაიონული აფთიაქი ჩამოყალიბდა სამოცდაათიანი წლების დასაწყისში. იგი აერთიანებდა სოფლების: ხიხაძირის, დიოკნისისა და ღორჯომოს აფთიაქებს და 12 მე-2 ჯგ. საავთიაქო პუნქტს. ცენტრალურ რაიონულ აფთიაქს დაარსებიდან 1987 წლამდე ხელმძღვანელობდა გამოცდილი პროვიზორი ზაქრო ბოლქვაძე.

1980-იან წლებში ქედის რაიონში სულ 3 აფთიაქი ფუნქციონირებდა: დაბა ქედაში, მახუნცეთსა და ცხმორისში. დაბა ქედის აფთიაქს ხანგებლივი დროის მანძილზე ხელმძღვანელობდა პროვიზორი ალი მჟავანაძე.

შუახევის რაიონში ზემოაღნიშნული პერიოდისათვის იყო ერთი აფთიაქი (დაბა შუახევში) და ერთი 1-ლი ჯგ. საავთიაქო პუნქტი (სოფ. ჭვანაში). 1987 წელს შუახევის რაიონში სოფ. შუბანში გაიხსნა ახალი აფთიაქი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროვიზორი ვალიკო ცეცხლაძე.

1964 წლისთვის საქართველოში იყო 513 აფთიაქი, მათ შორის I კატეგორიის - 1; II კატეგორიის - 36; III კატეგორიის - 28; IV კატეგორიის - 53; V კატეგორიის - 108; VI კატეგორიის - 287. როგორც ჩანს, VI კატეგორიის აფთიაქების ხვედრითი წილი 50 %-ზე მეტია, ამასთანავე ასეთი აფთიაქები აღჭურვილი იყო მოძველებული ავეჯით და აღჭურვილობით, განთავსებული ძირითადად მოუხერხებელ შენობებში.

1967 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს ყველა სააფთიაქო დაწესებულებაში შემოღებული იქნა 5 - დღიანი სამუშაო კვირა. მალე გაირკვა, რომ ამ ღონისძიებას მოჰყვა მოსახლეობის უკმაყოფილება და წამალთუზრუნველყოფის გაუარესება, ამიტომ 1968 წლიდან აფთიაქები კვლავ გადაყვანილი იქნა 6 დღიან სამუშაო კვირაზე. 5-დღიანი სამუშაო კვირის რეჟიმი ქალაქში დარჩა მართვის აპარატებში, სავაჭრო - საწარმოო კანტორებში, სააფთიაქო სამმართველოებში, სარაიონათაშორისო კანტორებში, ასევე საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიებში.

70-იან წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სააფთიაქო ქსელი. ახალი აფთიაქები გაიხსნა: ცხმორისში, ღორჯომში, ჭვანაში, ახალშენში, ჩაისუბანსა და ბობოყვათში, ქ.ბათუმში N9 და N 10 აფთიაქები. ხელვაჩაურის რაიონში ამოქმედდა სამკურნალო მცენარეთა დამზადების განყოფილება, რომელიც 18 დასახელების მაღალხარისხოვან სამკურნალო მცენარეულ ნედლეულს აგზავნიდა საბჭოთა კავშირის სხვდასხვა რესპუბლიკაში.

საინფორმაციო სამსახურის გაუმჯობესების მიზნით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან დაარსდა საინფორმაციო კაბინეტები, რამაც გააუმჯობესა ექიმთა ინფორმირებულობა. ექიმებს რეგულარულად მიეწოდებოდათ დროებით დეფიციტზე მყოფი წამლების, აგრეთვე მათი სრულფასოვანი შემცვლელების სიები.


საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 მარტის N164 დადგენილებამ „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" ხელი შეუწყო აფთიაქის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. აშენდა სააფთიაქო საწყობები: თბილისში, ქუთაისში, სოხუმში და ბათუმში.

1979 წელს აჭარაში ფუნქციონირებდა 31 აფთიაქი, მათ შორის:

ქ.ბათუმში იყო-9; ქობულეთის რაიონში-8; ხელვაჩაურის რაიონში-6; ქედის რაიონში-3; ხულოს რაიონში-4; შუახევის რაიონში-

1 (5. საბჭოთა აჭარის 60 წელი. სტატისტიკური კრებული, ბათუმი, 1981, გვ.169).

1979 წელს აჭარაში ფუნქციონირებდა 263 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, მათ შორის-39 საავადმყოფო, 3 სამშობიარო სახლი, 64 ამბულატორია-პოლიკლინიკა, 140 საფერშლო-საბებიო პუნქტი, 9 სპეციალიზებული დისპანსერი, 8 სანეპიდსადგური (თ. კომახიძე, აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, ნაწილი II, გვ.76).



ბათუმის #1 აფთიაქის საასისტენტო განყოფილება

1979 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში აღირიცხებოდა 576 აფთიაქი (სადაც დასაქმებული იყო 1547 პროვიზორი და 2398 პროვიზორის თანაშემწე), ამათგან ქალაქად-232, მათ შორის: I კატეგორიის-12, II კატეგორიის-57, III კატეგორიის-47, IV კატეგორიის-78, V კატეგორიის-33, და VI კატეგორიის -11; სოფლად-344, მათ შორის: IV კატეგორიის-3, V კატეგორიის-81, და VI კატეგორიის-260; ცენტრალური სააფთიაქო ბაზა ქ. თბილისში-1, სააფთიაქო საწყობები აფხაზეთისა და აჭარის სააფთიაქო სამმართველოებთან, ზუგდიდისა და ქუთაისის სარაიონათაშორისო კანტორებთან-4; სააფთიაქო მაღაზია-29; სააფთიაქო ჯიხური-84; I ჯგუფის სააფთიაქო პუნქტი-49; II ჯგუფის სააფთიაქო პუნქტი-400;

საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორია-17; სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადების განყოფილება-1; სამრეწველო საწარმო-1.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1980 წლის 19 მარტის N222 დადგენილებაში „საქართველოს სს რესპუბლიკაში სააფთიაქო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" სათანადო უწყებებსა და სამინისტროებს მიუთითა აფთიაქებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ.

1981 წელს აჭარაში მუშაობდა 30 აფთიაქი და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან არსებული ე.წ. დახურული ტიპის 11 აფთიაქი, სააფთიაქო მაღაზია-3, 1-ლი ჯგ. სააფთიაქო პუნქტი-1, მე-2 ჯგ. სააფთიაქო პუნქტი-75, საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორია-1, სააფთიაქო საწყობი-1.

1983 წელს ბათუმში აშენდა ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო სააფთიაქო ბაზა (დირექტორი ვლადიმერ მახარაძე), რომლის საერთო ფართობი 6500 კვ. მ. იყო, ხოლო წლიური საქონელბრუნვა 5 მლნ. მანეთს აღემატებოდა. ეს ბაზა ემსახურებოდა არა მარტო აჭარის, არამედ დასავლეთ საქართველოს რაიონებსაც. ამავე შენობაში განლაგდა საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორია, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარითა და აპარატურით.



მარცხნიდან: ნოდარ სუსარეიშვილი, ოთარ ბზიკაძე, შოთა აფხაზავა

1984 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ქ.ბათუმის მე-4 აფთიაქის ახალი შენობა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი საჩვენებელი აფთიაქი საქართველოში, როგორც მზა წამალთფორმების ასორტიმენტის მრავალფეროვნებით, ისე ინდივიდუალურად ექიმის მიერ დანიშნული წამლების მომზადების რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. აფთიაქი უფასოდ ემსახურებოდა მეორე მსოფლიო ომის ინვალიდებს, მონაწილეებს, 3 წლამდე ასაკის ბავშვებს.

სტაციონარულ ავადმყოფთა უკეთესი წამალთმომსახურების მიზნით იქმნებოდა საავადმყოფოთაშორისო აფთიაქები. ასეთი აფთიაქი ქ. ბათუმში გაიხსნა 1986 წელს. მანამდე გაიხსნა საქართველოს სხვა ქალაქებში: თბილისში, გორში, თელავში, რუსთავსა და ქუთაისში.

ბათუმის საავადმყოფოთაშორისო აფთიაქი (გამგე თამაზ ავალიანი), მთლიანად უზრუნველყოფდა აჭარის მსხვილ სტაციონარულ დაწესებულებებს მზა წამლებით და ექსტემპორალური წამალთფორმებით. აქ გაკეთდა კეთილმოწყობილი ასეპტიკური ბლოკი, სადაც მზადდებოდა საინექციო და ასეპტიკური წამალთფორმები სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების დაცვით.

საქართველოს მსხვილ ქალაქებში და მათ შორის ქ. ბათუმშიც საავადმყოფოთაშორისო აფთიაქის გახსნით კიდევ უფრო გაუმჯობესდა მოსახლეობის უზრუნველყოფა სამკურნალწამლო საშუალებებით, ვინაიდან სამეურნეო ანგარიშზე მყოფი აფთიაქები გათავისუფლდა სამკურნალო დაწესებულებების მომარაგების ფუნქციებისაგან, რამაც საშუალება მისცა ამ აფთიაქებს მთელი თავისი ძალისხმევა მიემართათ შიდასააფთიაქო დანამზადების გაზრდისაკენ, რეცეპტების მიხედვით წამლის ფორმების მომზადების ვადების შემცირებისაკენ, უფრო გულდასმით თვალყური ედევნებინათ და ეკონტროლებინათ საწყობებში სამკურნალწამლო პრეპარატების სრული ასორტიმენტის არსებობა. საავადმყოფოების მომარაგებიდან მოხსნის შემდეგ ზოგიერთ აფთიაქს შეუმცირდა საბითუმო საქონელბრუნვა, მაგრამ საკმაოდ სწრაფად აღადგინეს ბალანსი სააფთიაქო საქონლის მოსახლეობისადმი გაზრდილი რეალიზაციის ხარჯზე.

1987 წლისათვის აჭარაში მოქმედებდა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი 31 აფთიაქი, 75 მე-2 ჯგ. სააფთიაქო პუნქტი, 3 სააფთიაქო მაღაზია, 5 სააფთიაქო ჯიხური, სამკურნალო დაწესებულებებთან - 9 ე.წ. დახურული აფთიაქი. მედიკამენტების ხარისხს ამოწმებდა საკონტროლო-ანალიზური სააფთიაქო ლაბორატორია, ხოლო მთელ ამ სისტემას ამარაგებდა ცენტრალური სააფთიაქო საწყობი (1,გვ.49).



მარცხნიდან თეიმურაზ ფალავანდიშვილი, რეზო ბოლქვაძე, ვლადიმერ მახარაძე, უცნობი, რეზო დოლბაია, ალექსანდრე ვინოკური, გოგი დობორჯგინიძე, შოთა აფხაზავა, დავით გაბრიაძე, ამირან შამილაძე, ტარიელ ტოროტაძე, ნუგზარ შარაძე, გრიშა ბაქანიძე, ლევან ახალაძე. 1984 წელი, 8 მარტი

საბჭოთა წყობილების მზე ჰორიზონტს ეფარებოდა და ძალიან ცოტა დრო იყო დარჩენილი სისტემის დემონტაჟამდე და საბჭოთა კავშირის დაშლამდე, პრობლემები კი იმდენად ბევრი იყო, რომ მათი ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს, თუმცა ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე მაინც შევჩერდებით. 1987 წელს საბჭოთა მთავრობამ განსახილველად გამოიტანა პროექტი „სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“. მასში სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურდღება ეთმობოდა მოსახლეობის

სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფასა და სააფთიაქო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ (1987 წლის 14 ოქტომბერს) გამოეხმაურა ამ სიახლეს და უძღვნა ვრცელი მიმოხილვა სათაურით - „ავადმყოფი წამალს ითხოვს“. აღნიშნული საგაზეთო სტატია იწყება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სააფთიაქო ქსელის მდგომარეობის ანალიზით და აღნიშნავს, რომ ქვეყანაში მოქმედი ნორმატივების მიხედვით აჭარას აკლია 14 აფთიაქი. მოქმედი აფთიაქების უმეტესობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იყო შეუფერებელი, მათი ფართობი სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდა საკავშირო ნორმატივებს, რაც გარკვეულ დაღს ასვამდა წამლის დროულად მომზადების, სწორად შენახვისა და რეალიზაციის წესებს. დარღვეული იყო აფთიაქების დისლოკაციაც, ქალაქის რეგიონები განიცდიდა აფთიაქების ნაკლებობას; ასე მაგ. ბათუმში მოსკოვის ქუჩის, ლეონიძის ქუჩისა და ლუდის ქარხნის დასახლებებში აფთიაქები არ იყო.



მარცხნიდან: ამირან შამილაძე, ლევან ახალაძე, ვლადიმერ მახარაძე, სულხან სუთიძე, ამირან ცინცაძე, ამირან როსტიაშვილი. 1988 წლის 7 ნოემბერი. შესვენება აღლუმის შემდეგ.

განსაკუთრებით იგრძნობოდა წამლის დეფიციტი, ზოგიერთი წამალი კი იშვიათად იშოვებოდა. შეზღუდული რაოდენობით შემოდიოდა ატფ, ლიდაზა, მინისებური სხეული. 500-600 ავადმყოფი იდგა რიგში ისეთი პრეპარატების მოლოდინში, როგორიცაა სოლკოსერილი, ცერებროლიზინი, რუმალონი, დოქსიუმი, ანტისტაფილოკოკური გამაგლობულინი, რიბოქსინი და მრავალი სხვა.

სტატიაში ასევე საუბარია წამლის არარაციონალური დანიშვნისა და გამოყენების პრობლემებზე. ზოგჯერ ისეთ წამალსაც უწერენ ექიმებიო, რომელიც ქსელში საერთოდ არ მოიძებნებაო და იწყება „სანუკვარი" წამლის მოძიების რთული და აუტანელი პროცესი, გაუთავებელი კონფლიქტი ფარმაცევტებსა და ავადმყოფებს შორისო, - წერდა გაზეთი.

გარდაქმნა სჭირდებოდა ფარმაციის სპეციალისტებსაც. კადრების საჭირო ადგილებზე დამაგრების მიზნით ხელვაჩაურის ცენტრალურ რაიონულ აფთიაქთან და ბათუმის საავადმყოფოთაშორისო აფთიაქთან მოეწყო საერთო საცხოვრებლები.

იგეგმებოდა ქობულეთში, ხულოსა და შუახევში ტიპიური აფთიაქების აშენება.

1988 წლის დასაწყისში შეიქმნა ერთიანი საინფორმაციო სამსახური ანუ ცენტრალიზებული ცნობათა ბიურო. იგი განთავსდა საფთიაქო სამმართველოს შენობის პირველ სართულზე. ცენტრალურმა ცნობათა ბიურომ თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წამლის მოძიებისა და დეფიციტის აღმოფხვრის საქმეში.

1990 წელს, კომუნისტური მმართველობის დასასრულს აჭარაში იყო:

აფთიაქი (საზოგადოებრივი, ე.წ. ღია ტიპის) - 35
საავადმყოფოს (ე.წ. დახურული ტიპის) - 8
საავადმყოფოთაშორისო აფთიაქი - 1
1-ლი ჯგ. საფთიაქო პუნქტი - 1
მე-2 ჯგ. საფთიაქო პუნქტი - 75
საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორია - 1
ცენტრალური საფთიაქო საწყობი (ბაზა) - 1

სააფთიაქო დაწესებულებების განვითარების დინამიკა საბჭოთა აჭარაში ნაჩვენებია N 1 ცხრილში.

სააფთიაქო დაწესებულების განვითარების
დინამიკა აჭარაში 1921 – 1990 წწ.

ცხრილი N1

ობიექტის დასახელება	1921	1930	1940	1950	1960	1967	1981	1990
აფთიაქები (ე.წ. ღია ტიპის)	5	9	13	18	19	26	30	35
სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების აფთიაქები (ე.წ. დახურული ტიპის, არსებობს 1925 წ-დან)		1	2	4	6	7	11	8
სააფთიაქო მაღაზიები		6	7	4	4	3	3	
I ჯგ. სააფთიაქო პუნქტები				1	7	3	1	1
II ჯგ. სააფთიაქო პუნქტები						73	75	75
საკონტროლო-ანალიზური ლაბორატორია			1	1	1	1	1	1
სააფთიაქო საწყობი			1	1	1	1	1	1
საფასოო-ოპტიკური განყოფილება, შემდგომში გალენურ-საფასოო ლაბორატორია			1	1	1	1	-	-
საავადმყოფოთაშორისო აფთიაქი								1
ცნობათა ბიურო							1	-

უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლების მქონე კადრების დინამიკა აჭარაში 1921-1990 წლებში

ცხრილი N-2

ფარმაცევტული განათლება	1921	1940	1950	1960	1981		1990
უმაღლესი	6	10	46	52	91		115
საშუალო ფარმაცევტული	24	60	57	61	140		187

საქართველოში კერძო აფთიაქების ნაციონალიზაცია მოხდა 1921 წლის 20 მაისს. იმხანად თითო აფთიაქი საშუალოდ ემსახურებოდა საქართველოს 22700 მცხოვრებს, 1980 წელს კი 10900 მცხოვრებს, ხოლო სოფლად 7 ათასზე ნაკლებს (11).

სააფთიაქო დაწესებულებათა რაოდენობრივი ზრდის პარალელურად წლიდან წლამდე უმჯობესდებოდა მოსახლეობის წამლით უზრუნველყოფის ისეთი ძირითადი მაჩვენებლები, როგორიცაა საქონელბრუნვა და რეცეპტურა. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, რომ სამედიცინო-ფარმაცევტული დახმარება ხელმისაწვდომი ყოფილიყო არა მარტო ქალაქის, არამედ სოფლის მოსახლეობისთვისაც.

აჭარაში (ისევე როგორც ზოგადად ქვეყანაში) ფარმაცევტული კადრების ნაკლებობა გავლენას ახდენდა სააფთიაქო ქსელის განვითარებისა და გაფართოების ტემპებზე. ხშირად ჭიანურდებოდა ობიექტების გახსნა რაიონში (ან დაბაში) სათანადო კადრების არ არსებობის გამო.

აჭარაში სააფთიაქო საქმის განვითარებაში თვალსაჩინო როლი შეასრულეს ივანე თოფურიძემ, ბარბალე ბენდიანიშვილმა, ალ. თიროშვილმა, ვულფ ფეიგანმა, ილია გერაძემ, ოსმან კონცელიძემ (პირველი პროვიზორი აჭარიდან), ნორა ჭყონიამ, თენგიზ ნაკაიძემ, ოთარ ბზიკაძემ, ვლადიმერ მახარაძემ, ვალენტინე პიხოვკი-

ნამ, ალექსანდრე ვინოკურმა, თეიმურაზ ფალავანდიშვილმა, ამირან შამილაძემ, შოთა აფხაზავამ, ზაქრო ბოლქვაძემ, სერგო ძირკვაძემ, ავთანდილ მაჭავარიანმა, ეთერ კაიკაციშვილმა, რეზო დოლბაიამ, თამაზ ავალიანმა და სხვებმა.

აჭარაში სააფთიაქო საქმიანობის ხელმძღვანელები საბჭოთა წყობილების დამყარებიდან 2005 წლამდე, ანუ მმართველობითი წარმონაქმნის სრულ გაუქმებამდე:

თუმანოვი მიხეილი, ქ. ბათუმის და მისი ოლქის რევოლუციური კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილების ფარმაცევტული ქვეგანყოფილების გამგე (20.03.1921-29.12.1922);

კობალაძე ილია, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ფარმაცევტული განყოფილების გამგე (29.12. 1922 - 19.02.1923);

ჩიბლაძე მიხეილი, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ფარმაცევტული განყოფილების გამგე (19. 02. 1923 -16.07.1923)

თოფურიძე ივანე, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ფარმაცევტული განყოფილების გამგე (16.07. 1923 -23.10.1923);

ქობულაძე დიოდიმე, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ფარმაცევტული განყოფილების გამგე (23. 10.1923 - 24.11.1924);

ნუცუბიძე ლუკიანე, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ფარმაცევტული განყოფილების გამგე (24. 11.1924 - 04.04.1925);

ღვინეტაძე, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ფარმაცევტული განყოფილების გამგე (07.04.1925- 12.06.1925);

კონცელიძე ოსმან, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სააფთიაქო სამმართველოს თავმჯდომარე (12.06. 1925 -20.03.1926);

ქათამაძე იუსუფი, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სააფთიაქო სამმართველოს თავმჯდომარე (23.03.1926 -06.04.1926);

მხეიძე ალექსანდრე, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სააფთიაქო სამმართველოს თავმჯდომარე (15.04.1926-15.06.1929);

შუშანია რაჟდენი, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სააფთიაქო სამმართველოს თავმჯდომარე (15.06.1929 -30.08.1930);

გარდავა არჩილი, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სააფთიაქო სამმართველოს თავმჯდომარე (15. 04.1931 - 30.08.1932);

ანა დანელია - ქიქავა, საქართველოს ჯანსახკომის სააფთიაქო სამმართველოს აჭარის განყოფილების უფროსი (1932-1937);

მეგრელიშვილი კობა, საქართველოს ჯანსახკომის სააფთიაქო სამმართველოს აჭარის განყოფილების მმართველი (17.09.1937-08.07.1939); (17).

ნორა ჭყონია, საქართველოს ჯანსახკომის სააფთიაქო სამმართველოს აჭარის განყოფილების ხელმძღვანელი (1949-1952);

თენგიზ ნაკაიძე, აჭარის სააფთიაქო განყოფილების, შემდეგ კი აჭარის სააფთიაქო სამმართველოს უფროსი (1952-1982);

თემურ ფალავანდიშვილი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს აჭარის სააფთიაქო სამმართველოს უფროსი (1982-1993); აჭარის რესპუბლიკური სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ფარმაციას" დირექტორი (1993-1995); აჭარის არ ჯანდაცვის სამინისტროს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის თავმჯდომარე (1995 -2003);

თამაზ ავალიანი, აჭარის არ ჯანდაცვის სამინისტროს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის თავმჯდომარე (2003-2004);

ნათია ბოლქვაძე, აჭარის არ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-წამლის სააგენტოს, შემდგომში წამლის ბიუროს უფროსი (2004-2005);

შენიშვნა: 2005 წლის 27 დეკემბერს წამლის ბიურო გაუქმდა და მას შემდეგ აჭარაში ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის რაიმე ორგანო აღარ შექმნილა. ყველაფერი გახდა ცენტრალიზებული ანუ თბილისიდან მართვადი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. შაშიკაშვილი ნ. დიასამიძე, ი. ქურჩიშვილი. ნარკვევები სამედიცინო საქმის განვითარების შესახებ აჭარაში, თბილისი, 1958, გვ. 15.

2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ცნობარი. ნაკვეთი II, თბილისი 1987 წ. გვ. 48.

3. ო. ბზიკაძე „აჭარის ასს რესპუბლიკაში სააფთიაქო საქმის განვითარების მოკლე მიმოხილვა“ წიგნიდან „საქართველოში სააფთიაქო პრაქტიკისა და ფარმაციის განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბილისი 1982 წელი, გვ. 51.

4. რ. სურმანიძე – ჯამრთელობის დაცვის სათავეებთან, ბათუმი, 1972 წელი, გვ. 16.

5. აჭარის ცსა, ფ.რ-2, აღწ. 1, საქმე 1, ფურცელი 43, 48.

6. გაზეთი „უწყებები“, # 244, 17 იანვარი 1922 წელი.

7. აჭარის ცსა, 3. 167, აღწ.1, საქ. 19, ფურცელი 2,7-10.

8. აჭარის ცსა, ფ.167, აღწ. 1, საქ 27. Fფურცელი 2.

9. აჭარის ცსა, ფ. 167, აღწ. 1, საქმ. 93, ფურცელი 44

10. აჭარის ცსა, ფ. 167, აღწ. 1, საქ. 118, ფურცელი 5-10.

11. საქართველოში სააფთიაქო პრაქტიკისა და ფარმაციის განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1982 წელი, გვ. 11, 20, 23.

12. სალუქვაძე ს. – წამალთოდენობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე". თბილისი, 1987.

13. შენგელია მ. – „უძველესი კოლხურ – იბერიული მედიცინა". თბილისი, 1979.

14. ქუთათელაძე ი.გ. – „მასალები საქართველოში ფარმაციის ისტორიისათვის", შრომათა კრებული, ნაწილი I, „მეცნიერება", თბილისი 1972, გვ. 293.

15. კომახიძე თ. – ქ. ბათუმის ჯანმრთელობის კერებისა და საკურორტო ქსელის განვითარების ისტორია. წიგნი-2, ბათუმი, 1997.

16. თ. კომახიძე, აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, წიგნიII, ბათუმი, 2011, გვ.73-74.

17. შოთა ცეცხლაძე, აჭარის ასსრ ნომენკლატურულ პირთა შესახებ (1921-1940), ბათუმი, 2013, გვ.133-155).

18. ვლ.ჟღენტი, პ.გელბახიანი, ირ. ტატიშვილი, მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები, „მეცნიერება", თბილისი, 1971.

თ ა ვ I V.

ფარმაცია თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში (აზარის მაგალითზე) 1991-2020

1991 წლიდან იწყება საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება და ამავე დროს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

საქართველოს მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა დამოუკიდებლობის მოპოვებას და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან თავის დაღწევას. XX საუკუნის 90-იანი წლები-ახალი ეპოქის დასაწყისია საქართველოში.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა სისტემამ, რომელსაც ახასიათებდა კოორდინაციის ვერტიკალური სტრუქტურა და არ ჰქონდა ჰორიზონტალური კავშირები, გამოიწვია ის, რომ ჩამოყალიბდა ჩაკეტილი, დეფიციტური ეკონომიკა. ვის არ ახსოვს რიგები კარგ ტანსაცმელზე, ავეჯზე, წიგნებზე, წამალზე და ა.შ.

საბჭოთა სისტემაში უარყოფილი იყო ისეთი ცივილიზებული ფორმები, როგორიცაა-კერძო საკუთრება, კონკურენცია, შრომის მოტივაციის მექანიზმი, ყაირათიანობა, პასუხისმგებლობა, თავისუფალი აზროვნება, საბაზრო კონკურენცია.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი ათწლეული (1991-2000 წლები) განსაკუთრებით მძიმე იყო ჯანდაცვის სფეროსათვის, მ/შორის სააფთიაქო დარგისათვის. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი დღეისათვის უკვე უმსხვილეს კომპანიებს-ავერსს, პე-ეს-პეს, ჯი-პი-სის, ასევე საშუალო სიდიდის კომპანიებს-ჰეკატეს, იმპექსფარმს, ტიტანს, ტონუსს და ა.შ. შეიქმნა ქართული ფარმაცევტული საწარმოები: ჯი-ემ-პი, ავერსი რაციონალი, ფიტოფარმი, ნეოფარმი, ნატურფარმი, გამა და სხვ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1991 წლის 9 აპრილი) იმავე წლის 6 დეკემბერს საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოცხადდა. დაიწყო დამოუკიდებლობის მძიმე წლები,

რამაც ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფერო მოიცვა. იწყება სოციალისტური გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ეს პროცესი 1991-1993 წლებში სახელმწიფო გადატრიალების, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში საომარი კონფლიქტების, სამოქალაქო ომისა და სახელმწიფო ინსტიტუტების სრული კოლაფსის ფონზე მიმდინარეობდა. შედეგად, სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილი დატაცებული იქნა. ინდუსტრიული თუ სავაჭრო ობიექტები ძალიან იაფად ხელთ იგდეს ერთეულმა მაქინატორებმა, ფორმალურ პრივატიზაციას ამოფარებულებმა. მრეწველობა ფაქტობრივად, სრულად განადგურდა და საყოველთაო სიღატაკე გამეფდა. უშუქობა, გაზის არქონა, საწვავის კატასტროფული დეფიციტი, ბანდების თარეში, რეკეტი და სხვ. აი, რა ფონზე იწყებოდა საქართველოში სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაჩნდა კერძო პირებისა და კომერციული მაღაზიების მიერ სამკურნალწამლო საშუალებებით ვაჭრობის შემთხვევები, არაკომპეტენტური პირებისა და დაწესებულებების მიერ ყოველგვარი კონტროლისა და სამედიცინო დაწესებულებების გარეშე მოსახლეობისათვის არაკეთილხარისხოვანი და გაუვარგისებული მედიკამენტების მიყიდვა.

მოსახლეობისათვის სამკურნალწამლო საშუალებების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1992 წლის 28 თებერვალს გამოსცა განკარგულება და დაავალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოო გაერთიანება „ფარმაციას“ (დირექტორი თ. ფალავანდიშვილი) მკაცრი კონტროლის დაწესება წამლების რეცეპტის მიხედვით რეალიზებაზე, უნდა შეემუშავებინათ შესახვევი მასალისა და სხვა სამედიცინო დანიშნულების ნაწარმის ერთ ავადმყოფზე გასაცემი ნორმები. წამლის რაციონალურ გამოყენებაზე სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში კონტროლი დაევალა ჯანდაცვის სამინისტროს. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა გაეტარებინა ქმედითი ზომები კერძო პირების მიერ ქუჩასა და სხვა საზოგა-

დოებრივი თავშეყრის ადგილზე გასაყიდად გამოტანილი მედიკამენტებით ვაჭრობის აღსაკვეთად. ჩამორთმეული მედიკამენტები უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა ჯანდაცვის სამინისტროს.

საგადასახადო ინსპექციას დაევალა საკომისიო და კომერციული მაღაზიების კონტროლი და თუ იქ გაიყიდებოდა მედიკამენტი, მაღაზია დაჯარიმდებოდა 5000 მანეთით.

განსაკუთრებით საყურადღებოა ზემოთ აღნიშნული განკარგულების მე-5 პუნქტი, სადაც წერია: „ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამკურნალწამლო საშუალებებით ვაჭრობის უფლება მიეცეთ მხოლოდ სააფთიაქო დაწესებულებებსა და არსებული წესით რეგისტრირებულ სპეციალიზებულ კომერციულ სააფთიაქო მაღაზიებს". ეს ის პერიოდია, როცა უკვე არსებობენ კოოპერაციის შესახებ კანონის საფუძველზე შექმნილი ერთეული კომერციული სააფთიაქო მაღაზიები და ისინი უკვე ერთვებიან წამლის კომერციაში. უპირველესი ამათგან არის კომერციული აფთიაქი „ჰეკატე", რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ 1990 წელს. აქვე დავსძენთ, რომ სახელმწიფო აფთიაქების პრივატიზაციაზე საუბარი ჯერ კიდევ არ არის.

წამლის დეფიციტიდან გამომდინარე ბათუმის საბაჟოს დაევალა მკაცრი კონტროლი დააწესოს რესპუბლიკის გარეთ მედიკამენტების გატანის მცდელობის აღსაკვეთად. პროკუტარურას კი დაევალა ყურადღების გაძლიერება საზედამხედველო წესით სამკურნალწამლო საშუალებებით ვაჭრობაზე.

ზემოაღნიშნული აჭარის მთავრობის განკარგულებიდან იმ ეპოქის სურათი იკვეთება. კერძოდ ის, რომ ქვეყანას ძალიან უჭირს, ძველი კავშირები იშლება ელვისებურად, ახალი კი ჯერ არ ჩანდა. განკარგულებაში ნახსენებია ერთ ავადმყოფზე გასაცემი ნორმების დადგენა, წამლის ურეცეპტოდ გაყიდვეს შეზღუდვა, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მისი გატანის აკრძალვა, რაც იმის დასტურია, რომ რეგიონში (და მთელს საქართველოშიც) დაწყებულია წამლის სერიოზული დეფიციტი.

1990-იან წლებში მასობრივი ხასიათი ჰქონდა არალიცენზირებული აფთიაქების ფუნქციონირებას, ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული და ვადაგასული მედიკამენტებით ვაჭრობას. წამალი იყიდებოდა ბაზრობებზე, ქუჩებში და სხვაგან. პრესაში ხშირი იყო მოწოდებები: „აფთიაქებში წესრიგი რომ დამყარდეს“ (გაზ. „აჭარა“, N188, 7 დეკემბერი, 1994); „...შუშაში სხვა წამალი აღმოჩნდა?! ნუ იყიდით მედიკამენტებს ბაზრობაზე!“ (გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“,14-20 ივლისი, 1997); „ფრთხილად, აფთიაქებში ზოგჯერ სიკვდილი იყიდება!“, გაზ.“საქართველოს რესპუბლიკა“, N212, 19 აგვისტო 1998; „პრობლემა: არალიცენზირებული აფთიაქები და „ველური ბაზარი“, გაზ. „მედიცინა“, 26 ივნისი, 2000; „წამლების მომგებიანი ბიზნესი ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე“, ჟურნ. „გზა“, N15, 12 აპრილი, 2001; „წამლების დანიშვნისას ექიმები ხშირად მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ფიქრობენ“, გაზ.“მედიცინა“, 21 ივლისი, 2001; „ქართული ფარმაცევტული მაფიის მოქმედების სქემა“, გაზ. „ქრონიკა“, N46, 18-24 ნოემბერი, 2002; „აჭარის ფარმაცევტულ ბაზარზე მდგომარეობა სავალალოა“, გაზ. „აჭარა P.S.“, 17 ივნისი, 2003 და სხვა.

წინამდებარე სტრიქონების ავტორს საკუთარ მხრებზე აქვს გადატანილი შავ-ბნელი ათასცხრაასოთხმოცდაათიანი წლები. დღეისათვის ძნელად წარმოსადგენია ალბათ, ასეთი ფაქტი, რომ თბილისიდან წამლის ჩამოსატანად ვიქირავეთ ძველი ავტობუსი და ორი შეიარაღებული ავტომატიანი მცველი, თანაც წამოვედით ახალციხე-გოდერძის მარშრუტით, სადაც შედარებით ნაკლები ხიფათი იყო მოსალოდნელი. ავტობუსი გაფუჭდა ადიგენის აღმართში და ღამისთევას ერთმა ტრაილერის მძღოლმა გადაგვარჩინა... როგორც შემდგომში გავიგეთ, ავტომატიანმა გამცილებლებმა ავტობუსის მძღოლი გაძარცვეს, გზაში რატომ დიდხანს დაგვაყოვნეო...

კოოპერაციული ფირმა „ჰეკატე“ მეგობრებთან ერთად ჯერ კიდევ 1990 წელს დავაფუძნეთ. მაშინ წამლის კომერცია არ შეიძ-

ლებოდა, ამიტომ ჰეკატელებმა მთავარ მიზნად დავისახეთ სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადება, შეგროვება, დაფასოება და რეალიზაცია, ასევე ფიტოთერაპია.



შპს „ჰეკატეს" პირველი კომერციული აფთიაქი

წამლის დეფიციტმა აფიქრებინა მთავრობას, რომ სპეციალიზებულ კომერციულ სააფთიაქო მაღაზიებს მედიკამენტებით ვაჭრობის უფლება მისცემოდათ.

ასეთ ობიექტებს საკომისიო-კომერციული აფთიაქებიც ერქვა იმიტომ, რომ 1991-1992 წლებში ნებადართული იყო მოსახლეობისაგან გამოუყენებელი მედიკამენტების საკომისიო წესით შესყიდვა მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ცხადია, ეს ყველაფერი წამლის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით იყო გაკეთებული.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" კანონის მიღებამდე, აღნიშნული სფეროს მოწესრიგებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 10 თებერვალს მიიღო დადგენილება N80 „საქართველოს რესპუბლიკაში სამკურნალო საშუალებებით ვაჭრობის დროებითი წესის შესახებ". ამ დადგენილების მთავარი მომენტებია:

1). ყველა სახის სამკურნალწამლო საშუალებების რეალიზაცია მოსახლეობაზე მოხდეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის მქონე აფთიაქებიდან და სააფთიაქო მაღაზიებიდან;

2). საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებს, განურჩევლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა უფლება აქვთ ივაჭრონ მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატის მქონე სამკურნალწამლო საშუალებებით, რომელთა გამოყენება ნებადართულია საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ;

3). კერძო ტიპის აფთიაქებს და სააფთიაქო მაღაზიებს კატეგორიულად ეკრძალებათ მოსახლეობისაგან სამკურნალწამლო საშუალებების შესყიდვა;

4). კერძო ტიპის აფთიაქებს და სააფთიაქო მაღაზიებში სამკურნალწამლო საშუალებების მიღებაზე, შენახვაზე, დამზადებაზე, კონტროლსა და გაცემაზე დასაქმებული და პასუხისმგებელი უნდა იყვნენ მხოლოდ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური ფარმაცევტული განათლების მქონე პირები.

ეს იყო მაშინდელი დამოუკიდებლი ქვეყნის ხელისუფლების პირველი მცდელობა, რამენაირად სამართლებრივი თვალსაზრისით მოეწესრიგებინა სამკურნალწამლო საშუალებებით ვაჭრობის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობები. მოგვიანებით, 1994 წლის 20 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება N227 „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სამკურნალო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით უზრუნველყოფის სისტემის შესახებ“.

1994 წლისათვის საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა სააფთიაქო დაწესებულებათ ლიცენზირებისა და ფუნქციონირების ახალი ინსტრუქცია და რეგლამენტი.

სააფთიაქო დაწესებულებებს სამკურნალო საშუალებებისა და სხვა სამედიცინო საქონლის შეძენის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ იურიდიული პირებისაგან ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატისა და ანგარიშ-ფაქტურების თანდართვით. მათ კატეგორიულად აეკრძალათ მოსახლეობიდაგან მედიკამენტებისა და სამედიცინო საქონლის შესყიდვა.

1994 წლის 26 აპრილს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო N106 დადგენილება „კომერციულ აფთიაქებსა და კერძო სტრუქტურებში მედიკამენტებით ვაჭრობის მოწესრიგების დროებით ღონისძიებათა შესახებ". საქართველოში სააფთიაქო დაწესებულებათა ლიცენზირებისა და ფუნქციონირების ახალი ინსტრუქციისა და რეგლამენტის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ყველა სააფთიაქო დაწესებულება ვალდებული იყო გაევლო ხელახალი რეგისტრაცია იმავე წლის 30 დეკემბრამდე. რეგისტრაციის გასავლელად აფთიაქებს უნდა წარედგინა ადრე გაცემული ლიცენზიები გაერთიანება „ფარმაციაში", სახელმწიფო და კერძო აფთიაქების მაკოორდინირებელ და მაკონტროლებელ ინსპექციაში.

1994 წლიდან უკვე აქტიურდება წამლის იმპორტი, იქმნება ახალი, პერსპექტიული კომპანიები: „ავერსი", „პეესპე", „კრისტალი" და სხვები, რომლებმაც შემდგომში დიდი როლი ითამაშეს საქართველოში წამლის დეფიციტის აღმოფხვრის საქმეში.

ქვეყანაში პოლიტიკური სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების რადიკალურმა ცვლილებებმა მოითხოვა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანიზაცია. საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ქვეყნის გადასვლის პირობებში უნდა შექმნილიყო და ამოქმედებული ჯანდაცვისა და ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის ისეთი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებას, ადამიანის უფლებების დაცვას, სახელმწიფოებრივ მართვას დემოკრატიული ბერკეტების გამოყენებით.

1995 წლის 30 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება N 388 „საქართველოს რესპუბლიკაში ფარმაცევტული დარგის შემდგომი განვითარების შესახებ". მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან არაერთი მცდელობისა, მაინც ვერ მოწესრიგდა წამლის მიმოქცევასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები. ამ პრობლემის სრულყოფილად მოწესრიგება მოხერხდა მხოლოდ „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებისა და ამოქმედების შემდეგ.

სამკურნალო საშუალებების და სხვა სამედიცინო დანიშნულების საქონლის მიმოქცევაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების, სამკურნალწამლო პოლიტიკის სრულყოფის, მოსახლეობისათვის ხარისხიანი მედიკამენტების მიწოდების და სამედიცინო პრეპარატების საბითუმო და საცალო ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1995 წლის 17 აგვისტოს მიიღო დადგენილება. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ფარმაცევტულ ობიექტებზე ლიცენზიების გაცემისა და მათი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის საკითხების საბოლოო გადაწყვეტა დაევალა აჭარის არ მინისტრთა საბჭოს სპეციალურ დროებით კომისია, მანამდე კი სააფთიაქო დაწესებულებებზე ლიცენზიის გაცემის საკითხებს წყვეტდა აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსტან არსებული „სააფთიაქო დაწესებულებათა აკრედიტაციისა და ლიცენზირების კომისია", რომლის მუშაობაში გამოვლენილი იქნა სერიოზული ნაკლოვანებები. აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება არ შესრულებულა და უფრო მეტიც, სახელმწიფო სააფთიაქო დაწესებულებები საერთოდ არ იყო ლიცენზირებული.

1995 წლის 10 ოქტომბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო N193 დადგენილება „კომერციული სააფთიაქო საქმიანობით დაკავებულ სტრუქტურებში მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საქონლით ვაჭრობის მოწესრიგების დროებით ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში

საგრძნობლად იმატა კომერციული სააფთიაქო დაწესებულებების რაოდენობამ, სადაც ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს უხარისხო და ვადაგასული მედიკამენტების გასაღების ფაქტებს, ამასთან მათ რეალიზაციას აწარმოებენ არასპეციალისტები. ამასთანავე, ფასების მკვეთრი ზრდის გამო მედიკამენტების შეძენა მიუწვდომელი ხდება ომის ვეტერანთა, ინვალიდების, პენსიონერების, ლტოლვილებისა და მოსახლეობის სხვა სოციალურად დაუცველი ფენებისათვის. ზემოაღნიშნული დადგენილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფარმაცევტული საქმიანობისა და სამკურნალო საშუალებათა ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ინსპექციას დაევალა: ა) მოახდინოს არ ტერიტორიაზე ფარმაცევტული საქმიანობით დაკავებული სუბიექტების (განურჩევლად მათი საკუთრების ფორმისა) აკრედიტება და ლიცენზირება, ხოლო ულიცენზიოდ მომუშავე ფარმაცევტული დაწესებულებების გამოვლენისას მოახდინოს დაწესებულების ლიკვიდაცია და ქონების კონფისკაცია;

ბ). გაატაროს ფინანსური სანქციები შემდეგ დარღვევებზე:

1. სააფთიაქო დაწესებულებაში არასპეციალისტის მუშაობისა და ვადაგასული სამედიცინო საქონლის რეალიზაციის გამოვლენისას დაწესებულების მფლობელს დააკისროს გადასახდელად 100 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ეროვნული ვალუტით;

2. შიდასააფთიაქო დანამზადის უეტიკეტო და გაუფორმებელი წამლის ფორმების რეალიზაციისათვის დააკისროს გადასახდელად 50 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ეროვნული ვალუტით;

3. შხამნარკოტიკული და მათთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების სპეციალური ლიცენზიისა და აღრიცხვის გარეშე რეალიზაციისათვის დააკისროს გადასახდელად 100 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ეროვნული ვალუტით;

4. სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების რეალიზაციით დასაქმებულ დაწესებულებას, რომელიც არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარ-მოწყობილობით და

რომელთა ფართი ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ-ტექნიკურ ნორმატივებს, დააკისროს გადასახდელად 50 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ეროვნული ვალუტით;

5. ფარმაცევტულ დაწესებულებას, რომელსაც არა აქვს შექმნილი პირობები თერმოლაბილური პრეპარატების შესანახად, შეძენილი აქვს საქონელი კერძო პირებისაგან, არ გააჩნიათ ფაქტურები და ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები, დააკისროს გადასახდელად 50 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ეროვნული ვალუტით.

აფთიაქების პრივატიზაცია და შედეგები

საქართველოს რესპუბლიკის სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების პრივატიზების სახელმწიფო პროგრამა შემუშავებული იქნა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 23 დეკემბრის N400 ბრძანებულების საფუძველზე და მიზნად ისახავდა დარგის რეორგანიზაციის პროცესში რეგულირებადი სამედიცინო ბაზრის ჩამოყალიბებას და მასთან ადაპტირებული სამეურნეო სუბიექტების ფორმირებას, ქვეყნის შიგა ბაზრის განვითარებისათვის ხელშეწყობას, საგარეო ბაზარში ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას, სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების მესაკუთრეთა პერსონიფიცირებული სუბიექტების შექმნას და ეკონომიკური პასუხისმგებლობის ამაღლებას.

პროგრამა მოიცავდა 1995 და 1996 წლებს და ის შემუშავდა იმდაგვარად, რომ 1996 წლის 31 დეკემბრისათვის სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების დიდი ნაწილი უნდა ყოფილიყო პრივატიზებული. სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების პრივატიზება შეიძლება განხორციელებულიყო პირდაპირი მიყიდვის, კონკურსის ან აუქციონის ფორმით.

სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების პრივატიზაციისას უპირატესობით სარგებლობდა ამ დაწესებულების მუშაკთა მიერ შექმნილი ამხანაგობა, რომელიც აერთიანებდა დაწესებულებაში მომუშავეთა 50 %-ზე მეტს.

აფთიაქების პრივატიზაცია განხორციელდა პროგრამის პირველსავე ეტაპზე, ანუ 1995 წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდში.

ყველა მოელოდა, რომ პრივატიზაციის შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლებოდა, მაგრამ ამაოდ. საჭირო იყო უფრო მასშტაბური ღონისძიებები, რომელთაგან ერთ-ერთი,- მყარი საკანონმდებლო ბაზის შექმნაა.

1995 წლის აგვისტოდან იწყება ჯანდაცვის სისტემაში რადიკალური რეფორმები. სამედიცინო დახმარება ფასიანი გახდა. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დარგში შეიქმნა უაღრესად კრიტიკული მდგომარეობა. სახელმწიფოს მიერ დარგისათვის გამოყოფილი სახსრები რამდენჯერმე ჩამორჩებოდა სამედიცინო დახმარების მინიმალურად აუცილებელ საჭიროებას. ადრე დეკლარირებული საყოველთაო უფასო მკურნალობა პრაქტიკულად „ველურ“ სამედიცინო ბაზრად ჩამოყალიბდა და რეალურად ყოველგვარი სამედიცინო დახმარება ფასიანი გახდა, საჭირო იყო მხოლოდ მისი ოფიციალური გაფორმება!

საქართველოში დაწყებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორიენტაცია ემყარებოდა კონცეფციას, რომლის მიხედვითაც დარგის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებად გამოცხადდა: მართვის დეცენტრალიზაცია, ახალი სისტემის სამართლებრივი ბაზის შექმნა, ახალი ეკონომიკური და ფინანსური მოდელის ჩამოყალიბება, სადაზღვევო სამედიცინო დაწესებულებათა და პერსონალის აკრედიტაცია-ლიცენზირების დანერგვა, სამედიცინო საინფორმაციო სამსახურის რეფორმა და ა.შ.

1995 წლიდან, ბანდფორმირებების განადგურებით, უცხოური ინვესტიციების შემოტანითა და ლარის შემოღებით იწყება საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაცია. ამავე წელს ხელი მოეწერა საქართველოს ახალ კონსტიტუციას.

დარგში შექმნილი პრობლემები ხშირად იყო აჭარის ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრში. მიღებულ იქნა არაერთი დადგენილება, აფთიაქების ლიცენზირების დროებითი სამთავრობო კომისიაც კი შეიქმნა 1996 წელს. ბოლო პერიოდში ქ. ბათუმის მერიამ სახფარმინსპექციასთან ერთად რამდენიმე ღონისძიებაც განახორციელა, მაგრამ, სამწუხაროდ, პრობლემები არ გადაჭრილა.

1996 წლის 18 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამკურნალო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საქონლით ვაჭრობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ". ამ დადენილების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგის რეფორმის პროცესში გაუქმდა სტრუქტურები, რომლების უზრუნველყოფდნენ ქვეყნის გამდიკამენტებითა და სხვა სამკურნალო საშუალებებით მომარაგებას, სანაცვლოდ არ იქნა ჩამოყალიბებული სხვა სრულყოფილი მექანიზმი, რამაც გამოიწვია სამკურნალო საშუალებათა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის ე.წ. ველური" ბაზრის წარმოქმნა. შექმნილმა ვითარებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მოსახლეობა და მთლიანად ჯანმრთელობის დაცვის სისტემაც.

როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზეც დამკვიდრდა მედიკამენტებით უსისტემო ვაჭრობა. ბაზრებსა და ქუჩებში ანტისანიტარულ პირობებში და ყოველგვარი ტემპერატურული რეჟიმის დაცვის გარეშე მოსახლეობისათვის ვადაგასული, ფალსიფიცირებული და შინნაკეთი წამლების რეალიზაცია. შექმნილ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს მაღალი ფასები, რომლებიც არავითარ ფასწარმოქმნის მექანიზმს არ შეესაბამებაო,-ნათქვამია დადგენილებაში.

დადგენილებით ბათილად იქნა ცნობილი აჭარის არ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ფარმაცევტულ ობიექტებზე გაცემული ლიცენზიები და 1996 წლის 10 აპრილიდან შეჩერებული იქნა ყველა იმ სააფთიაქო დაწესებულების ფუნქციონირება, რომელთაც არ

ექნებოდათ აჭარის არ ჯანდაცვის სამინისტროს წარდგინებით ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დროებითი სპეციალური კომისიის მიერ გაცემული ლიცენზია. მინისტრთა საბჭოს ფარმსაქმიანობისა და სამკურნალო საშუალებათა ხარისხის კონტროლის ინსპექციას დაევალა ფარმაცევტული საქმიანობის სუბიექტთა ინსპექტირება განურჩევლად მათი საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა.

სამკურნალო საშუალებებისა და სხვა სამედიცინო დანიშნულების საგნების მოძრაობაზე კონტროლის გაძლიერებისა და ფასების დარეგულირების მიზნით, აღნიშნული საქონლის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემოტანაზე ნება დაერთო მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერფარმს", რომელიც შექმნილი იყო ყოფილი სააფთიაქო სამმართველოს სპეციალიზებული სასაწყობო მეურნეობის ბაზაზე. ამ სიას პრეზიდიუმის 1996 წლის 28 ივნისის დადგენილებით დაემატა შპს „ჰეკატეფარმი", რომლის საქმიანობა ლიცენზირებული იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

ზემოთ აღნიშნული დადგენილებით დაწესდა საჯარიმო სანქციები ისეთი დარღვევებისათვის, როგორიცაა: ულიცენზიოდ ფუნქციონირება, რომელიც ითვალისწინებდა დაწესებულების ლიკვიდაციას ქონების კონფისკაციით, სააფთიაქო დაწესებულებებსა და საწარმოებში არასპეციალისტის მუშაობა, ვადაგასული და ჰუანიტარული დახმარების გზით შემოსული მედიკამენტების რეალიზაცია, ასევე ისჯებოდა ყველა ის სააფთიაქო დაწესებულება, რომელიც არ იქნებოდა უზრუნველყოფილი შესაბამისი ინვენტარ-მოწყობილობით და ვერ დააკმაყოფილებდა სანიტარულ-ტექნიკურ მოთხოვნებს, არ ექნებოდა შექმნილი პირობები თერმოლაბილური პრეპარატების შესანახად, არ ექნებოდა ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი და სასაქონლო ზედდებული.

პრეზიდიუმის დადგენილება ითვალისწინებდა ასევე საკოლმეურნეო ბაზრებსა და ქუჩებში სამკურნალო საშუალებებით ვაჭრობის აღკვეთას. ამ მიზნით სათანადო ღონისძიებების გატარება

დაევალა სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებსაც.

ფარმაციის დარგში შექმნილი პრობლემების კვლევას, გაშუქებასა და წინადადებათა შემუშავებას თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციამ (იხ. გაზეთი „ფარმაკონი“ №1, აგვისტო 1996წ. და №2,სექტემბერი, 1996 წ). სამწუხაროდ, ასოციაციის კონფერენციის (11 მაისი 1996 წ.) რეზოლუციები და წინადადებები არ გაითვალისწინეს არც სამთავრობო სტრუქტურებმა და არც კანონზე მომუშავე ჯგუფმა.

ჯანდაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის ერთიანი კონცეფციის ფარგლებში შემუშავებული კანონებიდან ერთ-ერთი ძირითადია კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“. კანონი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. მასში გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, მსოფლიო სამედიცინო ასამბლეის ევროსაბჭოს დეკლარაციებში, ქარტიებსა და კონვენციებში გაცხადებული დებულებები, ქართული მედიცინის ტრადიციები.

1997 წელი გადამწყვეტი ეტაპია სამკურნალწამლო საშუალებების მიმოქცევის სფეროში. ამავე წლის პირველი იანვრიდან სამკურნალწამლო საშუალებები გათავისუფლდა დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან. სახელმწიფოს მიერ გაკეთებული ეს შეღავათი სწორედ იმიტომ დაწესდა, რომ წამლები მთელს ქვეყანაში გაიაფებულიყო სულ ცოტა ოცი პროცენტით.

1997 წლის 17 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა საქართველოს კანონს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“.

კანონის „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ მიზანია შექმნას ისეთი სამართლებრივი საფუძვლები, რომ შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი, უსაფრთხო და ეფექტური წამლებით. ფარმაცევტული საქმიანობის დევი-

ზი: „წამალი ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო!“ განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ კანონით პრაქტიკულად დარეგულირდება წამლის მიმოქცევისა და გამოყენების სფეროში დასაქმებული ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა.

ფარმაციის ძირითადმა კანონმა განსაზღვრა სპეციალისტთა და ფარმაცევტული დაწესებულების თანამდებობის პირთა უფლებები და პასუხისმგებლობა, სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის მართვის სფეროში დასაქმებული სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების უფლება-მოვალეობები და სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სხვა სუბიექტების საქმიანობის რეგულირების პრინციპები.

საქართველო ორასი წლის განმავლობაში ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ რუსეთის საბჭოური იმპერიის შემადგენლობაში იყო და ამდენად, არა თუ ფარმაცევტული, არამედ საერთოდ არ გააჩნდა საკუთარი კანონმდებლობა. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით გადაიდგა ისტორიული ნაბიჯი საქართველოში, ფარმაცევტული დარგის განვითარებას ჩაეყარა მტკიცე იურიდიული საფუძველი. კანონს მოჰყვა რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რითაც უკვე შექმნილია ძირითადი საკანონმდებლო ბაზა.

ჯანდაცვის რეფორმირების ყოველ ეტაპზე სამედიცინო ხასიათის რეფორმების პარალელურად ხდებოდა ფარმაცევტული დარგის რეფორმებიც. დასრულდა სააფთიაქო დაწესებულებებისა და ფარმაცევტული ბაზების პრივატიზება და ლიცენზირება. დაინერგა სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის ქვეყანაში შემოტანასა და გატანაზე ლიცენზიების გაცემის პრაქტიკა, შემუშავდა ესენციური წამლების ნუსხა, რეგისტრაციაში გატარდა მრავალი უცხოური და ქართული წარმოების სამკურნალო საშუალება. ამ და სხვა ღონისძიებებმა აღმოფხვრა წამლის დეფიციტი, გააჯერა ფარმაცევტული ბაზარი, ხელი შეუწყო წამლის მიმოქცევის ლეგალიზაციას და სხვა ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრას.

განისაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკა სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში, რომელიც ითვალისწინებს:

- მოსახლეობის უზრუნველყოფას ეფექტიანი, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის აუცილებელი ასორტიმენტის სამკურნალო საშუალებებით;
- სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერას;
- ახალი ტექნოლოგიების შექმნას, დანერგვას;
- სამკურნალო საშუალებების წარმოების განვითარებას.

სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ვალდებულება დააფინანსოს პრიორიტეტული მიზნობრივი პროგრამები, ხელი შეუწყოს სამკურნალო საშუალებებზე ფასწარმოქმნის რეგულირების, კომპენსაციების სისტემის და სხვა ეკონომიკურ და სამართლებრივ ღონისძიებებს.

საქართველოს კანონის „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საფუძველზე აჭარაში, 1997 წლის აგვისტოში მოქმედი ფარმინსპექციის ბაზაზე შეიქმნა წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტი, რომელიც დაექვემდებარა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს. ახლადშექმნილ დეპარტამენტს მემკვიდრეობით ერგო მომრავლებული ჯიხურები, ულიცენზიო აფთიაქები და ქუჩაში წამლით მოვაჭრეები. დეპარტამენტის თავმჯდომარე თეიმურაზ ფალავანდიშვილი ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში წერდა: „წამლით ვაჭრობენ პირები, რომელთაც არათუ ფარმაცევტული განათლება, არამედ ამ დარგთან არავითარი შეხება ჰქონიათ. აღინიშნა უფაქტურო და უსერტიფიკატო სამკურნალო საშუალებების რეალიზაცია. აფთიაქებში მუშაობდნენ არასპეციალისტები, იყიდებოდა ჰუმანიტარული დახმარების გზით შემოსული მედიკამენტები, ზოგჯერ ვადაგასულიც...

1997 წლის სექტემბრიდან 1998 წლის აგვისტომდე ლიცენზირებულ იქნა 139 სააფთიაქო დაწესებულება, მათ შორის 96 ბათუმში...

აღსანიშნავია ისიც, რომ წამლის ხარისხის კონტროლის საქმეში გვაქვს პრობლემები. ჩვენს ხელთ არსებული ლაბორატორია ვერ

უზრუნველყოფს შემოსული სამკურნალო საშუალებების სრულყოფილ ანალიზს, გვჭირდება სათანადო დონეზე აღჭურვილი ლაბორატორია“ (გაზ. „მედიცინა“, 30 აგვისტო, 1998, გვ.4).

საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკა, რომელიც შემუშავდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ და განახლებულ იქნა 1999 წლის 26 ოქტომბერს დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ბიუროს მიერ (დირექტორი ჯო ასავალი).

ჯანმრთელობის დაცვის განვითარების მეცნიერულად სრულყოფილი ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული გეგმა (გათვლილი მომავალ 10 წელზე) მოიცავდა შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ საკითხებს: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიულ დაგეგმარებას, სტრუქტურულ ანალიზს, 21-ე საუკუნის ჯანმრთელობის სისტემის შესაბამის მოდერნიზებას მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე და სხვ.

საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკა ეფუძნება ჯანმრთელობის თანამედროვე კონცეფციას და მოიცავს იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც მოცემულია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგრამაში „ჯანმრთელობა ყველასათვის 21-ე საუკუნეში“.

ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა განსაზღვრავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ძირითად პრიორიტეტებს, მიზნებს, ამოცანებს და არის დარგის რეფორმირების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. პრიორიტეტების მკაფიოდ ჩამოყალიბება და გამოკვეთა გულისხმობს ფინანსური, მატერიალური და საკადრო რესურსების განაწილების ფოკუსირებას არჩეულ სფეროებზე.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ პოლიტიკაში „წამალთპოლიტიკას“ თავისი ადგილი უკავია. მასში აღნიშნულია.

რომ წამალთპოლიტიკა მიზნად ისახავს მოსახლეობის უსაფრთხო, ეფექტური და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფას.

ამ მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები:

- კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი სისტემების ჩამოყალიბება მოსახლეობისათვის წამლის ეკონომიკური ხელმისაწვდომობის მისაღწევად;

- მოსახლეობის უფლებათა გარანტირებული დაცვა წამლის მავნე ზემოქმედებისაგან ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების განხორციელების გზით;

- ეფექტური ზომების გატარება მოსახლეობის დასაცავად სამკურნალო საშუალებებისა და მათ შორის ფსიქოტროპულ და ნარკოტიკულ ნივთიერებათა არასწორად გამოყენებისა და მიჩვევისაგან;

წამლის დეპარტამენტის მუშაობის გააქტიურება „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების საქმეში წამლის მიმოქცევის სრული ლეგალიზაციის მისაღწევად;

-ხარისხის უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემის ეფექტიანი მუშაობა;

-„კარგი საწარმოო პრაქტიკის“, „კარგი სააფთიაქო პრაქტიკისა“ და „კარგი დისტრიბუციის პრაქტიკის“ სტანდარტების ეტაპობრივი განხორციელება;

- წამლის რაციონალური შერჩევა და გამოყენება მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე;

- ესენციალური წამლების უპირატესი გამოყენება;

- სამკურნალო საშუალებათა ფორმულარების შექმნა სამკურნალო-პრევენციული დაწესებულებებისათვის;

- წამლის შესახებ ობიექტური ინფორმაციული სისტემის შექმნა და ინფორმაციის ეფექტიანი გავრცელება სამედიცინო დარგის მუშაკებისა და მოსახლეობისათვის;

- საქართველოში ფარმაცევტული მრეწველობისათვის ხელშეწყობა;

- იმ ტრადიციულ საშუალებათა უსაფრთხოების და ეფექტიანობის შესწავლა, რომლებიც პოტენციურად შეიძლება წამალს წარმოადგენდეს;

- ფარმაცევტისა და აფთიაქის როლის ამაღლება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხში;

- ფარმაცევტული კადრების საბაზისო და უწყვეტი განათლების სისტემის სრულყოფა;

- საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება ფარმაციის დარგში.

წამალთპოლიტიკის განსაზღვრის შემდეგ შემუშავებული იქნა მისი დანერგვის სტრატეგიული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით ზოგიერთი წამლის ზედმეტად მიღება დაკავშირებულია ექიმის გადამეტებულ დანიშნულებასთან. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს რეზისტენტულობა ანტიბიოტიკების მიმართ. ამავე დროს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ რესპოდენტთა თითქმის ერთ მესამედზე მეტს არ შეუძლია იმ წამლების შეძენა, რომლებიც მათ ესაჭიროებათ. სასურველია ფასების რეგულირება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ფარმაცევტული სექტორის რეფორმის შესახებ „შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად".

1999 წლისათვის სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა ქსელი აჭარაში ასე გამოიყურება: 262 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, მათ შორის: 39 სტაციონარი 2338 საწოლით; 48 საექიმო ამბულატორია-პოლიკლინიკა; 155 საფერშლო-საბებიო პუნქტი; 131 ლიცენზირებული კომერციული აფთიაქი, 4 ლიცენზირებული სააფთიაქო ბაზა (გაზ."სამედიცინო ექსპრესი", ოქტომბერი, 1999 წელი).

2000 წლის 4 ოქტომბერს გაზეთ „აჭარაში" გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ აჭარის წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან თემურ ფალავანდიშვილთან სათაურით: „როგორ შეიძლება ითამაშო შხამებით ანუ აფთიაქები და

კონტრაბანდა?!". ამ ინტერვიუში მთავარი აქცენტები გაკეთებულია წამლის გაუმართლებლად აგრესიულ რეკლამაზე, ექიმების მიერ აფთიაქების გახსნასა და ფლობაზე, პოლიფარმაციაზე, ულიცენზიო აფთიაქებზე, ფარმაცევტული კადრების მომზადების პრობლემებზე, ფარმაცევტების მიერ დიპლომის „გაქირავებაზე", კონტრაფაქტულ მედიკამენტებზე, ექიმებისა და ფარმაცევტების უკანონო გარიგებებზე და ასე შემდეგ. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველოს დამოუკიდებლობიდან თითქმის ათი წელია გასული და დარგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, უამრავი პრობლემაა დაგროვილი, საჭიროა მტკიცე და რევოლუციური გარდაქმნები.

2001 წლის 25 დეკემბერს აჭარის არ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის წერილში საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსადმი, ვკითხულობთ, რომ „აჭარის არ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფარმაცევტულ დაწესებულებათა სალიცენზიო კომისიის მიერ გაცემულია 111 ლიცენზია. მათ შორის: ფარმაცევტული ბაზა-6; I ჯგ.აფთიაქი-8; II ჯგ.აფთიაქი-21; III ჯგ.აფთიაქი-59; აფთიაქის ფილიალი-11; საავადმყოფოს შიდა აფთიაქი-6".

2002 წლის 14 მაისის კანონით „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" განისაზღვრა და მოწესრიგდა ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობის სფეროები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზიების და ნებართვების მოპოვებას. ამ კანონის საფუძველზე 2003 წლის 8 მაისს მიღებულ იქნა კანონი „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", რომელიც აწესრიგებდა უკვე კონკრეტულად სამედიცინო და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენდა ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის, მისი მოქმედების შეჩერების, განახლებისა და გაუქმების წესებს, ამასთან, იგი განსაზღვრავდა ლიცენზირებადი საქმიანობის სახეებს და დამატებით სალიცენზიო პირობებს.

2005 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა მიღებული ახალი კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. ახალმა კანონმა გააუქმა ძველი კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ და ახლებურად მოაწესრიგა საქართველოში ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული საკითხები. ახალმა კანონმა ფაქტობრივად გააუქმა ძველი კანონი „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“. ამ კანონის 24-ე მუხლის ბალით „ნებართვების სახეები“ დადგინდა აფთიაქის პირველი, მეორე ჯგუფის და სააფთიაქო პუნქტის მოწყობის ნებართვის აუცილებლობა და გააუქმა აფთიაქის გახსნისათვის მანამდე ლიცენზიის არსებობის აუცილებლობა. ამავე კანონის მე-3 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად ნებართვის მაძიებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი. აქედან მოყოლებული საქართველოში აფთიაქის გახსნა შეუძლია როგორც იურიდიულ პირს, ასევე ინდ. მეწარმესაც.

2004 წლიდან კახა ბენდუქიძის მეთაურობით გატარდა რადიკალური ნეოლიბერალური ეკონომიკური რეფორმები, სახელმწიფო რეგულაციების მინიმალიზაციითა და დაჩქარებული პრივატიზაციით. 2007 წლისათვის ოთხჯერ გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტი.

ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად გაუქმდა აჭარაში წამლის ბიურო (2005 წლის დეკემბერი) და მასთან ერთად წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაც. აჭარის რეგიონი, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, დარჩა ზედამხედველობისა და წამლის ხარისხის კონტროლის გარეშე. იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში სტატისტიკური აღრიცხვა თითქმის არაფრის არ ხდება, ამიტომ უცნობია რამდენი ადამიანი დასახიჩრდა ან გარდაიცვალა წამლის გვერდითი მოვლენებისგან ან არასწორი ფარმაკოთერაპიით, რამდენი ადამიანის ჯანმრთელობა დამახინჯდა ან სამუდამოდ მიეჯაჭვა წამალსა და ექიმს.

ნეოლიბერალური პოლიტიკის ჯაჭვი საქართველოში ასე გამოიყურება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის (სსმ, № 2.10.01.2005) 75-ე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხა, სადაც შევიდა: ა) იურიდიული; ბ) სამედიცინო (მათ შორის სავეტერინარო მედიცინის) და გ) პედაგოგიური.

ბუნებრივად გაჩნდა კითხვა: სად გაქრა ფარმაცევტული დარგი? ვინ არ შეიტანა და რატომ? ფარმაცევტთა პროტესტი მაშინ ყურად არავინ იღო. როგორც ახლა ირკვევა, ფარმაცევტული დარგის ჯერ დაკნინება და შემდეგ კი განადგურება წინასწარ დაგეგმილი ყოფილა და რეგულირებადი პროფესიებიდან ფარმაციის ამოღება ამ ჩანაფიქრის მხოლოდ პირველი ეტაპი ყოფილა.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს ზემოაღნიშნული კანონის 76-ე მუხლის ძალით სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდები ტარდება მხოლოდ რეგულირებად პროფესიებში, ე. ი. გაუქმდა ერთიანი მოთხოვნები, რომლებიც მიზნად ისახავდა ფარმაცევტთა პროფესიული ცოდნის დონის შემოწმებასა და შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატის მინიჭებით მისი კვალიფიკაციის დადასტურებას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, როცა ქვეყანაში უამრავი უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული სასწავლებელია გახსნილი რაიონებისა და დაბების დონეზეც კი.

შემდეგ თითქოს გაამარტივეს ფარმაცევტული საქმიანობის დაწყების პირობები და ფარმაცევტული დაწესებულებები სალიცენზიო სფეროდან (სადაც დარჩა მედიცინა) გადაიტანეს სანებართვო სფეროში. ამ ცვლილებებს შეეწირა ფარმაცევტული ბაზები, რომელთა ცნება გაქრა სალიცენზიო და სანებართვო ნუსხებიდან ანუ წამლის საბითუმო მიმოქცევა დატოვეს სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის მიღმა.

ასევე შემოიღეს სააფთიაქო პუნქტის ცნება, მაგრამ მახინჯი შინაარსით: აქ შეიძლება რეცეპტურული მყარი წამლის ფორმების რეალიზაცია, ამპულირებული და სითხოვანი ფორმებისა კი არა. თუ სიფრთხილეა, მაშინ შხამების შემცველი მყარი წამლის ფორმების მიმოქცევა პუნქტის დონეზე სოციალურად განა ნაკლებად

საშიშია, ვიდრე სითხოვანის? საიდან ასეთი მიდგომა, ვინ მოიფიქრა, რომელ ენციკლოპედიაში ან წიგნში ამოიკითხა, რომ ტაბლეტის ნაკლებად გეშინოდეთ, ვიდრე ამპულისო!!

წამლის მიმოქცევაზე სახელმწიფოს მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ფუნქციის შესუსტება იყო 2005-2006 წლებში გატარებული ღონისძიებები, როცა გაუქმდა ავტონომიურ რესპუბლიკებში წამლის ბიუროები, ხოლო ქვეყნის სხვა რეგიონებში მთავარი ფარმაცევტის ინსტიტუტები. ამის შემდეგ, ქვეყანაში დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი მარეგულირებელი ორგანო - წამლის სააგენტო.

ზემოაღნიშნული და დარგის დამაკნინებელი სხვა უამრავი ღონისძიებები (რომელთა სრული ჩამოთვლა აქ უბრალოდ შეუძლებელია) გარკვეულ ჯგუფს სჭირდებოდა ფინალისთვის:

„ლიკვიდირებული იქნა წამლის სააგენტო".

დიახ, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 იანვრის №5 დადგენილებით წამლის სააგენტოს ლიკვიდაცია მოხდა და საფუძვლად დაედო "საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი"!

საქართველოს მთავრობის ამ დადგენილებით ფაქტობრივად ძალა დაკარგა ყველა ადრე მოქმედმა კანონმა, ვინაიდან წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის ძალით, განსაზღვრული იყო, რომ სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო მართვას ახორციელებდა წამლის სააგენტოს მეშვეობით.

ლიკვიდირებული წამლის სააგენტოს უფლებამონაცვლედ განისაზღვრა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო. წამლის სააგენტოს სამედიცინო სააგენტოსადმი დაქვემდებარებით მოისპო ფარმაციის დარგის დამოუკიდებლობა და ის მედიცინის შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა!

თუ რამდენად სწორია ეს ნაბიჯი, მოკლედ მაინც გადავხედოთ ისტორიას: 1224 წელს წმინდა რომის იმპერიის იმპერატორმა ფრიდრიხ II გამოსცა დეკრეტი, რომელმაც გაყო ექიმებისა და ფარ-

მაცევტების უფლებები და მოვალეობები. ამ დეკრეტმა საფუძველი დაუდო ფარმაციის, როგორც დამოუკიდებელი სპეციალობისა და დისციპლინის ჩამოყალიბებას. ექიმებს ეკრძალებოდათ აფთიაქების გახსნა, სავაჭრო ურთიერთობები ავადმყოფებთან და მათი მომარაგება წამლებით. თავის მხრივ, აფთიაქებსაც ეკრძალებოდათ ევადმყოფების მკურნალობა.

დასკვნა ნათელია. უკვე თითქმის 800 წელია, რაც ევროპაში ფარმაცია და მედიცინა გვერდიგვერდ ვითარდება, როგორც ჯანდაცვის სისტემის ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ამავე დროს დამოუკიდებელი დარგები.

წამლის სააგენტოს ლიკვიდაციას თავის დროზე გამოვეხმაურეთ წერილში: „წამლის სააგენტოს ლიკვიდაცია საუკუნის შეცდომაა“ (გაზ. „ფარმაკონი“, თებერვალი, 2008). საილუსტრაციოდ მოგვაქვს ამონარიდი ამ წერილიდან:

„ზედმეტი, გაუმართლებელი ლიბერალიზმი ფარმაცევტულ დარგში და წამლის მიმოქცევაზე მეორეხარისხოვანი და სუსტი სახელმწიფოებრივი რეგულირება და მართვა გამოიწვევს იმას, რომ მონოპოლისტი ფარმკომპანიები, რომლებიც ფლობენ ფარმაცევტულ საწარმოებს, საბითუმო ბაზებსა და ვრცელ სააფთიაქო ქსელს ერთდროულად, შეძლებენ შეიძინონ ჰოსპიტალური სექტორის უდიდესი ნაწილიც (მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შეძენილი აქვთ) და სწორედ მაშინ მივიღებთ მონსტრს, ჩაკეტილ წრეს, ლაბირინთს, სადაც ერთხელ მოხვედრილი ავადმყოფის ბედი საბოლოოდ დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ მონოპოლისტთა კომერციულ ინტერესებსა თუ ჰუმანიზმზე.

როცა საზოგადოების გავლენიანი და ჯანსაღი ნაწილი გააცნობიერებს და თავის თავზე იწნევს მომხდარის საშინელ შედეგებს, შეეცდება უკურეფორმებს, შეცდომების გასწორებას, მაგრამ ვშიშობთ, რომ ძალიან დაგვიანებული არ იყოს. დაკარგული ისტორიული შანსები იშვიათად რომ კვლავ დაბრუნდეს.

მოვუწოდებ მთავრობის წარმომადგენლებს, კოლეგებს, საზოგადოების გონიერ და გავლენიან ნაწილს, რათა თავისი წვლილი

შეიტანოს იმაში, რომ ერის ინტერესებიდან გამომდინარე, მტკიცედ იქნეს დაცული საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი, სადაც მკაფიოდაა ნათქვამი, რომ „სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას".

კონსტიტუციური ნორმებისა და მოთხოვნების შესასრულებლად საჭირო იყო წამლის სააგენტოს გაძლიერება და არა ლიკვიდაცია, ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება და არა ზედმეტი ლიბერალიზაცია, დარგის აღორძინება და არა დაკნინება, ფარმაცევტთა ჩართვა რეფორმებში და არა იგნორირება".

გავიდა 10 წელი და 2018 წელს აღადგინეს წამლის სააგენტო. ფარმაცევტთა ასოციაციის მე-4 ყრილობის ტრიბუნიდან სიხარულით მივესალმე ამ ფაქტს. სამწუხაროდ, 2019 წელს კვლავ მოუსპეს დამოუკიდებლობა წამლის სააგენტოს, შეუერთეს სამედიცინო სააგენტოს, მაგრამ უწინდელისაგან განსხვავებით იწოდება სამედიცინო-ფარმაცევტულ სააგენტოდ. სათაურში ანუ დასახელებაში გამოიტანეს ფარმაცია და ამით დარგი ცოტათი მაინც წარმოჩინდა.

საქართველოში ნეოლიბერალური პოლიტიკის დაგვირგვინება იყო 2010 წელს მიღებული კონსტიტუციის 94-ე მუხლის ახალი რედაქცია, რომელიც კრძალავს ახალი გადასახადის შემოღებას და არსებულის ზედა ზღვრის გაზრდას რეფერენდუმის გარეშე. ამით სახელმწიფომ უარი თქვა ეკონომიკური პროცესების დარეგულირების მთავარ ბერკეტზე. სწორედ აქ იმალება იმის საიდუმლო, რომ ფასი წამალზე არანაირად არ რეგულირდება, რაც არ უნდა სასიცოცხლოდ აუცილებელი და ესენციალურიც არ იყოს იგი. აქაა პასუხი იმაზეც, რომ საქართველოში წარმოებული წამლები 2-3 ჯერ უფრო ძვირია ანალოგიურ იმპორტირებულ მედიკამენტებთან შედარებით. წამლის სამომხმარებლო კალათა საშუალოდ 2-3 ჯერ ძვირია საქართველოში მეზობელ თურქეთთან შედარებით, მაშინ როცა ადრე პირიქით იყო.

მსოფლიოში აღიარებული სტანდარტით, ჯანდაცვაზე გამოყოფილი ბიუჯეტის წილი საერთო დანახარჯების 15 % მაინც უნდა

იყოს. 2012 წლისათვის ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხა საერთო დანახარჯის მხოლოდ 5% შეადგენდა, რაც არა მხოლოდ ევროპის, დსთ-ს ქვეყნებსაც კი ჩამორჩებოდა. დანარჩენი თანხები მოქალაქეთა ჯიბიდან იხდებოდა, რითაც საქართველო ევროპის მასშტაბით მოწინავე ადგილზეა.

„2011 წლის მონაცემებით, საქართველოში სახელმწიფოს მიერ გაღებული ხარჯები ჯანდაცვაზე შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 1.5%-ს, მაშინ, როდესაც საშუალოდ მსოფლიოში აღნიშნული მაჩვენებელი 5%-ია, მათ შორის დაბალგანვითარებულ ქვეყნებში-2,2%-ია, საშუალოგანვითარებულ ქვეყნებში-3,5% და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კი-6,7%, ანუ გამოდის, რომ ამ ინდიკატორით, ჩვენ დაბალგანვითარებულ ქვეყნებსაც კი ჩამოვრჩებით (გაზ."ყველა სიახლე", N18, 2-8 მაისი, 2012)".

2013 წლის 28 თებერვლიდან საყოველთაო ჯანდაცვის პირველი, ხოლო იმავე წლის პირველი ივლისიდან - მეორე ეტაპი ამოქმედდა. ის შეეხო ყველა მოქალაქეს, ვისაც დაზღვევა არ გააჩნდა. იმის გათვალისწინებით, რომ ჯანდაცვის ხარჯი საქართველოში ოჯახების გაღატაკების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამამ საქართველოს 2 მლნ-ზე მეტ მოქალაქეს სულზე მიუსწრო (აქვე აღვნიშნავთ, რომ 2014 წლის ნოემბრის აღწერით საქართველოში სულ 3,71 მლნ მოსახლეა, აქედან აჭარაში-333.953 მცხოვრები).

საქართველოს მთავრობამ 2009 წლის 22 ოქტომბერს მიიღო დადგენილება (N188) - „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ" მათ მიერ რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტების აღიარების მიზნით. ამ სიაში 34 სახელმწიფოა (აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია, იაპონია და ევროპის ქვეყნების უმრავლესობა).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N 575 დადგენილებით დამტკიცდა „ტექნიკური რეგლამენტი-აფთიაქის (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტის) და საცალო რეალიზაციის

სავაჭრო ობიექტის სანიტარულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობების განსაზღვრის შესახებ".

2017 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება N206 „ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის პირობების დამტკიცების შესახებ". ამ დადგენილებით დამტკიცდა რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის, ასევე საბითუმო რეალიზაციის ობიექტის მიმართ წაყენებულ სანიტარულ-ჰიგიენურ / ტექნიკურ პირობებს.

კომერციული საფთიაქო ქსელების ჩასახვა და განვითარება



ქალღმერთი ჰეკატე
რ. ცინცაძის ნახატი

აჭარაში (და საქართველოშიც) პირველი კომერციული აფთიაქი დაარსდა ქ. ბათუმში 1990 წელს პროვიზორ ვლადიმერ მახარაძის თაოსნობით. მაშინ ამ ფირმას ეწოდებოდა მრავალდარგოვანი კოოპერაციული ფირმა „ჰეკატე". ამჟამად ის ფუნქციონირებს შპს „ჰეკატეს" სახელით. ვ. მახარაძეს გვერდში ედგნენ და თანადამფუძნებლები იყვნენ პროვიზორები ფირუზ ვაშაყმაძე და მიხეილ ბერიძე, ექიმი ნოდარ ფუტკარაძე და მათემატიკოსი შოთა მახარაძე. კომპანია ჰეკატე ამჟამად აერთიანებს 12 აფთიაქს, ფარმაცევტულ ბაზას, საფთიაქო სუპერმარკეტსა და სასტუმროს. დასაქმებულია 55 ადამიანი.




შპს „ჰეკატეს“ სათაო აფთიაქის ინტერიერი

1991 წლისათვის ბათუმში იყო 11 სახელმწიფო და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი კერძო აფთიაქი (ჰეკატე). აქვე აღვნიშნავთ, რომ კერძო აფთიაქიდან გაიცემოდა მხოლოდ სამკურნალო მცენარეული ნედლეული, მინერალური წყლები, სანიტარიისა და ჰიგიენის საგნები და ა.შ. ხოლო სამკურნალწამლო საშუალებების რეალიზაციის უფლება მხოლოდ 1993 წლიდან იქნა ნებადართული.

1994-1996 წლებში მოხდა სახელმწიფო აფთიაქების პრივატიზაცია, რის შედეგადაც ქ. ბათუმის N1 აფთიაქის ბაზაზე შეიქმნა შპს „ფარმაკი“, N2 აფთიაქი ლიკვიდირებულ იქნა, N3 აფთიაქის ბაზაზე შეიქმნა შპს „N3 აფთიაქი“, N4 აფთიაქი ლიკვიდირებულ იქნა, N5 აფთიაქის ბაზაზე შეიქმნა შპს „ასკლეპია“, N6 აფთიაქი შეიძინა ი/მ მაგული ხელაიამ, N7 აფთიაქის ბაზაზე შეიქმნა შპს „ბაგრატიონი“, N8 აფთიაქის ბაზაზე შეიქმნა შპს „გვირილა 2“, N9 აფთიაქის ბაზაზე შეიქმნა შპს „უკვდავაფარმი“, N10 აფთიაქი ლიკვიდირებული იქნა, ხოლო მე-11 საავადმყოფოთაშორისო აფთიაქი შეიძინა შპს „ვიტაფარმმა“. დღეისათვის ამათგან: შპს „ფარმაკი“, შპს „N3 აფთიაქი“, შპს „ასაკლეპია“, ი/მ მაგული ხელაია და შპს „ბაგრატიონი“ აღარ ფუნქციონირებს.

1990-იან წლებში გაიხსნა და ფარმაცევტულ ბაზარზე ოპერირებდნენ შემდეგი აფთიაქები: სპს „ირ.შანიძე და კომპანია“, სპს „თამაზ კომახიძე და კომპანია“, შპს „იუპიტერი“, შპს „ამოფარმი“,

სპს „ბ.რ.ქ.“, სპს „წილოსანი და კომპანია“, შპს „სხალთა-90“, შპს „რაჟიკო“, შპს „პანაცეა“ და სხვები.

2000-იან წლებში აჭარის ფარმაცევტულ ბაზარზე დამკვიდრდნენ და ოპერირებდნენ შემდეგი აფთიაქები: შპს „ავერსი-ფარმა“, შპს „PSP ფარმა“, შპს „ჯი-პი-სი“, შპს „გარანტი 2000“, შპს „კარაბადინი“, შპს „პანაცეა“, შპს „აიბოლიტი“, შპს „ლიკა და რეზი“, შპს „მილენიუმი 2004“, შპს „ფარმაკონ მ“, შპს „ჯ.მ.ჯ.“, შპს „მედინვესტი“, შპს „ჰეკატე PS“, შპს „კობა-გოგიტა“, შპს „გლუკოზა“, შპს „მედ.თო.გი“, სპს „თამარ ზოიძე“, ი/მ ნათია ებრალიძე, ი/მ ჯემალ კახიძე და სხვები.

2010-იან წლებში ბათუმის ფარმაცევტულ ბაზარზე გამოჩდნენ ახალი მოთამაშეები: შპს „ფარმადეპო“,შპს „ნეოფარმი“, შპს „იმპექსფარმი“, შპს „მეგაფარმი“, შპს „იმპულსი“, შპს „ჟენშენფარმი“, შპს „მედეა“, შპს „გეფა“, შპს „აჭარა-97“ და სხვ.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სააფთიაქო ქსელის სახელმწიფო ადმინისტრირების მოკლე ისტორია

1990-იანი წლები იყო გარდატეხის, კატაკლიზმებისა და ინტენსიური ცვლილებების პერიოდი. ეს ყოველივე აჭარის სააფთიაქო ქსელის ორგანიზებაზეც აისახა. რამდენჯერმე მოხდა აჭარის სააფთიაქო სამმართველოს რეორგანიზაცია და შესაბამისად სახელწოდებათა ცვლილება. ჯერ აჭარის საწარმოო გაერთიანება „ფარმაცია“ ეწოდა, შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1993 წლის 9 ნოემბრის N 216 დადგენილებით შეიქმნა აჭარის რესპუბლიკური სახელმწიფო სამეცნიერო - საწარმოო გაერთიანება „ფარმაცია“, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ქ. ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა, ქობულეთის სამკურნალო მცენარეების სახელმწიფო მეურნეობა, ქობულეთის სამკურნალო მცენარეების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და აჭარის საწარმოო გაერთიანება „ფარმაცია“. სახელმწიფო და კომერციული აფთიაქების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით

სამეცნიერო - საწარმოო გაერთიანება „ფარმაციასთან“ შეიქმნა „სახელმწიფო და კომერციული აფთიაქების საქმიანობის მაკოორდინირებელი და შემმოწმებელი ინსპექცია“. 1995 წლის სექტემბრიდან ეს სახელწოდება კვლავ შეიცვალა და სამეცნიერო- საწარმოო გაერთიანება „ფარმაციას“ ეწოდა „ფარმსაქმიანობისა და სამკურნალო საშუალებათა ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ინსპექცია“.

1997 წლის აგვისტოში კიდევ ერთხელ მოხდა ინსპექციის რეორგანიზაცია და ამიერიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირებასა და კონტროლს ახორციელებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტი, რომელიც ფორმალურად გასცემდა აფთიაქებისა და სააფთიაქო ბაზების სალიცენზიო მოწმობას, რადგან რეალურად ლიცენზიების გაცემის საკითხს წყვეტდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილი, მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური კომისია, რაც აშკარა კანონდარღვევას წარმოადგენდა.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1998 წლის 1 ოქტომბრის N379/ო ბრძანებით აჭარის არ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტს მიეცა აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული სამკურნალო-პროფილაქტიკურ და ფარმაცევტულ დაწესებულებებზე სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების რეალიზაციისათვის სპეციალური ლიცენზიის გაცემის უფლება, ხოლო იმავე დღის N377/ო ბრძანებით კი-ფარმაცევტული საბითუმო ბაზების ლიცენზირების უფლება.

აღნიშნული საკითხი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის წესის შესახებ“ 2002 წლის 14 მაისის საქართველოს კანონის მიღების შემდგომ, მოქცეულ იქნა შესაბამის სამართლებრივ ჩარჩოებში, რის საფუძველზეც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოცია-

ლური დაცვის სამინისტროს გადაეცა სამედიცინო და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ლიცენზიების გაცემის უფლება-თანახმად „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის წესის შესახებ“ 2002 წლის 14 მაისის საქართველოს კანონის, „საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულებების სისტემაში ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროსა და უწყებებისათვის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის უფლებამოსილების გადაცემის წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 29 სექტემბრის N472 ბრძანებულებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი აჭარის არ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთვის სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილების გადაცემის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 1 დეკემბრის N310/ნ ბრძანებისა.

აღნიშნული ნორმატიული აქტების საფუძველზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2004 წლის 7 სექტემბრის N44 დადგენილებით, ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-წამლის სააგენტო და დამტკიცდა შესაბამისი დებულება, თუმცა კონკრეტულად ლიცენზირებასთან დაკავშირებული უფლებამოსილების განხორციელებას აღნიშნული სააგენტო დაიწყებდა 2005 წლის 1 იანვრიდან - თანახმად საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 29 სექტემბრის N472 ბრძანებულების მე-141 მუხლისა.

აჭარის არ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - წამლის სააგენტომ ვერ დაიწყო ლიცენზირების ფუნქციის განხორციელება, რადგან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 27 იანვრის N25/ნ ბრძანებით, აჭარის არ შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

ჩამოერთვა სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სფეროში ლიცენზიების და ნებართვების გაცემის უფლება, რასაც მოჰყვა აჭარის არ მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის N11 დადგენილება, რომლითაც მანამდე არსებული წამლის სააგენტო გარდაიქმნა აჭარის არ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - წამლის ბიუროდ, რომელსაც უკვე აღარ გააჩნდა ფარმაცევტულ საქმიანობაზე სანებართვო მოწმობების გაცემის უფლებამოსილება, თუმცა მიენიჭა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ტერიტორიაზე ფარმაცევტული საქმიანობის ინსპექტირების და სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის უფლებამოსილება (მაკონტროლებელ ორგანოთა სახელმწიფო რეგისტრაციის N062).

სამწუხაროდ აჭარის არ მთავრობის 2005 წლის 27 დეკემბრის N126 დადგენილებით, აღნიშნული წამლის ბიუროც გაუქმდა და ფაქტიურად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღარ დარჩა არანაირი უწყება, რომელიც უზრუნველყოფდა აჭარის რეგიონში ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების, კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებას.

აჭარის რეგიონში ფარმაცევტული საქმიანობის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, „დემოკრატიის ინსტიტუტმა“ რეგიონში მოქმედი აფთიაქების მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგი ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და აფთიაქების სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობას და მოქმედ საკანონმდებლო სტანდარტებთან შედარებას გულისხმობდა (მონიტორინგის შედეგები გამოქვეყნდა გაზეთში „საზოგადოებრივი ჯანდაცვა. ყოველთვიური ჩანართი N10, 2007 წელი).

მონიტორინგის საფუძველზე დემოკრატიის ინსტიტუტმა მიზანშეწონილად ჩათვალა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილიყო სააფთიაქო ქსელის რეგიონარული ადმინისტრირების განმახორციელებელი სახელმწიფო მექანიზმი, რომელსაც ექნებოდა, როგორც შესაბამისი ნებართვების გაცემის, ასევე სანებართვო პირობების შემოწმების და სრული ადმინისტრირების უფლებამოსილება. დემოკრატიის ინსტიტუტის ეს ინიციატივა

რეგიონში საქართველოს წამლის სააგენტოს რეგიონალური ორგანოს ჩამოყალიბებას გულისხმობდა. ინიციატივა აჭარის მთავრობას, უმაღლეს საბჭოს, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და წამლის სააგენტოს წარედგინა. შედეგი არ დამდგარა. მას შემდეგ, დღემდე, არანაირი რეგიონალური ორგანო აღარ არსებობს.

ხელისუფლება გრძნობდა, რომ რეგიონში სრულფასოვანი ფარმაკოთერაპიის ჩატარება შეუძლებელია, თუ არ იქნება წამლის ხარისხის კონტროლის რაიმე რეგიონალური ორგანო. ასევე აუცილებელია რეგიონში სანიტარულ-ჰიგიენური, მიკრობიოლოგიური, ბიოქიმიური თუ სხვა სახის კვლევები. ამ მოცემულობების გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ 2005 წლის 31 მაისს მიიღო N47 დადგენილება, რომლის ძალითაც შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური ლაბორატორია, დამტკიცდა მისი დებულებაც.

დებულებით განისაზღვრა ლაბორატორიის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები, სადაც ფარმაცევტული საქმიანობის კუთხით იგეგმებოდა შემდეგი:

ა). სამკურნალწამლო საშუალებათა ანალიზი ფალციფიცირებაზე, მოსახლეობის უსაფრთხო და ეფექტური მედიკამენტებით მომარაგების მიზნით;

ბ). ცხოველური და მცენარეული ნედლეულისა და მედიკამენტების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი, მათგან დამზადებული პრეპარატების - ვიტამინების, ანტიბიოტიკების, ჰორმონალური წარმოშობისა დასხვა პრეპარატების ანალიზი;

გ). სამკურნალო მცენარეებისა და სამკურნალო სუბსტანციების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ექსპერტიზაში მონაწილეობა;

დ). სააფთიაქო დაწესებულებათა მიერ ექსტემპორალურად დამზადებული საშუალებების, მათ შორის ასეპტიკურად მომზადებულ წამალთა ფორმების ანალიზი.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით ლაბორატორიის სტრუქტურაში გათვალისწინებული იყო წამლის ხარისხის კონტროლის განყოფილების შექმნა.

სამწუხაროდ, ეს კეთილშობილური განზრახვანი ქაღალდზე დარჩა და რეალურად არ განხორციელებულა.

თავი VI

ფარმაცევტული მრეწველობა აჭარაში

საბჭოთა პერიოდის დასასრულისათვის საქართველოში ფარმაცევტული მრეწველობა წარმოდგენილი იყო ხუთი ფარმაცევტული ქარხნით, სამკურნალო მცენარეების ორი მეურნეობით და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ექსპერიმენტალური საწარმოო ბაზით. დარგში დასაქმებული იყო სამი ათას კაცზე მეტი და იწარმოებოდა 60 მლნ-მდე ნეთის პროდუქცია. 2002 წლისათვის ლიცენზირებული იყო 63 ფარმაცევტული საწარმო, 200-მდე დასახელების სამკურნალო საშუალების წარმოებაზე (1).

აჭარაში ფარმაცევტული მრეწველობის ფლაგმანი იყო ბათუმის კოფეინის ქარხანა (შემდგომში ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა, შემდეგ „ბათფარმა", „ბიოპოლუსი").

აჭარაში ჯერ კიდევ II მსოფლიო ომამდე შეიქმნა ფარმაცევტული მრეწველობა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. 1936 წელს ბათუმში საღებავების ქარხნის ბაზაზე გაიხსნა კოფეინის ქარხანა.

კოფეინი, როგორც ძლიერ ეფექტური სამედიცინო პრეპარატი, ყოფილ საბჭოთა კავშირში იმ დროს არ იწარმოებდა და შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან. იგი ვერ აკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნილებას. გადაწყდა კოფეინის გამოშვება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. ეს განაპირობა ადგილობრივი ნედლეულის სიახლოვემ. კოფეინის ნედლეული იყო ჩაის ბუჩქის ნასხლავი მასალა და ჩაის მტვერი (ჩაის წარმოების ნარჩენები). კოფეინის შემცველობა შესაბამისად- 0,45% და 3%).

კოფეინის ქარხანა პირველი და ერთადერთი იყო არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპაშიც, რომელიც მცენარეული ნედლეულისგან ნატურალურ კოფეინს ღებულობდა და ამარაგებდა მთელ საბჭოთა კავშირს. კოფეინის წარმოება ორგანიზებული იქნა თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ ი. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით. მათივე

შემუშავებული ტექნოლოგიით. ქარხნის ორგანიზაციისათვის ჩატარებულ სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო მოსკოვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

ნატურალური კოფეინის პირველი პარტიები მიღებული იქნა მთავარი ინჟინრის - შ. მ. შალამბერიძის ხელმძღვანელობით, თუმცა პირველ წლებში წარმოება არ იყო სრულყოფილი და გამოსავლიანობაც მცირე იყო (ერთ ტონამდე). მთავარი ინჟინერის ინიციატივით ჩატარდა ქარხნის პირველი რეკონსტრუქცია, წარმოების პირველი და მეორე სტადია უწყვეტ ციკლზე გადავიდა, რამაც ნატურალური კოფეინის გამოშვება გაზარდა 7-8 ტონამდე წელიწადში.

1938 წელს წარმოების ნარჩენებიდან - გადამუშავებული წვენისაგან მიიღეს მთრიმლავი ექსტრაქტი ტყავის მრეწველობისათვის, იმავდროულად ადგილობრივი ნედლეულის - თუთუბოსაგან მიიღეს ტანინი, რომელიც 1941-45 წწ. გადაეცა თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანას, ხოლო მთრიმლავი ექსტრაქტის გამოშვება შეწყვეტილ იქნა.

ომის შემდეგ მოხდა ქარხნის გაფართოება, ქარხნის მთავარი ინჟინრის ნ.ჯ. დიასამიძის ხელმძღვანელობით, ჩატარდა ახალი რეკონსტრუქცია - დაინერგა მეორადი ექსტრაქცია, დადგმული იქნა საექსტარქციო სვეტები (კალონკები) დიქლორეთანიანი ექსტრაქციის უბანზე. ამ ღონისძიებებით კოფეინის გამოშვება გაიზარდა და 1952 წლისათვის მიაღწია 15-18 ტონას წელიწადში. ამ დროისათვის ქარხნის წამყვანი სპეციალისტები იყვნენ ნაზიმ ჯემალის ძე დიასამიძე, აბაქიდი იან იოსებიძე, მარია ისიდორეს ასული რუსეიშვილი, ლუბოვ გიორგის ასული ელენინა და სხვები.

1946 წელს კოფეინის ქარხანა საბჭოთა კავშირის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს დაექვემდებარა. 1951-1955 წლებში ჩატარდა ფართომასშტაბიანი რეკონსტრუქცია, რომლის ავტორი და განმახორციელებელი კოფეინის ქარხნის დირექტორი მირიან უსტიაშვილი იყო. ერთ-ერთი პროექტი ითვალისწინებდა პროდუქციის გამოშვების გაზრდას წლიურად 100 ტონამდე. ზოგმა ეს

ჩანაფიქრი ფანტაზიად მიიჩნია, მაგრამ უკვე გამოცდილმა ხელმძღვანელმა ჩანაფიქრი უნაკლოდ შეასრულა. ააშენა სრულიად ახალი ოთხსართულიანი შენობა, საამქროები და ქიმიური ლაბორატორიები აღჭურვა უახლესი აპარატურითა და მოწყობილობით, მოიზიდა მაღალკვალიფიციური კადრები, რამაც საბოლოოდ საფუძველი ჩაუყარა კოფეინის გარდა სხვა სამედიცინო პრეპარატების გამოშვებასაც.

1955 წელს დაიწყეს ახალი პრეპარატის-თეალბინის გამოშვება გადამუშავებული წვენისაგან, რომელიც იღვრებოდა. თეალბინის მიღების ტექნოლოგია შეიმუშავა თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის თანამშრომელმა, ერთ-ერთმა პირველმა ქართველმა მეცნიერ-ფარმაცევტმა ქალმა ქეთევან მუჯირმა. თეალბინმა შეცვალა ძვირადღირებული, დეფიციტური ტანალბინი. 1955-1970 წლებში 10.6-დან 31 ტონამდე თეალბინი დამზადდა. 1958 წელს საწარმოში ოთხი სახეობის პროდუქცია მზადდებოდა-კოფეინი, თეალბინი, კელინი, ომეინი, ხოლო 1959 წელს აითვისეს სამი ახალი სახეობის სამკურნალო პრეპარატი: პლატიფილინი, ალოეს წვენი, ალოეს ემულსია.

1951-1965 წლებში ნატურალური კოფეინის წარმოება 6-დან 44 ტონამდე, ე.ი. 7,3-ჯერ გაიზარდა.

ქარხნის საპროექტო სამუშაოებში აქტიურად მონაწილებდნენ მოსკოვის, ხარკოვის, თბილისის, სამკურნალო და არომატული მცენარეების საკავშირო ინსტიტუტის (ВИЛАР) თანამშრომლები.

1955-58 წწ. ჩამოყალიბდა ქარხნის ცენტრალური ექსპერიმენტალური ლაბორატორია (გამგე ჩიხლაძე ჩ. ა.)

ლაბორატორიაში ხდებოდა ახალი პრეპარატების ათვისება, ტარდებოდა ცდები ქარხნის მიერ გამომუშავებული პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. შემდგომში ლაბორატორიაში მუშაობდნენ მეცნიერები დანილოვა ლ. გ. (პლატიფილინის ავტორი), კისელიოვი, მ. კ. იუსუფოვი, და ბევრი სხვა. ლაბორატორიაში შემუშავებული იქნა კელინის, კოლხამინის აბების, მალამოების ტექნოლოგიები.

1955-1960 წწ აშენდა კოფეინის ახალი საამქრო, სადაც დამონტაჟდა გერმანული უწყვეტი მოქმედების რეაქტორი - შნეკი. ზემოაღნიშნულ წლებში საექსპლუატაციოდ გადაეცა კოფეინის, თეალბინის, ქიმიური პრეპარატების საამქროები, ექსპერიმენტალურ-საწარმოო ლაბორატორია, საქვაბე და სხვა.

1959 წ. დამთავრდა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების საამქროს მშენებლობა (№1 საამქრო), სადაც შემდგომში დამონტაჟდა პლატიფელინის ჰიდროტარტრატის სქემა. ამ საამქროში ღებულობდნენ კოლხამინს, ნერიოლინს, ალოეს პრეპარატებს - წვენს, ნადღვეფს (ლინიმენტს), სიროფს; ამავდროულად აშენდა ორთქლის მიმღები საქვაბე სიმძლავრით 12 ტონა საათში. ქარხანა მომარაგდა ტექნიკური წყლით, აშენდა ელექტროსადგური, ავტოგარაჟი, მექანიკური საამქრო, სამმართველო, გამწმენდი ნაგებობა - ეს სამუშაოები დაიწყო დირექტორმა მ.ლ.უსტიაშვილმა და დაამთავრა ა. ი. კონცელიძემ.

მირიან ლერის ძე უსტიაშვილი დაიბადა 1915 წელს ბათუმში, დაამთავრა ჯერ არასრული საშუალო სკოლა, შემდეგ ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი. ტექნიკუმის დამთავრებისთანავე სწავლა გააგრძელა თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მ. უსტიაშვილი ბათუმში დაბრუნდა, ერთხანს თავის მშობლიურ ტექნიკუმში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, მაგრამ მალე შენიშნეს მისი ნიჭი და უნარი და დაავალეს კოფეინის ქარხნის ხელმძღვანელობა. ეს დავალება მირიან უსტიაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა.

ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივის ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ცხადყოფს ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნა და სერიული წარმოება. 1960 წელს აქ 14 სახეობის პროდუქციას აწარმოებდნენ. მათი რაოდენობა1965 წელს 21, ხოლო 1974 წელს-33 იყო. ქარხანამ წარმატებით აითვისა ისეთი სამკურნალო პრეპარატების სერიული წარმოება, როგორიცაა მაგნოლიას თხევადი ექსტრაქტი, კოლხამინის მალამო,რიოლინი, პასიფლორის თხევადი ექსტრაქტი და სხვა. ისინი გამოიყენებოდა

ჰიპერტონიის, გულის მანკის, საყლაპავი მილის კიბოს, ნევრასთენიის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

1969 წელს დამთავრდა ახალი №2 საამქროს მშენებლობა, სადაც განთავსდა თხევადი პრეპარატების წარმოება: ალოეს პრეპარატები: წვენი, სიროფი, ნადღვეფი და კალანხოეს ექსტრაქტი.

1967 წელს ათვისებული იქნა კელინის წარმოების ტექნოლოგიური სქემა, რომელიც წელიწადში 3 ტონა კელინს იძლეოდა. ქარხნის პროდუქცია იგზავნებოდა საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და საზღვარგარეთ.

მომდევნო წლებში ანჯერო-სუჟენსკის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში აითვისეს და გამოუშვეს სინთეზური კოფეინი, რომლის თვითღირებულება უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ნატურალურ კოფეინისა, ამიტომ 1974 წელს საკავშირო მედიცინის მრეწველობის მინისტრის ბრძანებით მოხდა კოფეინისა და შესაბამისად თეალბინის წარმოების ლიკვიდაცია.

1974 წელს კოფეინის ქარხანას შეეცვალა სახელი და ეწოდა „ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა". მისი სრული სახელი დაქვემდებარების გათვალისწინებით ასე გამოიყურებოდა :სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის სინთეზური სამკურნალო საშუალებების წარმოების მთავარი სამმართველოს ბათუმის „ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა". ამ დროისათვის უკვე 30 პრეპარატს ამზადებდა.

1974-1990 წლებში ბათუმის „ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა" აჭარაში მრეწველობის ფლაგმანი იყო. იგი აწარმოებდა 40-ზე მეტი დასახელების პრეპარატს და მის წილად მოდიოდა საქართველოს სამედიცინო მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 26%. მათ შორის: პლატიფილინი, კელინი, კოლხამინი, პიონი, ელეუტეროკოკი, ალოეს პრეპარატები, ტიგოგენინი, სიმინდის ულვაშის ექსტრაქტი, თევზის ზეთი, კალანხოეს წვენი და სხვ.

მნიშვნელოვან მეცნიერულ აღმოჩენად ითვლებოდა ვიტამინ P ტექნოლოგიის შემუშავება. იგი მიიღეს ციტრუსოვანთა ნაყოფის სამრეწველო გადამუშავების ნარჩენებისაგან (ამონაწნები). ვიტამინ P მიღების ლაბორატორიული სამუშაოები ძირითადად დამთავრდა 1965 წელს, ხოლო მისი სერიული წარმოება დაიწყო 1970

წელს ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში. ასევე მნიშვნელოვანი იყო ვიტამინ B12-ის წარმოების ტექნოლოგიის შემუშავება. მართალია, იგი მოსკოველმა მეცნიერმა (ბუკინი) აღმოაჩინა, მაგრამ ადგილობრივი ნედლეულისაგან მისი დამზადების ტექნოლოგია ბათუმის ფილიალში პირველად შეიმუშავეს 1968 წელს. ამ მნიშვნელოვან აღმოჩენაში დიდი წვლილი შეიტანა მეცნიერ-თანამშრომელმა ე. რომანენკომ.

1977-78 წწ აშენდა ხუთი საცხოვრებელი სახლი, აბანო, კლუბი, მედ-პუნქტი, სასადილო, მაღაზია, აფთიაქი. თანამშრომლებს უფასოდ ეძლეოდათ რძე, შეღავათიანი საგზურები, პრემიები, დროულად ხელფასები, სპეც-ტანსაცმელი, ხალათი, ქუდი, ჩუსტები, საპონი. ყოველწლიურად ქარხნის თანამშრომლები გადიოდნენ სამედიცინო შემოწმებას.

ქარხნის გამწმენდ ნაგებობაში არსებულ ლაბორატორიაში მოწმდებოდა ჩამდინარე წყლები მათში მავნე ნივთიერებების არსებობაზე, ასევე საამქროებში და ქარხნის ტერიტორიაზე ჰაერში სპირტის, ამიაკის, დიქლორეთანის შემცველობა. ამით ქარხნის ადმინისტრაცია ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა გარემოს დაცვის საქმეში.

1980 წელს ქარხანაში დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში შევიდა ტიგოგენინის წარმოება. იგი მიღებული იქნა იუკა დიდებულისაგან, რომელიც მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა აგავეების ოჯახიდან, მისი სამშობლოა ჩრდილოეთ ამერიკა. შირაქის ველზე იგი მოაშენა საქართველოს დამსახურებულმა აგრონომმა, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის თანამშრომელმა ალექსი ჯორბენაძემ. ამ ნედლეულიდან კოფეინის ქარხანამ გამოუშვა ტიგოგენინი. ამავდროულად ქარხანამ გამოუშვა ბორის 5% მალამო და საპარალის აბები. ამ დროს ქარხნის მთავარი ინჟინერი გ. ა. შავთვალაძე იყო.

1980 წელს ასლან კონცელიძის პენსიაზე გასვლის შემდეგ დირექტორად დაინიშნა ზ. კ. ცინცაძე.

იმდენად დიდია ასლან კონცელიძის წვლილი, რომ საერთო თხრობას ცოტა უნდა გადავუხვიოთ და შედარებით დაწვრილებით მოვუთხროთ მკითხველს ა. კონცელიძის ბიოგრაფია. იგი დაიბადა 1911 წელს სოფელ ორთაბათუმში. სამი წლისა იყო, როცა მამა იუსუფი გარდაიცვალა და 6 ობოლის აღზრდა მთლიანად დედას, უმიანს და უფროს ძმას ჰაიდარს დააწვა მხრებზე.

ასლანმა სწავლა დაიწყო ჯაყელის სკოლაში, გიმნაზიაში, რომელსაც მაშინ რუსულ-თურქულ შვიდწლედსაც ეძახდნენ: დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში მექანიკურ ფაკულტეტზე, რომლის დასრულებისთანავე, მაშინდელი მთავრობის განკარგულებით, სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვს მიავლინეს. ნიჭიერი ახალგაზრდა 1930 წელს ჩაირიცხა ბაუმიანის სახელობის ცნობილ სასწავლებელში, აქ მან მიიღო ინჟინერ - მექანიკოსის სპეციალობა და გარკვეული დროით იქვე ერთ-ერთ საპროექტო ორგანიზაციაში ინჟინერ-კონსტრუქტორად დარჩა სამუშაოდ.

1936 წელს ა. კონცელიძე ბათუმში ჩამოვიდა და მანქანათსაშენ ქარხანაში ტექნიკოს-ინჟინრად დაიწყო მუშაობა. ეს ქარხანა მაშინ ერთ-ერთი უნიკალური იყო, რომელსაც ევალებოდა სრულიად ახალი ტექნოლოგიური პროცესებისათვის საჭირო მანქანების გამოშვება. ასე მოხდა 1937 წელსაც. როცა ქარხანამ მიიღო დავალება დაეპროექტებინა და გამოეშვა 12 ახალი მანქანა შამპანურისა და ღვინის წარმოებისათვის ეს დავალება ასლან კონცელიძემ შეასრულა დროულად და ხარისხის წესების სრული დაცვით. მალე ეს მანქანები დამონტაჟდა როსტოვსა და თბილისში და დიდი მოწონებით სარგებლობდა.

ასლან კონცელიძის სახელთანაა დაკავშირებული ჩაის საღნობი მანქანების გამოშვების ათვისებაც, რამაც აუცილებელი გახადა მთელი ქარხნის რეკონსტრუქცია. ამ დროს ის უკვე ქარხნის მთავარი ინჟინერი იყო. ორივე დავალება მან კეთილსინდისიერად შეასრულა. მალე დაოჯახდა კიდეც გულიკო ბაკურიძეზე, შრომა კიდევ უფრო ხალისიანი გახდა, მაგრამ 37-წლის სუსხი ასლანის ოჯახსაც მიწვდა. დააპატიმრეს მისი ძმა ხასანი და ასლანიც

„ხალხის მტრის" ძმის შემაძრწუნებელი სახელით მოინათლა. მასაც ძმის ბედის გაზიარება ელოდა, მაგრამ ეტყობა მაშინდელი მთავრობა ასე ადვილად არ შეელია კაცს, რომლის შემცვლელი არ ჰყავდა და რომლისგანაც დიდი სახელმწიფოებრივი დავალების შესრულების იმედი ჰქონდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ მეორე მსოფლიო ომში გაწვეული ასლან კონცელიძე ძალიან მალე, ფაქტობრივად გზიდან, მისივე ქარხანაში დააბრუნეს და სამხედრო პროდუქციის ათვისება და გამოშვება დაავალეს. ეს დავალებაც, უფრო სწორად მისთვის უჩვეულო და მოულოდნელი საქმე, ასლან კონცელიძემ პირნათლად და უნაკლოდ შეასრულა. ფრონტმა ბათუმიდან მიიღო უჩვეულო და უტყუარი იარაღი.

საქმე ამით არ დამთავრებულა. სახელმოხვეჭილი ინჟინერი, რომლის დამსახურება მხოლოდ დიდმა მოხელეებმა და საიდუმლო სამსახურის მუშაკებმა იცოდნენ, ახალი მოულოდნელობის წინაშე აღმოჩნდა. დავალება მისცეს, სათავეში ჩადგომოდა ბათუმის კოფეინის ქარხანას, რომლის ტექნოლოგია მისთვის თითქმის უცნობი იყო. გამოცდილმა ინჟინერმა სრულიად მოკლე დროში შეისწავლა ფარმაცევტული ტექნოლოგიები, ფაქტობრივად შეიცვალა პროფესია და საწარმო ძალიან მალე მოწინავე, მომგებიან ქარხანად გადაიქცა.

ძნელია ყველა ჯილდოს ჩამოთვლა, რაც ასლან კონცელიძემ მიიღო, ამიტომ ბანალური ფრაზით ამოვწურავ სათქმელს: მთელს საბჭოეთში აღიარებულმა კაცმა მრავალი ორდენი, მედალი, სიგელი და ფასიანი ჯილდო მიიღო. მიენიჭა საქართველოს და აჭარის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდებები.

82 წელს მიღწეული კაცი ასაკს არ ეპუებოდა და კვლავ ახალგაზრდული შემართებით აგრძელებდა მოღვაწეობას, მაგრამ შრომის პირობებმა თავისი გააკეთა, საამქროში არსებული გაზებით ორგზის მოწამლვამ დაუზიანა თვალები, ამას დაერთო შვილის, მომავალი იურისტის ტრაგედიაც და იძულებული გახდა ხელმძღვანელობა თავისივე სანდო მოწაფეებისათვის გადაეცა.

1981-82 წწ. ათვისებულ და დანერგილ იქნა შემდეგი პრეპარატები: სიმინდის ულვაშის ექსტრაქტი, სანგვირიტინის 10 მლ-

იანი, 10%-ინი ხსნარი, სანგვირიტინი მალამო 20,0; სულფოდი-მეტოქსინის 0,5 აბები, სიბაზონის აბები 0,005 №20. 1983 წ. დაინერგა პლატიფილინის ჰიდროტარტრატის მიღება წარმოების ნარჩენებისაგან – სენეციფილისგან, ამავდროულად მიღებულ იქნა სუფთა სენეციფილინი. 1985 წელს ცენტრალურ ლაბორატორიაში მიღებულ იქნა კოლხიცინი, კოლხამინის დიქლორეთანიანი ექსტრაქტისაგან. ეს სამუშაოები ჩატარდა მეცნიერებთან ერთად. კოლხიცინზე დიდი მოთხოვნილება იყო საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებში.

1983 წ. დაინერგა ტაბლეტების დამამზადებელი მანქანა PTM-300. 1984 წ. ალოესა და კალანხოეს პრეპარატებისათვის მეტალის მილები შეცვლილი იქნა მინის მილგაყვანილობით და დაინერგა კალანხოეს წარმოებაში ფლაკონების სახუფი უნივერსალური ავტომატი.

1985 წლისათვის ქარხანა უშვებდა 41 დასახელების პრეპარატს, 20 სხვადასხვა დასახელების ნედლეულს. სამკურნალო პრეპარატებიდან 18 დასახელების სხვადასხვა ტაბლეტს, 8 სახის ფხვნილს, 15 სახის თხევად სამკურნალო პრეპარატს და მალამოს, ემულსიას, ნადღვეფს.

1985 წელს დაამონტაჟეს ინდური ფირმა „ფორჩენ ინტერნეიშ"-ის მიერ გამომუშავებული თხევადი პრეპარატების ჩამოსხმის ავტომატური ხაზი. ქარხნის მთავარი ინჟინერი იყო გურამ ანტონის ძე შავთვალაძე, ინდური ხაზის ამუშავებაზე მუშაობდა ა. წიკლაური და სხვები.

1986 წელს ქარხნის დირექტორად დაინიშნა ნ. ი. ჟინჯიბა. იმ დროს მიმდინარეობდა ძირითადად ვიტამინ P-ს მიღების ცდები ციტრუსების კანისგან. 1992 წ. კოფეინის საამქროს დემონტაჟის შემდეგ იგი გადაკეთდა ვიტამინ P-ს საამქროდ. ეს პრეპარატი დაინერგა ბათუმის ციტრუსკომბინატთან არსებული საკავშირო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით. წარმოება უშვებდა წელიწადში 50 ტონა ვიტამინ P-ს. ამ პრეპარატის ათვისებისათვის დიდი სამუშაოები ჩატარდა

ქარხნის ცენტრალურ ექსპერიმენტალურ ლაბორატორიაში. ტარდებოდა აგრეთვე სამუშაოები პექტინის მისაღებად. ვიტამინ P-ს საამქროს უფროსი იყო გ. ჭანტურია.

1994 წლის იანვარში ჯინჯიბა განთავისუფლდა. დირექტორად დაინიშნა თემურ ფალავანდიშვილი. ქარხანა შევიდა გაერთიანება „ფარმაციას" შემადგენლობაში. ფალავანდიშვილმა სცადა ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით გამოეშვა პრეპარატი კოფეინი. ამ მიზნით მან დაამონტაჟა კოფეინის წარმოების ახალი სქემა, აგრეთვე, ქობულეთში პლატიფილინის ნედლეულის დამამზადებელი სქემა, სამწუხაროდ მისი ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა.

1997 წლიდან გაერთიანების დირექტორია ბარდი მელაძე. მთავარი ინჟინერი ვ.კალანდაძე. ამ დროს გამოუშვეს სიბაზონის ტაბლეტები, ბრილიანტის მწვანე, 5%-იანი იოდის ხსნარი, პერიოდულად იწარმოებოდა ალოეს და კალანხოეს პრეპარატები და პლატიფილინის ჰიდროტარტრატი, ასევე გარემონტდა და გადაიხურა სამმართველოს შენობა.

2004 წლიდან პრივატიზაციამდე, ანუ 2006 წლამდე ქარხანას ხელმძღვანელობდა პროვიზორი ამირან შამილაძე. ის ძალიან კარგად იცნობდა პლატიფილინის სუბსტანციის გასაღების არხებს და შეეძლო ახალ სიმაღლეზე აეყვანა მცენარე ხარისშუბლას დამზადებისა და მისგან პლატიფილინის წარმოების საქმე, მაგრამ პრივატიზაციის გამო ეს დიდებული მიზნები განუხორციელებელი დარჩა.

2006 წელს ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა გაკოტრებული და გავერანებული პრივატიზების წესით ძალიან იაფად გაიყიდა. იგი შეიძინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათფარმამ", რომლის დაფუძნების თარიღია 2006 წლის 13 ივლისი. ამ კერძო ფარმაცევტული კომპანიის მიერ მოკლე დროში რეკონსტრუქცია და რემონტი ჩაუტარდა საწარმოს ძირითად კორპუსებსა და საამქროებს. გაიმართა საამპულე და სატაბლეტე საამქროები. 2008 წლის 31 ოქტომბერს „ბათფარმამ" კიდევ ერთი

ახალი წარმოება-პლატიფილინის საამქრო აამოქმედა. პლატიფილინის საწარმოს ამოქმედებით აღდგა ის მდიდარი ტრადიცია, რაც ქარხანას დაარსების დღიდან მოყვება, ხოლო სპეციალისტების აზრით, პრეპარატზე მოთხოვნა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ძალიან დიდია.

2008 წლის 13 ივლისს ბათფარმამ ფართოდ აღნიშნა დაარსებიდან 2 წლისთავი და ამით თითქოს ერთგვარი ანგარიშიც წარუდგინა საზოგადოებას. იუბილე ბათფარმამ რესტორან „სანრემოში“ აღნიშნა, სადაც აჭარის სამედიცინო და და ფარმაცევტული საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, უცხოელი კოლეგებიც მიიწვიეს. იუბილეს მსვლელობისას აღინიშნა, რომ „ბათფარმა“ ერთ-ერთი პირველთაგანი ფარმაცევტული საწარმოა საქართველოში, რომელიც თავისი აღჭურვილობით, მანქანა-დანადგარებით, პროფესიული კადრებით, გამოცდილებითა და სწორი მენეჯმენტით ტოლს არ უდებს არც ერთ მსგავს საწარმოს. ითქვა, რომ ქარხანა 120-ზე მეტი დასახელების მედიკამენტს აწარმოებს, რაზეც მოთხოვნა დღითი-დღე იზრდება არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

„ბათფარმას“ წარმატებებზე ნათლად მეტყველებს საზოგადოების ცნობილ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა შეფასებები. აი ზოგიერთი მათგანიც (გაზეთი „აჭარა P. S.“, N34, 3-4 ნოემბერი,2008 წელი): ალიოშა ბაკურიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი: „ბათფარმა გახლავთ თანამედროვე დონეზე აღჭურვილი, ერთ-ერთი წარმატებული ქართული ფარმაცევტული საწარმო, რომელიც ყოველდღიურად ნერგავს საერთაშორისო სტანდარტებს, რაც გვაძლევს გარანტიას მივიღოთ ხარისხიანი, ეფექტური და უვნებელი სამკურნალწამლო საშუალებები. ვთვლი, რომ „ბათფარმას“ მიერ წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნარიანია არა მარტო ქართულ, პოსტსაბჭოთა, არამედ ევროპულ ფარმაცევტულ ბაზარზეც კი. ეჭვგარეშეა, რომ „ბათფარმას“ პროდუქცია არის

ხარისხიანი, სანდო და ის სრულიად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების იმ მოთხოვნებს, რა მოთხოვნებიც გააჩნია ფარმაცევტულ პროდუქციას მთელს მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, მოხარული ვარ რა „ბათფარმას“ ესოდენ დიდი წარმატებებით, კვლავაც ახალ-ახალ გამარჯვებებს ვუსურვებ მათ.

რამაზ სურმანიძე, ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი: „ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა ძალიან დიდი ტრადიციების მატარებელი საწარმო გახლდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო წლებში ის გაუქმდა და ყოველგვარი ფუნქცია დაკარგა. როცა ქარხანა ფაქტობრივად მიწასთან გასწორებული გაიყიდა და მას სათავეში ბატონი გელა გიგოლაშვილი ჩაუდგა, ამ ფაქტს დიდი აზრთა სხვადასხვაობა მოყვა, თუმცა, ყველა ჩვენგანი დაიმედებულნი ვიყავით, რომ ქარხანა ძველ პროფილს არ დაკარგავდა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ისევ ხალხის სამსახურში ჩადგებოდა. მართლაც, მოგვეხმარა ღმერთი, რომ ბატონი გელა გიგოლაშვილი არის ქარხნის ხელმძღვანელი. მან თავი მოუყარა ძალიან ბევრ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს და ქარხანა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ, საერთაშორისო ასპარეზზეც კი სანიმუშო საწარმოდ გადააქცია. დღეს, „ბათფარმა“ ისეთ პროდუქციას აწარმოებს, რაც ნებისმიერი ქვეყნის ფარმაცევტულ წარმოებას დაამშვენებდა. ამიტომ, მას ყოველმხრივ მხარდაჭერა სჭირდება. პირადად მე, ძალიან აღფრთოვანებული ვარ, რომ დღეს, ჩვენს ქალაქში, გვაქვს ძალიან წარმატებული, მრავალმხრივ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ფარმაცევტული ქარხანა“.

ვლადიმერ მახარაძე, აჭარის ფარმაცევტთა კავშირის თავმჯდომარე, კომპანია „ჰეკატეს“ გენერალური დირექტორი, პროფესორი: „ უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებული ტემპით იწყო ფარმაცევტული მრეწველობის განვითარებამ საქართველოში. შეიქმნა რამდენიმე ახალი, მძლავრი საწარმო, მაგრამ მათ შორის „ბათფარმა“ გამოი-

რჩევა რამდენიმე ისეთი ნიშნით, რაც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. ეს გახლავთ დინამიურობა, მან ძალიან მოკლე დროში მოიკრიბა ძალ-ღონე და შექმნა თანამედროვე ტიპის საწარმო, მეორეს მხრივ, ეს არის, ფართო ასორტიმენტი იმ სამკურნალწამლო საშუალებებისა, რასაც ის უშვებს. ყველაფერი ეს, სულ რაღაც ორ წელიწადში გაკეთდა. აგრეთვე დამახასიათებელია ისიც, რომ მას პროდუქციის უმეტესი ნაწილი გააქვს ექსპორტზე, რაც ძალიან მისასალმებელია ნებისმიერი, განსაკუთრებით კი ფარმაცევტული საწარმოსათვის, რადგანაც დღეს, მსოფლიოში ასეთ წარმოებებს შორის, ძალიან დიდი კონკურენციაა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ბათფარმა" მასშტაბურად იყენებს საქართველოში ველურად მოზარდ და კულტივირებულ სამკურნალო მცენარეებს. აი, ეს ნიშნები, საწინდარია იმისა, რომ „ბათფარმასაგან" უახლოეს მომავალში კიდევ უფრო დიდ და სერიოზულ წარმატებებს ველოდოთ".

ასევე ყურადღებას იქცევს „ბათფარმას" მენეჯმენტი, იგრძნობა ძალიან გამოცდილი ხელმძღვანელის ხელი, რომელსაც აქვს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის გამოცდილება, ეს გახლავთ ბატონი გელა გიგოლაშვილი, რომელიც შესანიშნავად უძღვება წარმოების საქმეს. იგი 1994 წლიდანაა ფარმაცევტულ საქმიანობაში ჩართული, აქ გადმოვიდა მოსკოვიდან. ბათფარმაში დასაქმებულია 447 კაცი, რომელთაგან მხოლოდ 4 ადამიანია თბილისიდან მოწვეული, სხვა ყველა ადგილობრივო კადრია.

ბათფარმას პარტნიორები არიან გერმანელები, ჩინელები, ინდოელები, უკრაინელები და რუსები, საიდანაც შემოაქვთ ნედლეული, იყენებენ ადგილობრივ ნედლეულსაც. პროდუქციის რეალიზებას ახდენს უზბეკეთში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, მოლდოვაში, უკრაინასა და რუსეთში ნაწილობრივ. რაც შეეხება გამოშვებული პროდუქციის ხარისხს, მართალია, ჯერ საქართველოში ჯი-ემ-პის სტანდარტებით ვერც ერთი საწარმო ვერ მუშაობს, მაგრამ „ბათფარმა" ამ სტანდარტების

შესრულებასთან ძალიან ახლოსაა, რადგანაც აქ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული“.

ბათფარმა დასაწყისში აწარმოებდა 24 დასახელების კონკურენტუნარიან პრეპარატს, რომელთაგან დიდი ნაწილი ექსპორტზე გაჰქონდათ. „ბათფარმას“ პროდუქტები-ალოე ამპ., ამპიოქსი ფლ., ამპიცილინი ფლ., გლუკოზა ამპ., ლევომიცეტინი ტაბ., ნოვოკაინი ამპ., პლატიფილინი ამპ., ტეოფედრინი ტაბ., ცეფტრიაქსონი ფლ., და სხვ. შემდგომში ბათფარმამ გამოუშვა პრეპარატების სერია, რომელთა პრეფიქსად აიღეს ფუძე „ბათა“, ასე შეიქმნა პრეპარატები; ბათაფლუ, ბათაბოლილი, ბათაფილინი და ს.შ. სულ 115 პოზიციის წარმოება დაისახეს მიზნად, რომელთაგან 40 ბრენდული უნდა ყოფილიყო.

რეგიონში ფარმაცევტული მრეწველობის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ორგანიზატორებმა მირიან უსტიაშვილმა, ასლან კონცელიძემ და გელა გიგოლაშვილმა. საინტერესო სიახლეების დანერგვას ცდილობდნენ თემურ ფალავანდიშვილი და ამირან შამილაძე, რთულ პერიოდში მოუწია ქარხნის ხელმძღვანელობა ბადრი მელაძეს. საერთო წარმატებები არის ინჟინრების, ქიმიკოსების, ფარმაცევტების, მეაპარატეების, ლაბორანტების, საამქროების უფროსების და სხვა კატეგორიის მუშაკების არაერთი თაობის ენერგიული და ნაყოფიერი საქმიანობის შედეგი. ცალკე უნდა ითქვას აჭარის რეგიონში სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადებისა და მისი ექსპორტის შესახებ. ასეთ ნედლეულს წარმოადგენს: მოცვის ნაყოფი, ნეგოს ყვავილი (უკვდავა), ასკილის ნაყოფი, ორკბილას (ხოზიკას) ბალახი, ევკალიპტის ფოთოლი, ხარისშუბლა(ბალახი), თირკმლის ჩაი, პოლ-პალა (ბალახი) და სხვა. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული მასალის სიმწირის გამო ეს საკითხი ღიად გვრჩება.

თავი VII

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა აჭარაში

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა წარმოების ტექნიკურ პროგრესში. ამ პროცესში დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა, პრაქტიკოსმა ინჟინერ-ტექნიკურმა ინტელიგენციამ, ეკონომისტებმა, ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა, მუშებმა, სახელმწიფო ხელისუფლებისა და წარმოების ხელმძღვანელებმა. გაიხსნა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მათი ფილიალები, ლაბორატორიები, საკონსტრუქტორო ბიუროები და სხვა დაწესებულებები.

პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან მატერიალურ წარმოებასთან, დაარსდა საბჭოთა ხელისუფლების ომამდელ პერიოდში. 1930 წელს გაიხსნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევიტი ინსტიტუტის (ოზურგეთის რაიონი, დაბა ანასეული) ჩაქვის ფილიალი. 1931 წელს ბათუმში დაარსდა თევზის მეურნეობისა და ბიოლოგიის სადგური, რომელიც 1938 წელს გადავიდა სსრ კავშირის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის ინსტიტუტის (მოსკოვი) დაქვემდებარებაში. 1937 წელს ქობულეთში გაიხსნა სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (რუს. ВИЛАР) ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგური. 1958 წელს გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1960 წელს ბათუმში დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში ლითონის კოროზიის ლაბორატორია, თბილისის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევთი ინსტიტუტის ბათუმისა და ქუთაისის ფილიალების ბაზაზე 1981 წელს შეიქმნა მსხვილი გამოყენებითი სამეცნიერო დაწესებულება-სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი

და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი, რომელიც ინტენსიურად მუშაობს სუბტროპიკული ნაყოფის შენახვის, სასაქონლო დამუშავებისა და სამრეწველო გადამუშავების პრობლემების გადაწყვეტაზე და ა.შ., სულ აჭარაში, მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს არსებობდა 13 სამეცნიერო დაწესებულება (ო. თურმანიძე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომის შემდგომ პერიოდში (1946-1990), ბათუმი, 2005, გვ.307).

ომამდე და ომის შემდგომ აღდგენით წლებში სამეცნიერო დაწესებულებებს სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდათ. განყოფილებები და ლაბორატორიები უზრუნველყოფილი არ იყო აპარატებითა და ხელსაწყოებით, საჭირო დგამ-ავეჯით, შესაფერისი შენობებით.

სამეცნიერო დაწესებულებათა სუსტ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მოწმობს მეცნიერ-მუშაკთა თვისობრივ-რაოდენობრივი შემადგენლობაც. 1937 წლის დასაწყისში აჭარაში აღირიცხა 51 მეცნიერ-მუშაკი, მაგრამ სამეცნიერო ხარისხი მხოლოდ 7 კაცს ჰქონდა (ერთი დოქტორი და 6 კანდიდატი (ო. თურმანიძე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომის შემდგომ პერიოდში (1946-1990), ბათუმი, 2005, გვ.304).

სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის ზონალური საცდელი სადგური 1937 წ. აკადემიკოსების მამია გოგოლიშვილისა და ნ. ი. ვავილოვის ინიციატივით ქობულეთში დაარსდა სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგური, რომელიც 1940 წ. გადაკეთდა სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის ზონალურ საცდელ სადგურად. დაქვემდებარება იმავე ინსტიტუტისა დარჩა. აქ იკვლევდნენ სამკურნალწამლო მცენარეული ნედლეულის ხარისხობრივ თვისებებს და მისგან ამუშავებდნენ ახალ სამკურნალწამლო პრეპარატებს. ამავე დროს სადგური სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის ბაზაც იყო.

სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის ზონალური საცდელი სადგურის მუშაობის შედეგები შეიძლება წარმოვადგინოთ ორ ნაწილად:

I ნაწილში ავსახოთ პერიოდი, როცა საცდელი სადგური იყო სამკურნალო მცენარეთა ყოფილი საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაქვემდებარებაში და II ნაწილი, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იგი შევიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დაქვემდებარებაში.

ნაწილში I.

სამკურნალწამლო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქობულეთის ზონალური საცდელი სადგური (1937-1992)

ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერულ და პრაქტიკულ მედიცინაში გამოიყენებოდა 200-ზე მეტი სამკურნალო მცენარე, მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში 12 ათასამდე სამკურნალო მნიშვნელობის მცენარეს იცნობდნენ.

ფარმაცევტული მრეწველობის მიერ გამომუშავებული 1600 დასახელების სამკურნალწამლო პრეპარატიდან, ერთი მესამედი მცენარეული წარმოშობისა იყო, რისთვისაც ყოველწლიურად მზადდებოდა 50000 ტონაზე მეტი სამკურნალწამლო მცენარეული ნედლეული.

ფარმაცევტული მრეწველობისათვის საჭირო ასეთი რაოდენობის სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წარმოება განაპირობა დიდი მასშტაბით ჩატარებულმა ღრმა მეცნიერულმა კვლევებმა, რომელსაც ძირითადად ყოფილი სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (რუს. ВИЛАР) აწარმოებდა. ამ ინსტიტუტის მიერ წარმოებული კომპლექსური ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ძირითადად ზონალური საცდელი სადგურების ქსელზე დაყრდნობით ხორციელდებოდა, რომლებიც საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ტერიტორიის ყველა გეოგრაფიულ ზონებს მოი-

ცავდა. მათ შორის ერთ-ერთი წამყვანი იყო ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგური, რომელიც შევიდა ინსტიტუტის სტრუქტურაში და რომელიც თავდაპირველად შექმნილი იყო, როგორც აჭარის სამეცნიერო-კვლევითი საყრდენი პუნქტი. ეს მოხდა 1940 წელს, აკადემიკოს ნ. ი. ვავილოვის წინადადებითა და აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ამ მიზნით გამოიყო ქ. ქობულეთში, ყოფილი გერანის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია 160 ჰექტარის ოდენობით და განთავსდა საცდელი სადგური თავისი ექსპერიმენტალური ბაზით.

1950 წლიდან, საცდელი სადგურის მიერ დამუშავებული მეცნიერული რეკომენდაციების ფართო პრაქტიკული გამოყენების მიზნით, ექსპერიმენტალური ბაზა გარდაიქმნა ქობულეთის სპეციალიზირებულ სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობად.

1969 წელს, საცდელი სადგურის მიერ დაგროვილი მდიდარი სამეცნიერო-კვლევითი მასალებისა და შედეგების პრაქტიკაში უფრო ფართოდ დანერგვის მიზნით, რომელსაც უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა არსებული საბჭოთა მეურნეობა, შეიქმნა შუა ხორგის სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობა. მისი შექმნა საშუალებას იძლეოდა სუბტროპიკული ზონის სამკურნალო მემცენარეობის განვითარება წარმართულიყო კოლხეთის დაბლობზე.

საცდელი სადგურის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები პირველ ეტაპზე ძირითადად მოიცავდა სუბტროპიკული და ტროპიკული წარმოშობის სამკურნალო მცენარეების ინტროდუქციას და მათი ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ, კულტურაში შეყვანას. ჩატარებულ სამუშაოთა საფუძველზე, დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში შესაძლებელი გახდა სამკურნალწამლო ნედლეულის რენტაბელური წარმოება სამედიცინო მრეწველობისა და პრაქტიკული მედიცინის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ერთდროულად, საცდელი სადგური აწარმოებდა ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების რესურსებისა და მათი ახალი სახეობების გამოვლენასა და შესწავლას ამიერკავკასიის

ფლორაში. შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა ორი ძირითადი მიმართულებით.

პირველი იყო ახალ სამკურნალო მცენარეთა ინტროდუქცია და კულტურაში შეყვანა. ამ მიმართულებით შექმნილი იყო სამამულო და უცხოური წარმოშობის სამკურნალო მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთი და სათბური, რომელიც 400-450-მდე სხვადასხვა სახეობას მოიცავდა და ყოველწლიურად მისი განახლება ხდებოდა ახალი სახეობებით. საცდელი სადგური აწარმოებდა თესლებისა და სარგავი მასალის გაცვლას სხვადასხვა ქვეყნების ბოტანიკურ ბაღებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. ამ მდიდარი კოლექციიდან შერჩეული იქნა 26 პერსპექტიული სამკურნალო მცენარე, რომლებიც საცდელი სადგურის მოღვაწეობის მთელ პერიოდში სხვადასხვა დროს შეყვანილი იქნა კულტურაში. დროთა განმავლობაში ბევრი მათგანი სამკურნალო პრეპარატების წარმოების კონიუქტურის თავისებურებისა და სხვა მიზეზების გამო, შემდგომში ამოღებული იქნა წარმოებიდან, როგორიცაა: ქინაქინის ხე, ქაფურის ხე, გომფოკარპუსი, ოლეანდრი, პილოკარპუსი, ზღვის ხახვი, ეუკომია, მაგნოლია და სხვა.

ინტროდუქციული და პირველადი შესწავლითი სამუშაოების შედეგად, საცდელი სადგურის სამეცნიერო კოლექტივმა გადაჭრა ძირითადი ამოცანა, რომელიც მის წინაშე იდგა – დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონისათვის შეექმნა ტროპიკული და სუბტროპიკული წარმოშობის უცხოეთიდან შემოტანილი სამკურნალო მცენარეების ათვისებისა და კულტურაში შეყვანის მეცნიერული საფუძვლები.

ამ ამოცანის გადაჭრა დაკავშირებული იყო იმ სიძნელეებთან, რაც მათი ათვისების გზაზე იდგა. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონები, ყველაზე უფრო მკაცრია და ჩრდილოეთითაა განლაგებული სხვა სუბტროპიკულ ზონებთან შედარებით. საცდელი სადგურის მეცნიერებმა დაამუშავეს სითბოსმოყვარულ მცენარეთა სამეურნეო – ერთწლიანი კულტურის მეთოდი,

რომლის დროსაც გამრავლება და მცენარეთა ვეგეტაციის განსაზღვრული პერიოდი მიმდინარეობს დახურულ გრუნტში და მოსავალი მიიღება ღია გრუნტში.

პრაქტიკულად, ეს მეთოდი გამოყენებული იქნა ალოეს, თირკმლის ჩაის, პოლ-პალას (ერვა აბრეშუმისებრი), კატარანტუსის, სტეფანიის, კალანხოეს და სხვ. კულტივირების დროს.

ინტროდუქციული სამუშაოების შედეგად საცდელი სადგურის მიერ კულტურაში შეყვანილი სამკურნალო მცენარეებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო და რჩება შემდეგი კულტურები: ალოე, თირკმლის ჩაი, პასიფლორა, დანაკვთულფოთოლა ძაღლყურძენა, გლუვი სტეფანია, ევკალიპტის სამედიცინო სახეობები, რაუვოლფია, კატარანტუსი ვარდისფერი, ჰამამელისი ვირგინიის, კალანხოე ფრთისებრი, დიოსკორეა დელტისებრი, ლავალიის კორპის ხე, ერვა აბრეშუმისებრი (პოლ-პალა), ფაცია.

ამ სამკურნალო მცენარეების პირველადი აგროტექნიკის დამუშავების შედეგად დასავლეთ საქრთველოს სუბტროპიკულ ზონაში რეალური საფუძველი ჩაეყარა სოფლის მეურნეობის ახალი დარგის – სუბტროპიკული სამკურნალო მემცენარეობის განვითარებას.

შემდგომში დამუშავებული იქნა ზემოაღნიშნული ახლი სამკურნალო კულტურების მოვლა-მოყვანის ძირითადი საკითხები, რომელთა გადაჭრასაც მათი საწარმოო ათვისება მოითხოვდა. დამუშავებული იქნა ამ სამკურნალო მცენარეთა კულტივირების ძირითადი აგროტექნიკა, მათი კულტურის ინტენსიფიკაციის გზით, რაც მოიცავდა ნიადაგის დამუშავებას, სარგავი და სათესლე მასალის მომზადებას, რგვისა და თესვის ოპტიმალური ვადების დადგენას, პლანტაციების მოვლის ხერხების დამუშავებას, ორგანული და მინერალური სასუქების, მათ შორის მიკროსასუქების და ჰერბიციდების რაციონალურ გამოყენებას, მოსავლის აღების ოპტიმალური ვადების დადგენას, ნედლეულის გადამუშავებისა და სტანდარტიზაციის მეთოდების, სამკურნალო მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლას, ცალკეული შრომითი

პროცესების მექანიზაციას და სხვა. ამ მდიდარი კვლევითი მასალების საფუძველზე შედგენილი იყო ყველა კულტურის მოვლა-მოყვანის აგროწესები, რომლებიც გადაეცემოდა წარმოებას.

პერიოდულად აგროწესებში ხდებოდა შესწორებებისა და დაზუსტებების შეტანა ახალი კვლევითი მასალების დაგროვების საფუძველზე. ეს აგროწესები და მუდმივი კონსულტაციები იყო წარმოების სპეციალისტთა ძირითადი სახელმძღვანელო მასალა, რაც უზრუნველყოფდა ახალი კულტურების წარმატებით ათვისებას და მათი შემდგომი წარმოების ინტენსიფიკაციას, მცენარეული სამკურნალწამლო ნედლეულის ხარისხის ამაღლებასა და მოსავლიანობის გაზრდას.

სამკურნალწამლო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქობულეთის ზონალური საცდელი სადგურის (1937-1992) არსებობის ბოლო წლებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო შემდეგი კულტურების წარმოებაში დანერგვა და მათგან ძვირფასი სამკურნალო პრეპარატების შექმნა:

კატარანტუსი (ვარდისფერი) – კიბოსაწინააღმდეგო პრეპარატების – ლეიროზინისა და ვინბლასტინის წყარო; კალანხოე – გარეგანი და წყლულების მოსარჩენი პრეპარატების წყარო; ერვა აბრეშუმისებრი (პოლ-პალა) – ღვიძლისა და თირკმლების სამკურნალო საშუალებების წყარო; ლავალიის კორპის ხე – პრეპარატ ფლაკოზიდის წყარო; ფაცია – რობინინის შემცველი წყარო.

საცდელი სადგური დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამკურნალო მემცენარეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საკითხების გადაჭრას, რადგანაც სამკურნალო მემცენარეობაში ჯერ კიდევ დიდია ხელით შრომის წილი. არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების შერჩევისა და მათი სამკურნალო მცენარეების მოვლა-მოყვანის პროცესებისათვის მისადაგების შედეგად მექანიზირებული იქნა ძირითადი პროცესები. ბოლო წლებში მექანიზირებული წესით ირგვებოდა კატარანტუსი, თირკმლის ჩაი, ალოე და სხვა. მექანიზირებული იყო თირკმლის ჩაის კრეფა, კატარანტუსის ჭრა, მათი გადამუშავება და შრობა.

შესწავლილ იქნა ძირითად სამკურნალო მცენარეთა მავნებლები და დაავადებები, გამოვლენილ იქნა 67 დაავადების გამომწვევი და 37 მავნე ენტომოფაუნა. დამუშავდა მათთან ბრძოლის ღონისძიებები. ინტენსიური სამუშაოები წარმოებდა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ბიოლოგიური და ინტეგრირებული მეთოდების დასამუშავებლად.

სელექციური მუშაობა მიმდინარეობდა ძირითადი კულტურების ელიტური და სუპერელიტიური გასამრავლებელი მასალის მიღების გზით. ბოლო წლებში შეიქმნა კატარანტუსის კულტურის ორი სელექციური ფორმა, რომელშიც ვინბლასტინის შემცველობა 1,3-ჯერ მეტია, ვიდრე საწყის მასალაში.

საცდელმა სადგურმა მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა საკოლექციო რესურსების შევსებისა და კოლექციებიდან ახალი ობიექტების შესწავლისა და კულტურაში შეყვანის მიზნით. შესწავლის პროცესში იყო ახალი ობიექტები: ეხინაცეა-მელისა, სათითურა, ქაცვი, იაპონური ფაცია. მიმდინარეობდა დაკვირვებები კრაზანასა და კატაბალახაზე მათი კულტურაში ათვისების მიზნით.

პლანტაციების შესაქმნელად და აგრორეკომენდაციების დასახვეწად, მიმდინარეობდა სამუშაოები ვირგინიის ჯადოსნური თხილისა და ეუფორბიას კულტივირების საკითხების დასახვეწად, იუმანის ევკალიპტის სახეობის ეთეროვანი ზეთის სამედიცინო მნიშვნელობის დადგენისათვის. გარკვეული სამუშაოები ჩატარდა სამკურნალო-პროფილაქტური ჩაის კომპოზიციების შესამუშავებლად ლავალიის კორპის ხის, ბარამბოს, ვნების ყვავილის, სტერკულიასა და სხვა გამოყენებით.

მოკლედ უნდა შევეხოთ საცდელი სადგურის მუშაობის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან მხარეს, რაც საქართველოს ფლორის სამკურნალო მცენარეული ნედლეულის რესურსების შესწავლასა და მის ათვისებას ეძღვნება.

სუბტროპიკულ ზონაში სამკურნალო მემცენარეობის ინტენსიური განვითარების მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებო-

და ბუნებრივ არეალში ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების შესწავლასა და მათი რესურსების ათვისებას, რადგან ფარმაცევტული მრეწველობა და პრაქტიკული მედიცინა აქედან მრავალფეროვან და საკმაო ოდენობის სამკურნალწამლო ნედლეულს იღებს. ამ მიმართულებით, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები იგეგმებოდა იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივი რესურსების ექსპულატაცია მოითხოვს დიდ ყურადღებას და სიფრთხილეს, რადგან რეალურია იმის საშიშროება, რომ ზოგიერთი ძვირფასი სამკურნალო მცენარის რესურსები არასწორი ექსპულატაციის შედეგად შეიძლება ძლიერ შემცირდეს და გაქრობამდეც კი მივიდეს, წითელ წიგნში გახდეს შესატანი.

საცდელი სადგურის მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევები ძირითადად მიმართული იყო სამკურნალო მცენარეული რესურსების გამოვლენისა და დაზუსტებისაკენ, რაიონებისა და ცალკეული რეგიონებისათვის მათი მარაგების რუკების შედგენისა და ექსპულატაციის რეჟიმის შემუშავებისაკენ. ზოგიერთი სამკურნალო *მცენარისათვის კი, როგორიცაა თავყვითელა, ამ რესურსების ქიმიური ტაქსაციით.* მათი ექსპულატაციის რეჟიმის შემუშავების ძირითადი მიზანი იყო ამ მცენარეთა რესურსების რაციონალური ექსპულატაცია და მათი განადგურებისა ან შემცირებისაგან გადარჩენა.

ზემოაღნიშნული სამუშაოები ჩატარდა 10 სამკურნალო მცენარის რესურსების შესასწავლად. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თავყვითელას რესურსებზე ჩატარებული სამუშაოები, რომლის დამზადებაც ყველაზე უფრო დიდი ოდენობით მიმდინარეობდა – 1000-1500 ტონამდე ყოველწლიურად (მშრალი მასა). მის რესურსებს მკაცრი ექსპულატაციის გამო ძლიერი შემცირება დაეტყო. საცდელი სადგურის მიერ შემუშავებული იქნა რიგი ღონისძიებანი ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად. ისინი ითვალისწინებდნენ დამზადების ზონების მორიგეობას, გაღარიბებული რესურსების აღდგენას ადამიანის ჩარევით და რაც მთავარია, თავყვითელას ბუნებრივი გავრცელების არეალში მის კულტურაში შეყვანას. გაანგარიშებებით მივიდნენ იმ დასკვნამდე,

რომ თავყვითელას საწარმოო პლანტაციიდან მიღებული ნედლეული 4-5-ჯერ უფრო იაფს გახდის პლატიფილინის დამზადებას.

საცდელ სადგურს მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაოები აქვს ჩატარებული ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნის საქმეში. აქ დამოუკიდებლად შეიქმნა 4 სამკურნალო პრეპარატი – ფერო-ალოე, ალოეს წვენი, პასიფლორას ექსტრაქტი (1:1) და ფშნის ეკალას ნაყენი.

საცდელმა სადგურმა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საკავშირო ინსტიტუტის „ვილარ"-ის მიერ დამუშავებული პრეპარატების შექმაში, ესენია: დიოსპონინი, ტაურემიზინი, გინდარინი, როზევინი, ლეიროზინი, რაუვაკანი, ენდროს ექსტრაქტი, ფურალენი, პლატიფილინი, სარაცინი და სხვა.

საცდელი სადგური მუშაობდა ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების ბუნებრივი მარაგების დადგენაზე, ახალი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გამოვლენაზე. ფიტოქიმიის ლაბორატორიის მიერ გამოვლენილი იქნა 2700 მცენარე- ალკალოიდების შემცველობაზე, 1200 – საპონინების, 600 მეტი – ფლავონოიდების, გლიკოზიდებისა და კუმარინების შემცველობაზე.

საცდელ სადგურს შექმნილი აქვს სამკურნალო მცენარეთა გერბარიუმი, რომელშიც 2000-ზე მეტი მცენარეა.

საცდელი სადგურის მიერ ჩატარებულია დიდი მოცულობის სამუშაოები საზღვარგარეთის ქვეყნებში სამკურნალო მცენარეთა წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციის მეცნიერულ - ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბების მიზნით.

კუბის სახალხო რესპუბლიკაში ასეთი სამუშაოები ჩაატარეს მეცნიერ თანამშრომლებმა ნ. სვანიძემ, ვ. ივანოვმა, ს. გოგიტიძემ. ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკაში - ა. ბაჯელიძემ, გ. იაროშმა. გარდა ამისა, საცდელი სადგური მუდმივად თანამშრომლობდა უცხოეთის მრავალ ქვეყანასთან სამკურნალო მემცენარეობის განვითარების სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის გზით.

საცდელი სადგური მრავალი წლების განმავლობაში წარმოადგენდა ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი ფარმაცევტული

სასწავლებლებისა და ფაკულტეტების სტუდენტთა სასწავლო-საწარმო პრაქტიკის ბაზას. აქ პრაქტიკას გადიოდა 14 სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. ერთდროულად ამ სასწავლებლებს თანამშრომლობა ჰქონდათ საცდელ სადგურთან სამკურნალო მემცენარეობის განვითარების სხვადასხვა საკითხებზე.

საბჭოთა პერიოდი ხასიათდებოდა სულ სხვა პრინციპებზე აგებული ფინანსირებით, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმებით, კვლევითი მუშაობის შედეგების უშუალოდ წარმოებაში დანერგვის მეთოდებით და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო დაქვემდებარების ბოლო წლებში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შემდეგი კულტურების წარმოებაში დანერგვა და მათგან სამკურნალო პრეპარატების შექმნა:

კატარანტუსი – კიბოსაწინააღმდეგო პრეპარატების როზევინისა და ვინბლასტინის წყარო. ერვა აბრეშუმისებრი (პოლ-პალა) – ღვიძლისა და თირკმელების სამკურნალო საშუალებების წყარო. ლავალის კორპის ხე – პრეპარატ ფლაკოზიდის წყარო. ფაცია იაპონური – ფაციფლოგინის წყარო.

სამკურნალწამლო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქობულეთის ზონალური საცდელი სადგურის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის შედეგები რეზიუმეს სახით ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის ზონალური საცდელი სადგურის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი შედეგია მის მიერ ახალი დარგის – სუბტროპიკული სამკურნალო მემცენარეობის მეცნიერული საფუძვლების დამუშავება.

- საცდელი სადგურის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეორე ძირითადი შედეგია საქართველოს ფლორაში არსებულ სამკურნალო მცენარეთა ბუნებრივი რესურსების რაციონალური ექსპლუატაციის, მათი აღწარმოების, დაცვისა და განახლების მეცნიერული საფუძვლების დამუშავება.

- საცდელი სადგურის მიერ დაგროვილი მდიდარი სამეცნიერო-კვლევითი მასალებისა და შედეგების პრაქტიკაში უფრო ფართოდ დანერგვის მიზნით 1950 წელს შეიქმნა ქობულეთის სპეციალიზებული სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობა, ხოლო 1969 წელს შუა-ხორგის სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობა.

- საცდელი სადგურის მეცნიერულმა მიღწევებმა განსაზღვრული როლი შეასრულა ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მიერ წარმოებული პრეპარატების ტექნოლოგიური ციკლის სრულყოფასა და გაფართოებაში.

სამწუხაროდ, სამკურნალო პრეპარატების მწარმოებელი ეს სამი ობიექტი, თავიანთი მძლავრი საწარმოო პოტენციალით, დღეისათვის აღარ არსებობს!

ნაწილი II

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა საცდელი სადგურის ისტორია (1992 წ-დან გაუქმებამდე)

1992 წლიდან სამკურნალწამლო და არომატულ მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქობულეთის ზონალური საცდელი სადგური საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაქვემდებარებაში იქნა შეყვანილი. ამ პერიოდიდან მოყოლებული საცდელი სადგურის წინაშე მდგარი ამოცანები მრავალმხრივ შეიცვალა. გაუქმდა საერთო-საკავშირო გეგმიური კვლევითი სამუშაოების ჩატარების პრაქტიკა, კვლევების საერთო-სავალდებულო მიმართულებები, სრულყოფილი ფინანსირება და სხვ.

1932 წელს ი.ქუთათელაძის ინიციატივით დაარსდა თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სისტემაში შედიოდა. 1946 წლიდან ექვემდებარეობდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ხოლო 1961 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადავიდა და ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ეწოდა. ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურაშია. 1964 წელს ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის სახელი მიენიჭა.

ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ქობულეთის ფილიალში ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა საქართველოს ბუნებრივი რესურსების შესწავლისათვის ახალი სამკურნალწამლო საშუალებების შექმნის, პრეპარატების ტექნოლოგიის დამუშავების, მათი წარმოების ორგანიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

დაქვემდებარების შეცვლის მიუხედავად სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის საცდელმა სადგურმა გააგრძელა თავისი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, როგორც კულტივირებულ, ისე ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების რესურსების გამოვლენისა და შესწავლის მიმართულებით. საცდელი სადგურის მუშაობის მთავარ მიმართულებად დაისახა საქართველოს ფლორის სამკურნალო მცენარეული და მინერალური რესურსების კვლევა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა გამოვლენის მიზნით, მათი ქიმიური შესწავლა, ფარმაკოლოგიური აქტივობის დადგენა და ამის საფუძველზე ახალი სამკურნალო საშუალებების შექმნა, ასევე სუბტროპიკული და ტროპიკული წარმოშობის სამკურნალო მცენარეების ინტროდუქცია.

მიუხედავად სამკურნალო მემცენარეობის ინტენსიური განვითარებისა სუპტროპიკულ ზონაში, უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა ბუნებრივ არეალში ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების რესურსების შესწავლას და ათვისებას, რადგან ფარ-

მაცევტული მრეწველობა და პრაქტიკული მედიცინა აქედან დიდი რაოდენობით იღებს სამკურნალწამლო ნედლეულს. ამ მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები იგეგმებოდა იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივი ექსპლუატაცია მოითხოვს დიდ ყურადღებას და სიფრთხილეს, რადგან პრაქტიკამ დაგვანახა – დიდია და რეალურია საშიშროება არასწორი ექსპლუატაციის შედეგად ზოგიერთი სამკურნალო მცენარის გაქრობამდე მისვლისა და ისინი შეიძლება წითელ წიგნში გახდეს შესატანი.

სამკურნალო მცენარეების რესურსების შესწავლა შესაძლებელს გახდის ობიექტურად შეფასდეს მათი მარაგები (ბუნებრივი და საექსპლუატაციო), დადგინდეს საკვლევი მცენარეების ზრდის კონკრეტული ადგილები და გავრცელების არეალი, შემუშავდეს რეკომენდაციები ბუნებრივი რეპროდუქციის შესასწავლად. მათ შესანარჩუნებლად საჭიროა შემუშავდეს რაციონალური საექსპლუატაციო ღონისძიებანი.

სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის საცდელი სადგურის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებები ასე გამოიყურებოდა:

1. ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეები, მათი შესწავლა, პერსპექტიულ სამკურნალო მცენარეთა გამოვლენა, ინტროდუქცია და კულტივირება .

2. პერსპექტიულ სამკურნალო მცენარეთა მოვლა - მოყვანის აგრორეკომენდაციების დამუშავება.

3. ველურად მოზარდ სამკურნალო მცენარეთა შეგროვების, შრობისა და გადამუშავების ოპტიმალური პირობების შექმნა.

4. პერსპექტიულ სამკურნალო მცენარეთა სამრეწველო პლანტაციების შექმნა.

5. მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული მეთოდების დამუშავება.

6. ველურად მოზარდ სამკურნალო მცენარეთა რაციონალური ექსპლუატაციის ღონისძიებების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს

ჩვენი ქვეყნის სამკურნალო ფლორის დაცვას. ეს კი გლობალური ეკოლოგიური პრობლემების შემადგენელი ნაწილია.

სამკურნალო მცენარეთა საცდელი სადგურის მრავალწლიანი მუშაობის შედეგად დადგენილია დასავლეთ საქართველოში ველურად მოზარდი სამრეწველო მნიშვნელობის მქონე სამკურნალო მცენარეთა გავრცელების არეალები, ბუნებრივი საექსპლუატაციო რესურსები, შედგენილია მათი შეგროვების, შრობის, ტრანსპორტირების, დამუშავების და რაციონალური ექსპლუატაციის რეკომენდაციები.

საცდელი სადგურის მრავალწლიანმა ექსპედიციებმა საქართველოს მაღალმთიან ზონაში გამოავლინეს სამკურნალო მცენარეების: ხარიშუბლას, თეთრყვავილას, ნეგოს, უცუნას, ასკილის, თუთუბოს, ხბოშუბლას, ძმერხლის, უნგრენიის შქერის, სკიპალოს, ბეწვიანი პუერარიოს, ყოჩივარდას ბუნებრივი მარაგები.

დაწყებული იქნა ისეთი ახალი ობიექტების შესწავლა, როგორიცაა–ეხინაცეა, მელისა, სათითურა, ქაცვი, ჩატარდა დაკვირვებები კრაზანასა და კატაბალახას კულტივირების მიზნით.

სამკურნალო პლანტაციების შექმნისას აგრორეკონემდაციების შემდგომი დახვეწის მიზნით, მიმდინარეობდა სამუშაოები ვირგინიის ჯადოსნური თხილის და ეუფორბიას, იუმანის ევკალიპტის სახეობის ეთეროვანი ზეთის სამედიცინო მნიშვნელობის დადგენისათვის, გრძელდებოდა სამკურნალო-პროფილაქტიკური ჩაის კომპოზიციების შემუშავება, ფართოვდებოდა ღავალის კორპის ხის, ბარამბოს, ვნების ყვავილისა და სტერკულიას სამეურნეო ნარგავების ფართობები.

საცდელი სადგურის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ბუნებრივ არეალში ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების რესურსების შესწავლასა და ათვისებას, მათი ექსპლუატაციის რეჟიმის დადგენასა და ზოგიერთი ობიექტის (ხარიშუბლა) ქიმიურ ტაქსაციას. ასეთი სამუშაოები ჩატარებულია 10 სამკურნალო მცენარის მიმართ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ხარიშუბლას რესურსების შესწავლა.

ქობულეთის საცდელმა სადგურმა ხარიშუბლას რესურსების დასადგენად, ექსპედიციური გასვლებით, შეისწავლა დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ეგრისისა და სვანეთის ქედებზე (მარტვილი, მესტია), სამხრეთ საქართველოს მთიანეთში – მესხეთის ქედზე – ქობულეთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ვანის, ბაღდადის, ადიგენის, ახალციხის, ბორჯომის რაიონებში, ასევე თრიალეთის ქედზე – ხაშურის, ბაკურიანის, ქარელის რაიონებში, შავშეთის ქედზე – შუახევის და ხულოს რაიონებში. ლეჩხუმის ქედზე – ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში. კახეთის ქედზე – ახმეტის, ყვარელის და ლაგოდეხის რაიონებში. ქართლის ქედზე – თიანეთის რაიონში, ხარისშუბლას გავრცელების არეალები.

დადგენილ იქნა, რომ ზემოაღნიშნულ გავრცელების არეალებში და დამზადების ზონებში შეიძლება დამზადდეს 1400 ტონამდე (მშრალი) ხარიშუბლას ნედლეული.

ხარიშუბლას ჰაერმშრალი ნედლეულის მარაგი საქართველოს რეგიონების მიხედვით, ტონებში, ასე გამოიყურება:

1. მესხეთის ქედი - 400; 2. შავშეთის ქედი - 100; 3. თრიალეთის ქედი - 50; 4. ეგრისის ქედი - 100; 5. სვანეთის ქედი - 300; 6. ლეჩხუმის ქედი - 100; 7. კახეთის ქედი - 300; 8. ქართლის ქედი - 50; სულ: 1400

ასკილის ბუნებრივი რესურსების შესწავლა ჩატარებულია შემდეგ ზონებში: მესხეთისა და შავშეთის ქედებზე: ქედის, შუახევის, ხულოს, ჩოხატაურის, ვანის, ადიგენის, ახალციხის და ბორჯომის რაიონებში. დადგენილია, რომ ამ ზონებში შეიძლება დამზადდეს 500 ტონამდე ნაყოფი (მშრალი წონით). 1. მესხეთის ქედი 400ტ. და 2. შავშეთის ქედი-100, სულ: 500 ტონა.

საცდელი სადგურის მეცნიერ-მუშაკებმა შეისწავლეს უცუნას (უდროულას) გავრცელების არეალი და ბუნებრივი მარაგები ადიგენის რაიონში ზეკარის უღელტეხილზე და ახალციხის რაიონში დათვეთის მთაზე – მესხეთის ქედის ცენტრალურ ნაწილში. დადგენილ იქნა, რომ ყოველწლიურად შეიძლება დამზადდეს ნედლი სახით 3-4 ტონა, ისე რომ მის რესურსებს არ დაემუქროს

შემცირება. ასევე დადგენილი იქნა ახალი სამკურნალო მცენარის პუერარიას მარაგები ხელვაჩაურის, ქობულეთის და ოზურგეთის ტერიტორიაზე. დადგინდა, რომ შესაძლებელია ყოველწლიურად დამზადდეს 8-10 ტონამდე (მშრალი წონით) ფოთლები და ღეროები, დადგინდა მოსავლის ორჯერად აღების უპირატესობა.

გამოკვლეული იქნა უნგერნის შქერის ბუნებრივი მარაგები შავშეთის ქედის დასავლეთ ნაწილში. გამოვლენილია მისი მარაგები ხელვაჩაურისა და ქობულეთის მთიან სარტყელში. დადგინდა, რომ ყოველწლიურად შეიძლება დამზადდეს 3-4 ტონამდე (მშრალი წონით) ფოთოლი, ბუნებრივ მარაგებზე ზიანის მიუყენებლად.

გამოკვლეულია ძმერხლის ბუნებრივი მარაგები მესხეთის ქედის დასავლეთ ნაწილში, ქობულეთსა და ხელვაჩაურის რაიონის მთიან ზოლში.

ფიტოქიმიის ლაბორატორიაში ჩატარებულია დიდი მოცულობის კვლევითი სამუშაოები სხვადასხვა სამკურნალო მცენარეთა მოქმედ ნივთიერებათა ანალიტიკური განსაზღვრისა და შესწავლის მიზნით. ამ მხრივ აღსანიშნავია იუმანის ევკალიპტის ეთერზეთის შესწავლა. დადგენილია მისი შემცველობა I, 12-I, 76% - ის ფარგლებში. ფოთლებში დადგენილია რუტინის შემცველობა 8,9 - 12%-ის ფარგლებში ფლავონოიდების ჯამში, რომლებსაც ფოთოლი შეიცავს. დადგენილია, რომ მცირე გადამუშავების შემდეგ, ეს ზეთი შეიძლება გამოყენებული იქნას სამედიცინო პრაქტიკაში. ლაბორატორიაში ჩატარებულია კვლევითი სამუშაობი მცენარეული ნედლეულის კომპლექსური გამოყენების მიზნით. რეკომენდებულია ევკალიპტის ნედლეულიდან ეთერზეთისა და რუტინის მისაღებად.

ლაბორატორიაში ჩატარებულია დიდი მოცულობის სამუშაოები მცენარეთა ზრდისა და პირველადი მეტაბოლიზმის შესწავლის გზით, როცა დადგენილი იქნა ზრდის რეგულიატორების მოქმედება. შედეგად მიღებულია ალკალოიდების შემცველობის ზრდა ნედლეულში.

1989 წელს ჩატარებული იყო კვლევები მოსკოვის ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტსა, ვიტებსკის სამედიცინო ინსტიტუტსა და „ვილართან" ერთად. კვლევებით გამოვლენილი იქნა შენაერთები, რომლებიც ხელს უწყობენ კატარანტუსში ალკალოიდების დაგროვებას. აღნიშნულ კვლევებზე მიღებულია საავტორო მოწმობა.

საბოლოო ჯამში, ფიტოქიმიის ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევებით შესწავლილია აჭარაში მოზარდი 150-მდე სახეობის მცენარე ფარმაკოლოგიურად აქტიური შენაერთების შემცველობაზე. მათგან უკვე გამოყოფილია უფრო მცირე ჯგუფი, შემდგომი უფრო გაღრმავებული შესწავლის მიზნით.

ჩატარებულია ჰამამელისის 14 სახეობის გამოკვლევა ფარმაკოლოგიურად აქტიური შენაერთების შემცველობაზე. შესწავლის შემდეგ უფრო გაღრმავებული შესწავლისთვის შერჩეულია ვირგინიის ჰამამელისის სახეობა.

მიმდინარეობდა დიდი მოცულობის კვლევები აჭარაში მოზარდ პერსპექტიულ მცენარეებში ლიპიდების შემცველობის განსასაზღვრავად. კვლევას ექვემდებარება 100-ზე მეტი სახეობის მცენარე. გამოკვლეულია და განსაზღვრულია ნეიტრალური ლიპიდების ჯამი, მათი ფიზიკო-ქიმიური თვისებები და სხვა მაჩვენებლები. ზოგიერთ სახეობაში აღინიშნა ნეიტრალური ლიპიდების შემცველობა 10,2-47,3%-ს ფარგლებში. უფრო გაღრმავებული შესწავლისთვის შერჩეულია სტერკულია, პასიფლორა, ჰამამელისი, თუთუბო, მელია და სხვები.

გამოკვლეულია ეთერზეთის შემცველი 14 სახეობის მცენარე. შედგენილია ტექნიკური დოკუმენტაცია ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული და ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა მეურნეობისთვის ხარიშუბლასა და ერვას სამკურნალწამლო ნედლეულზე. შეგროვებულია მცენარეული ნიმუშები ფარმაკოქიმიის ინსტიტუტისთვის შემდგომი გაღრმავებული შესწავლისთვის.

ბოტანიკისა და ფიტოქიმიის სექტორში შემავალ საკოლექციო ნაკვეთზე 200 სახეობა ჰქონდათ, ხოლო ფარმაკოლოგიურ ნაკვეთ-

ზე, რომელშიც დაცული იყო ჩვენი ზონის სამკურნალო მცენარეები, მისი ყოველწლიურად გამდიდრება ხდებოდა ახალი სახეობებით, სამკურნალო მცენარეთა გენოფონდის შენარჩუნების მიზნით. სექტორს გააჩნდა სამკურნალო მცენარეთა ჰერბარიუმი, რომელშიც ირიცხებოდა 2512 ეგზემპლიარი.

მემცენარეობის სექტორში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა სელექცია-მეთესლეობის, აგროქიმიის, მცენარეთა დაცვის, ახალი კულტურებისა და მექანიზაციის პროფილით.

სელექცია-მეთესლეობაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ადრეულ წლებში მიმდინარეობდა ელიტური და სუპერელიტური ფორმების შერჩევით. საანგარიშო პერიოდში კვლევები ძირითადად ჩატარდა ვარდისფერ კატარანტუსზე. მრავალწლიანი კვლევების შედეგად გამოყვანილი იქნა ჯიშპოპულაცია „ქობულეთი", რომელიც გამოირჩევა ალკალოიდების ჯამის უფრო მაღალი შემცველობით. იგი გადაცემული იქნა ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიაში დასამტკიცებლად. მიმდინარეობდა კატარანტუსის I რეპროდუქციის თესლების გამოყვანა და გადაცემა წარმოებისადმი. ტარდებოდა სამუშაოები სამკურნალო დანიშნულების სამკურნალო მცენარეთა პლანტაციების აღსადგენად და შესანარჩუნებლად, ასევე კვლევითი სამუშაოები იაპონური ფაციას შესასწავლად; გამოცდილი იქნა კოლხიცინის მოქმედება პოლიპლოიდების მისაღებად, შესწავლილი იქნა მისი გამრავლების საკითხები.

გამოცდილი იქნა ზრდის სტიმულიატორი „ალექსინი", დადგენილი იქნა მისი ოპტიმალური დოზა, დამუშავებული იქნა იაპონური ფაციას აგრორეკომენდაციები.

მცენარეთა დაცვის პროფილით ჩატარებული სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი და შესწავლილი იქნა 67 სახეობის დაავადებები და მავნებლები. დადგინდა, რომ მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ფესვის ყელის სიდამპლე. გამოვლენილია დაავადების ობიექტები და დამუშავებულია მათ წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური, ქიმიური და არგოტექნიკური ღონისძიებები. გამო-

ცდილი იქნა აგრეთვე ნაკლებად ტოქსიკური ქიმიური პრეპარატები, რომელთა გამოყენებით შემცირდა მცენარეების დავადება 20-30%.

აგროქიმია

სამეცნიერო მუშაობის შედეგებმა აგროქიმიაში აჩვენა, რომ ნიადაგური კვების პირობების რეგულირება, რომელიც შეიძლება სწრაფად იქნას მიღწეული სასუქების შეტანით, წარმოადგენს იაპონური ფაციას კულტურის აგროტექნიკის მეტად მნიშვნელოვანსა და გადამწყვეტ რგოლს პლანტაციის მოსავლიანობის განუხრელად ზრდის საქმეში.

იაპონური ფაციას კულტურის დამახასიათებელი სამეურნეო დანიშნულებაა მისგან მწვანე მაისი მიღება. კულტურის ეს თავისებურება განსაზღვრავს იმ აგროღონისძიებათა მნიშვნელობას, რომლებიც განაპირობებენ ბუჩქის ვეგეტაციის ინტენსივობას. აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექტის ფონზე სასუქების გამოყენება ამ სამეურნეო ამოცანის დადებითად გადაჭრის ერთ-ერთი ძირითადი და მაღალეფექტიანი საშუალებაა.

ახალი სამკურნალო მცენარეებიდან აღსანიშნავია ლავალის კორპის ხის შესწავლის შედეგები. დადგენილია, რომ შესაძლებელია მოსავლის 2-ჯერ აღება სეზონზე; დამუშავებულია გამრავლების ხერხები, შექმნილია სამეურნეო დანიშნულების პლანტაცია, გაშენდა ხელოვნური ტყე-ნარგაობანი ხელვაჩაურისა და ახალციხის სატყეო მეურნეობაში.

ჩატარებულია რიგი კვლევები სამკურნალო მცენარეთა მოვლა-მოყვანის, დამზადებისა და გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზირებისთვის. თირკმლის ჩაისა და კატარანტუსის ასაღებად შესწავლილი, რეკონსტრუირებული და გამოყენებული იქნა გერანის ამღები მანქანა. მიღებული იქნა დამაკმაყოფილებელი შედეგები. დამუშავებულია სამკურნალო მცენარეების აღებისა და შემდგომი გადამუშავების ტექნოლოგიური რუქები, მექანიზირებული იქნა სტელაჟებიანი სათბურებიდან გრუნტის

შეტანა-გამოტანის სამუშაოები. ჩატარდა აბრეშუმისებრი ერვას დარგვის, მოვლის სამუშაოები, აღების და გადამუშავების კვლევითი სამუშაოები. შედგენილი იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

ქობულეთის ზონალური საცდელი სადგურის ბაზა 1960 გამოიყენებოდა სასწავლო-საწარმოო მიზნებისთვისაც. აქ ყოველწლიურად საწარმო პრაქტიკას ფარმაკოგნოზიაში გადიოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის 13 სამედიცინო და ფარმაცევტული ინსტიტუტის 250-მდე სტუდენტი, სწავლის პერიოდში სტუდენტები აგროვებდნენ ტროპიკული და სუბტროპიკული წარმოშობის სამკურნალო მცენარეების ჰერბარიუმებს. ეცნობოდნენ ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მიერ გამოშვებულ პრეპარატებს.

სამკურნალწამლო მცენარეული ნედლეულის წარმოების მიზნით 1992 წლიდან აქტიურად მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ახალი სამკურნალო მცენარეების: ალისფერი ექინაციას, სამკურნალო ბარამბოს, ნეგოს, კრაზანას, სამკურნალო კატაბალახას, ორფერის, გინკგობილობას, აზიური ცენტელას, იაპონური ფაციას, სკიპალოს, თეთრყვავილას, უცუნას, ყოჩივარდას, სამკურნალო ტუხტის, ყაყაჩურას, პირველადი ინტროდუქციისა და კულტურაში შეყვანის მიზნით. ინტროდუქციული სამუშაოების შედეგად საცდელი სადგურის მიერ კულტურაში შეყვანილი სამკურნალო მცენარეებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი კულტურები: ალოე, თირკმლის ჩაი, პასიფლორა, დანაკვთულფოთოლა, ძაღლყურძენა, გლუვი სტეფანია, ევკალიპტის სამედიცინო სახეობები, რაუვოლფია, კატარანტუსი ვარდისფერი, პოლ-პალა (ერვა აბრეშუმისებრი), ფაცია, ლავალიის კორპის ხე, კალანხოე ფრთისებრი, დიოსკორეა დელტისებრი და სხვ.

შეიქმნა სამრეწველო პლანტაციები: იაპონური ფაციას, გინკგობილობას, ალისფერი ექინაციას, პასიფლორას, შებუსული ერვას, უცუნას, კრინუმის, ნარცისის, ცხენისკბილას, თეთრყვავილას, სამკურნალო ტუხტის და სხვა .

საცდელ სადგურში ინტროდუცირებულ და ველურად მოზარდ სამკურნალო მცენარეთა ბაზაზე ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის

მიერ შემუშავებული იქნა 14 ახალი სამკურნალწამლო პრეპარატი, როგორიცაა:

1. „პასიფლორას სიროფი"- დამამშვიდებელი საშუალება გამოიყენება ნევროლოგიურ პრაქტიკაში.

2. „ფაციფლოგინი"- მცენარეული წარმოშობის პირველი ანტირევმატიული პრეპარატი იაპონური ფაციადან.

3. ხავერდის ხის ბარხატის ფოთლების ფლავანოგლიკოზიდებისაგან მომზადებულია ღვიძლის ციროზის საწინაარმდეგო პრეპარატი, „ფლაკოზიდი", ხოლო თესლების ცხიმოვანი ზეთის საინტერესო ქიმიური შემადგენლობაა გამოვლენილი და დადგენილია მისი საუკეთესო მკვებავი თვისებები კოსმეტიკურ პრაქტიკაში.

4. გინკგო-ბილობასაგან „გინკო-ბათი"- სითხოვანი ექსტრაქტი, ნებადართულია ცენტრალური და პერიფერიული სისხლძარღვების, ნერვული სისტემის რიგი დაავადებების სამკურნალოდ.

5. ეუკომიას ქერქის ნაყენი, როგორც ჰიპოტენზური საშუალება.

6. შებუსული ერვას ნაყენი – მაღალეფექტური დიურეზული საშუალებაა თირკმლის, ნაღვლის ბუშტის, საშარდე გზების დაავადებისას.

7. პუერარია – რეკომენდებულია ურემიის საწინაარმდეგო პრეპარატის ფლარონიმის ნედლეულად.

8. კავკასიური სუროსაგან კავსურონის ტაბლეტები, სპირტიანი ნაყენი, სიროფი, რომლეთაც გააჩნიათ ამოსახველებელი, ბრონქოსპაზმოლიზური მოქმედება.

9. სამკურნალო კატაბალახა (ფესვი, ფესურით) სედატიური საშუალება.

10. ალისფერი ექინაცეას – ტაბლეტები იმუნოსტიმულატორული პრეპარატი.

11. კარიპაზინი- ნესვის ხის (პაპაყას) რძეწვენიდან მიღებული პროტეოლიზური აქტივობის ფართო სპექტრით გამოირჩევა.

12. უცუნას ტუბერბოლქვისაგან კოლხიცინი – გამოიყენება პოდაგრის მწვავე შეტევების დროს და პერიოდული დაავადებების სამკურნალოდ.

აჭარის რეგიონში მოზარდი 2700 მცენარის ფიტოქიმიური ანალიზით გამოვლენილია: ალკალოიდების, საპონინების, ფლავონოიდების, კუმარინების, ლიპიდების მდიდარი შემადგენლობისა და ღრმა ქიმიური კვლევებისათვის პერსპექტიული სახეობები.

სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის საცდელ სადგურს გააჩნდა იშვიათი სამკურნალო მცენარეთა ფარმაკოლოგიური და საკოლექციო ნაკვეთი, რომელიც 200-მდე სახეობას ითვლიდა. სარგავი მასალისა და თესლების ფონდი. აჭარის რეგიონში მოზარდი და კულტივირებულ სამკურნალო მცენარეთა ჰერბარიუმი (2700 ეგზემპლარი).

ქობულეთის საცდელი სადგურის თანამშრომლებმა დაამუშავეს დასავლეთ საქართველოს ზონისათვის იშვიათ სამკურნალო მცენარეთა ინტროდუქციისა და კულტივირებისათვის საჭირო მეცნიერული საფუძვლები, შეიმუშავეს ახალ სამკურნალო მცენარეულ სახეობათა აგროტექნიკა, რაც მოიცავდა ნიადაგის ტექნიკით დამუშავებას, სარგავი და სათესლე მასალის მომზადებას, რგვასა და თესვის ოპტიმალური ვადების დადგენას, პლანტაციის მოვლის მეთოდების დამუშავებას, ორგანული და მინერალური სასუქების რაციონალურ გამოყენებას, მოსავლის აღების ოპტიმალური ვადების დადგენას, ნედლეულის გადამუშავებას და სტანდარტიზაციის მეთოდებს, მცენარეთა დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებებს.

ქობულეთის ზონალური საცდელი სადგურის მეცნიერული რეკომენდაციები დაედო საფუძვლად 1950 წელს ქობულეთის, ხოლო 1969 წელს შუა ხორგის სპეციალიზირებული სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბებას. ამით სახელმწიფოში სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეული ნედლეულის მყარი სამრეწველო ბაზა შეიქმნა.

ქობულეთის საცდელმა სადგურმა დახურვამდე ბოლო 15 წლის განმავლობაში კულტურაში შეიყვანა იაპონური ფაცია, ცეფალარია, ციკლამენი, სამკურნალო ალთე, ვორონოვის თეთრყვავილა, გინკგო-ბილობა, უცუნა, ალისფერი ექინაცია, აზიური ცენტელა.

საცდელი სადგურის სამეცნიერო კოლექტივის ძირითად მიღწევად ითვლება სამკურნალო მემცენარეობის, როგორც სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ახალი დარგის შექმნა და მისი მეცნიერული დასაბუთება.

თავი VIII

უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლება აზარაში

საქართველოში უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება დაიწყო მას შემდეგ, რაც 1919 წლის 29 აპრილს თბილისის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტი გამოიყო დამოუკიდებლად და სამკურნალო ფაკულტეტთან გაიხსნა ფარმაცევტული განყოფილება, სადაც პირველ ნაკადში ჩაირიცხა 79 ახალგაზრდა. ფარმაცევტების პროფილურ მომზადებას უზრუნველყოფდა ფარმაციისა და ფარმაკოგნოზიის კათედრები(1).

უმაღლესი ფარმაცევტული განათლების სათავეებთან საქართველოში იყვნენ:აკადემიკოსი ი.გ. ქუთათელაძე, პროფესორები ნ. მ. მასხულია და ე. ი აბოლი.

1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შედეგად მას გამოეყო სამედიცინო ინსტიტუტი ფარმაცევტული ფაკულტეტით. 1937 წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს გამოეყო ფარმაკო-ქიმიური ფაკულტეტი დამოუკიდებელი - თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტის სახით. რომელიც დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლის სახით არსებობდა 1948 პირველ სექტემბრამდე. ის კვლავ შეუერთდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს ფარმაცევტული ფაკულტეტის სახით.

ინსტიტუტის დირექტორი (რექტორი): საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე (1937-1948).

დირექტორის მოადგილეები (პრორექტორები): -ლავრენტი დადუნაშვილი (1937), დოცენტი ირაკლი ბურჯანაძე (1937-1941 და 1945-1946).

დეკანები პროფესორი პავლე ჭუმბურიძე (1938-1944), პროფესორი არისტრახ მშვიდობაძე (1946-1948).

თავისი არსებობის განმავლობაში ინსტიტუტმა მოამზადა 1317 პროვიზორი (18).

საქართველოში დამოუკიდებელი, ეროვნული ფარმაცევტული სკოლის ჩამოყალიბების გზაზე აუცილებელი იყო ქართულ ენაზე სათანადო სახელმძღვანელოების მომზადება. ჯერ კიდევ 1924 წ. პროფ. ი.გ ქუთათელაძემ გამოსცა ორიგინალური სახელმძღვანელო წამალთფორმების ტექნოლოგიაში, რომელიც შემდგომ მრავალჯერ იქნა ხელახლა გამოცემული. შემდეგ ი. ქუთათელაძემ გამოსცა სახელმძღვანელოები ანალიზურ ქიმიასა და წამალთა ტექნოლიგიაში, ტოქსიკოლოგიურ ქიმიაში. ვ. ასათიანმა გამოსცა ბიოქიმიური ანალიზის მეთოდების კრებული. ა.ე. მშვიდობაძემ გამოსცა ფარმაცევტული ქიმიის სახელმძღვანელო, ვ.შოთაძემ -სახელმძღვანელო ფარმაკოგნოზიაში და ა.შ.

თბილისის ფარმაცევტული ინსტიტუტის ორგანიზაციების პირველივე წელს (1937 წ.) მის კათედრებზე იყო გამოცდილი სამეცნიერო- პედაგოგიური კადრები: 3 მეცნიერებათა დოქტორი, 2 დოცენტი, 2 მეცნიერებათა კანდიდატი, რაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს უფლება ჰქონოდა ფარმაცევტული მეცნიერების კუთხით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები დაცულიყო. მრავალმა ქართველმა ცნობილმა ფარმაცევტმა დაიცვა თბილისში საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ესენი არიან: ნ.მ მასხულია, ვ.ე. შოთაძე, ა.ე მშვიდობაძე, ქ.ს. მუჯირი, ბ.ი ჭუმბურიძე, ე.ა ქემერტელიძე, ვ.მ. ვაჩნაძე (სადოქტორო დისერტაციები); მ.ს. წულაია, ნ.გ. ჟღენტი, თ.ნ. კაჩუხაშვილი, ი.ვ. ენუქიძე, ნ.ი. სართანია, ნ.მ. იობაშვილი, ნ.ე. ჩხარტიშვილი, შ.ი. ღლონტი, მ.კ. ტრაპაიძე, ვ.ნ. კიკალიშვილი, ო.ვ სარჯველაძე, კ.ი. სანდომისაშვილი, რ.ვ. მახარაძე, ლ.ი. ერისთავი და სხ

საქართველოში საშუალო ფარმაცევტული განათლება დასაბამს იღებს 1927 წლიდან. გასაბჭოებამდე საქართველოში უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე პირთა შეფარდება საშუალო

ფარმაცევტული განათლების მქონე პირებთან იყო 1:5.6, ხოლო ფარმაცევტული განათლების მქონე ერთ პირზე მოდიოდა მოსახლეობის 3411 სული. 1990 წლისათვის ეს თანაფარდობა შეადგენდა 1:1,44 და შესაბამისად ერთ ფარმაცევტზე - 1228 სული.

1930 წელს ბათუმში დაფუძნდა აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამედიცინო ტექნიკუმი, რომელშიც სამი განყოფილება იქნა ორგანიზებული: საფერშლო, საბებიო და ფარმაცევტული. 1931-1932 სასწავლო წელს მასში გაურკვეველი მიზეზების გამო გაუქმდა ფარმაცევტული განყოფილება და ტექნიკუმმა, მხოლოდ 15 ფარმაცევტის გამოშვება მოასწრო (16).

1961 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესდა „საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის“ საპატიო წოდება, რასაც სააფთიაქო დარგის მუშაკები უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ.

წამალი არის განსაკუთრებული სამედიცინო-ბიოლოგიური და სოციალური დანიშნულების პროდუქტი, ამიტომ ფარმაცევტული განათლების მქონე პირს განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებაში. ფარმაცევტი მუდამ უნდა ახორციელებდეს მთავარ პრინციპს, რომ წამალი იყოს მაღალხარისხიანი, ეფექტური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი. უზრუნველყოფს რა ამ იდეის ცხოვრებაში გატარებას, ფარმაცევტი აქტიურად მონაწილეობს არა მარტო რაციონალური ფარმაკოთერაპიის განხორციელებაში, არამედ საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაშიც.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე კონკურენცია ფარმაცევტულ დაწესებულებებში ძირითადად მიმდინარეობდა ფასების სფეროში. შემდგომში გაირკვა, რომ მარტო დაბალი ფასის შენარჩუნება არ ნიშნავს წამალთმომსახურების მაღალ ხარისხს. ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფციისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის წარმატებით განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ ფარმაციის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

ყოფილ საბჭოთა კავშირში უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე პირის კვალიფიკაცია იყო პ რ ო ვ ი ზ ო რ ი, საშუალო ფარმაცევტული განათლების-ფარმაცევტი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო გეგმის მიხედვით უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე სპეციალისტის კვალიფიკაცია 1995 წლიდან განისაზღვრება ფ ა რ მ ა ც ე ვ ტ ი ს წოდებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე სპეციალისტების კვალიფიკაცია განისაზღვრება ფარმაცევტის, ხოლო საშუალო ფარმაცევტული განათლების პირებისათვის-ფარმაცევტის თანაშემწის ან ფარმაცევტი-ტექნიკის წოდებით.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1998 წლის პირველი ოქტომბრის N378/ო ბრძანებით, უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე სპეციალისტს ეწოდა ფარმაცევტი, ხოლო საშუალო ფარმაცევტული განათლების მქონე სპეციალისტს-ფარმაცევტის თანაშემწე.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში და მათ შორის აჭარაშიც მრავალი უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლების სასწავლო კერა გაიხსნა და დაიხურა. რამდენჯერმე შეიცვალა სასწავლო გეგმა და პროგრამები. ძალიან ბევრი რამ მოაწესრიგა საქართველოს კანონმა განათლების შესახებ, რომელმაც ფაქტობრივად განათლების ამერიკული მოდელი დანერგა საქართველოში. შემოღებული იქნა სამი აკადემიური ხარისხი: ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის. გაიზარდა მოთხოვნები, რომელიც წაეყენებოდა სასწავლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიურ ბაზასა და მის უზრუნველყოფას სათანადო სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებით. სწორედ ასეთი რეფორმების შედეგად დაიხურა მრავალი უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლების კერა აჭარაში.

მაგისტრი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის – მაგისტრატურისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;

მაგისტრატურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის;

დოქტორანტურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით;

დოქტორი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურისათვის გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება;

აკადემიური უმაღლესი განათლება – უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს;

აკადემიური ხარისხი – კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

აკადემიური წოდება – წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის;

ბაკალავრი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;

ბაკალავრიატი – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;

2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე ერთსაფეხურიანი, არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან. 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე მიღებული ერთსაფეხურიანი, ხუთ წელზე ნაკლები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული დიპლომი გათანაბრებულია ბაკალავრის დიპლომთან.

2004-2005, 2005-2006 და 2006-2007 სასწავლო წლების დასასრულს არანაკლებ 5-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად გაცემული დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან, 4-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად გაცემული დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი გათანაბრებულია ბაკალავრის დიპლომთან, ხოლო არანაკლებ 3-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად გაცემული დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი – პროფესიული უმაღლესი განათლების დიპლომთან.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლებრივი მდგომარეობით უთანაბრდება პირი, რომელსაც 2004 წლამდე აქვს მინიჭებული დოცენტის ან პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება შესაბამის საშემსრულებლო/შემოქმედებით სფეროში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2009 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იმჟამინდელი რექტორის პროფესორ ალიოშა ბაკურიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გაიხსნა ფარმაციის დეპარტამენტი და ამოქმედდა ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც თვითონვე წარმატებით ხელმძღვანელობდა.

პირველი მიღება განხორციელდა 2009-2010 სასწავლო წელს. სპეციალობაზე ჩაირიცხა 35 სტუდენტი. კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება შედგა 2013 წელს. ამჟამად ბსუ-ს ფარმაციის პროგრამას 90-მდე კურსდამთავრებული და 55-მდე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ჰყავს.

ავტორიზაციით გათვალისწინებული მისაღებ კონტიგენტთა რაოდენობა ამჟამად შეადგენს 15-ს.

ამჟამად ფარმაციის სპეციალობა შედის საბუნებისმეტყველო და სამედიცინო ფაკულტეტის შემადგენლობაში, რომლის დეკანია მარინა ქორიძე, ფარმაციის მიმართულების ხელმძღვანელია ეთერ ჯაყელი. ფარმაციის სპეციალობამ 2020 წელს წარმატებით გაიარა შვიდწლიანი აკრედიტაცია-ლიცენზორების პროცესი, დაიხვეწა კრედიტსაათების რაოდენობა, სასწავლო პროგრამაში ჩართული იქნა ახალი საგნები და ასე შემდეგ.

ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტი

1992 წელს პროფ. რამაზ სურმანიძის, პროფ. გიორგი სტურუასა და ამ სტრიქონების ავტორის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაფუძნდა ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტი. ამ უმაღლესმა სასწავლებელმა საქართველოში პირველმა დაიწყო ფარმაცევტებისა და საოჯახო ექიმების, ასევე ექიმ-ეკოლოგებისა და ექიმ-ლაბორანტების მომზადება.

ინსტიტუტმა იარსება 20 წელი. ჰქონდა 16 გამოშვება, სულ 500-მდე დიპლომირებული ფარმაციის სპეციალისტი მოამზადა, რომელთა უმრავლესობა ნაყოფიერად მოღვაწეობს ამა-თუ იმ კომპანიაში.

ინსტიტუტის რექტორი იყო პროფესორი რამაზ სურმანიძე, პრორექტორი-პროფ. იასონ ბერიძე. ბიოლოგია ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი იყო მანანა ხინკილაძე.

ფარმაცევტული სპეციალობის განხრით მოქმედებდა ორი კათედრა: 1. ფარმაციის კათედრა (ხელმძღვანელი პროფ. გივი სარჯველაძე) და 2. სოციალური ფარმაციის კათედრა (ხელმძღვანელი პროფ. ვლადიმერ მახარაძე).

ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში (რექტორი ამირან ტაკიძე, გაერთიანებული ფაკულტეტების დეკანი გულნარა ბასილაძე) ფარმაცევტების მომზადება 2000 წლიდან იწყება. ეს პროცესი 14 წელიწადს გრძელდებოდა (2000-2014). ამ ხნის განმავლობაში უნივერსიტეტმა 250-ზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტი გამოუშვა, მათ შორის 50 დიპლომირებული სპეციალისტი და 200 ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე.

უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები ფარმაციის სპეციალობის განხრით ერთ-ერთი მოწინავე იყო მაშინდელ საგანანათლებლო სივრცეში. პროგრამებს საუძვლად ედო ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფცია და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითება-ფოკუსი პაციენტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ფარმაცევტული ფაკულტეტის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს პაციენტზე ორიენტირებული ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელება.

ფარმაცევტის სპეციალობა დღეს ყველაზე მიმზიდველი და კონკურენტუნარიანია ყველა სპეციალობათა შორის. ფარმაცევტის როლის გაზრდამ პირველადი ჯანდაცვის სისტემაში მოითხოვა რადიკალური ცვლილებები საგანმანათლებლო საქმიანობაში. სწორედ ფარმაცევტების მომზადების საქმეში შეტანილმა ცვლილებებმა გახადეს შესაძლებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა, დასაქმებულია.

ფარმაცევტთა მომზადების საქმეში განსაკუთრებული როლი პრაქტიკას ენიჭება. თავის დროზე მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის მიზნით უნივერსიტეტი წარმატებით იყენებდა აჭარაში არსებულ რესურსს. შპს „ბათფარმა“, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ქობულეთის ზონალური სამეცნიერო საცდელი სადგური, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ფარმაცევტული კომპანიები „ჰეკატე“, „პსპ“, „ვიტაფარმი“, აი არასრული ჩამონათვალი იმ ორგა-

ნიზაციებისა, რომლებიც მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას და მხარში ედგნენ უნივერსიტეტს.

წლების განმავლობაში უნივერსიტეტში წარმატებით მოღვაწეობდნენ პროფესორები ვლადიმერ მახარაძე, ციური გოგიტიძე, ეთერ ნიჟარაძე, პროვიზორები: თამაზ ავალიანი, თინა სარჯველაძე, ნაზი ტაკიძე, სერგო ძირკვაძე, თამილა არდემანაშვილი, ქეთევან ჯიბლაძე, მანანა ხაბაძე, ნაზიბროლა ცივაძე, ფრიდონ კურცხალიძე, მირიან თავდგირიძე, ია აფაქიძე და სხვ.

ბათუმის პროფესიული სამეცნიერო-სასწავლო ცენტრთან არსებული მრავალპროფილიანი ინსტიტუტი „ახალგაზრდობა“

ინსტიტუტი „ახალგაზრდობა“ ჩამოყალიბდა ბათუმის პროფესიულ სამეცნიერო-სასწავლო ცენტრთან 2000 წელს და მიიღო ლიცენზია უმაღლესი ხუთწლიანი სწავლების პროგრამით.

ინსტიტუტში ფუნქციონირებდა ხუთი ფაკულტეტი: საექიმო-სტომატოლოგიური, ფარმაცევტული, ეკონომიკური, საინჟინრო - პედაგოგიური და ინგლისური ენის.

ინსტიტუტმა იარსება 2008 წლამდე. ამ დროის განმავლობაში მოამზადეს 76 ფარმაციის სპეციალისტი, რომლებიც დღესაც წარმატებით საქმიანობენ სხვადასხვა ფარმაცევტულ კომპანიებში.

ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა რევაზ მიხეილის ძე ნაკაშიძე, ხოლო პრორექტორი-დეკანის ფუნქციებს ასრულებდა ტარიელ სერგოს ძე ქობულაძე.

ეკონომიკის, სამართლისა და ფარმაციის ინსტიტუტი

ფარმაცევტული განყოფილება ჰქონდა ეკონომიკის, სამართლისა და ფარმაციის ინსტიტუტს (ოსიკო გვარიშვილის ინსტიტუტად მოიხსენიებდა მოსახლეობა). ფარმაცევტულ მიმართულებას ხელმძღვანელობდა პროვიზორი ნუგზარ შარაძე, რომელიც მანამდე აჭარის საავთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზეც მუშაობდა და ჰქონდა საკმაოდ მდიდარი თეორიული, პრაქტიკული და ორგანიზატორული საქმიანობის გამოცდილება.

საშუალო ფარმაცევტული განათლება აჭარაში

წლების განმავლობაში აჭარაში მოქმედებდა 9 საშუალო ფარმაცევტული განათლების კერა.

ეს ყოველივე ხდებოდა მაშინ, როცა რეგიონში საავთიაქო დაწესებულებების რიცხვი კატასტროფულად იზრდებოდა. ასევე ძალზე დიდი იყო მოთხოვნა ფარმაცევტულ კადრებზე. სწავლების ხარისხზე აღარ ვლაპარაკობთ.

9 საშუალო ფარმაცევტული სასწავლებლიდან დღეისათვის 2-3 თუკი გადარჩა. მათ შორის ორი სასწავლებელი დღესაც გამორჩეულია: 1. ბათუმის სამედიცინო აკადემია; 2 ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი.

ბათუმის სამედიცინო აკადემია

ბათუმის სამედიცინო აკადემია წარმოადგენს პირველ კერძო პროფესიულ სასწავლებელს, რომელიც დაფუძნდა რეგიონში. იგი თითქმის 30 წელია ემსახურება ჯანდაცვის მიმართულებით კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. სასწავლებლის დაფუძნების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე მედიცინის

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ სურმანიძე აკადემიის შესახებ მიუთითებდა: „იგი პირდაპირი მემკვიდრეა იმ სამედიცინო სასწავლებლისა, რომელიც მანამდე არსებობდა“ (გაზ. „აჭარა“, 2017.31.10. №122).

ბათუმის სამედიცინო აკადემიას (ყოფილი საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის ორგანიზაციასთან არსებული მრავალდარგობრივი კოლეჯი) საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 80-90-იან წლების მიჯნაზე. ეს ის პერიოდია როდესაც ქვეყანაში აქტიურად იკიდებს ფეხს კერძო, კომერციული საქმიანობა. სხვა დარგებთან ერთად განათლების და ჯანდაცვის მიმართულებით ინერგება ფასიანი მომსახურება. იქმნება კომერციული მომსახურების დაწესებულებები. რაც საჭიროებდა ახალი დროების შესა–ბამის კვალიფიციურ პერსონალს. ჯანდაცვის მიმართულებით კადრების მომზადებას ემსახურებოდა „ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი“. ისიც ძირითადად შემოიფარგლებოდა სამედიცინო პერსონალის მომზადებით. საბაზრო ეკონომიკიდან გამომდინარე რეგიონში წამოვიდა მოთხოვნა პროფესიული განათლებით სამედიცინო და ფარმაცევტული დარგის სპეციალისტებზე.

1992 წლის ივლისში მიღებული ლიცენზიის საფუძველზე სასწავლებელმა დაიწყო ფუნქციონირება. თავდაპირველად ლიცენზიით სასწავლებელი ამზადებდა შემდეგ სპეციალისტებს: მედდებს, მოწყალების დებს, მედდა-აღმზრდელებს, ფერშლებს, ფარმაცევტებს. მოგვიანებით დაემატა რამდენიმე ახალი სპეციალობა. უნდა ითქვას, რომ ბაზარზე ერთ-ერთი მოთხოვნადი სპეციალობა აღმოჩნდა ფარმაცია. პროგრამა ისწავლებოდა ორწელიწადნახევარიან კურსით. მომავალ ფარმაცევტებს ასწავლიდნენ და პროგრამული კურსი მიჰყავდათ ცნობილ ფარმაცევტებს: ლარგო იმნაძეს, სვეტლანა აფხაზავას, რუსიკო გუგუშვილს, ციცინო ნინუას, სვეტლანა ცქვიტიშვილს, მედეა დავითაძეს, გულნარა დარმანიას, ციური ბაგრატიონს, ლელა გუნცაძეს, ეთერი ცხვარაძეს, ეთერ და ნინო სეიდიშვილებს. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მათგან ბევრს მიენიჭა „ღვაწლმოსილი აკადემიელის“ წოდება.

მოგვიანებით, მომავალ ფარმაცევტთა პროფესიულ საგანმნათლებლო პროცესში ჩაერთნენ ფარმაცევტები - ინგა ვარდიძე, მზია ბაკურიძე, მარინე კვირიკაძე-გურგენიძე, ხათუნა ადეიშვილი, სოფიო ბრუნჯაძე. ისინი დღესაც წარმატებით იღწვიან მომავალი ფარმაცევტების მოსამზადებლად.

აკადემიის სტუდენტები ადრეც და დღესაც წარმატებით გადიან საწარმოო პრაქტიკულ პროცესს „ჰეკატეს" სააფთიაქო ქსელში. მომავალ სპეციალისტთა მომზადებას თეორიულ კურსთან ერთად, განსაზღვრავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რასაც სასწავლებელი ახორციელებდა და ახორციელებს ფარმაცევტულ დაწესებულებებში. აკადემიას ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული 90-იანი წლების ბათუმში მოქმედ აფთიაქებთან. ფარმაციის სპეციალობის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკებს გადიოდნენ და გადიან ასევე სააფთიაქო ქსელებში: შპს „გვირილა", შპს „ბიოპოლუსი", შპს ვიტა-ფარმა", შპს „მეგაფარმა", შპს „პსპ-ფარმა". სასწავლებელი ასევე თანამშრომლობს ფარმაცევტულ კომპანია „ავერსი რაციონალთან". 2014 წლიდან სასწავლებლის საწარმოო პრაქტიკების ბაზას შეემატა აფთიაქები სპს „ბაკურიძე და კომპანია", სააფთიაქო ქსელი „გლუკოზა", „კომპანია გოლდ-ფარმის" სააფთიაქო ქსელი, „ბაჩანა".

2014 წლიდან სასწავლებელში ამოქმედდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები: „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი", (სწავლის ხანგრძლივობა 1,5 წელი), და „ფარმაცევტის თანაშემწე" (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი). აღნიშნული პროგრამები 2019 წლიდან ჩაანაცვლა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ „ფარმაცია (სააფთიაქო)", უმაღლესი საგანმანათლებლო კვალიფიკაციით. განვლილ პერიოდში სასწავლებელს ჰყავს 743 კურსდამთავრებული ფარმაცევტის თანაშემწე.

წლების მანძილზე აკადემიის საკვალიფიკაციო კომისიას ხელმძღვანელობდა მედიცინის მ/დ., პროფესორი რამაზ სურმანიძე. რომლის ხელდასხმით დაფრთიანდა მრავალი მომავალი ფარმაცევტი. მიუხედავად გზადაგზა არსებული ობიექტური პრობლემე-

ბისა, დღესაც სასწავლებელი მიდის სიახლის, წარმატებების ძიების გზით. 30 წელიწადია სასწავლებელს წარმატებით უძღვება მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი პროფესორი რევაზ უზუნაძე. მასთან ერთად იღწვიან შორენა უზუნაძე (მოადგილე), ინგა შალამბერიძე (სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი), მზია ბაკურიძე (სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი), მარინე კვირიკაძე-გურგენიძე (პროგრამის ხელმძღვანელი), ნარგიზ ბუცხრიკიძე (ექთანი, ჰგმ), სოფიო ბრუნჯაძე (სტუდენტური გაერთიანების ხელმძღვანელი, ჰგმ), დარეჯან უგულავა (ადამიანური რესურსებისა და საქმის წარმოების მენეჯერი), გულნაზ მატუა (ფინანსური მენეჯერი)....

აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ არის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. ასეთია მოკლედ ბათუმის სამედიცინო აკადემიის მიერ, „ფარმაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო მიმართულებით გაწეული საქმიანობა და მის მიერ განვლილი 29 წლიანი გზა.

ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი

ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან არსებულ მრავალდარგობრივ კოლეჯში, ამჟამად ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში, დღიდან დაარსებისა (1999) მომზადდა 750 ახალგაზრდა. კურსდამთავრებულებს შორის ბევრი იყო ფარმაცევტული სპეციალობის სტუდენტი. ბოლო ორი წელია ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში მოდულური პროგრამით მიმდინარეობს სწავლება ანუ პროფესიულ განათლებას იღებენ სტუდენტები.

ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელის დირექტორია ამირან ტაკიძე. ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფარმაცევტული პროგრამის ხელმძღვანელია მანანა ხაბაძე.

იგი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება ფარმაცევტთა მომზადების საქმეს. ჰყავს ძლიერი გუნდი და მათთან ერთად იღწვის პროფესიული კადრების ჩამოყალიბებისთვის. ახალგაზრდების ლტოლვა ამ დარგისადმი დღითიდღე იზრდება. დასაქმების დონეც მაღალია.

პროფესიულ კოლეჯებში სწავლის მსურველთათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწესება და ჩარიცხულ სტუდენტთა სრული დაფინანსება ამ დარგისადმი ინტერესს კიდევ უფრო ზრდის და ათობით ახალგაზრდას ეძლევა რეალური საშუალება აიხდინოს ოცნება და დაეუფლოს ფარმაცევტის ჰუმანურ პროფესიას.

თავი IX

აბპარის ფარმაცევტთა ასოციაცია და მისი საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი

1896 წლის 20 ნოემბერს დაარსდა ბათუმის ექიმთა საზოგადოება. ეს იყო კავკასიაში მესამე თბილისისა და ქუთაისის (დაარსდა 1892 წ.) საზოგადოების შემდეგ. დაარსების დღეს ბათუმის ექიმთა საზოგადოებაში იყო 37 წევრი დამფუძნებელი, მათ შორის 7-ფარმაცევტი: აბაზალი, ნ.ა.ბიალუსკი, ო.ს.გეიმანი, ი.ი.პეტკევიჩი, ი.გ.სერგეევი, ფ.ი. ფრეი და ნ. ნ. ჩერკავსკი. ბათუმის (აჭარის) ექიმთა საზოგადოების პირველი თავმჯდომარე იყო ვ.ი. პუზირევსკი (20.11.1896-20.11.1897). შემდგომ წლებში თავმჯდომარეობდნენ: ა.ს. შიშკოვი, ტ.პ. ტრიანტაფილიდესი, ბ.კ. ფინკელშტეინი და სხვები. მხოლოდ 1922 წლის 13 ივნისიდან აირჩევა (ჩნდება) ქართველი კ.ა. მხეიძე.

1905 წელს საქართველის ფარმაცევტები გაერთიანდნენ პროფესიულ კავშირში, აირჩიეს გამგეობა, შეიმუშავეს წესდება და სამუშაო გეგმა. იმავე დროს შეიქმნა დასავლეთ საქართველოს -იმერეთ-გურია-სამეგრელოს ფარმაცევტთა კავშირი. თავმჯდომარედ არჩეული იყო გიორგი კილაძე, გამგეობის წევრებად: ვასილ ნასარიძე და თედორე კვირიკაძე (ქუთაისიდან), დავით ნიკოლაიშვილი (ფოთიდან), თედორე გობრონიძე (ბათუმიდან), ირაკლი გამსახურდია (სოხუმიდან), ევსევი ჩიგოგიძე (მახარაძედან).

ფარმაცევტთა პროფკავშირის ხელმძღვანელობით ეწყობოდა გამოსვლები და პოლიტიკური გაფიცვები. პირველი გაფიცვა საქართველოს ფარმაცევტებმა მოაწყვეს 1905 წლის 2 მაისს. ფარმაცევტების პროფკავშირი პირველ რიგში მოითხოვდა აფთიაქების მუნიციპალიზაციას.

ბათუმის ექიმთა საზოგადოების სხდომაზე 1923 წლის 13 მარტს მიღებული და დამტკიცებული იქნა ბათუმის ექიმთა საზოგადოების წესდება. ამ წესდების VIII თავის 45-ე პარაგრაფიდან

ჩანს, რომ საზოგადოებამ შექმნა მედიცინისა და ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგის 10 სამეცნიერო სექცია, რომელთაგან ერთ-ერთი (რიგით მე-9) ფარმაცევტული იყო.

1952 წელს შეიქმნა აჭარის ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოება, რომლის გამგეობის ხელმძღვანელად არჩეული იქნა თენგიზ (თათარხან) ნაკაიძე. მას გვერდში ედგნენ ოთარ ბზიკაძე და რეზო დოლბაია. 1982-1990 წლებში აჭარის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა თემურ ფალავანდიშვილი. საზოგადოება 1978 წლის მონაცემებით 80-მდე წევრს აერთიანებდა.

„ბათუმში თითქმის ყოველწლიურად ტარდებოდა გამსვლელი სამეცნიერო სესია ან სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ამ ღონისძიებებში მონაწლლეობდნენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ხელმძღვანელები და ბათუმის ფარმაცევტული დაწესებულებების მუშაკები. სესიები მაღალ დონეზე ტარდებოდა და დამსწრეთა ცხოველ ინტერესს იწვევდა. ბათუმის შეკრებიდან არ შეიძლება არ გავიხსენოთ თენგიზ ნაკაიძის და ოთარი ბზიკაძის დუეტი, რომელიც ახალისებდა აჭარულ ბანკეტებს; აჭარლების მხატვრულმა შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ფარმაციის ისტორიაში (ბ.ჭუმბურიძე, ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოება საქართველოში XX საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 2010, გვ.46-47)“.

აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაცია შეიქმნა 1990 წლის 3 ივნისს, იმავე დღეს აჭარის ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოებამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა.

დამოუკიდებელი საქართველოსთვის შესაფერისი, ახლებური ტიპის საზოგადოებრივ-პროფესიული ოპოზიციური მუხტის მქონე საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პირობებში რთული და გაბედული საქმე იყო, თუმცა საკითხი იმდენად მომწიფებული აღმოჩნდა, რომ ფართო მხარდაჭერა მოიპოვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას (1991 წლის 9 აპრილი) მოკლე ხანში მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლა, შემდეგ

ქვეყანა აირია, დაამხეს ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება, საქართველოს თავს მოახვიეს აფხაზეთის ომი, კონფლიქტი სამაჩაბლოში. ქვეყნის შიგნით მხედრიონი მძვინვარებდა, შეიქმნა რთული კრიმინოგენული და დუხჭირი ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა. ასეთ პირობებში ასოციაციაციას პრაქტიკულად არ უმოქმედია.

ჩვენ მიზნად დავისახეთ 1990 წლის 3 ივნისს აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციააციის შექმნის მასალები შედარებით დაწვრილებით გავაშუქოთ წინამდებარე წიგნში და ის ყველასათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ. ასევე მკითხველისათვის საინტერესო იქნება, თუ რა პრობლემებზე მსჯელობდნენ აჭარის ფარმაცევტები ჯერ კიდევ 30 წლის წინ. დიახ, ფესვების მოძიება და გახსენება სასარგებლო საქმედ მივიჩნიეთ.

ყველაფერი დაიწყო იქედან, რომ ფარმაცევტთა ერთმა ნაწილმა შექმნა საინიციატივო ჯგუფი და მოიწვია კონფერენცია. ფარმაცევტებს დაურიგდათ შემდეგი შინაარსის მოსაწვევები: "გთხოვთ გვეწვიოთ აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალურ ასოციაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე, რომელიც შედგება კვირას, დღის 12 საათზე სააფთიაქო სამმართველოს სხდომათა დარბაზში". მისამართი: დემეტრე თავდადებულის ქ. 27. კონფერენციას დაესწრო 41 დელეგატი. თავმჯდომარეობდა ვლადიმერ მახარაძე, მდივანი სვეტლანა აფხაზავა. კონფერენციამ იმუშავა შემდეგი დღის წესრიგით:

1) აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენციის მოსამზადებელი საინიციატივო ჯგუფის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (მომხს. მ. ბერიძე);

2) ასოციაციის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესახებ (მომხს. ვ. მახარაძე).

3) ასოციაციის წესდების პროექტის განხილვა – დამტკიცება / მომხს. რ. დოლბაია /.

4) კონფერენციის რეზოლუციების მიღება /მომხს. ვ. მახარაძე/

5) ასოციაციის ატრიბუტიკის განხილვა–დამტკიცება /მომხს. ვ. მახარაძე /.

6) არჩევნები: ა) ასოციაციის თავჯდომრის; ბ) ასოციაციის გამგეობის; გ) ასოციაციის საკონტროლო კომისიის; დ) ასოციაციის გაზეთის რედაქტორის

პროვიზორმა, საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა მიხეილ ბერიძემ კონფერენციას წარუდგინა მოკლე ინფორმაცია საინიციატივო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელი შეეხო რეგიონალური ასოციაციის საინიციატივო ჯგუფის შექმნის წინაპირობებს, მის შემადგენლობასა და გაწეულ საქმიანობას, ასევე ისაუბრა ასოციაციის შექმნის მიზეზებსა და აუცილებლობაზე.

ასოციაციის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესახებ ისაუბრა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა პროვიზორმა ვლადიმერ მახარაძემ. შემდეგ პროვიზორმა რ. დოლბაიამ წაიკითხა ასოციაციის წესდების პროექტი. გაიმართა ცხარე, საქმიანი კამათი, აზრთა ურთიერთგაცვლა.

კონფერენციის რეზოლუციის პროექტი გააცნო ვლადიმერ მახარაძემ. თავისი დიდი ისტორიული მნიშვნელობის გამო ამ რეზოლუციის სრულ ტექსტსაც ვბეჭდავთ წინამდებარე წიგნში.

კონფერენციამ დაამტკიცა ასოციაციის ატრიბუტიკა. ასოციაციის ემბლემად – ორი წრეხაზი, პირველი წრეხაზის შიგნით ესკულაპის კვერთხზე დახვეული გველი. მეორე წრეხაზში წარწერა ლათინურად „კურა მედიანა“.

დევიზი – „უპირველესად არ ავნო“

გაზეთის სახელწოდებად „წამალთმცოდნე“, ხოლო პერიოდულობა – თვეში ერთხელ.

ასოციაციის თავმჯდომარედ ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეული იქნა ვლადიმერ მახარაძე (33 ხმა 35 დელეგატიდან). ასოციაციის გამგეობის წევრებად ფარული კენჭისყრით არჩეული იქნენ შემდეგი ფარმაცევტები: რ. დოლბაია, მ. ბერიძე, ფ. ვაშაყმაძე, ს. სუთიძე, ა. შამილაძე, ც. ნინუა, რ. დვალაძე, მ. გოგეშვილი, ა. ცინცაძე, ა. როსტიაშვილი, სულ 10 კაცი.

ასოციაციის საკონტროლო კომისია განისაზღვრა 3 კაცის შემადგენლობით და წევრებად არჩეული იქნენ: ლ. ტურძელაძე (თავმჯდომარე), ც. ბაგრატიონი და ი. სიხარულიძე – წევრები.

გაზეთის რედაქტორად კონფერენციამ დაამტკიცა ა. შამილაძე.

ამით კონფერენციის მუშაობა დასრულდა.

ქვემოთ ვაქვეყნებთ დელეგატების სიას მაშინდელი სააფთიაქო დაწესებულებების ნუმერაციის მიხედვით, ასევე კონფერენციის რეზოლუციებს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის სახელით მისი თავმჯდომარის ვლადიმერ მახარაძის ხელმოწერით, აჭარის ასსს მინისტრთა საბჭოში თავმჯდომარის ამხ. ჩიგოგიძის სახელზე გაიგზავნა განცხადება თხოვნით რეგისტრაციაში გაეტარებინათ ასოციაციის წესდება. პასუხი ან თანხმობა არ მოსულა.

აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატების ს ი ა:

აფთიაქი #1- ა. შამილაძე, ლ. გაბიდაძე, რუსეიშვილი ი. ვ., მაღლაკელიძე ი. ზ., კორიფაძე ნ. ა. აფთ; #4- გაბრიჩიძე დ., აფხაზავა ს. ო., ტურძელაძე ლ. ა. აფთ; #5- ნინუა ც ა., ცერცვაძე ი. ვ., სტასიუკი ტ. ლ; აფთ. #6- ხელაია მ. შ; აფთ. #7- ბაგრატიონი ც.; აფთ. #8- დოლბაია რ. ს., დარმანიანი გ. ა., შერვაშიძე თ. გ. თევზაძე ლ. გ; ცინცაძე ა. ნ; კაკაურიძე ც. გ; აფთ. #10- მახარაძე ვ. ი; აფთ. #11- როსტიაშვილი ა. ვ; სააფთიაქო მაღაზია #2- ჩხაიძე მ. გ. კაშია ნ. ლ.; სააფთიაქო სამმართველო - სუთიძე ს. გ. ავალიანი თ. ნ. აფხაზავა შ. ი; ცენტრ. სააფთ. საწყობი - ვაშაყმაძე ფ.კ. ვინოკური ა. მ. ნაკაიძე მ; საინფორმაციო ცენტრი - გოგეშვილი მ. გ. ხელვაჩაური-სიხარულიძე ი. გ. ბერიძე მ. ვარშანიძე ლ. შ; ქობულეთი -დვალაძე რ. ვ. კარანაძე ქ. ო. ნიკოლაიშვილი მ. ი. გოგიტიძე ნ. ნ. გოგიტიძე ო. დ. გოგიტიძე რ. გ; ქობულეთი #2 აფთიაქი - სხვიტარიძე ნ. ვ. სარქისიანი ნ. კ.

აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენციის

რეზოლუციები

კონფერენცია აცხადებს, რომ ასოციაცია არაა პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ იგი იქმნება ეროვნულ ნიადაგზე. მხარს უჭერს ეროვნულ – განმანთავისუფლებელ მოძრაობას. თავის საქმიანობას წარმართავს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს საქართველოში ფარმაციის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას.

ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია, თავისი უზენაესი მიზნებიდან გამომდინარე მოითხოვს:

1. მოხდეს ფარმაცევტული დაწესებულებების დეიდეოლოგიზაცია, რაც გულისხმობს ამ დაწესებულებებში პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების გაუქმებას. ყოველი საკითხის გადაწყვეტის დროს გათვალისწინებული იქნეს ასოციაციის გამგეობის და ადგილებზე პირველადი ორგანიზაციების აზრი, რომლებიც წარმოადგენენ ფარმაცევტთა ინტერესების რეალურ დამცველს.

2. სააფთიაქო დაწესებულებათა დაგეგმარება განხორციელდეს ქვემოდან ზემოთ და არა პირიქით. ამასთან სააფთიაქო დაწესებულებათა შეფასების დროს გეგმიურ მაჩვენებლებს მიექცეს არაგადამწყვეტი და პირველხარისხოვანი, არამედ საორიენტაციო - ანალიტიკური მნიშვნელობა.

3. ძირეულად გარდაიქმნას სააფთიაქო დაწესებულებათა მომარაგების არსებული სისტემა. შეწყდეს მედიკამენტების მასიური განაწილება და ასეთი იწარმოოს მხოლოდ დეფიციტის შემთხვევაში. მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული აფთიაქის სამოქმედო უბნის სპეციფიკა და მისი მოთხოვნილებანი ამა თუ იმ მედიკამენტებზე.

4. სააფთიაქო დაწესებულებები გადაეცეს არენდაზე. შეიქმნას წამალთმომსახურების ახალი ეკონომიკური ფორმები, გაიხსნას

ფარმაცევტული საწარმოები, რომელთა შედეგადაც მაქსიმალურად იქნება გამოყენებული რესპუბლიკის ბუნებრივი და მატერიალური რესურსები, ხელი შეეწყობა ფარმაცევტ-სპეციალისტთა დასაქმებას, მათ ეკონომიკურ დაინტერესებას და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

5. პროვიზორთა და ფარმაცევტთა ხელფასების დაუყოვნებლივ მომატებას ინფლაციის დონის პარალელურად.

6. ა) შეწყდეს ბუნების ბარბაროსული განადგურება სამკურნალო მცენარეული რესურსების არაგეგმაზომიერი ექსპლუატაციის გამო. აეკრძალოს აჭარკოოპკავშირის სისიტემას და სატყეო მეურნეობის დაწესებულებებს სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამზადება, მისი საზღვარგარეთ გატანა და არასამედიცინო საქონელზე გაცვლა.

ბ). აეკრძალოთ სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამუშავება და რეალიზაცია იმ კოოპერატივებს, რომლებშიც არაა დასაქმებული პროვიზორები და ფარმაცევტები. ასეთი საქმიანობა პროფესიონალ ფარმაცევტთა პრეროგატივაა და მათი კვალიფიციური ჩარევით უნდა წყდებოდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხები ამ უბანზე;

გ) ეთხოვოს საქართველოს მწვანეთა მოძრაობას აქტიური თანადგომა გაგვიწიოს ზემოაღნიშნული საკითხების მოგვარებაში.

7. ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნისა და სამკურნალო მცენარეთა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქობულეთის ფილიალის დეცენტრალიზაციას და საქართველოს რესპუბლიკურ დაქვემდებარებას, ასევე მათ საქმიანობაში სპეციალისტ-პროვოზორების მაქსიმალურად დასაქმებას.

8. თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს საქართველოს ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოების აჭარის ორგანიზაციამ, რომელიც წლების განმავლობაში აბსოლუტურად არაფრის გამკეთებელია, შემოიფარგლება მხოლოდ საწევროების შეგროვებით და ეს თანხაც გამოუყენებელია;

ვინაიდან აღნიშნული საზოგადოების მთლიანი თანხა აჭარის პროვიზორთა და ფარმაცევტთა კუთვნილებაა, რომელთა უდიდესი ნაწილი ასოციაციის წევრები არიან, ამიტომ იგი უნდა გადმოეცეს ფარმაცევტთა ასოციაციას და მოხმარდეს მათ რეალურ ინტერესებს.

9. სააფთიაქო დაწესებულებებში ყველა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაკთა დანიშვნა ხდებოდეს არჩევის წესით დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით.

როცა საკითხი დადგა აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის საქმიანობის განახლებაზე, სახელისუფლებო ორგანოებმა მოითხოვეს მისი ხელახალი დაფუძნება.

1996 წლის 11 მაისს ჩატარდა აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის I დამფუძნებელი კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა 52 დელეგატი და მოწვეული სტუმრები. კონფერენციაზე ასოციაციის დაარსების, მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ ვრცლად ისაუბრა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა ვ. მახარაძემ. მისი სიტყვა ნათლად ასახავს იმ ეპოქის სულისკვეთებასა და ხედვებს, ამიტომ გადავწყვიტეთ აქ სრული სტენოგრაფიული ჩანაწერი წარმოგიდგინოთ.

„ძვირფასო კოლეგებო! პატივცემულო სტუმრებო! ქალბატონებო და ბატონებო!

საქართველოს რეალურმა დამოუკიდებლობამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა მანამდე უცნობი მრავალი პრობლემა, რომელთაგან უმთავრესია ინტერესების დაცვის ფუნქცია. ამაში ჩვენ ვგულისხმობთ პროფესიულ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, საკუთრებით და პიროვნების ინდივიდუალურ ინტერესებს. მოქალაქეები, პროფესიონალები ქმნიან ასოციაციებს, კავშირებს, გაერთიანებებს, საზოგადოებებსა და უბრალოდ დაჯგუფებებს, რადგან იძულებულნი არიან თავის თავზე აიღონ სოციალური თავდაცვის ფუნქციები.

საზოგადოების დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველ ფენად იქცა, პროფკავშირები გადაქცეულია ფიქტიურ ორგანიზაციად

უფლებათა დაცვის სფეროში. დიდი ხანია დაიშალა და აღარ ფუნქციონირებს ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც ტოტალიტარულ სოციალისტურ სისტემაში სიმბოლურ გაერთიანებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ არაქმედუნარიანი აღმოჩნდა 1990 წელს შექმნილი ფარმაცევტთა კავშირიც.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად მოიშალა ძველი კავშირები და მართვის სტრუქტურები. სახელმწიფო სექტორის გვერდით გაჩნდა კერძო საფთიაქო სექტორი, უფრო მძლავრი და მრავალრიცხოვანი, მოქნილი და პერსპექტიული, მაგრამ ყოველგვარი კოორდინაციის გარეშე.

თავისუფალმა მეწარმეობამ და აფთიაქის მფლობელობის შეუზღუდაობამ პროფესიული ნიშნით მიგვიყვანა იმ უკიდურესობამდე, რომ აფთიაქს ხსნის ვისაც სურს და როგორც სურს, „აფთიაქომანია" მოდად იქცა და დღეს ყოველ ქუჩაზე 10-15 ასეთ ობიექტს შევხვდებით. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ქ. ბათუმში 800-900 სულზე ერთი აფთიაქი ან სააფთიაქო მაღაზია მოდის, რაც მსოფლიო რეკორდია. ძალიან ბევრი ობიექტი ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, ხშირად შევხვდებით მედდას, რომელიც ფარმაცევტის ფუნქციას ასრულებს ან საეჭვო ღირსების დიპლომის მფლობელ პროვიზორს. ყოველივე ამან შეამცირა საზოგადოების თვალში პროვიზორებისა და ფარმაცევტების პროფესიული ღირსება და ავტორიტეტი, სიამაყის გრძნობა.

ნათქვამიდან ჩანს, რომ თუ პროვიზორებმა და ფარმაცევტებმა ჩვენს უფლება-მოვალეობებზე, პროფესიულ ღირსებებზე თვითონ არ ვიზრუნეთ, არსაიდან უნდა ველოდოთ სასწაულებრივ ხსნას.

ფარმაცევტთა ასოციაციის, კავშირის, გნებავთა გაერთიანების შექმნა ნაკარნახებია იმით, რომ სააფთიაქო დაწესებულებებში (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ან სხვა ფარმაცევტულ უწყებებსა და საწარმოებში დასაქმებულ პროვიზორებსა და ფარმაცევტებს გვჭირდება პროფესიული ნიშნით გაერთიანება, საერთო კოორდინირებული ძალისხმევით ფარმაციის ყოველმხრივ განვითარე-

ბაში აქტიური მონაწილეობა. სწორედ კონსოლიდაციის, შეკავშირების ასეთ ოპტიმალურ ფორმად გვესახება აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის შექმნა.

შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ფარმაცევტულ საზოგადოებებს დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში უდიდესი როლი აკისრიათ. საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ნორვეგიასა თუ სხვა ქვეყნებში ფარმაცევტულ საზოგადოებებს კანონითა აქვთ მინიჭებული აფთიაქებისა და ფარმაცევტული საქმიანობის კონტროლის უფლება. მათივე ფუნქციაში შედის ფარმაცევტული საქმიანობის ცალკეული მხარეების რეგლამენტაცია.

აშშ-ში რამდენიმე ასოციაციაა, რომელთაგან ყველაზე მძლავრია ამერიკის ფარმაცევტთა ასოციაცია. ანალოგების გაგრძელება შეიძლება სხვა ქვეყნების მაგალითებზეც.

აი მოკლედ, ძვირფასო კოლეგებო, ის მიზეზები, რამაც მიგვიყვანა ფარმაცევტთა თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი, საზოგადოებრივ-პროფესიული გაერთიანების შექმნის აუცილებლობამდე.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ასოციაცია არაა პოლიტიკური ორგანიზაცია და ის ასეთ მიზნებს არ ისახავს. მაგრამ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, გულგრილი ვერ იქნება ქვეყნისათვის საჭირბოროტო პრობლემების მიმართ. ჩვენ მხარს ვუჭერთ აჭარის ხელისუფლების დიდ ძალისხმევას აჭარის რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში, მის მცდელობას ყოველმხრივ განავითაროს და ააღორძინოს კუთხე. აქტიურად მხარი უნდა დავუჭიროთ ხელისუფლების ძალისხმევას სააფთიაქო დაწესებულებების მიერ ნორმატიული მოთხოვნების მკაცრად დაცვის, სპეციალისტებით ამ დაწესებულებათა მაქსიმალურად დაკომპლექტებისა და წამლის ხარისხის კონტროლის გაძლიერების საქმეში, რაც მოსახლეობის წამლით უზრუნველყოფის მაღალი, ცივილიზებული დონის საწინდარია.

ბატონებო! ასოციაციის შექმნის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესახებ დაწვრილებითაა საუბარი წესდების პროექტში, რომელიც თქვენ ხელთა გაქვთ. ჩვენ გვინდა შევეხოთ მხოლოდ

ზოგიერთ, განსაკუთრებით საჭირბოროტო პრობლემებს, რომელთა გადაჭრა ასოციაციის უმთავრესი ამოცანა იქნება მისი საქმიანობის პირველ ეტაპზე.

ჩვენი მიზანია ასოციაციის სახით გვქონდეს ისეთი რეალური საზოგადოებრივი ძალა, რომელიც აქტიურ ზეგავლენას მოახდენს ფარმაციის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებაზე, დაიცავს პროვიზორთა და ფარმაცევტთა მოქალაქეობრივ, პროფესიულ, სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს, იქნება მათი უფლებების წარმომდგენი და დამცავი სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციებში. აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოში ფარმაცევტული საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი გლობალური განვითარების კონცეფციების შემუშავებაში, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრაქტიკული საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში.

ასოციაცია მიზნად ისახავს აღადგინოს და დაამკვიდროს ძველი, კეთილი ტრადიციები. ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ფარმაცევტული ეთიკისა და დეონტოლოგიის, მაღალი ზნეობრივ-მორალური ქცევის წესებისა და ნორმების განმტკიცებას.

დღეისათვის უაღრესად აქტუალურია აფთიაქების განლაგებისა და განვითარების ნორმატივები და მათი საქმიანობის ლიცენზირება. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში არა გვაქვს კანონი ფარმაციის შესახებ და არც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მინიჭებული აქვს ნორმატიული აქტების შედგენის უფლება, მაგრამ როგორ გამოიყურება ეს აქტები სინამდვილეში? 1994 წელს დამტკიცებული რეგლამენტის მიხედვით სააფთიაქო დაწესებულებები წარმოდგენილია ორი ტიპის: 30-150კვ.მ. - სააფთიაქო მაღაზია და 150კვ.მ. ზევით - აფთიაქი წამლის მომზადების უფლებით. კი მაგრამ, ვთქვათ, 100-130კვ.მ. ფართობის მქონე ობიექტს რატომ უწოდეს მაღაზია და არა აფთიაქი? იმიტომ, რომ მზა წამალთა ფორმების აფთიაქის ცნება სრულებით იგნორირებულია, რომ აღარაფერი ვთქვათ სააფთიაქო დაწესებულებათა სხვა ტიპებზე. ამ ნორმეტივების მკაცრად დაცვა იმას ნიშნავს, რომ კერძო სექტორში არ უნდა გვქონდეს აფთიაქის ტერმინი, რადგანაც ამოდენა

ფართობის ფლობა განვითარებადი სექტორისათვის მოგებსენებათ რა სირთულეებთანაა დაკავშირებული. ხომ არ არის ეს კერძო სექტორის ხელოვნურად მიჭყლეტის პოლიტიკა?

1991-1992 წლებში ლიცენზიები გაიცემოდა 5 კვ.მ-ზე ზევით ფართობზე, თანაც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში. შემდეგ ასეთი უფლება მიენიჭა აჭარის გაერთიანება ფარმაციას, შემდეგ აჭარის ფარმინსპექციას, იქედან გადავიდა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში და ბოლოს აჭარის მინისტრთა საბჭოში. ლიცენზირების წესებისა და ნორმატივების ხშირმა ცვლამ მიგვიყვანა იმ დონემდე, რომ დღეს აჭარაში პრაქტიკულად არც ერთ სააფთიაქო დაწესებულებას ლიცენზია არა აქვს.

აფთიაქების თავისუფალი გახსნა, ერთის მხრივ, კარგი და აუცილებელია, მაგრამ მათი პროპორციული დისლოკაციის პრინციპების უგულებელყოფამ თითქმის უაფთიაქებოდ დატოვა დაბისა და სოფლის ტიპის დასახლებები

კერძო სააფთიაქო სექტორის წარმომადგენლები არსად არ მონაწილეობენ, რის გამოც ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებისა და მოსაზრებების გაზიარება არ ხდება, არც ნორმატივების შემუშავებისა და არც ლიცენზირების დროს.

ასოციაციას მიაჩნია, რომ უნდა დაჩქარდეს პრივატიზაცია. რა ფორმით უნდა იმართოს კერძო აფთიაქები მომავალში? საბოლოოდ ვის ხელში იქნება ლიცენზიების გაცემის, გაუქმების, ფარმაცევტული კანონების შემუშავების, რეგულირების ფუნქციები? ამ მხრივ ხომ არ გამოგვადგება აშშ-ის გამოცდილება? მოვიყვანთ მაგალითს: აშშ-ში ყოველ შტატში არის ფარმაციის სამმართველო (გთხოვთ ტერმინოლოგიური მსგავსების გამო მისი შინაარსი არ გააიგივოთ თქვენთვის კარგად ცნობილი სააფთიაქო სამმართველოების შინაარსობრივ ფუნქციებთან), რომლის მთავარი ფუნქციაა ფარმაცევტების რეგისტრაცია, მათზე პრაქტიკული საქმიანობის ლიცენზიის გაცემა გარკვეული ატესტაციის გავლის შემდეგ. ფარმაციის სამმართველოში არის 1-2 ინსპექტორი, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ფედერალური და ადგილობრივი ფარმა-

ცევტული კანონებისა და დებულებების შესრულებას. ფარმაცევტულ სამმართველოს უფლება აქვს არა მარტო გასცეს, არამედ გააახლოს, დროებით ჩამოართვას ან გააუქმოს ლიცენზია, დაადგინოს ნესები, რომლებიც არეგულირებს ფარმაცევტულ პრაქტიკას. ფარმაცევტული სამმართველოს წევრები არიან თანამდებობის პირები. მათი რიცხვი 3-დან 9-მდეა. მათ ნიშნავს შტატის გუბერნატორი ასოციაციის წარდგინებით, სადაც ჭარბობენ აფთიაქების მფლობელები, თანაც 10 წელზე მეტი შრომითი სტაჟით. მეტს აღარ ვაკონკრეტებთ. ვთვლით, რომ დაფიქრებისათვის ესეც კმარა.

ასოციაცია მიზნად ისახავს იზრუნოს უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლების სისტემის სრულყოფაზე. ფასიანი სასწავლელების მეტისმეტმა მომრავლებამ, მათმა გახსნამ სოფლებშიც კი იმდენად დასცა პროვიზორის ავტორიტეტი, რომ ეს პროფესია საყველპურო საქმედ იქცა. არის ყალბი დიპლომების გაცემის შემთხვევებიც. ასეთ სასწავლებელთა უმრავლესობაში არაა სათანადო ბაზები და მეცნიერ-პედაგოგები. ვის სჭირდება ყოველივე ეს? ჩვენ რეალურ გზას ვხედავთ, ერთის მხრივ, ფარმაცევტული სასწავლებლების ატესტაციაში, რათა გაირკვეს მათი სწავლებისა და ბაზების ნორმებთან შესაბამისობა და მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულებს მხოლოდ სპეციალური ატესტაციის გავლის შემდეგ უნდა მიეცეთ პრაქტიკული საქმიანობის უფლება.

ასოციაცია იზრუნებს მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად. ამ მიზნით ის მხარში ამოუდგება წამლის ხარისხის კონტროლის ინსპექციას, რათა მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ მაღალხარისხიანი, უსაფრთხო და ეფექტური სამკურნალწამლო საშუალებებით.

ჩვენმა ასოციაციამ ჯეროვანი ყურადღება უნდა დაუთმოს ხალხური, ტრადიციული რეცეპტურის შესწავლას, ადგილობრივი სამკურნალო მცენარეული რესურსების კვლევას და მის საფუძველზე ფარმაცევტული მრეწველობის შემდგომ განვითარებას. სამკურნალი მცენარეების გავრცელების ახალი არეალების გამოვლენა ან მათი კულტივირება ნაკარნახებია 2 მიზეზით: ჯერ ერთი- აუცილებელია მცენარეული სამკურნალო რესურსების

მაქსიმალურად სწორად და რაციონალურად გამოყენება, სამკურნალწამლო საშუალებების ასორტიმენტის გაფართოება ბუნებრივი რესურსების ხარჯზე და ამ სფეროში მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მეორეს მხრივ კი - საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის ინტერესები გვიკარნახებს, რომ მაქსიმალურად არ ვიყოთ სხვაზე დამოკიდებული, გვქონდეს ფარმაცევტულ საწარმოთა ფართო ქსელი, რათა ადგილობრივი ნედლეული ჩვენ თვითონვე გადავამუშავოთ და შევქმნათ წამალთა ახალი ფორმები. ამ კეთილშობილური მიზნის აქტუალობა ვფიქრობთ უდავოა.

ასოციაცია ასევე მიზნად ისახავს მეცნიერულ აღმოჩენათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა პრაქტიკაში დაუყოვნებლივ დანერგვას, მოწინავე გამოვდილების შესწავლას. დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ვერ იქნები კარჩაკეტილი და არც ავტომობილის შექნა ორთვალა ველოსიპედის შექმნით არ უნდა დავიწყოთ. მონდომებითა და ენთუზიაზმით უნდა შევისწავლოთ ცივილიზებული ქვეყნების მოწინავე გამოცდილება ფარმაციის დარგში და დაუყოვნებლივ დავნერგოთ პრაქტიკაში. ასევე ჩვენი ქართველი მეცნიერების მრავალი რაციონალიზატორული წინადადება ძევს თაროებზე და თავის დამკვეთს ელის. მაშ ჩვენ, ასოციაციამ ვიზრუნოთ ყოველივე ამისათვის.

ასოციაციის ნორმალური ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს გაზეთი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შევძლებთ მჭიდრო კონტაქტები ვიქონიოთ კოლეგებთან, ექიმებთან და მოსახლეობის ფართო ფენებთან. გაზეთი იქნება არა მარტო საუკეთესო ინფორმატორი წამალთმცოდნეობის დარგში, არამედ მან უნდა ებრძოლოს თვითმკურნალობას, წამლის მოდურ ხმარებას. ხელი უნდა შეუწყოს არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას. რაოდენ სამწუხაროა, რომ არა თუ აჭარაში, არამედ საქართველოში საერთოდ, დღემდე ფარმაცევტებს არ ჰქონიათ და არც ეხლა აქვთ ორგანო, რომელიც ზემოაღნიშნულ ინტერესებს მოემსახურებოდა. არა და, რა უზარმაზარი შესაძლებლობები აქვს პროფესიულ გაზეთს.

ასოციაცია იზრუნებს პროვიზორთა და ფარმაცევტთა მატერიალური და მორალური სტიმულირებისათვის. თქვენ იცით, რომ ადრე იყო „ჯანმრთელობის დაცვის დამსახურებული მუშაკის“ და „დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდებები, ოღონდ არასდროს არ ყოფილა „დამსახურებული პროვიზორის“ წოდება. განა მორალური სტიმულირების უმაღლესი გამოხატულება არ იქნება „აჭარის დამსახურებული პროვიზორისა“ და „საქართველოს დამსახურებული პროვიზორის“ საპატიო წოდებების შემოღება? ასევე მიგვაჩნია, რომ ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად შემოღებულ იქნეს „პროვიზორ-მენეჯერის“ კვალიფიკაცია და პროფესიული ზრდის უწყვეტი სტიმულირების მიზნით დაწესდეს „უმაღლესი კატეგორიის პროვიზორ-მენეჯერის“ და „პირველი კატეგორიის პროვიზორ-მენეჯერის“ საკვალიფიკაციო კატეგორიები.

ასოციაციამ უნდა მოაწყოს სიმპოზიუმები, კონფერენციები, თემატური საღამოები, აღნიშნოს საიუბილეო თარიღები. გამოაცხადოს კონკურსები, დააარსოს თავისი ერთჯერადი წამახალისებელი პრემიები, წარადგინოს კანდიდატურები სამთავრობო ჯილდოებზე და საპატიო წოდებების მისანიჭებლად.

და ბოლოს, ასოციაციის წევრებმა და საერთოდ, ჯანდაცვის მუშაკებმა არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ჰუმანური და საქველმოქმედო საქმიანობა, მეტი ყურადღება და თანადგომა გამოვიჩინოთ მარტოხელა და მრავალშვილიანი, ინვალიდებისა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მიმართ. ამ საკითხებში მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ აჭარის მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდთან.

ძვირფასო კოლეგებო! ზემოაღნიშნულ პრობლემებზე ფიქრმა და მათი გადაჭრის გზების ძიებამ მიგვიყვანა საინიციატივო ჯგუფის შექმნამდე. სულ რაღაც ერთი თვის წინ შეიქმნა აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენციის საინიციატივო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობი: თავ-რე ვ. ი. მახარაძე, წევრები: ფ.კ. ვაშაყმაძე, მ.ი. ბერიძე, თ.ნ. ავალიანი, ა.ჯ.

შამილაძე, ც. ბაგრატიონი, დ. ტყეშელაშვილი, რ.დვალაძე, ტ. ქარცივაძე, ნ. ბაკურიძე. საინიციატივო ჯგუფმა მოამზადა წესდების პროექტი, კონფერენციის რეზოლუციები, დღის წესრიგი, საარჩევნო ბიულეტენები და გასწია სხვა მრავალი ორგანიზაციული ხასიათის სამუშაოები.

საინიციატივო ჯგუფი თავისი ნაშრომ-ნაამაგარით წარსდგა თქვენს წინაშე და მთელს უფლებებს გადასცემს კონფერენციას. მე კი მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კონფერენციას ვუსურვო ნაყოფიერი მუშაობა. თქვენ კი, ძვირფასო კოლეგებო, კიდევ ერთხელ მინდა მოგიწოდოთ და მოგილოცოთ ახალი, თავისუფალი, დამოუკიდებელი, პროფესიული ასოციაციის შექმნა.

გმადლობთ ყურადღებისათვის!"

კონფერენციაზე განიხილეს და დაამტკიცეს ასოციაციის წესდება, ატრიბუტები (ემბლემა, დევიზი), მიიღეს შესაბამისი რეზოლუციები, კონფერენციაზე აირჩიეს ასოციაციის პრეზიდენტი 4 წლის ვადით, ასოციაციის საბჭო, გაზეთ „ფარმაკონის" რედაქტორი. ასევე არჩეულ იქნენ საპატიო წევრები და საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადოების ყრილობის დელეგატები.

ასოციაცია გატარდა რეგისტრაციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში 1996 წლის 28 ივნისს (რეესტრი №32/14, მოწმობა N 30/130).

ასოციაციის ემბლემად დამტკიცდა სიმბოლო, რომელიც შედგება ორი წრეხაზისაგან. მეორე შიდა წრეხაზის შიგნით ესკულაპის კვერთხია, მასზე დახვეული გველით, წრეხაზებს შუა კი წარწერაა - „კურა მედიანა" ქართული და ლათინური ასოებით.

ასოციაციის დევიზად დამტკიცდა გამოთქმა - „უპირველესად არ ავნო". დაარსდა ასოციაციის ბეჭდვითი ორგანო - გაზეთი „ფარმაკონი", რომლის მთავარ რედაქტორად დაინიშნა პროვიზორი ფირუზ ვაშაყმაძე. გაზეთის პერიოდულობა განისაზღვრა თვეში ერთი ნომრით.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

ასოციაციის პრეზიდენტად ალტერნატიულ საფუძველზე აირჩიეს პროვიზორი ვლადიმერ მახარაძე.

საბჭოს შედგენილობა განისაზღვრა 11 კაცის შემადგენლობით. ფარული კენჭისყრით საბჭოს წევრებად აირჩიეს პროვიზორები: ვ. მახარაძე, რ. დოლბაია, ფ. ვაშაყმაძე, მ. ბერიძე, თ. ავალიანი, რ. დვალიძე, ა. შამილაძე, ნ. ბაკურიძე, ტ. ქარცივაძე, ც. ბაგრატიონი, დ. ტყეშელაშვილი, ასოციაციის საკონტროლო კომისია განისაზღვრა 3 კაცის შემადგენლობით. წევრებად არჩეული იქნენ პროვიზორები: ა. ცინცაძე, მ. ხელაია, ლ. ვარშანიძე.

ასოციაციის საპატიო წევრებად აირჩიეს: ოთარ ბზიკაძე, ავთანდილ მაჭავარიანი, შოთა აფხაზავა, მადლენა სარჯველაძე, სერგო ბირკვაძე, ტატიანა ბაჯელიძე და ეთერ კაიკაციშვილი - სულ 7 წევრი.

საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადოების ყრილობის დელეგატებად აირჩიეს: ვ. მახარაძე, ფ. ვაშაყმაძე, მ. ბერიძე, თ. ავალიანი, დ. ტყეშელაშვილი, ც. ბაგრატიონი, რ. დოლბაია, ო. ბზიკაძე, რ. დვალაძე, ც. ნინუა.

ასოციაციის საბჭომ თავის პირველსავე სხდომაზე - 1996 წლის 23 მაისს - აირჩია ვიცე-პრეზიდენტად თამაზ ავალიანი, შექმნა მუდმივმოქმედი კომისიები და საბჭოს წევრებს შორის გაანაწილა ფუნქციები, კერძოდ: იურიდიული კომისია (თავ-რე ვ. მახარაძე), საორგანიზაციო კომისია (თავ-რე მ. ბერიძე), საგარეო ურთიერთობათა კომისია (თავ-რე ა.შამილაძე), ფარმაცევტული ეთიკისა და დეონტოლოგიის კომისია (თავ-რე ნ.ბაკურიძე), იურიდიულ (კოლექტიურ) წევრებთან ურთიერთობის კომისია (თავ-რე თ. ავალიანი), სარედაქციო კოლეგია (მთავარი რედაქტორი ფ. ვაშაყმაძე).

აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის II კონფერენცია ჩატარდა 1997 წლის 12 ივლისს. ესწრებოდა 25 დელეგატი. დღის წესრიგში იყო საქართველოს კანონის „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ განხილვა და გაზეთ „ფარმაკონის“ გამოცემის განახლების საკითხები.

კონფერენციის სარეზოლუციო ნაწილში აისახა მოთხოვნები და მოწოდებები, კერძოდ, აღინიშნა, რომ უკვე ერთი წელია, რაც სააფ-

თიაქო ობიექტების სალიცენზიო კომისიას მუშაობა არ განუახლებია და დღეს თითქმის ყველა აფთიაქი ლიცენზიის გარეშე მუშაობსო და დააყენა საკითხი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე, რათა მთელი ძალით ამოქმედდეს საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, დაჩქარდეს ფარმაცევტული საქმიანობის მართვის სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურული ჩამოყალიბება და შესაბამისი სალიცენზიო სამსახურების ამოქმედება. მიზანშეწონილად მიიჩნია სალიცენზიო კომისიისა და სხვა სახის სამთავრობო ღონისძიებებში ფართოდ მონაწილეობდეს აჭარის ფარმაცევტთა ასოციაცია, როგორც პროფესიული საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის რიგებშიც გაწევრიანებულია ფარმაციის ინტელექტუალური და გამოცდილი კადრები.

გადაუდებელ ღონისძიებად მიიჩნია ფარმაციის სპეციალისტთა აკრედიტაცია-სერტიფიკაციის პროცესის დაწყება და შესაბამისი საატესტაციო კომისიის შექმნა, რათა მომრავლებულ დიპლომიანთა შორის შეირჩეს ისინი, ვისაც მიეცემა პრაქტიკული საქმიანობის უფლება. მოუწოდა ფარმაციის სფეროში დასაქმებულ პროვიზორებსა და ფარმაცევტებს გულისყურით მოეკიდონ გაზეთ „ფარმაკონის“ ბედს, აჭარაში ფარმაციის ასწლოვანი ისტორიის მანძილზე ერთადერთ პროფესიულ გაზეთს, რომლის ჩაკვლა და არშენარჩუნება იქნებოდა დიდი დანაკლისი დარგისა და მომავლის წინაშე.

კონფერენციამ ასევე მოუწოდა ფარმაციის სპეციალისტებს კიდევ უფრო მჭიდროდ გაერთიანდნენ დარგის ინტერესებიდან გამომდინარე, რათა დაიცვან ფარმაციის სიწმინდე და ავტორიტეტი როგორც შემთხვევითი სპეციალისტებისაგან, ისე სხვა დარგების ფარმაციაში შემოჭრისაგან. ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა მაღალი პროფესიონალიზმი, ფარმაცევტული ეთიკისა და დეონტოლოგიის წესებისა და ნორმების მკაცრად დაცვა, ჰუმანურობა, კომპეტენტურობა, კოლეგიალობა და დარგის ფანატიზმამდე აყვანილი სიყვარული.

აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის III კონფერენცია გაიმართა 1998 წლის 17 ივლისს. მას ესწრებოდა 32 დელეგატი, მოწვეული სტუმრები და პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლები. დღის წესრიგში იყო საკითხები: უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული პერსონალის სერტიფიცირების და ლიცენზირების წარმართვის ღონისძიებების შესახებ და საქართველოს ფარმაცევტის ეთიკური კოდექსის განხილვა-დამტკიცება.

აი რას წერდა ასოციაციის ხემძღვანელი ვ.მახარაძე გაზეთ „ფარმაცევტული მაცნე მედეაში", 1999 წლის № 4-6-ში :

„აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის შექმნიდან დღემდე უკვე 3 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე გაიმართა 2 კონფერენცია: რიგით მე-2 1997 წლის 12 ივლისს და მე-3 1998 წლის 17 ივლისს. გამოიცა ასოციაციის ორგანოს გაზეთი „ფარმაკონის" ორი ნომერი, რომელიც სამწუხაროდ, ამჟამად შეჩერებულია ისევ ჩვენი კოლეგების მიზეზით. კონფერენციებზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები: საქართველოს კანონის „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" შესრულების მიმდინარეობა უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული პერსონალის სერტიფიკაციის, რესერტიფიკაციისა და ლიცენზირების წარმართვის ღონისძიებათა შესახებ; მიღებული იქნა ფარმაცევტთა ასოციაციის წევრის ეთიკური კოდექსი, იმსჯელეს უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლების კადრების მომზადებისა და დასაქმების პრობლემებზე, ასევე სხვა რიგ აქტუალურ საკითხებზე.

დღეისათვის აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაცია აერთიანებს 60 ფარმაცევტსა და 51 ფარმაცევტის თანაშემწეს. წევრთა სია განუხრელად იზრდება, თუმცა მათი საზოგადოებრივი აქტიურობა ჯერ კიდევ დაბალია.

განვლილ პერიოდში ასოციაციის მიერ გაწეული მუშაობის ანალიზმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა აღებული გეზის სისწორეში. კერძოდ, ფარმაცევტთა გაერთიანება შევქმენით არა ვინმეს კარნახით ან ზეწოლით, არამედ ენთუზიასტი ფარმაცევტების თანადგომითა და მხარდაჭერით. ყველა მნიშვნელოვანი საკითხები იხი-

ლებოდა ასოციაციის კონფერენციებზე ან საბჭოს სხდომებზე, რომელიც 11 წევრს აერთიანებს. აქვე აღვნიშნავ, რომ აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტი (თავ-რე ბ-ნი თ. ფალავანდიშვილი) გულისყურითა და თანადგომით ეკიდება ასოციაციის საქმიანობას. ამის მაგალითად ისიც კმარა, რომ მე-3 კონფერენციას დაესწრო დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი. (ზოგიერთები ასოციაციის საბჭოს წევრებიცაა). ბ-ნ მა თ. ფალავანდიშვილმა გააშუქა მრავალი საჭირბოროტო, ერთობლივად გადასაჭრელი პრობლემა, რომელთა ნაწილს ქვემოთ შევეხებით. ასევე დეპარტამენტისა და ასოციაციის მიერ ერთობლივად იქნა შემუშავებული აჭარაში ფარმაციის განვითარების ათწლიანი გეგმის ძირითადი მიმართულებები და. ა. შ. ჩვენც ღრმად გვწამს, რომ ერთიანი ძალისხმევით კიდევ უფრო დიდი საქმეების გაკეთება შეიძლება.

პრობლემები, რომლებიც გვაწუხებს აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის წევრებს, ვფიქრობთ არ არის მარტო რეგიონალური და საჭიროდ მიგვაჩნია გამოვიტანოთ მკითხველთა სამსჯავროზე.

უპირველესად, ფარმაცევტთა ძალისხმევა უნდა წარიმართოს იმ მიმართებით, რომ შეიცვალოს დამოკიდებულება აფთიაქთან და წამალთან, როგორც მხოლოდ მოგებისა და კომერციის წყაროსთან. არავითარი გამართლება არა აქვს მავანთა დასაქმების საბაბით ჯიხურების, უსახური აფთიაქების, სარდაფის ტიპის სააფთიაქო მაღაზიების არსებობას ან ბაზრობებზე წამლით ვაჭრობას. წამლის მიმოქცევის სფეროში რადიკალური ზომები გამართლებულია, როგორი დემოკრატიული კურსიც არ უნდა ჰქონდეს ქვეყანას. უნდა აღვადგინოთ დამოკიდებულება აფთიაქთან, როგორც ტაძართან, სადაც უახლოეს წარსულში ავადმყოფი (ან მისი ახლობელი) მოწიწებით შედიოდა, ქუდს მოიხდიდა და ფარმაცევტს მოკრძალებით მიმართავდა. მაშინ წარმოუდგენელი იყო აფთიაქში სიგარეტის მოწევა, ხმაური, ყავის დალევა დახლთან და სხვა... აფთიაქის სასწორი სიზუსტის სიმბოლო იყო, ხოლო წამლების სუნი, რითაც აფთიაქი იყო გაჟღენთილი, ფარმაცევტს

თითქოს თან დაჰყვებოდა, ეს მომენტი კარგად აქვს გამოხატული შესანიშნავ ქართველ პოეტს პაოლო იაშვილს ლექსში „აფთიაქარი“

„როცა ჩამოდის მამა,
ჩამოაქვს სურნელი ძვირფასი ერთი,
ჩამოაქვს ვაჟკაცს ლამაზს
უბრალო სუნი პიტნის წვეთის“.

...

რა ტკბილი არის
ჩემთვის მაისი
„ქვანტუმ სატისი“
დაისვამს მუხლზე
შვილიშვილს და დაუწყებს ბოხად:
„ეს რად გჭიროდა,
გაცივება ხშირად რად იცი!“
და ბავშვიც ყნოსავს
მის იოდით გაჟღენთილ ჩოხას“.

აჭარაში დღეისათვის 140-ზე მეტი ლიცენზირებული აფთიაქია. უკვე კარგა ხანია ველარ შეხვდებით აფთიაქებს სარდაფში, ჯიხურში ან წამლებს ბაზრობებზე. 1996-1998 წლებში მიღებული იქნა აჭარის მთავრობის რამდენიმე და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება წამლის მიმოქცევის სფეროში წესრიგის დამყარებისა და აფთიაქების ნორმატივებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამ კუთხით დიდი მუშაობა გასწია აჭარის წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ თ.ფალავანდიშვილმა, რომელსაც თავის მხრივ, აჭარის ხელისუფლების მხარდაჭერა მუდამ ჰქონდა. საფუძველთა-საფუძველი კი ის დიდი კულტურული, ეკონომიკური და სოციალური აღორძინებისა და აღმშენებლობის ატმოსფეროა, რომელიც შექმნა ბ-ნმა ასლან აბაშიძემ.

ფარმაცევტთა მე–3 კონფერენციაზე გულისტკივილით იყო საუბარი იმაზე, რომ ბევრი ფარმაცევტი თავის დიპლომს „აქირავებს“. „დამქირავებელი“ მის სახელზე იღებს ლიცენზიას და

აფთიაქს მართავს როგორც უნდა, წამალს კი ხშირად ასეთ აფთიაქებში არასპეციალისტები, ექთნები ან საეჭვო დიპლომის მქონე ფარმაცევტები გასცემენ. ერთ-ერთ ასეთ აფთიაქში ფურადონინის ნაცვლად ფუროსემიდი გასცეს, რადგანაც შემცვლელად მოეჩვენათ სახელის ფუძის მსგავსების გამო. ერთი კვირის შემდეგ ჩამომხმარ ავადმყოფს, რომელიც დღეში 3 აბ ფუროსემიდს იღებდა, შემთხვევით თავისი მკურნალი ექიმი რომ არ შეხვედროდა, შესაძლოა ეს ადამიანი დაღუპულიყო.



ხარკოვის ფარმაცევტულმა უნივერსიტეტმა ძეგლი დაუდგა აფთიაქარს (ფარმაცევტს)

აფთიაქის მმართველი (საკუთრების ფორმის მიუხედავად) უმაღლესი განათლების ფარმაცევტი უნდა იყოს, რომელიც პასუხისმგებელია ფარმაცევტულ საქმიანობაზე და რომელზეც გაიცემა ლიცენზია. ისეთი აფთიაქების გამოვლენა, რომელთაც არ მართავენ ლიცენზიის მფლობელები, ძალზე ადვილია და მხოლოდ ისღაა გაუგებარი, დღემდე რატომ არ გადაიჭრა ეს საკითხი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ იმ აფთიაქებში, სადაც მფლობელები არასპეციალისტები არიან, ხშირად ფარმაცევტ-

თა უხეში ექსპლუატაცია ხდება და ირღვევა შრომის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები. მცირე გასამრჯელოს ფასად ფარმაცევტებსა და მათ თანაშემწეებს 12-10 საათსაც კი ამუშავებენ დღე-ღამეში. ჩვენს შემთხვევაში ასეთი აფთიაქების მფლობელებმა ფარმაცევტები კონფერენციაზეც კი არ გამოუშვეს ერთი საათით. პროფკავშირები დღეისთვის უფლებათა დაცვის სფეროში ფიქტიური ორგანიზაციაა, ამდენად, მსგავსი საკითხების რეგულირება და ფარმაცევტთა სოციალური თუ პროფესიული უფლებების დაცვა ფარმაცევტთა ასოციაციამ უნდა იკისროს და შეძლოს კიდეც.

კანონების დაცვა ფარმაციის მართვის ორგანოებიდან იწყება. ამ მხრივ ჩვენთვის გაუგებარია შემდეგი: წამლის კანონი (მუხლი 30, 3-5) აწესებს, რომ აფთიაქის ლიცენზია გაიცეს 5 წლით და არა 5 წლამდე ვადით. პრაქტიკულად კი ლიცენზია გაიცემა მხოლოდ ერთი წლის ვადით. თუ დაწესებულება ყველა მოქმედ ნორმატივებს აკმაყოფილებს, მაშინ რატომ არ უნდა მიიღოს კანონით მინიჭებული უფლებები. ლიცენზირების ვადების, წესებისა და პირობების ხშირი ცვლა იწვევს ისეთ ქაოსს, რომელიც ბუმერანგივით ისევ მართვის ორგანოებს უბრუნდება. ან კანონი უნდა შეიცვალოს ან უპირობოდ შესრულდეს - ასეთია ჩვენი პოზიცია.

საქართველოს ხელისუფლების მიერ და შესაბამისად აჭარის კანონითაც დაწესებულია დამსახურებული ექიმის წოდება, ხოლო „დამსახურებული ფარმაცევტის წოდება“ კი არა. განა ყველამ არ იცის, რომ ფარმაცევტები ექიმების სიაში არ შევდივართ, რომ ჩვენ გვაერთიანებს სიტყვა „ჯანდაცვა“, გამოდის რომ ფარმაცევტები შეგნებულად დაგვტოვეს მოაჯირის მიღმა.

1998 წლის 26 მარტს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ა. ჯორბენაძემ გამართა შეხვედრა ფარმაციის მესვეურებთან. ამ შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ დავაყენეთ საკითხი იმის შესახებ, რომ ფარმაცევტებიც წარედგინათ პრეზიდენტთან ღირსების ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად. მინისტრმა

პირობა მოგვცა და შეასრულა კიდეც, მაგრამ მცირედი გამონაკლისით - არც ერთი ფარმაცევტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან!

ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ფარმაცევტული განათლების სისტემას. „აფთიაქომანიამ“ ააგორა „დიპლომანიის“ ტალღა და დღეს მარტო აჭარაში 3 უმაღლესი და 5 საშუალო განათლების ფარმაცევტული სასწავლებელია. ვის უნდა ამდენი კადრები ან არის კი ყველგან საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზები თუ მეცნიერ-პედაგოგთა კადრები? რა პროგრამებით ასწავლიან? ქართული სახელმძღვანელოებიც კი თითზე ჩამოსათვლელია. მხსნელად მოგვევლინა საქართველოს კანონი ჯანდაცვის შესახებ, რომელიც აწესებს უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული პერსონალის სერტიფიკაციის, რესერტიფიკაციისა და ლიცენზირების წარმართვის ღონისძიებებს. არაკვალიფიციური სპეციალისტებისათვის გზის გადამკეტი სასერტიფიკაციო გამოცდების მექანიზმი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის გარდა ჯერ არსად არ ამოქმედებულა.

ჩვენს გვერდით ბევრი ღირსეული და მაღალკვალიფიციური კადრები მუშაობენ. ასოციაციამ ყოველმხრივ უნდა იზრუნოს, რათა წავახალისოთ ისინი და მაგალითი მივცეთ მომავალ თაობებს, ამ მხრივ გულსატკენად მიგვაჩნია ის, რომ საბჭოთა ეპოქაში მოქმედი „პროვიზორთა საკვალიფიკაციო კატეგორიების“ მინიჭების მექანიზმები კი მოიშალა, მაგრამ სანაცვლოდ არაფერი შემოღებულა. ფარმაცევტთა მორალური სტიმულირებისა და მათი კვალიფიკაციის ხაზგასმის მიზნით ვთხოვთ წამლის დეპარტამენტს კვლავ შემოიღოს შემდეგი საკვალიფიკაციო კატეგორიები: „უმაღლესი კატეგორიის ფარმაცევტი“, "პირველი კატეგორიის ფარმაცევტი“, „მეორე კატეგორიის ფარმაცევტი“. ფარმაცევტის თანაშემწეებისათვის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო კატეგორიები. ბიზნესის სფეროში დასაქმებული ფარმაცევტული მმართველობის პერსონალისათვის შემოღებული იქნეს შემდეგი საკვალიფიკაციო დონეები: „უმაღლესი რგოლის ფარმაცევტ-მენეჯერი“, „საშუალო რგოლის ფარმაცევტ-მენეჯერი“, „დაბალი რგოლის

ფარმაცევტ-მენეჯერი". შესაბამისად უნდა შემუშავდეს ფარმაცევტ-მენეჯერისათვის საკვალიფიკაციო დონის მინიჭების კრიტერიუმები და განისაზღვროს იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომელთა დაკავებაც მიზანშეწონილი იქნება შესაბამისი დონის ფარმაცევტ-მენეჯერის მიერ.

პრობლემები კიდევ ბევრია. მათი განხილვა შემდეგი საგაზეთო სტატიებისთვის გვინდა გადავდოთ. ამჯერად კი მკითხველმა გვაპატიოს საკმაო პრობლემების ერთად თავმოყრა და გონების აფორიაქება, მაგრამ სხვა გზა ჩვენ ვერ ვნახეთ".

2003 წლის 1 ივლისს ბათუმში ჩატარდა აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის რიგით მე-4 კონფერენცია, რომელმაც საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა. კონფერენციას 1996 წლიდან 2003 წლის 1 ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა ასოციაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ მახარაძემ. გთავაზობთ ამონარიდებს ამ საანგარიშო მოხსენებიდან.



მარცხნიდან: რამაზ სურმანიძე, თამაზ ავალიანი, ვლადიმერ მახარაძე, აკაკი ბერიძე, ნანა გორგასლიძე.
აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის მე-4 კონფერენციის პრეზიდიუმი.
01.07.2003

„...განვლილ პერიოდში ასოციაციის მიერ გაწეული მუშაობის ანალიზმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა აღებული გეზის სისწორეში. კერძოდ, იმაში, რომ ფარმაცევტთა გაერთიანება უნდა შევქმნათ არა ვინმეს კარნახით, ან ზეწოლით, არამედ ენთუზიასტი ფარმაცევტების თანადგომითა და მხარდაჭერით. ასოციაცია თავისი შინაგანი არსით მართვის სახელმწიფო ორგანოების ოპოზიციაა, მაგრამ ოპონირება თითქმის არ დაგვჭირვებია, წამლის დეპარტამენტი ისეთი თანადგომითა და გაგებით მოეკიდა ასოციაციის საქმიანობას. ამის საილუსტრაციოდ გავიხსენებ ჩვენს მე-3 კონფერენციას, რომელსაც დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი დაესწრო თ.ფალავანდიშვილის თავკაცობით. ტრადიცია გრძელდება. დღესაც როგორც ხედავთ, წამლის დეპარტამენტის თითქმის მთელი შემადგენლობა ამ დარბაზშია ახალი თავკაცის - თამაზ ავალიანის ხელმძღვანელობით. ასეთი ერთად დგომის შედეგი იყო 1998 წელს „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფარმაციის განვითარების 10-წლიანი სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულების“ შემუშავება, რომლის შედეგებზე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.



აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის მე-4 კონფერენციის
მონაწილეთა ერთი ჯგუფი.
წინა რიგში მარცხნიდან პროფესორი გიორგი სტურუა. 01.07.2003წ.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის საქმიანობის მთავარ მიმართულებად რჩებოდა გავლენის მოხდენა პროცესებზე, რომლებიც დააჩქარებდა წამლის კანონის მიღებას და ნორმატიული აქტების შემუშავებას, რათა დაჩქარებულიყო ფარმაცევტული საქმიანობის მოწესრიგება და ცივილურ ჩარჩოებში მისი მოქცევა. მართალია, ჩვენი მცდელობა იმის შესახებ, რომ, ასოციაციის წარმომადგენელი შეეყვანათ აჭარის სააფთიაქო დაწესებულებების სალიცენზიო კომისიაში ან საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობაში, უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ გარკვეული ცვლილებების შემუშავება - დანერგვა მაინც შევძელით.

ასოციაციის ხელმძღვანელობა და ცალკეული წარმომადგენლები სისტემატურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, კონგრესებსა თუ ყრილობებში. ასევე ცალკე უნდა გამოვყოთ ჩვენი აქტიური მონაწილეობა კოლეგებისა და სხვა გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო ღონისძიებებში მილოცვებითა თუ სხვა ფორმებით. ყველა ამ ღონისძიების ჩამოთვლა დიდ დროს წაიღებს, ამიტომ ჩვენ მათი ნუსხა მოხსენებას დანართის სახით დავურთეთ და მას სიამოვნებით ვაჩვენებთ ნებისმიერ მსურველსა თუ სკეპტიკოსს.

საანგარიშო პერიოდში თეორიული და პრაქტიკული ფარმაციის აქტუალური საკითხებიდან მაინც გამოვყოფ რამდენიმეს, რომლებიც სტატიების სახით გამოქვეყნდა გაზეთებში: „ფარმაცევტული მაცნე-მედეა", „მედიცინა", „აჭარა", „ცოდნის წყარო", „აჭარა P.S" და სხვა. აი ისინიც: „აფთიაქომანია და კანონი", „აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაცია - ისტორია, პრობლემები, პერსპექტივები", „ქართული კარაბადინი - მნიშვნელოვანი შენაძენი მედიცინის ისტორიაში", „ვინ უნდა ხელმძღვანელობდეს ფარმაცევტულ დაწესებულებას", „აჭარის ფარმაცევტული ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები", „წამლის ბიზნესი და მომხმარებელთა უფლებები" და ა.შ.

ყურადღებით ვადევნებდით თვალყურს ფარმაცევტული განათლების საკითხებს და აქტიურად ვუწყობდით ხელს ახალი ფარმაცევტული დისციპლინების-სოციალური ფარმაცია, ფარმაცევტული მარკეტინგი, მენეჯმენტი ფარმაციაში, ფარმაკოეკონომიკა და სხვა - დანერგვას სასწავლო პროგრამებსა და პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც აუცილებელია ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან ინტეგრირებისა და მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი პროვიზორ-მენეჯერების მოსამზადებლად. უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია დასაქმების პრობლემები. ფარმაციის 40-ზე მეტი სპეციალისტის დასაქმებაში მივიღეთ მონაწილეობა, რითაც გარკვეულად შემსუბუქდა სოციალური დაძაბულობის მუხტი.

ასე რომ, მიღწევები საკმაოდაა, მაგრამ პრობლემა კიდევ უფრო მეტია და დღეს კონფერენციის სამსჯავროზე გვინდა გამოვიტანოთ რიგი საკითხებისა, რომლებიც აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის წევრებს გვაწუხებს, თუმცა ამ პრობლემათა გეოგრაფია მნიშვნელოვნად სცილდება აჭარის ფარგლებს.



აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის საპატიო წევრები.
მარცხნიდან: ნოდარ სუსარეიშვილი, რამაზ სურმანიძე, შოთა აფხაზავა, რეზო დოლბაია.
2003 წელი

სააფთიაქო ფართობების მოყვანა ნორმატივებთან შესაბამისობაში მხოლოდ პირველ ეტაპად უნდა ჩაითვალოს. დადგა დრო,

ვიზრუნოთ აფთიაქების ინტერიერზეც, სააფთიაქო ავეჯის უნიფიცირებასა და სტანდარტიზაციაზეც და ა.შ. დღეისათვის აფთიაქების დიდ ნაწილს ღია გასტრონომიული ტიპის სააფთიაქო თაროები და სავიტრინე დახლები აქვს და მათი თეთრად შეღებვა საქმეს ვერ შველის. მიგვაჩნია, რომ წამლის დეპარტამენტმა უნდა დაამტკიცოს სააფთიაქო ავეჯის ვარიანტები ჯგუფების გათვალისწინებით. ასევე, შესაბამისი მეთოდური რეკომენდაციებიც, რათა ავეჯი უზრუნველყოფდეს ფიზიკურ-ქიმიური და ტოქსიკოლოგიური თვისებების მიხედვით წამლების შენახვასა და განლაგებას.

აქტუალურად მიგვაჩნია ფარმაცევტის სპეცტანსაცმლის (ხალათი, ქუდი) დიზაინის და ფერის შეცვლა-გაუმჯობესება. ამის შესახებ ცხარე კამათი იყო აჭარის ფარმაცევტთა მე-3 კონფერენციაზე, სადაც გამოიკვეთა საერთო აზრი, რომ საჭიროა ექიმებისაგან განსხვავებული ფერისა და დიზაინის ხალათები და ქუდები, რომელშიც უნდა აისახოს აფთიაქისა და ფარმაციის განსხვავებული სპეციფიკა. ასეთი ღონისძიებით ხაზი ესმება ფარმაციას, როგორც დამოუკიდებელ დარგს და ხელი შეეწყობა ფარმაცევტებში ღირსებისა და პროფესიული სიამაყის გრძნობის ამაღლებას. თეთრ ხალათს იცვამს დღეს ყასაბიც, დალაქიც, ვეტერინარიც და ა.შ. და ამიტომაც ალბათ აღარ უნდა ითვლებოდეს ჯანდაცვის მუშაკთა პრეროგატივად. ამ კუთხით მისაბაძნი არიან ქირურგები, რომლებმაც ხალათებისა და ქუდების ფერიცა და დიზაინიც შეცვალეს.

თანამედროვე მსოფლიოში, უპირველესად ცივილიზებულ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ მძლავრო ეკონომიკური და სამედიცინო-კულტურული პოტენციალი, განვითარებული პოლიტიკური სისტემა, ადამიანთა ჯანმრთელობა უმაღლესი სოციალური ფასეულობა და უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მონაპოვარია. ფარმაცევტთა გაერთიანების ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია ისიც, რომ ფარმაცევტული ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმები აიგოს იმდაგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს უმნიშვნელოვანესი სოციალური პრიორიტეტის რეალიზება - მოქალაქეთა ჯანმრთელობის შენარჩუნება და გაუმჯობესება,

მათთვის მაღალკვალიფიციური სამკურნალო, სამედიცინო-სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკური მომსახურების აღმოჩენა.

პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას საფუძვლად უნდა დაედოს კონცეფცია ფარმაცევტული ბაზრის სოციალური ორიენტაციის შესახებ. ამ კონცეფციიდან ჩვენ გამოვყოფთ შემდეგს:

1. ფასები წამალზე. წამლის ღირებულება უნდა ასახავდეს მის მნიშვნელობას საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის. წამალზე ფასწარმოქმნის საკითხებისადმი კომპეტენტურმა მიდგომამ აჩვენა, რომ ამჟამად მოქმედი ფასწარმოქმნის სისტემა ვერ წყვეტს ფარმაცევტული დაწესებულებების რენტაბელობის პრობლემას და ვერც მოსახლეობის სოციალურ დაცვას უზრუნველყოფს. წამალზე ფასების სახელმწიფო რეგულირება შეზღუდავს მონოპოლიურად დაბალი და მაღალი ფასების დაწესებას. ასეთი ღონისძიებით დაცული იქნება არა მარტო მოქალაქეთა სოციალური უფლებები, არამედ საშუალო რგოლის მეწარმეებიც დაცულნი იქნებიან მონოპოლიური ფირმების ზეწოლისგან. ისინი შეძლებენ, მიიღონ მოგების სამართლიანი ნორმა. ასევე, დაცული იქნება ბიუჯეტის ინტერესებიც.

2. სოციალურად დაუცველი და ნაკლებად დაცული ფენების წალით უზრუნველყოფა ფარმაცევტული ბიზნესის მნიშვნელოვანი ამოცანაა. მართალია, „ველურ ბაზარსა" და „პირველყოფილ ბიზნესს" თანდათან ცვლის ცივილიზებული ბაზარი, მაგრამ ინვალიდების, პენსიონერების, მარტოხელების, მრავალშვილიანი დედებისა და სხვა ფენების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მაინც უმძიმესად რჩება.

წამალი განსაკუთრებული პროდუქტია და მის შეძენას ვერ გადადებ, ამიტომ შეღავათებს ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს.

მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების წამლით უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, გადაუდებელ საქმედ მიგვანია მუნიციპალური აფთიაქების დაარსება, სადაც თავს მოიყრის ინვალიდების, პენსიონერების, მრავალშვილიანი ოჯახებისა

და სხვა კატეგორიის მომხმარებლების (პაციენტების) კონტინგენტი, რომელთათვისაც უნდა დაწესდეს უფასო და შეღავათიანი რეცეპტებით წამლების გაცემის პრაქტიკა. დაფინანსების წყაროდ გვესახება ბიუჯეტი, ფედერალური და მუნიციპალური პროგრამები, ჯანდაცვის სახელმწიფო სადაზღვეო კომპანია, შემოწირულობები ფირმებისგან, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისგან, ასევე, კერძო პირებისგანაც.

3. ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული და საეჭვო წარმოშობის წამლების რეალიზაციისაგან მოქალაქეთა დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანაა, რომლის გადაჭრის გაჭიანურებით ხელი შეეწყობა მრავალრიცხოვანი ნეგატიური შედეგის აღმოცენებას. სწორედ ამ მიზნით, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების აქტიური ჩარევით, საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი ულიცენზიო აფთიაქების ფუნქციონირებას.

4. უნდა დაიხვეწოს საგადასახადო პოლიტიკა აფთიაქებთან მიმართებაში. გეგმიურმა მიდგომებმა ჯანდაცვის სფეროში სოციალიზმის ეპოქაში მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მაშინ გრიპისა თუ სხვა ეპიდემიების გაჩენა თითქოს გვიხაროდა კიდეც, გეგმას შევასრულებთ და უფროსების რისხვასაც თავიდან ავიცილებთო. საბაზრო ეკონომიკის პირობებში რაღაც ორგანოებიდან დაშვებული დაუსაბუთებელი გაგმიური ზეწოლები არავითარ დადებით შედეგს არ მოიტანს. ეს კარგად უნდა გაიაზრონ საგადასახადო ორგანოებმა, თუკი მათ რეალურად უნდათ საბიუჯეტო შენატანების გაზრდა. აფთიაქები დღეს, მძაფრი კონკურენციის გამო, უკიდურესად დაბალი დარიცხვებით მუშაობენ, ბევრი მათგანი არარენტაბელურია და ცხადია, გადახდისუუნაროც.

5. ფერმაცევტულ ბიზნესში კვლავ აქტუალურია პიროვნული ფაქტორი. ფარმაციაში ბიზნესის კულტურა იქმნება ამ სფეროში დაკავებული ადამიანების პროფესიონალიზმის, ინტელექტის, ზნეობისა და ეთიკის შერწყმით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში ქვეყანაში მომხდარი კარდინალური ცვლილებები მოითხოვს პრინციპულად სხვა, ვიდრე ადრე, ფარმაცევტული და-

წესებულებების მართვის მეთოდებს, შესაბამისად, მის კვალიფიციურ ხელმძღვანელობასაც. ფარმაცევტული დაწესებულებების თანამედროვე ხელმძღვანელი ის სპეციალისტია, რომელიც ფლობს ღრმა და მრავალმხრივ პროფესიულ ცოდნას, უნარი აქვს მიიღოს მოფიქრებული და გულდასმით აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილებები. ალტერნატივა იმისა, ფარმაციის სფეროში საბაზრო ურთიერთობები გახდება ექსპლუატაციის, ჩრდილოვანი ეკონომიკის აყვავების იარაღი თუ პირიქით, ხელს შეუწყობს, გაივსოს ქვეყნის აფთიაქები ხარისხიანი, ეფექტური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სამკურნალო პრეპარატებით, ბევრადაა დამოკიდებული არა მარტო მენეჯერის უნარზე, არამედ მის შინაგან კულტურაზეც.

სწორედ სპეციალისტის ღირსებასა და დაფასებაზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი ჩვენი ასოციაციის ზოგიერთი ქმედებები. მახსენდება 1998 წლის 26 მარტი, როცა საქართველოს მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრი ბატონი ა. ჯორბენაძე შეხვდა ფარმაციის მესვეურებს. მაშინ ჩვენ დავაყენეთ საკითხი, პრეზიდენტთან ღირსების ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად ფარმაცევტებიც წარედგინათ. ბატონმა მინისტრმა პირობა მოგვცა და შეასრულა კიდეც, მაგრამ ასეთი ფორმით: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არცერთი ფარმაცევტი არ დაჯილდოებულა.

ასოციაციამ კვლავაც აქტიურად უნდა იღვაწოს იმისათვის, რათა ჩვენს გვერდით მოღვაწე ღირსეული და მაღალკვალიფიციური კადრები წავახალისოთ. ორდენ-მედლების გარდა არის დაჯილდოების სხვა ფორმებიც, რომლებსაც ვერ ვიყენებთ. მაგალითად ჩვენს ქვეყანაში არის დამსახურებული ექიმის წოდება, მაგრამ არ არის დამსახურებული ფარმაცევტის წოდება. მთელმა მსოფლიომ რახანია გაითვიცნობიერა: ფარმაცია არაა მედიცინის მცნებაში შემავალი დარგი, არამედ მისი თანასწორუფლებიანი პარტნიორია, რომელიც მას აბალანსებს და ყველგან ღირსეულ თანამშრომლობას უწევს. ამის გაუთვალისწინებლობა დარგის შეგნებულ დაკნინებას ნიშნავს. გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ

ის, რომ საბჭოთა ეპოქაში მოქმედი პროვიზორთა საკვალიფიკაციო კატეგორიების მინიჭების მექანიზმები კი მოიშალა, მაგრამ სანაცვლოდ აღარაფერი შემოღებულა. ჯანდაცვის სამინისტროს ვთხოვთ კვლავ აღადგინოს უმაღლესი და პირველი კატეგორიის ფარმაცევტის საკვალიფიკაციო წოდებები ფარმაციის ყველა სპეციალობაში, ხოლო ბიზნესის სფეროში დასაქმებული ფარმაცევტული მმართველობითი პერსონალისთვის შემოიღოს უმაღლესი და საშუალო რგოლის ფარმაცევტ-მენეჯერების საკვალიფიკაციო დონეები. შესაბამისად, უნდა შემუშავდეს ფარმაცევტ-მენეჯერისთვის საკვალიფიკაციო დონის მინიჭების კრიტერიუმები და განისაზღვროს თანამდებობათა ჩამონათვალი, რომელთა დაკავებაც შესაბამისი დონის ფარმაცევტ-მენეჯერისთვის მიზანშეწონილი იქნება.

ფარმაცევტთა ასოციაციამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ფარმაცევტული განათლების საკითხებსაც. „აფთიაქომანიამ" ააგორა „დიპლომანიის" ტალღაც და დღეს მარტო აჭარაში 4 უმაღლესი და 5 საშუალო ფარმაცევტული განათლების სასწავლებელია. არის თუ არა კადრების ასეთი სიჭარბე დასაქმების თვალსაზრისით, მათ შორის უდიდესი კონკურენციის გამო, ხარისხის სტიმულატორი? რა სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზები გვაქვს საამისოდ რეგიონში? რა სამეცნიერო პედაგოგიური კადრები გვაყავს? რა პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით წარმოებს სწავლება? მართალია, ამ სასწავლებლებშიც არის ბედნიერი გამონაკლისები, მაგრამ საერთო სურათი მაინც ძალიან ცუდია.

ნება მომეცით, ჩემი საკმაოდ ვრცელი ანგარიში და ნაფიქრ-ნაზრევი დავასრულო ერთი ინიციატივით: 2001 წლის 23 დეკემბერს მედიცინის მუშაკის დღეზე მიგვიწვიეს, მაგრამ წახალისებასა თუ სხვა საკითხებში არ ვფიგურირებდით. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ 23 დეკემბერს იყო მხოლოდ ექიმების დღე და ფარმაცევტები მაყურებლების როლში ვიყავით. 2002 წლის სექტემბერში უკრაინაში დაწესდა და ძალიან მაღალ დონეზე აღინიშნა ფარმაცევტის დღე. ამის შესახებ წერდა ჟურნალი „პროვიზორიც".

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კონფერენციას ვთავაზობთ, დაწესდეს საქართველოს ფარმაცევტის დღე - და ის აღინიშნოს ყოველწლიურად 2 ოქტომბერს - საქართველოში მეცნიერული ფარმაციის, უმაღლესი ფარმაცევტული განათლებისა და ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის ფუძემდებლის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის - იოველ ქუთათელაძის დაბადების დღეს."

კონფერენციის დასრულებისთანავე გაიმართა გამგეობის სხდომა, რომელმაც დაამტკიცა აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის წესდება (მისი შესწორებული და განახლებული ვერსია), რომელიც კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი. გამგეობის შემადგენლობა განისაზღვრა 7 წევრის შემადგენლობით. წევრებად არჩეული იქნენ: ვლადიმერ მახარაძე, ამირან შამილაძე, ფირუზ ვაშაყმაძე, თამაზ ავალიანი, დარეჯან ტყეშელაშვილი, ტარიელ ქარცივაძე და რამაზ მსახურაძე. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ვლადიმერ მახარაძე, თავმჯდომარის მოადგილედ კი-ამირან შამილაძე.

2003 წლის 30 სექტემბერს ჩატარდა გამგეობის მორიგი სხდომა, რომლის გადაწყვეტილებითაც გამგეობასთან შეიქმნა შემდეგი მუდმივმოქმედი კომისიები და კოლეგიები: 1. საორგანიზაციო კომისია (ტ. ქარცივაძე), 2. იურიდიული კომისია (ა.შამილაძე), 3. საგარეო ურთიერთობათა კომისია (ვ. მახარაძე), 4. ფარმაცევტული ეთიკის კომისია (თ.ავალიანი), 5. იურიდიულ წევრებთან ურთიერთობის კომისია (რ. მსახურაძე), 6. ფიზიკურ წევრებთან ურთიერთობის კომისია (დ. ტყეშელაშვილი), 7. სარედაქციო კოლეგია (ფ.ვაშაყმაძე).

„ფარმაცევტის დღისადმი" მიძღვნილი ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით გადაწყდა ჩატარდეს კონკურსი წლის საუკეთესოს გამოსავლენად შემდეგ ნომინაციებში: 1. წლის საუკეთესო აფთიაქების შვიდეული; 2. წლის საუკეთესო ფარმაცევტ-მარკეტოლოგი; 3. წლის საუკეთესო ფარმაცევტ-მენეჯერი (ორგანიზატორი); 4. წლის საუკეთესო ფარმაცევტ-

ტექნოლოგი; 5. წლის საუკეთესო ფარმაცევტ-ანალიტიკოსი; 6. წლის საუკეთესო ზოგადი პროფილის ფარმაცევტი.

„ფარმაცევტის დღისადმი" მიძღვნილი საზეიმო საღამო გაიმართა 2003 წლის 2 ოქტომბერს ბათუმის ჭადრაკის სასახლეში. საქართველოში პირველად აღინიშნა ასეთი დღესასწაული. მისი ინიციატორია აჭარის ფარმაცევტთა კავშირი (ვ. მახარაძე). 2 ოქტომბერი არის საქართველოში მეცნიერული ფარმაციის, უმაღლესი ფარმაცევტული განათლებისა და ფარმაცევტული მრეწველობის ფუძემდებლის აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის დაბადების დღე. სიმბოლურად სწორედ ამ დღეს დაუკავშირდა ფარმაცევტთა ზეიმი, რომელიც ყოველწლიურად ჩატარდება.



დგანან მარცხნიდან: ნოდარ სუსარეიშვილი, უცნობი, თამაზ ავალიანი, ვლადიმერ მახარაძე, რამაზ სურმანიძე, შოთა აფხაზავა, რუსუდან დვალაძე, რეზო დოლბაია, ამირან როსტიაშვილი, ამირან ციწცაძე.
ჩაჩუხლულნი არიან მარცხნიდან: მიხეილ ბერიძე, ვალიკო ცეცხლაძე, რამაზ მსახურაძე, ფირუზ ვაშაყმაძე. 2003 წლის 2 ოქტომბერი - ფარმაცევტის დღე

ფარმაცევტული საზოგადოების ამ პირველ შეხვედრას საზეიმო ელფერი ჰქონდა. ეს იყო ერთგვარი შედეგების შეჯამებაც. ისაუბრეს როგორც მიღწევებზე, ისე ფარმაცევტთა პრობლემებზე.

აჭარის ფარმაცევტთა კავშირის გამგეობამ და წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტმა ერთობლივად გამოავლინეს წლის საუკეთესო აფთიაქების შვიდეული, რომელთა ხელმძღვანელებს საპატიო სიგელები გადაეცათ. ესენია შპს „ჰეკატე“, „ფარმაკი“, „გვირილა-2“, „სალვე“, „კარაბადინი“, ბაგრატიონი“, შპს „შანიძე და კომპანია“.

დიპლომები გადაეცათ ასევე წლის საუკეთესო სპეციალისტებს. ფარმაცევტ-მარკეტოლოგს ფირუზ ვაშაყმაძეს („ჰეკატე“), ფარმაცევტ-მენეჯერს რამაზ მსახურაძეს („გვირილა“), ფარმაცევტ-ტექნოლოგს ნინო ჯაყელს („ფარმაკი“), ფარმაცევტ-ანალიტიკოსს ნათელა ბარამიძეს („ვიტაფარმი“), ზოგადი პროფილის ფარმაცევტს მანანა ილურიძეს („ფარმაკი“).

განახლდა გაზეთ „ფარმაკონის“ გამოცემა, რომლსაც რედაქტორობდა ფირუზ ვაშაყმაძე.

კოლეგებს პროფესიული დღესასწაული მიულოცეს აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის თავმჯდომარემ ვლადიმერ მახარაძემ, აჭარის წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ თამაზ ავალიანმა, პროფესორმა რამას სურმანიძემ, ფარმაცევტებმა დარეჯან ტყეშელაშვილმა, ნათელა ბარამიძემ, ირინა ჩემიამ, რუსიკო დვალაძემ, უხუცესმა პროვიზორმა შოთა აფხაზავამ და სხვებმა.

2004 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის V კონფერენცია. ესწრებოდა კავშირის 55 წევრი და მოწვეული სტუმრები აჭარის ჯანდაცვის სამინისტროდან, უმაღლესი ფარმაცევტული სასწავლებლებიდან, ასევე მედიის წარმომადგენლები. მოისმინეს გამგეობისა და საკონტროლო კომისიის ანგარიში კონფერენციებს შორის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. წარმოდგენილი ანგარიშის, მიმდინარე დისკუსიისა და დარგში სისტემური პრობლემების გათვალისწინებით კონფერენციამ მიიღო სათანადო რეზოლუცია.

„წლის საუკეთესო ფარმაცევტის“ საპატიო წოდებები მიენიჭათ და დიპლომებით დაჯილდოვდნენ ფარმაცევტები: მაგული

ცივაძე, ამირან როსტიაშვილი, ამირან ცინცაძე, ციური ბაგრატიონი, დარიკო პაპიძე, ფირუზ ვაშაყმაძე, ირინა ჩემია, ციცო ნინუა, ლია სტურუა, ირინა ჭანტურია. წლის საუკეთესო ფარმაცევტ-მარკეტოლოგის წოდება მიენიჭა ამირან შამილაძეს, წლის საუკეთესო ფარმაცევტ-ანალიტიკოსისა - სვეტლანა აფხაზავას, წლის საუკეთესო ფარმაცევტ-მენეჯერისა-ვლადიმერ მახარაძეს. დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ ვეტერანი ფარმაცევტები: შოთა აფხაზავა, ნოდარ სუსარეიშვილი, რეზო დოლბაია. „წლის საუკეთესო აფთიაქის" წოდებები მიენიჭათ და საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ აფთიაქები: „კარაბადინი", „ჰეკატე PS", „გვირილა-2", „სალვე" და „ბ. ქათამაძე და კომპანია".



მარცხნიდან: თემურ ცეცხლაძე, ვლადიმერ მახარაძე, ამირან შამილაძე აჭარის ფარმაცევთა ასოციაციის პრეზიდიუმი. 8.10.2004წ.

კონფერენციის შემდეგ, ჭადრაკის სასახლეში გაიმართა ფარმაცევტის დღისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო საღამო.

2005 წლის 25 ივნისს გაიმართა აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის VI კონფერენცია. ესწრებოდა კავშირის 28 წევრი-დელეგატი და მოწვეული სტუმრები აჭარის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის ბიუროდან, ასევე მედიის წარმომადგენლები. მოისმინეს გამგეობისა

და საკონტროლო კომისიის ანგარიში კონფერენციებს შორის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის II ყრილობის დელეგატებად აირჩიეს: ვლადიმერ მახარაძე, ფირუზ ვაშაყმაძე, თამაზ ავალიანი, ამირან შამილაძე, დარეჯან ტყეშელაშვილი, რამაზ მსახურაძე, ამირან ცინცაძე, მაია მახარაძე, ციური ბაგრატიონი, ნათია ბოლქვაძე, მიხეილ ბერიძე, ლელა გუნცაძე, მანანა ხაბაძე და მაგული ცივაძე.

კონფერენციამ მოიწონა ფარმაცევტის ფიცის ტექსტი, შედგენილი და წარმოდგენილი პროფესორ ვლადიმერ მახარაძის მიერ და გადაწყდა, რომ იგი განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილიყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის II ყრილობაზე.

კავშირის საპატიო წევრებად არჩეული იქნენ ხანდაზმული და ნაღვაწი ფარმაცევტები ზაქრო ბოლქვაძე და ნოდარ სუსარეიშვილი.

2005 წლის 24 სექტემბერს გაიმართა კავშირის გამგეობის სხდომა. მიიღეს კავშირში ახალი წევრები. აღინიშნა, რომ კავშირი უკვე აერთიანებს 97 ფიზიკურ პირს, 24 იურიდიულ პირსა და 13 საპატიო წევრს.

გამგეობამ ასევე განიხილა საკითხი ფარმაცევტის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ჩატარებისა და წლის საუკეთესო აფთიაქებისა და წარჩინებული ფარმაცევტების საპატიო სიგელებითა და დიპლომებით დაჯილდოების შესახებ.

„წლის საუკეთესო ფარმაცევტის" საპატიო წოდებები მიენიჭათ და სათანადო დიპლომებით დაჯილდოვდნენ ფარმაცევტები: ნინო ბურჯალიანი, მანანა ხაბაძე, მაია ანთაძე, ეთერი ცხვარაძე, მაგული ხელაია, ნანა ხალვაში, რუსუდან დვალაძე. წლის საუკეთესო ფარმაცევტ-მარკეტოლოგის წოდება მიენიჭა ციცო ნინუას, ხოლო წლის საუკეთესო ფარმაცევტ-მენეჯერის-დოდო იაკობაძეს.

როგორც „წლის საუკეთესო" საპატიო სიგელით დაჯილდოვდა შემდეგი აფთიაქები: „ამოფარმი", „უკვდავაფარმი", „აჭარა-97", „გარანტი-2000", „ჯემი", „პე-ეს-პეს" ბათუმის N1 აფთიაქი. დარგში

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ მერი ნადირაძე, ზაქრო ბოლქვაძე და გოგი დობორჯგინიძე.

2005 წლის 2 ოქტომბერს რესტორან „ედემში" გაიმართა ფარმაცევტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. გამგეობის გადაწყვეტილებით დაჯილდოებულ პირებსა და აფთიაქებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ დიპლომები.

2005 წლის 2 ივლისს ჩატარდა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის მე-2 ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა 260 დელეგატი. ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ნანა გორგასლიძემ. მის მუშაობას უძღვებოდა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალიოშა ბაკურიძე.

ყრილობამ ასოციაციის ახალ პრეზიდენტად აირჩია აკადემიკოსი ალიოშა ბაკურიძე. საპატიო პრეზიდენტებად - აკადემიკოსები: ბიძინა ჭუმბურიძე, ეთერ ქემერტელიძე და ლინა ერისთავი.

აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებულმა კავშირმა ყრილობას შესთავაზა ფარმაცევტის ეთიკური კოდექსის ახალი, დახვეწილი ვარიანტი, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ფარმაცევტთა მსოფლიო ფედერაციის აღიარებულ პრინციპებს, ასევე ფარმაცევტის ფიცის ტექსტის პროექტი. ყრილობამ მოიწონა და შემდგომი რეაგირება პრეზიდიუმს დაავალა.

მაშინდელი სულისკვეთების ყოველმხრივ წარმოჩენის მიზნით აქვე გთავაზობთ აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის თავმჯდომარის ვლადიმერ მახარაძის მიერ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის სრულ ტექსტს.

„პატივცემულო კოლეგებო, ქალბატონებო და ბატონებო!

მოგესალმებით რეგიონის ფარმაცევტთა მრავალრიცხოვანი კოლექტივების სახელით და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

აჭარის რეგიონში ფარმაცევტთა კავშირი შეიქმნა 1996 წელს და დღემდე უწყვეტად ფუნქციონირებს. იგი აერთიანებს 13 საპატიო წევრს, 90 ფიზიკურ და 15 იურიდიულ პირს. გამოსცემს გაზეთს „ფარმაკონის" სახელწოდებით, რომელიც უკვე 23 ნომერს ითვლის.

განვლილ წლებში ფარმაცევტთა კავშირი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პროფესიულ ღონისძიებებში, კონფერენციების, სიმპოზიუმებისა თუ ყრილობების მუშაობაში. კავშირის საქმიანობის გამოკვეთილი პრიორიტეტი იყო ზეგავლენის მოხდენა პროცესებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ფარმაცევტული კანონმდებლობის დახვეწას, ფარმსაქმიანობის ცივილურ ჩარჩოებში მოქცევას და ასევე ფარმაცევტის, როგორც სპეციალისტის, როლისა და ავტორიტეტის გაზრდას საზოგადოებაში.

რეგიონალური კავშირის მიერ ჩატარებულ უამრავ ღონისძიებათაგან გამოვყოფდი რამდენიმეს. ჯერ კიდევ 1998 წელს კავშირმა შეიუშავა და სამოქმედოდ დაამტკიცა ფარმაცევტის ეთიკური კოდექსი, რომელშიც ასახვა ჰპოვა ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს მიერ მიღებულმა ფარმაცევტის ეთიკური კოდექსის ძირითადმა პრინციპებმა. გათვალისწინებული იქნა მონათესავე დარგების ანალოგიური კოდექსების შედგენის გამოცდილებაც.

შემდეგ, შემუშავებული იქნა ფარმაცევტის ფიცის პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ფარმაკონში" (#10-11, 2004წ) და ჟურნალ „ფარმაცევტულ მაცნე - მედეაში" (#3, 2005წ). ფარმაცევტის ფიცის ტექსტში, თავის მხრივ, ასახვა ჰპოვა ფარმაცევტის ეთიკური კოდექსის ძირითადმა პრინციპებმა. პროექტის გამოქვეყნების შემდეგ შემოსული როგორც წერილობითი, ისე ზეპირი საქმიანი წინადადებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით დახვეწილი ფარმაცევტის ფიცისა და ფარმაცევტის ეთიკური კოდექსის პროექტები გამოქვეყნებულია ჟურნალ „ფარმაცევტულ მაცნე-მედეაში", რომელიც თქვენ ხელთა გაქვთ და ყრილობას ვთავაზობთ განხილვასა და მიღებას.

ბატონებო!

ჩვენი კავშირი აცნობიერებს დარგში არსებულ პრობლემებს და პერმანენტულად იბრძვის მათი გადაჭრისთვის.

ამჟამად თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო რამდენიმე მათგანზე, რომლებიც ჩვენის აზრით, უახლოესი მომავლის მთავარ

პრიორიტეტად უნდა იქცეს. უპირველესად ეს ეხება ფასების რეგულირებას. დღეისათვის საბითუმო ბაზების პრაისებში გამოცხადებული ფასებით იყიდება წამლები საცალო ქსელში. აფთიაქს რჩება ბაზის მიერ ამ ფასებიდან გაკეთებული დათმობა 10-12%-ის ფარგლებში. იმპორტიორები არიცხავენ 80-100%-ს, რომელთაგან 70-80% ბაზაში იტოვებენ. აფთიაქებს კი აიძულებენ მინიმალური ფასნამატით იარსებონ. შედეგად მრავალი აფთიაქი, რომლებიც მსხვილ ფარმაცევტულ კომპანიებს არ ეკუთვნის, გაკოტრდა ან ლიკვიდაციის პირასაა. ყოველივე ეს კი იწვევს უმსხვილესი იმპორტიორების მიერ ბაზრის მონოპოლიზაციას და მცირე ბიზნესის გაკოტრებას არათანაბარი და ხელოვნური კონკურენტული გარემოს შექმნის გზით. **გთავაზობთ მოვითხოვოთ ფასების სახელმწიფო რეგულირება,** სადაც საბაჟო ღირებულებიდან ფასნამატი იქნება ბაზებისათვის 15-25%-ის ფარგლებში, ხოლო აფთიაქისთვის 25-35%-ის ფარგლებში, ანუ პაციენტის მიერ გადახდილი ფასი იქნება - საბაჟოს ფასს+50%-მდე.

ფასების რეგულირების შემოთავაზებული სქემა პირველ რიგში უნდა განხორციელდეს სასიცოცხლოდ აუცილებელი და ძირითადი (ესენციალური) სამკურნალო საშუალებებისთვის, რომელთა ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 3 მაისის #146/ო ბრძანებით. იგი აერთიანებს 314 საერთაშორისო არაპატენტირებული სახელწოდების სამკურნალო საშუალებას.

აფთიაქი მიეკუთვნება ჯანდაცვის ობიექტებს. იგი უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ ნორმატივებს და აკმაყოფილებდეს ეთიკურ პრინციპებს. ამ ფონზე არსებული აფთიაქების უმრავლესობის გარე გაფორმება არ არის საკმარისი ვიზუალური აღქმისათვის და აფთიაქის მოძებნა სირთულეს წარმოადგენს როგორც უცხოელი სტუმრისთვის, ასევე ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის. ჩვენის რწმენით, საქართველოში არსებულ ყველა აფთიაქს უნდა ჰქონდეს საერთო უნიფიცირებული ლოგო და ეწეროს „აფთიაქი" ქართულ და ლათინურ ენებზე. უნიფიცირებული ლოგოს დიზაინი და საბოლოო ვარიანტი შესათანხმებელი და

დასამტკიცებელი იქნება, მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დასაწყებია, დაგვიანებულიც კია.

ასეთი ღონისძიება ხელს შეუშლის მომხმარებლის აფთიაქებში მიზნობრივ გაგზავნას და ექიმსა და აფთიაქს შორის დამატებით არაკანონიერ გარიგებებს. ასევე აღიკვეთება მომხმარებლის მანიპულირება და მათ მიეცემათ თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება.

უნდა შეტანილ იქნეს წამლის კანონში დამატება, რომლის ძალითაც ლიცენზიები ახალ აფთიაქებზე უნდა გაიცეს იმ შემთხვევაში, თუკი იგი გაიხსნება მოსახლეობის რაოდენობისა და ტერიტორიული დაშორების ნორმატივების გათვალისწინებით.

უნდა ვიზრუნოთ და მივაღწიოთ იმას, რომ ფარმაცევტებს მთელს ქვეყანაში ჰქონდეთ ერთიანი, უნიფიცირებული, საუკეთესო დიზაინის სპეცტანსაცმელი (ხალათები, ქუდები, ასევე მომხმარებელთან ურთიერთობაში მყოფ ფარმაცევტებს უნდა ეკეთოთ სამკერდეები სახელის, გვარის, თანამდებობის და სპეციალობის ჩვენებით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სააფთიაქო ავეჯის გარკვეული სანიმუშო სტანდარტების შექმნა, რათა ავეჯი აკმაყოფილებდეს წამლის შენახვისა და განლაგების სპეციფიკურ მოთხოვნებს. წარსულს უნდა ჩაბარდეს ღია გარანდული ფიცრის თაროები და უსახური დახლები.

მიუხედავად ჩვენი კავშირის მრავალგზის სერიოზული მცდელობისა, მაინც პრობლემად რჩება რეცეპტის (ფორმა#3) გამოწერის პრაქტიკის აღდგენა. რეცეპტურული წამლების ქვეყნის მასშტაბით მასიურად ურეცეპტოდ მოხმარებამ დააკნინა კვალიფიციური, ლათინური ენის მცოდნე ფარმაცევტების როლი და მნიშვნელობა და მეორეს მხრივ, ხელი შეუწყო თვითმკურნალობის არნახული მასშტაბით გავრცელებასა და არარაციონალურ ფარმაკოთერაპიას.

სერიოზულ პრობლემად გვესახება ასევე სოფლების წამლით უზრუნველყოფა. მაგალითად, აჭარის მთიანი სოფლები ერთმანეთისაგან საშუალოდ 15-20კმ-ითაა დაშორებული. ასევე დაშორე-

ბული არიან რაიონის ცენტრებს, სადაც არის საკმარისი აფთიაქები, მაგრამ სოფლიდან წამალზე ჩასვლა გლეხებს უფრო ძვირი უჯდებათ, ვიდრე წამალი.

ჩვენის აზრით, გამოსავალი ისაა, რომ ამბულატორიებს, საფერშლო და საფერშლო-საბებიო პუნქტებს ნება დაერთოთ გახსნან პატარა სააფთიაქო პუნქტები, სადაც გაიყიდება ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალებები, თვითონ პუნქტების საქმიანობას, ცხადია, უხელმძღვანელებს ხელშეკრულების საფუძველზე ახლომდებარე ან თუნდაც ნებისმიერი მსურველი აფთიაქი.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ფარმაცევტების დევიზს „წამალი ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო" უნდა დაემატოს სიტყვა „ხელმისაწვდომი", რომელიც გულისხმობს ფარმაცევტის სოციალურ პასუხისმგებლობას და ასახავს დარგის სოციალურ ორიენტაციას.

პატივცემულო კოლეგებო!

ჩემი გამოსვლა მინდა დავასრულო ინიციატივით. 2002 წელს უკრაინაში დაწესდა პროფესიული დღესასწაული - ფარმაცევტის დღე. ამ ფაქტმა და თვითონ ღონისძიების მასშტაბმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ვიფიქრეთ, ჩვენც ანალოგიური დღესასწაული დაგვეწესებინა და 2003 წლის ივილისში აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის IV კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ყოველწლიურად მოგვეხდინა პროფესიული დღის აღნიშვნა. რეგიონის მასშტაბით წელს მესამედ ჩატარდება ეს ღონისძიება, მაგრამ სანამ მსგავსი ზეიმი არ იქნება ქვეყნის მასშტაბით, მანამ იგი შეიძლება პროვინციალიზმად იქნეს აღქმული.

ღრმად გვწამს, რომ ფარმაცევტის დღის დაწესება არის მედიცინის მუშაკის დღისაგან არა სეპარატისტული განცალკევება, არამედ დასტური იმისა, რომ ფარმაცევტული დარგი გაიზარდა, კიდევ უფრო განვითარდა და ეძებს თავის თავში ძალებს, რათა ღირსეული პარტნიორობა გაუწიოს მედიცინას.

ფარმაცევტის დღის დაწესება დარგის მიერ ქვეყნის ჯანდაცვის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილის აღიარებაც იქნება და გამოხატულებაც იმ სურვილისა, რომ ექიმების გვერდით

ჩვენი დარგის მრავალათასიან წარმომადგენლებსაც ჰქონდეთ საკუთარი პროფესიული დღესასწაული.

გთავაზობთ დაწესდეს საქართველოს ფარმაცევტის დღე და იგი ყოველწლიურად აღინიშნოს საქართველოში მეცნიერული ფარმაციის, ფარმაცევტული უმაღლესი განათლებისა და ფარმაცევტული მრეწველობის ფუძემდებლის აკადემიკოს იოველ ჭუთათელაძის დაბადების დღეს - 2 ოქტომბერს.

გმადლობთ ყურადღებისათვის!“

ფარმაციის განვითარების ახალი კონცეფცია ძალას იკრებს

2006 წლის 8 მაისს ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდიუმის გამსვლელი გაფართოებული სხდომა. შეხვედრას მასპინძლობდა აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის გამგეობა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი რომან მახარაძე. ვიცე-პრეზიდენტი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ალიოშა ბაკურიძე, დოცენტი ჯემალ ფუტკარაძე. ჟურნალ ფარმაცევტული მაცნე-მედეას მთავარი რედაქტორი, პრეზიდიუმის წევრი ვახტანგ ქავთარაძე, სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ და ესწრებოდნენ სამეგრელოს, იმერეთის, შიდა, ქვემო ქართლისა და თბილისის რეგიონალური კავშირების ხელმძღვანელები: თორნიკე სორდია, მარინა ბარქაია, ცისანა გოგოლაძე, რუსუდან ბაბალეიშვილი, თამრიკო სეფერთელაძე, ჟურნალ „ფარმაცევტული მაცნე-მედეას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ნინო ხარაზიშვილი. სხდომას ასევე ესწრებოდა აჭარის ფარმაცევტთა კავშირის 25 წევრი, მასმედიის წარმომადგენლები.



პროფესორი ალიოშა ბაკურიძე, საქართველოში ფარმაციის განვითარების კონცეფციის წარდგენისას, ბათუმი 2006 წ.

სხდომის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: პროფ. ა. ბაკურიძის მოხსენება - საქართველოში ფარმაცევტული დარგის განვითარების პერსპექტივები და 2. აჭარის ფარმაცევტთა კავშირის თავმჯდომარის ვ. მახარაძის მოხსენება საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის რეგიონალური კავშირების მუშაობის ძირითადი ასპექტები აჭარის მაგალითზე".

პროფესორმა ა. ბაკურიძემ წარმოადგინა ფრიად საინტერესო კონცეფცია საქართველოში ფარმაცევტული დარგის განვითარების შესახებ. ეს იყო ინფორმაციულად უაღრესად დატვირთული და კონცეპტუალურად გამართული აკადემიური თხრობა ქართული ფარმაციის აწმყოსა და მომავალზე, იმაზე, რამაც ფარმაციას ჩვენში გაცილებით მეტი მასშტაბურობა, შემოქმედებითი გაქანება და ინტელექტუალურ-კონცეპტუალური ბაზა უნდა შესძინოს.



მარცხნიდან: რომან მახარაძე, ვლადიმერ მახარაძე,
ვახტანგ ქუთარაძე

კონცეფციის თანახმად ფარმაცევტული დარგის განვითარების მთავარი პრიორიტეტებია: ფარმაცევტული მეცნიერება; უმაღლესი ფარმაცევტული განათლება; ფარმაცევტული წარმოება; წამლის ხარისხის კონტროლის სისტემა; საბითუმო და საცალო დისტრიბუცია. ფარმაცევტული საქმიანობა უნდა იყოს სოციალურად ორიენტირებული, ხოლო ფარმაცევტი-ცენტრალური რგოლი საზოგადოებას, ექიმს, ავადმყოფსა და წამალს შორის. 2007 წლიდან შემოდის სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემა ფარმაციაში: ბაკალავრიატი-4 წლიანი სწავლების კურსით, მაგისტრატურა-2 წლიანი და დოქტორანტურა - 4 წლიანი.

პროფესორმა ა. ბაკურიძემ ღრმად და ამომწურავად უპასუხა დამსწრეთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

პრეზიდიუმის სხდომის დღის წესრიგის მეორე ნაწილი დაეთმო ანგარიშს აწ უკვე 10-წლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე აჭარის ფარმაცევტთა რეგიონული ორგანიზაციისა, რომელიც კოლეგებს წარუდგინა თავად ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვლადიმერ მახარაძემ. მან თავის გამოსვლაში მოკლედ მიმოიხილა კავშირის საქმიანობა. აღნიშნა, რომ ასოციაციის რე-

გისტრაციიდან დღემდე გასულ პერიოდში გაიმართა 6 კონფერენცია, გამოიცა გაზ. „ფარმაკონის“ 32 ნომერი, დაწესდა ფარმაცევტის დღე, ჩატარდა რამდენიმე კონკურსი დარგში საუკეთესო სპეციალისტების გამოსავლენად. სულ საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდა 35 ფარმაცევტი, საპატიო სიგელით 18 ფარმაცევტი და როგორც წლის საუკეთესო დაჯილდოვდა 16 აფთიაქი. ფარმაცევტებისათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა და ცხოველმყოფელი ინტერესი გამოიწვია აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის მიერ დაწესებულმა ისეთმა ნომინაციებმა, როგორიცაა: წლის საუკეთესო აფთიაქი, ფარმაცევტ-მარკეტოლოგი, ფარმაცევტ-მენეჯერი, ფარმაცევტ-ტექნოლოგი, ფარმაცევტ-ანალიტიკოსი, ზოგადი პროფილის ფარმაცევტი, რომლებიც საგანგებო კონკურსებმა გამოავლინა, ასევე წამახალისებელი ჯილდოები „დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის“, დაფასება უხუცესი და ახალგაზრდა ფარმაცევტებისა, დაფასება კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის სფეროებში მიღწეული წარმატებებისათვის და ა.შ.

დღეისათვის აჭარის ფარმაცევტთა კავშირი აერთიანებს 105 ფიზიკურ, 25 იურიდიულ პირს და 12 საპატიო წევრს. მომხსენებელმა ისაუბრა მთელ რიგ პრობლემებზე, რომელიც დგას არამარტო აჭარის ფარმაცევტთა კავშირის, არამედ საქართველოს სხვა რეგიონების კავშირების წინაშეც.

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტმა პროფესორმა რომან მახარაძემ მაღალი შეფასება მისცა აჭარის ფარმაცევტთა კავშირის საქმიანობას. აღნიშნა, რომ ფარმაცევტული თვალთახედვით საქართველოში ერთადერთი რეგიონალური კავშირია, სადაც მოწესრიგებულია, როგორც საზოგადოებრივი, ისე პროფესიული საქმიანობა. რაც მისაბაძი მაგალითია სხვა რეგიონებისათვის.



ფორუმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.
მარცხნიდან: ვლადიმერ მახარაძე, უცნობი, რომან მახარაძე.
მარჯვნიდან - ალიოშა ბაკურიძე, ნაზი ფუტკარაძე, მიშა ბერიძე და სხვ.
2006 წლის 8 მაისი

შეხვედრამ ჩაიარა საქმიან, მეგობრულ ატმოსფეროში, გამოიკვეთა საქართველოს სხვა რეგიონებთან აჭარის ფარმაცევტთა კავშირის შემდგომი თანამშრომლობის ახალი მიმართულებები და პერსპექტივები.

2008 წლის 2 ოქტომბერს ჩატარდა აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის მე-7 კონფერენცია. ესწრებოდა 52 წევრი-დელეგატი, 4 საპატიო წევრი, მოწვეული სტუმრები და მასმედიის წარმომადგენლები. მოისმინეს აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის თავმჯდომარის ვლადიმერ მახარაძის მოხსენება კონფერენციებს შორის პერიოდში (25.07.2005-2.10.2008) გაწეული მუშაობის შესახებ და საკონტროლო კომისიის ანგარიში.

კონფერენციის სულისკვეთების სრულყოფილად და სიღრმისეულად წარმოჩენის მიზნით ქვემოთ სრულად მოგვაქვს ასოციაციის თავმჯდომარის, პროფესორ ვლადიმერ მახარაძის საანგარიშო მოხსენება.

„პატივცემულო კოლეგებო! ძვირფასო სტუმრებო! ქალბატონებო და ბატონებო!

გულითადად გილოცავთ ფარმაცევტული დარგის დიდ და საყოველთაო დღესასწაულს-ფარმაცევტის დღეს და გისურვებთ, რომ საქართველოს ჯანდაცვას ეამაყოს გამართული და მაღალგანვითარებული ფარმაცევტული სექტორით.

აჭარის ფარმაცევტთა კავშირი, რომელიც 12 წლის წინ (1996 წელს) შეიქმნა, ამჟამად აერთიანებს 130 ფიზიკურ, 25 იურიდიულ პირსა და 12 საპატიო წევრს.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც მოიცავს დროს 2005 წლის 25 ივნისიდან (VI კონფერენციის ჩატარების თარიღიდან) დღემდე, მდიდარი იყო სხვადასხვა ღონისძიებებითა და მოვლენებით. კავშირის გამგეობა და თავმჯდომარე, აქტიურად მონაწილეობდა მრავალ საზოგადოებრივ-პროფესიული, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული სახის ღონისძიებაში. კავშირის საქმიანობაში გამოკვეთილი პრიორიტეტი იყო ზეგავლენის მოხდენა პროცესებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ფარმაცევტული კანონმდებლობის დახვეწას, ფარმსაქმიანობის ცივილურ ჩარჩოებში მოქცევას, ფარმაცევტული განათლების სრულყოფას და ასევე ფარმაცევტის, როგორც სპეციალისტის, როლისა და ავტორიტეტის გაზრდას ქვეყანაში.

ამ მხრივ ფასდაუდებელი როლი შეასრულა გაზეთმა „ფარმაკონმა", რომელმაც 2006 წლის ივნისიდან იცვალა ფორმატი, სახე, მასშტაბები და არეალი. თუ მანამდე ის გამოდიოდა მოკლე ფორმატით 500 ცალამდე ტირაჟით და ვრცელდებოდა მხოლოდ ფარმაცევტულ წრეებში, ამიერიდან ფარმაკონის ბედი მტკიცედ დაუკავშირდა გაზეთ „აჭარა P.S.", ვრცელდება მასთან ერთად უფასოდ, რამდენიმე ათასი ტირაჟით. იგი ვიწრო პროფესიული გაზეთიდან ამაღლდა საზოგადოებრივი დატვირთვისა და ფუნქციის მქონე

ბეჭდვით ორგანომდე. ასეთი ფერიცვალება გაზეთისა შედეგია გაზეთ „აჭარა P.S." მთავარი რედაქტორის ბ-ნ ჯემალ მეგრელიძის მტკიცე თანადგომისა, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მას.

საანგარიშო პერიოდში გაზეთის 25 ნომრის ფურცლებზე გაშუქდა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა:

-აფთიაქების სიმბოლიკა და იერსახე;

-მერჩანდაიზინგი და ფრანჩაიზინგი აფთიაქებში;

-წამლის ფალსიფიცირების და რეგისტრირების პრობლემები;

-წამლის ურეცეპტო მოხმარება და მასთან დაკავშირებული საფრთხეები;

-წამლის რეკლამის სოციალურ-იურიდიული და სამედიცინო ასპექტები;

-ფარმაცევტის როლი და ფუნქციები სისტემაში: ექიმი-პაციენტი-ფარმაცევტი;

-ფარმაცევტული ტერმინოლოგიური პრობლემები;

-ნარკვევები ფარმაციის ისტორიისათვის აჭარაში და ა.შ.

ასევე გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან მწირია და მცირე კოლეგების მხრიდან წერილები და მასალები, რაც ძალიან მძიმე დღეში აყენებს გაზეთის რედაქციას.

ბატონებო!

მიღწევები საკმაოდაა და ვფიქრობთ, რომ მათი დეტალური მოყოლა ამჟამად საჭირო არ არის, რამეთუ ქრონოლოგიურად ზუსტად და ამომწურავადაა გაშუქებული გაზეთ „ფარმაკონის" ფურცლებზე.

გვსურს, შევჩერდეთ რიგ აქტუალურ საკითხებზე, რომელთაც ჩვენი კავშირი აცნობიერებს და პერმანენტულად იბრძვის მათი გადაჭრისათვის. მოსახლეობის სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის სფეროში დაგროვილია პრობლემები: რეცეპტის ინსტიტუტის მოშლა, მედიკამენტების დისტრიბუციაში აგრესიული მეთოდების გამოყენება, მომსახურების ნაკლებად ეფექტიანი ფორმები, ფალსიფიკაციის მოძალება,თვითმკურნალობის მასშტაბების ზრდა და სხვა, რომელთა გადაჭრა მოითხოვს ახალ

კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს. პრობლემების ასეთი ანალიზი ხელს შეუწყობს ასევე პრიორიტეტების გამოკვეთას.

ზოგიერთ ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში სააფთიაქო სექტორი ითვლება ისეთივე მოწესრიგებულ დარგად, როგორც საბანკო სექტორია. შედეგები მართლაც საკმაოდ კარგია. ფარმაცევტული ბიზნესი კონკურენციის ახალ, მაღალ ფაზაში შევიდა. უაღრესად გაიზარდა მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ ფარმაცევტულ კადრებზე. აჭარაში დღეისათვის 9 კოლეჯი თუ საშუალო ფარმაცევტული სასწავლებელია და ორი უმაღლესი (ცოტა ხნის წინ 4 უმაღლესი იყო). რაოდენობრივად კადრების ბუმია. ხარისხობრივად კი...? უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლები ვერ ასრულებენ ბიზნესის დაკვეთას - ახალკურსდამთავრებულებმა არ იციან წამალი, ბიზნესის ადმინისტრირება, ფარმაკოეკონომიკა და ფარმაეკონომიკა.

ვფიქრობთ, ახალი გენერაციის ფარმაცევტების მომზადების პროცესში აქტიური მონაწილეობა კვლავ იქნება ჩვენი კავშირის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

როგორც ცნობილია, 2008 წლის 9 იანვარს, საქართველოს მთავრობის №5 დადგენილების საფუძველზე, ლიკვიდირებული იქნა წამლის სააგენტო. წამლის სააგენტოს ლიკვიდაციით საქართველოში არა მარტო შესუსტდა სახელმწიფოს მარეგულირებელი და მაკონტროლებელი როლი და ფუნქცია, არამედ დარგის გარკვეული დაკნინების აპოგეად იქცა ეს აქტი. ყველაფერი კი იქედან დაიწყო, რომ 2005 წლის იანვარში მიღებული იქნა საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, რომლის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია რეგულირებადი პროფესიების ნუსხა. ესენია: იურიდიული, პედაგოგიური და სამედიცინო (მათ შორის სავეტერინარო მედიცინის), როგორც ჩანს, ფარმაცია აქ არ არის.

ბუნებრივად გაჩნდა კითხვა: სად გაქრა ფარმაცევტული დარგი? ვინ არ შეიტანა და რატომ? თუ „სამედიცინოს" ქვეშ მოიაზრეს კანონპროექტის ავტორებმა, ნუთუ მათ არ იცოდნენ, რომ ფარმაცია უკვე მრავალი საუკუნეა, რაც დამოუკიდებელი სამეცნიერო და

პრაქტიკული საქმიანობის დარგია მთელს მსოფლიოში და არა მარტო ჩვენთან. ვეტერინარიისთვის რომ დააზუსტეს, ესეც „სამედიცინო“ ცნების ქვეშ იგულისხმებაო, ხომ შეიძლებოდა, ფარმაციაც ასევე მიეთითებინათ.

ფარმაცევტთა პროტესტი მაშინ ყურად არავინ იღო. როგორც ახლა ირკვევა, ფარმაცევტული დარგის ჯერ დაკნინება და შემდეგ კი განადგერება, წინასწარ დაგეგმილი ყოფილა და რეგულირებადი პროფესიებიდან ფარმაციის ამოღება ამ ჩანაფიქრის მხოლოდ პირველი ეტაპი ყოფილა.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს ზემოაღნიშნული კანონის 76-ე მუხლის ძალით სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდები ტარდება მხოლოდ რეგულირებად პროფესიებში, ე.ი. გაუქმდა ერთიანი მოთხოვნები, რომლებიც მიზნად ისახავდა ფარმაცევტთა პროფესიული ცოდნის დონის შემოწმებასა და შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატის მინიჭებით მისი კვალიფიკაციის დადასტურებას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, როცა ქვეყანაში უამრავი უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული სასწავლებელია გახსნილი რაიონებისა და დაბების დონეზეც კი.

შემდეგი ნაბიჯი იყო ის, რომ თითქოს გაამარტივეს ფარმაცევტული საქმიანობის დაწყების პირობები და ფარმაცევტული დანესებულებები სალიცენზიო სფეროდან (სადაც დარჩა მედიცინა) გადაიტანეს სანებართვო სფეროში.. ამ ცვლილებებს შეეწირა ფარმაცევტული ბაზები, რომელთა ცნება გაქრა სალიცენზიო და სანებართვო ნუსხებიდან ანუ წამლის საბითუმო მიმოქცევა დატოვეს სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის მიღმა.

ასევე შემოიღეს სააფთიაქო პუნქტის ცნება, მაგრამ მახინჯი შინაარსით: აქ შეიძლება რეცეპტურული მყარი წამლის ფორმების რეალიზაცია, ამპულირებული და სითხოვანი ფორმებისა კი არა. თუ სიფრთხილეა, მაშინ შხამების შემცველი მყარი წამლის ფორმების მიმოქცევა პუნქტის დონეზე სოციალურად განა ნაკლებად საშიშია, ვიდრე სითხოვანის? საიდან ასეთი მიდგომა, ვინ მოიფიქრა, რომელ ენციკლოპედიაში ან წიგნში ამოიკითხა, რომ ტაბლეტის ნაკლებად გეშინოდეთ, ვიდრე ამპულისო!!

წამლის მიმოქცევაზე სახელმწიფოს მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ფუნქციის შესუსტება იყო 2005–2006 წლებში გატარებული ღონისძიებები, როცა გაუქმდა ავტონომიურ რესპუბლიკებში წამლის ბიუროები, ხოლო ქვეყნის სხვა რეგიონებში მთავარი ფარმაცევტის ინსტიტუტები. ამის შემდეგ, ქვეყანაში დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი მარეგულირებელი ორგანო-წამლის სააგენტო.

გარკვეულმა ჯგუფმა 2007 წლის მეორე ნახევარში მოამზადა კანონპროექტი „ფარმაცევტული პროდუქციის შესახებ". ამ პროექტის თანახმად ხმარებიდან ამოღებული იქნებოდა და მიმოქცევაში აღარ იარსებებდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „წამალი", „სამკურნალწამლო საშუალება", „მედიკამენტი" და ა.შ. ეს კანონპროექტი ეწინააღმდეგებოდა ფარმაცევტულ სექტორში მოქმედ ყველა კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, მეცნიერული და პრაქტიკული ფარმაციის ტრადიციებს, მის აწმყოსა და მომავალს. ამ კანონპროექტის ნაკლოვანებები სრულყოფილად ამხილა აკადემიკოსმა ბიძინა ჭუმბურიძემ, რომლის გამოხმაურების სრული ტექსტი მკითხველს ემახსოვრება გაზეთ „ფარმაკონის" 2007 წლის დეკემბრის ნომრიდან.

ზემოაღნიშნული და დარგის დამაკნინებელი სხვა უამრავი ღონისძიებები (რომელთა სრული ჩამოთვლა ამჟამად შეუძლებელია), გარკვეულ ჯგუფს სჭირდებოდა ფინალისთვის-ლიკვიდირებული იქნა წამლის სააგენტო!

საქართველოს მთავრობის ამ დადგენილებით ფაქტობრივად ძალა დაკარგა ყველა ადრე მოქმედმა კანონმა, ვინაიდან „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის ძალით, განსაზღვრული იყო, რომ სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო მართვას ახორციელებს წამლის სააგენტოს მეშვეობით.

ლიკვიდირებული წამლის სააგენტოს უფლებამონაცვლედ განისაზღვრა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების

სააგენტო. წამლის სააგენტოს სამედიცინო სააგენტოსადმი დაქვემ-
-დებარებით მოისპო ფარმაციის დარგის დამოუკიდებლობა და ის მედიცინის შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა!

თუ რამდენად სწორია ეს ნაბიჯი, მოკლედ მაინც გადავხედოთ ისტორიას: 1224 წელს წმინდა რომის იმპერიის იმპერატორმა ფრიდრიხ II გამოსცა დეკრეტი, რომელმაც გაყო ექიმებისა და ფარმაცევტების უფლებები და მოვალეობები. ამ დეკრეტმა საფუძველი დაუდო ფარმაციის, როგორც დამოუკიდებელი სპეციალობისა და დისციპლინის ჩამოყალიბებას. ექიმებს ეკრძალებოდათ აფთიაქების გახსნა, სავაჭრო ურთიერთობები ავადმყოფებთან და მათი მომარაგება წამლებით. თავის მხრივ, აფთიაქებსაც ეკრძალებოდათ ავადმყოფების მკურნალობა.

დასკვნა ნათელია. უკვე თითქმის 800 წელია, რაც ფარმაცია და მედიცინა გვერდიგვერდ ვითარდება, როგორც ჯანდაცვის სისტემის ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ამავე დროს დამოუკიდებელი დარგები.

თუ დღეს ვინმე „მედიცინის“ ცნების ქვეშ მოიაზრებს „ფარმაციას“, იმან არც ისტორია იცის ამ დარგებისა და არც თანამედროვეობა. ამდენად, რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალში მედიცინის ქვეშ ფარმაცია შეუძლებელია, რომ იგულისხმებოდეს და არც იგულისხმება. უბრალოდ, ფარმაცია ვიღაცეებმა ჩათვალეს არა სამეცნიერო-პრაქტიკულ დარგად, არამედ წამლის გამყიდველ სავაჭრო სექტორად. ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფოებრივი მართვის გამოკვეთილი ორგანოები არის დანიაში, საფრანგეთში, იტალიაში და თითქმის მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც გამართულად მუშაობს ჯანდაცვის სისტემა. ჩვენს ქვეყანაში კი, ჯანდაცვის წარუმატებელი რეფორმის ფონზე, წამლის მიმოქცევაზე კონტროლი კი არ უნდა შესუსტდეს, არამედ კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს.

ზედმეტი, გაუმართლებელი ლიბერალიზმი ფარმაცევტულ დარგში და წამლის მიმოქცევაზე მეორეხარისხოვანი და სუსტი სახელმწიფოებრივი რეგულირება და მართვა გამოიწვევს იმას,

რომ მონოპოლისტი ფარმკომპანიები, რომლებიც ფლობენ ფარმაცევტულ საწარმოებს, საბითუმო ბაზებსა და ვრცელ სააფთიაქო ქსელს ერთდროულად, შეძლებენ შეიძინონ ჰოსპიტალური სექტორის უდიდესი ნაწილი (მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შეძენილი აქვთ) და სწორედ მაშინ მივიღებთ მონსტრს, ჩაკეტილ წრეს, ლაბირინთს, სადაც ერთხელ მოხვედრილი ავადმყოფის ბედი საბოლოოდ დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ მონოპოლისტთა კომერციულ ინტერესებსა თუ ჰუმანიზმზე.

როცა საზოგადოების გავლენიანი და ჯანსაღი ნაწილი გააცნობიერებს და თავის თავზე იწვნევს მომხდარის უარყოფით შედეგებს, შეეცდება უკურეფორმებს, შეცდომების გასწორებას, მაგრამ ვშიშობთ, რომ ძალიან დაგვიანებული არ იყოს.

ბატონებო!

მოგეხსენებათ, რომ წამალი არის გარკვეული სოციალური დატვირთვის მქონე სამედიცინო-ბიოლოგიური დანიშნულების პროდუქტი. მას ახასიათებს ერთი უნიკალური თავისებურება-დამკვეთი (ანუ ექიმი) არ ყიდულობს მას და მყიდველი (ანუ პაციენტი) არ უკვეთს. ავადმყოფის სამკურნალოდ საჭირო წამლების უდიდეს ნაწილს აფთიაქს უკვეთს ექიმი რეცეპტის მეშვეობით. ეს საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული და დახვეწილი ფორმაა მსოფლიოში. ამ სამკუთხედში-ექიმი-ფარმაცევტი-პაციენტი მართლზომიერი ურთიერთობების დარღვევას შეიძლება მოჰყვეს ორი უკიდურესობა:

1. ექიმებს შეუძლიათ გამოუწერონ ავადმყოფს საჭიროზე მეტი წამალი, რაც პოლიპრაგმაზიაა და შესაძლოა უკავშირდებოდეს არაკეთილსინდისიერ მატერიალურ გარიგებებს მწარმოებელ ან დისტრიბუტორ ფარმკომპანიებთან.

2. პაციენტებს შეუძლიათ ექიმის გარეშე შეიძინონ ყველა წამალი, გარდა სპეცკონტროლს დაქვემდებარებული საშუალებებისა, მითუმეტეს ქვეყანაში არ მოქმედებს ფორმა №3 რეცეპტის ინსტიტუტი, ასეთ დროს კი ძალზე დიდია თვითმკურნალობის უარყოფითი შედეგების დადგომის რისკი და არარაციონალური ფარმაკოთერაპია.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ საკითხებზე მრავალმხრივი დისკუსიების გამართვა.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ჩვენს საქმიანობაში. იცვლება აფთიაქში ფარმაცევტის როლი. თუ წინა ეპოქებში, მე-20 საუკუნის ჩათვლით, აფთიაქში ფარმაცევტის ფუნქცია წამლის მომზადება და მომზადებული წამლის ხარისხის კონტროლი იყო, ამჟამად ასე აღარაა. აჭარაში დღეს დაუზუსტებელი მონაცემებით 130-მდე აფთიაქი ფუნქციონირებს, მათგან წამალი მეტნაკლებად მზადდება 4 თუ 5 აფთიაქში, რაც დაახლოებით 4-5%-ია, დანარჩენი 95%-კი მზა წამალთფორმების აფთიაქია. ერთი შეხედვით, თითქოს გამარტივდა ფარმაცევტის როლი და დაიტვირთა იგი სავაჭრო ფუნქციებით. გარეგნულად ასე გამოიყურება კიდეც. მაგრამ პრობლემის არსში თუ ღრმად ჩავიხედავთ, დავინახავთ,რომ ფარმაცევტის როლი და ფუნქციები მნიშვნელოვნად იცვლება. ახლებურად უნდა დავინახოთ და გავიაზროთ იგი. ისეთი ახალი ფარმაცევტული მეცნიერული დისციპლინების განვითარებამ, როგორიცაა: კლინიკური ფარმაცია, ფარმაკოეკონომიკა, ფარმაცევტული ზრუნვა და ფარმაკოინფორმატიკა, აჩვენა, რომ აფთიაქში ფარმაცევტის როლი შეიძლება იყოს დიდი, ვიდრე ეს ტრადიციულად წამლების დამზადებაა. ექიმის მითითებების პასიური შემსრულებლიდან ფარმაცევტი იქცა მის თანაშემწედ რაციონალური ფარმაკოთერაპიის განხორციელების საქმეში. ფარმაცევტს შეუძლია არა მარტო კონსალტინგი წამლის გაცემისას, არამედ მონიტორინგი ფარმაკოთერაპიის მთელი პროცესის მანძილზე და შესაბამისად, პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებაც. სიმპტომატური მკურნალობის პროცესში ურეცეპტო წამლების ექიმისაგან დამოუკიდებლად გაცემის ანუ ავადმყოფისათვის დანიშვნის უფლება ფარმაცევტს კანონით აქვს მინიჭებული და ის ამას ახორციელებს შესაბამისი ალგორითმების საფუძველზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემოვდივარ წინადადებით, რომ ფარმაცევტთა კავშირთან შევქმნათ სადისკუსიო კლუბი, სადაც იქნება სჯა-ბაასი ფარმაციის აქტუალურ საკითხებ-

ზე. ასეთი კლუბის შექმნის იდეამ 4 თუ 5 წლის წონ გაიჟღერა, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. თუ გავააქტიურებთ ამ იდეას, უნდა განვახორციელოთ კიდეც.

იმედს გამოვთქვამთ, რომ აქ, ამ დარბაზში გაიმართება ყველა ძირითადი პრობლემის აქტიური განხილვა და შევძლებთ კონფერენციის დადგენილებაში ავსახოთ კავშირის შემდგომი სამოქმედო პრიორიტეტები.

გმადლობთ ყურადღებისათვის!"

კონფერენციის დღის წესრიგის გარშემო გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვით გამოვიდნენ: ალიოშა ბაკურიძე-საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი; რამაზ სურმანიძე-ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი; თამაზ ავალიანი-შპს „ვიტაფარმის" გენერალური დირექტორი; გელა გიგოლაშვილი-შპს „ბათფარმას"გენერალური დირექტორი; ჯამბულ სურმანიძე-აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე; გულნარა ბასილაძე-ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გაერთიანებული ფაკულტეტის დეკანი; ჯემალ მეგრელიძე-გაზეთ „აჭარა P.S"-ის მთავარი რედაქტორი; ფირუზ ვაშაყმაძე-გამგეობის წევრი, შპს „ჰეკატეს" კომერციული დირექტორი; მანანა ხაბაძე-ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პედაგოგი, ფარმაცევტი.

კონფერენციის დასასრულს გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. ფარმაცევტის დღესთან დაკავშირებით, დარგში ნაყოფიერი და მაღალკვალიფიციური საქმიანობისათვის აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის სიგელებით დაჯილდოვდნენ ფარმაცევტები: ნანა მჭედლიშვილი, თამარ ფარსენაძე, ნანა პატარაია, მაგული ცივაძე, ნინო ბურჯალიანი და დოდო იაკობაძე.

ფარმაცევტის დღესთან დაკავშირებით, მოსახლეობის სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის სიგელებით დაჯილდოვდა შემდეგი აფთიაქები: „კომახიძე

და კომპანია", „ფარმაკი", პანაცეა", „გარანტი 2000", „ბ.ქათამაძე და კომპანია".

წლის საუკეთესო ფარმაცევტ-ანალიტიკოსის საპატიო წოდება მიენიჭა და დიპლომით დაჯილდოვდა სვეტა ამაშუკელი (შპს „ბათფარმა"). წლის საუკეთესო ფარმაცევტ-ტექნოლოგის საპატიო წოდება მიენიჭა და დიპლომით დაჯილდოვდა ნაზი ტაკიძე (შპს „ბათფარმა").

დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის სიგელით დაჯილდოვდა რეზო დოლბაია (შპს „გვირილა 2"). დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით კავშირის დიპლომით დაჯილდოვდა შოთა აფხაზავა-ფარმაცევტი, პენსიონერი.

კონფერენციამ მიიღო სათანადო რეზოლუცია.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა 2 ოქტომბრისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ბანკეტი რესტორან „აჭარულში".

2014 წლის 2 დეკემბერს გაიმართა აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კაცშირის გამგეობის სხდომა. ღია კენჭისყრით არჩეული იქნა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის III ყრილობის 10 დელეგატი: 1. ვლადიმერ მახარაძე, კავშირის თავმჯდომარე; 2. ამირან შამილაძე, კავშირის თავმჯდომარის მოადგილე; 3. ტარიელ ქარვივაძე,გამგეობის წევრი; 4. ქეთევან ღვინჯილია, „ჰეკატეს" N1 აფთიაქის მთავარი ფარმაცევტი; 5. ფირუზ ვაშაყმაძე, „მეგაფარმის" დირექტორი; 6. ნაზი ფუტკარაძე, შპს „აჭარა-97"-ის აფთიაქის დამფუძნებელი; 7. რამაზ მსახურაძე, შპს „გვირილას" ხელმძღვანელი; 8. თამაზ ავალიანი, შპს „ვიტაფარმის" დირექტორი; 9. ამირან ცინცაძე, შპს „უკვდავაფარმის" ხელმძღვანელი; 10. ინგა დავითაძე, შპს „ჰეკატეს" N1 აფთიაქის ფარმაცევტი.

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის III ყრილობა გაიმართა 2014 წლის 15 დეკემბერს. აჭარის ფარმაცევტთა საზოგადოების სახელით სიტყვით გამოვიდა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი ვლადიმერ მახარაძე. ქვემოთ მოგვაქვს ამ გამოსვლის სრული ტექსტი.

„პატივცემულო კოლეგებო! ქალბატონებო და ბატონებო!

მოგესალმებით აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის მრავალრიცხოვან წევრთა სახელით და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

დღეს,როგორც არასდროს, მიღწევების ჩამოთვლით ვერ ვიწყებ გამოსვლას. წარმატებებისა რა მოგახსენოთ, პრობლემები და საფიქრალი კი გასულ პერიოდში უამრავი იყო. ასეთი უიმედო და გულნატკენი გამოსვლაც არასოდეს მქონია. რატომ? იმიტომ, რომ ჩემი ძვირფასი დარგი, რომელსაც 40 წელი რწმენითა და იმედით ვემსახურე, დამცრობილია და დაკნინებული, განვითარების ნაცვლად აგონიაშია. ქვეყანაში იგრძნობა მხოლოდ ქსელური აფთიაქების რიცხვის ზრდა, ისიც რაოდენობრივად, დარგის განვითარებისა კი რა მოგახსენოთ!

ვერ ნახავთ ვერც ერთი სახეობის ფარმაცევტულ ჟურნალს, გაზეთს, რაიმე სახის სამეცნიერო ან საინფორმაციო-ანალიტიკურ პერიოდულ გამოცემას, მაშინ როცა მსხვილ ფარმაცევტულ კომპანიებს საკუთარი სამედიცინო ჟურნალებიც კი აქვთ. ქსელურ აფთიაქებში დასაქმებული ფარმაცევტები რატომღაც თავს არიდებენ ასოციაციაში გაწევრიანებაზე, არც კომპანიები აქტიურობენ.

ფარმაცევტულ დარგში დღეს არსებული პრობლემები ძალიან სერიოზული და შემაშფოთებელია. შეტყობინების რეჟიმით აფთიაქის გახსნა ლიბერალურია, მაგრამ უგულებელყოფილია აფთიაქის დიზაინი, ავეჯი, აღჭურვილობა, კეთლმოწყობა და თვით ფარმაცევტის კვალიფიკაციაც კი.

მთლიანად მოშლილია წამლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ლიდერი ფარმკომპანიების მიერ გაჩაღებულმა ფასების ომმა დამოუკიდებელი აფთიაქების ეკონომიკა საბოლოოდ გაანადგურა.

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდიუმმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 2009 წლის დეკემბრის თვეში გამოაქვეყნა წერილი-მიმართვა სათაურით „ფარმაცია მხოლოდ ბიზნესი კი არა, რეგულირებადი პროფესიაა". ეს იყო განგაშის ზარების დარისხება, მაგრამ სამწუხაროდ, უშედეგოდ!

ყველაფერი, ჩვენის აზრით, დაიწყო 2004 წლის რეფორმებიდან, როცა ფარმაცია ამოიღეს რეგულირებად პროფესიათა სიიდან. ამას

მოყვა სასერტიფიკაციო გამოცდების გაუქმება, ფარმაცევტული დაწესებულებების სალიცენზიო სფეროდან სანებართვო და შეტყობინებით რეჟიმში გადატანა, „ფარმაცევტული ბაზის“ ცნების გაქრობა და სხვა.

წამლის მიმოქცევაზე სახელმწიფოს მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ფუნქციის შესუსტება იყო 2005-2006 წლებში გატარებული ღონისძიებები, როცა გაუქმდა ავტონომიურ რესპუბლიკებში წამლის ბიუროები, ხოლო ქვეყნის სხვა რეგიონებში მთავარი ფარმაცევტის ინსტიტუტები. ამის შემდეგ, ქვეყანაში დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი მარეგულირებელი ორგანო-წამლის სააგენტო, რომელიც 2008 წლის იანვარში ლიკვიდირებული იქნა!

ფარმაცევტული პროდუქციის შესახებ კანონით ამოღებული იქნა მიმოქცევიდან ისეთი ფუნდამენტური ისტორიული ცნებები, როგორიცაა „სამკურნალო საშუალება“, „წამალი“ და სხვა.

კოლეგებმა მთხოვეს, რომ მათი სახელით ამ მაღალი ტრიბუნიდან მოვუწოდო და ვთხოვო ლიდერ ფარმკომპანიებს, რათა შეწყდეს ფასების ომი!

თუ რამდენიმე წლის წინ დამოუკიდებელი და წვრილი ქსელური აფთიაქების ნიშა დაახლოებით 20% იყო, დღეს მხოლოდ 5%-მდეა. გთხოვთ ეს ნამცეცები პროფესიონალებს დავუტოვოთ და შევარგოთ!

ვთხოვთ და მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, მიღებულ იქნეს კანონი სასიცოცხლოდ აუცილებელ და ძირითად (ესენციალურ) წამლებზე ფასების სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის მიზნით. დიახ, არა ყველა, არამედ მხოლოდ იმ 320-მე დასახელების წამალზე, რომლებიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად საქართველოში კანონმდებლობით ასეთად აღიარებულია. გამოცდილება ამ მხრივ, მეზობელ სახელმწიფოებში ძალიან დიდია. მაგალითად, თურქეთში ყველა აფთიაქი ოპერირებს 30%-იანი მარჟის პირობებში, ევროკავშირის ქვეყნებში საფთიაქო სექტორში ფასნამატი 20-22%-ის ფარგლებშია, ისრაელში 17,5% დან 37 %-მდე, ხოლო მოლდოვაში

25%-მდეა. იქ წარმოუდგენელია 20-30%-იანი ფასდაკლებები, იმიტომ, რომ არ არსებობს ასტრონომიული ფასნამატები.

კონკურენცია კონკურენციად, მაგრამ რა სახელი შეიძლება დავარქვათ ისეთ ქმედებას, როცა პარტნიორი კომპანია, რა ფასადაც გაწვდის წამალს, შენს გვერდით გახსნილ მის აფთიაქში იგივე ფასად ან უფრო იაფადაც კი ყიდის!

ვთხოვთ საქართველოს პარლამენტს, გულისყურით მოეკიდოს და განიხილოს ახალი კანონპროექტი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", რომელიც მოამზადა მეცნიერთა ჯგუფმა აკადემიკოს ბიძინა ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით. აქვე დავსძენთ, რომ ზემოაღნიშნული კანონპროექტი პროფესორ ჯემალ ფუტკარაძის აქტიური ჩართულობით განიხილა და მოიწონა აჭარის უმაღლესმა საბჭომ და გადაუგზავნა კიდეც შესაბამის ზემდგომ სტრუქტურებს.

და კიდევ ერთი. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის #575 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად აფთიაქს ევალება ძირითად შესასვლელ კართან გარე პერიმეტრზე გააჩნდეს ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, რომელიც დონით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე დასამონტაჟებელ სისტემებს. ავტორიზებული აფთიაქების შემთხვევაში ეს გასაგებია, მაგრამ ჩვეულებრივ აფთიაქს ეს რისთვის სჭირდება, ის ხომ სპეცკონტროლირებად საშუალებებს არ ყიდის? ვინ, ან რა, ან რატომ უნდა აფიქსიროს? ნუთუ ქუჩების დაცვა-კონტროლიც აფთიაქების ფუნქციად იქცა? ღირებულება ასეთი სისტემებისა 3-4 ათასი ლარია, რაც დამოუკიდებელი, ე.წ." ნეიტრალური აფთიაქების" წლიურ მოგებასაც კი აღემატება. დიდი კომპანიებით ნუ ვიმსჯელებთ. სწორედ აქა-იქ შემორჩენილ პროფესიონალ ფარმაცევტებსა აქვთ ასეთი პატარა, საპანაშვიდე აფთიაქები.

ვთხოვთ და მოვუწოდებთ მთავრობას, ჯანდაცვის სამინისტროს, ფარმაცევტთა ასოციაციას და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა თავისი წვლილი შეიტანონ იმაში, რომ ქვეყნისა და

ერის ინტერესებიდან გამომდინარე, მტკიცედ იქნეს დაცული საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი, სადაც მკაფიოდაა ნათქვამი, რომ „სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას“.

გმადლობთ ყურადღებისათვის!“

ყრილობაზე საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს აკადემიკოსი ალიოშა ბაკურიძე, ხოლო ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის თავმჯდომარე, ფარმაციის დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ მახარაძე.

2019 წლის 4 მაისს გაიმართა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის IV ყრილობა. აჭარის ფარმაცევტთა პოზიცია წარმოადგინა და გაახმოვანა კავშირის თავმჯდომარემ ვლადიმერ მახარაძემ.



საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის მე-4 ყრილობის პრეზიდიუმში. მაცხნიდან: ვლადიმერ მახარაძე, ალიოშა ბაკურიძე. 2019წ. 4 მაისი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ გამოსვლის სრულ ტექსტს.

პატივცემულო კოლეგებო! ქალბატონებო და ბატონებო!

მოგილოცავთ აპრილ-მაისის ბრწყინვალე დღესასწაულებს და გისურვებთ ნაყოფიერ მოღვაწეობას დარგისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სწორედ დარგის შემდგომ განვითარებაზე ზრუნვითაა შთაგონებული ჩვენი დღევანდელი, რიგით IV ყრილობა, რომლის სულისკვეთება საფუძვლად უნდა დაედოს შემდგომ საქმიანობას.

მოგეხსენებათ აჭარის რეგიონი, განსაკუთრებით ბათუმი ბოლო წლებში ინტენსიურად და მასსტაბურად ვითარდება, მაგრამ ეს არ ითქმის ფარმაციაზე. გასულ, 2018 წელს არაქსელური აფთიაქების შემოსავალი დაახლოებით 20 %-ით შემცირდა. ეს ტენდენცია წელსაც გრძელდება. გაირკვა, რომ პაციენტების დიდი უმრავლესობა წამლის შესაძენად გადადის მეზობელ ქვეყანაში-თურქეთში. მიზეზი მარტივია: საშუალოდ სამჯერ იაფად შეიძენენ იქ, ვიდრე ჩვენთან. ეს თემა კარგადაა ასახული ამა წლის 8 აპრილს პირველი არხის ტელევიზიით გადაცემულ ფილმ-მოკვლევაში „ქართული ფარმაციის მწარე ბაზარი", რომელიც ვფიქრობთ, რომ ფართო საზოგადოებამ ნახა და აქ აღარ დავკონკრეტდებით. დავსძენთ მხოლოდ, რომ ქემალფაშას აფთიაქთან ქართველების რიგმა სიმწრის ცრემლები შეიძლება მოგვაროს ადამიანს.

მიზეზი მარტივია: თურქეთში სააფთიაქო ქსელში 30 %-იანი მარჟაა და ეს ვრცელდება ყველა მედიკამენტზე. სახელმწიფო ზღვრულ ფასებს მკაცრად აკონტროლებს, იცავს თავის მოქალაქეებს. ჩვენს ქვეყანაში კი ფასები ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება, არ მოქმედებს მისი შემაკავებელი რაიმე მექანიზმი, ის ველური საბაზრო პრინციპებით ვითარდება. ჩვენის ღრმა რწმენით, ესენციალურ წამლებზე მაინც უნდა ვრცელდებოდეს ფასების რეგულირება სახელმწიფოს მიერ!

შევხედოთ ევროპას. ფასების საკითხი იქაც აწუხებთ, მაგრამ ზომებსაც ღებულობენ. პრესა შარშან იუწყებოდა, რომ საბერძნეთში ფასების დაწევითა და დარეგულირებით ყოველწლიურად მილიარდნახევარი ევრო გამოანთავისუფლეს. ესპანეთში ამა წლის პირველი იანვრიდან ფასები შემცირებული იქნა 1200 დასახელების მედიკამენტზე. მაგალითები კვლავ შეიძლება. დასკვნა ერთია: ფასები მისახედია როგორც სამედიცინო-სოციალური, ისე ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე.

ქ.ბათუმის მოსახლეობა 159 000-მდეა, მოქმედებს 120-ზე მეტი აფთიაქი ანუ ერთ აფთიაქზე მოდის საშუალოდ 1300 მცხოვრები. აფთიაქების გამსხვილებისა და რენტაბელობის გაზრდის ნაცვლად სახეზეა მისი დაქუცმაცება და გაუბრალოება. და რამ გამოიწვია ეს? აფთიაქების გახსნისა და განლაგების დემოგრაფიული და გეოგრაფიული პრინციპების არქონამ, ველური საბაზრო კანონებით განვითარებამ, ზედმეტმა ლიბერალიზაციამ.

პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა გულისხმობს, რომ ჯაჭვში ექიმი-ფარმაცევტი-წამალი-პაციენტი მთავარია პაციენტის ინტერესები და ყველა დანარჩენი მას უნდა დაექვემდებაროს. პოლიპრაგმაზია, გარიგება ექიმსა და ფარმაცევტს შორის დაუსაბუთებელი, ზედმეტი მოგების მიღების მიზნით ფაქტიურად პაციენტის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და ასეთი ქმედებები არამარტო ამორალურად უნდა გამოცხადდეს, არამედ დასჯადიც უნდა იყოს!

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აქტიურად განიხილება ფარმაცევტების მიერ მიწოდებული მომსახურებისა და პრაქტიკული საქმიანობის სფეროს გაფართოების საკითხები. იკვეთება ფარმაცევტთა უფლებების გაფართოების ტენდენცია. „ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფცია“ საკანონმდებლო დონეზეა მხარდაჭერილი. რიგ ქვეყნებში ფარმაცევტები სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ისეთი სკრინინგ-გამოკვლევების ჩატარებაში, როგორიცაა:

- სისხლში გლუკოზის დონის კონტროლი;
- ქოლესტერინის დონის კონტროლი;
- ორსულობაზე ტესტირება,
- გრიპის ტესტირება და ა.შ.

ელექტრონული რეცეპტების დანერგვაც ხელს შეუწყობს წამლის ონლაინგაყიდვებს, მაგრამ რამდენად გაართმევენ თავს ასეთ სიახლეებს არაქსელური, დამოუკიდებელი აფთიაქები, ძნელი სათქმელია.

აღიარებულია მოსაზრება, რომ ფარმაცევტის დღის არსებობა საჭიროა, რათა პროფესიის ღირსებას, მის ფასეულობას ხაზი გაესვას და პროპაგანდა გაეწიოს ფარმაცევტის როლს საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესების საქმეში. ჩვენ საქართველოში ფარმაცევტის დღე დავაწესეთ 2005 წელს, მე-2 ყრილობაზე, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით, სამწუხაროდ, ის ჯერ არ აღნიშნულა. ამ ღონისძიების აქტუალობას ისიც ადასტურებს, რომ საერთაშორისო ფარმაცევტულმა ფედერაციამ ფარმაციისა და ფარმაცევტული მეცნიერების მსოფლიო კონგრესზე **2009 წელს, ქ.სტამბოლში, 25 სექტემბერი გამოაცხადა ფარმაცევტის საერთაშორისო დღედ.** მას შემდეგ ფარმაცევტის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად აღინიშნება. როგორც ჩანს, რაღაცით მაინც წინ ვუსწრებთ საერთაშორისო ფედერაციას, თუმცა...

ძალიან დადებით მოვლენად მიმაჩნია წამლის სააგენტოს აღდგენა! ამ ღონისძიებამ უნდა გაზარდოს დარგის ავტორიტეტიც და პრობლემების გადაჭრის ხარისხიც.


ფინანსური რესურსებით, რომ ფარმაცია ზოგადად მდიდარია, დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ ჟურნალ ფორბსის ამა წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს 100 უმსხვილესი კომპანიის რეიტინგი, სადაც პირველ ათეულში სამი ფარმაცევტული კომპანიაა. ეს მრავლისმეტყველი სურათია. აქედან ისიც ჩანს, რომ დარგში არის დიდი პოტენციალი, დიდი რესურსი, რომლის ნაწილი, კეთილი ნების შემთხვევაში ძალიან წაადგება ქვეყანაში ფარმაცევტული მეცნიერებისა და ფარმაცევტული განათლების შემდგომი განვითარების დიდ და კეთილშობილურ საქმეს.


გმადლობთ ყურადღებისათვის.“

გაზეთი „ფარმაკონი“

აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე, 1996 წლის 11 მაისს გადაწყდა, რომ ასოციაციას ექნებოდა ბეჭდვითი ორგანო-გაზეთი, რომელსაც ეწოდა „ფარმაკონი“. რედაქტორად არჩეული იქნა პროვიზორი ფირუზ ვაშაყმაძე.

გაზეთ „ფარმაკონის“ სარედაქციო წესდება გატარდა რეგისტრაციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით 1996 წლის 28 ივნისს, რეესტრი N32/15 და გაიცა სათანადო მოწმობა N31/46.





გაზეთ „ფარმაკონის“ წესდების სარეგისტრაციო მოწმობაში საქმიანობის მთავარ მიზნად მითითებულია „სამედიცინო და ფარმაცევტული დარგის მუშაკებისა და მოსახლეობისათვის ფარმაცევტული, მეცნიერული, სამედიცინო... ხასიათის ინფორმაციის მიწოდება“.

გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1996 წლის აგვისტოში. ეს იყო ა-4 ფორმატის რვა გვერდიანი გაზეთი. ტირაჟი-500 ცალი. 2006 წლის ივნისიდან (N31-დან) შეიცვალა გაზეთის ფორმატი და ის გახდა ა-2, ანუ კლასიკური ზომა გაზეთისა. სარედაქციო კოლეგია

ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: მთავარი რედაქტორი (ვლადიმერ მახარაძე), რედაქტორი (ფირუზ ვაშაყმაძე) და ორგანიზატორი (ნარგიზ დიასამიძე). 2009 წლის ნოემბრიდან (N67) სარედაქციო კოლეგია ასე ჩამოყალიბდა: მთავარი რედაქტორი (ვლადიმერ მახარაძე) და პასუხისმგებელი მდივანი (ნარგიზ დიასამიძე).

გაზეთ „ფარმაკონის" გამოცემა შეწყდა 2013 წლის ოქტომბერში, 96-ე ნომერზე. იარსება 18 წელი.





გაზეთ ფარმაკონის პირველი და ბოლო ნომრების სატიტულო გვერდები.

თავისი საკმაოდ ხანგრძლივი არსებობის მანძილზე გაზეთ „ფარმაკონის" ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები ფარმაცევტულიპრაქტიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, იმართებოდა მწვავე დისკუსიებიც, სამედიცინო და ფარმაცევტული დარგის მუშაკებს მიეწოდებოდა ფარმაცევტული, მეცნიერული, ისტორიული, სამედიცინო, სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნეს ინფორმაცია. ქვეყნდებოდა მასალები ფარმაცევტული

და სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების შესახებ, ეწეოდა მოსახლეობაში სანიტარულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას. ქვეყნდებოდა რეკლამები, განცხადებები, ინფორმაციები ფარმაცევტთა ასოციაციის საქმიანობის შესახებ, გამოჩენილი მეცნიერების, დამსახურებული, მაღალკვალიფიციური ფარმაცევტების შესახებ.

გაზეთ „ფარმაკონის" ფურცლებზე სხვადასხვა დროს გაშუქდა ფარმაცევტული ბიზნესისა და პრაქტიკის თვალსაზრისით ისეთი აქტუალური და საინტერესო საკითხები, როგორიცაა: „წამლის ფალიფიცირება - პრობლემა, განსჯა, ანალიზი..", „წამლის ბიზნესი და მომხმარებელთა უფლებები", „აფთიაქის ანტიკრიზისული მარკეტინგის ათი პრინციპი", „მერჩანდაიზინგი აფთიაქში", „ფარმაცევტული ბაზა-რეგულირებისა და ფუნქციონირების ზოგიერთი ასპექტი", „რატომ სჭირდებათ დამოუკიდებელ აფთიაქებს სხვათა ლოგოები - „წითელი A ", „36.6" და სხვა. (ანუ რა არის ფრანჩაიზინგი)", „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ფარმაცია. რატომ გაიზარდა წამლის ფასი?!", „რაციონალური ფარმაკოთერაპია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა", „ბრენდი, გენერიკი, ორიგინალური პრეპარატი. როგორ გავერკვეთ ამ ტერმინებში?", „ფასების ომი, რომელიც დამოუკიდებელ აფთიაქებს განადგურებას უქადის..", „სააფთიაქო ბიზნესის თანამედროვე რეალიები საქართველოში", „სამკურნალო საშუალებებზე ფასწარმოქმნის სახელმწიფოებრივი რეგულირების გამოცდილება ზოგიერთ ქვეყანაში" და სხვა მრავალი.

გაზეთი არსებობდა მანამ, სანამ ფინანსურად შეგვეძლო მისი უზრუნველყოფა. მეტ-ნაკლები აქტიურობით გაზეთის სპონსორები იყვნენ: შპს „ჰეკატე" (ვ.მახარაძე), შპს „გვირილა-2" (რ. მსახურაძე), შპს „უკვდავაფარმი" (ა. ცინცაძე), სპს „ბ.ქათამაძე" (ბ. ქათამაძე), შპს „ამოფარმი" (ა. როსტიაშვილი), სპს „ირ. შანიძე და კო" (ი.შანიძე), შპს „ვიტაფარმი" (თ. ავალიანი), შპს „ასკლეპია" (ც. ნი-

ნუა), შპს „ფარმაკი“ (ა. შამილაძე), სპს „ბაგრატიონი“ (ც. ბაგრატიონი), შპს „კარაბადინი“ (მ. ბერიძე), შპს „სალვე“ (დ. ტყეშელაშვილი), შპს „იუპიტერი“ (ო. დოჭვირი) და სხვ.

გაზეთი „ფარმაკონი“ დიდადაა დავალებული ჯემალ მეგრელიძისაგან, რომელმაც გაზეთ „აჭარა P.S.“-ის ბაზა დაუთმო „ფარმაკონის“ ბეჭდვას და შემდგომში მის გავრცელებას „აჭარა P.S.“-თან ერთად. გაზეთის სარედაქციო კოლეგიას ჯ.მეგრელიძე სისტემატურად უწევდა კონსულტაციებს და ეხმარებოდა კიდეც ნომრების მომზადებაში.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ასევე გაზეთ „ფარმაკონის“ პ/მ მდივანმა ნარგიზა დიასამიძემ. თითქმის უხელფასოდ, საზოგადოებრივ საწყისებზე აწარმოებდა გაზეთისათვის საჭირო მასალის შეგროვებას, იღებდა ინტერვიუებს, მიჰყავდა გაზეთის შექმნისა და გავრცელების საქმე ბოლომდე.

თავი X

ღვაწლმოსილნი და ალამდარნი

ოსმან კონცელიძე (1892-1937)



პირველი პროვიზორი აჭარიდან, ჯანდაცვის ცნობილი ორგანიზატორი.

ოსმან ალის ძე კონცელიძე დაიბადა 1892 წელს ბათუმის რაიონის სოფელ ორთაბათუმში. პირველი დაწყებითი განათლება აქვე მიიღო, შემდეგ ის მოწაფედ წაიყვანა ცნობილმა პროვიზორმა ელიაშვილმა. სამი წლის შემდეგ ო. კონცელიძემ უფლება მოიპოვა შესულიყო ხარკოვის ფარმაცევტულ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ ერთხანს მუშაობდა ბათუმში, ავალიანის აფთიაქში პროვიზორად, ხოლო შემდეგ მე-6 აფთიაქის გამგედ. ეს უკვე საბჭოთა პერიოდი იყო, როცა განსაკუთრებით გაძნელდა დამზღვევი სალაროებიდან ნისიად გაცემული მედიკამენტების ღირებულების ამოღება. სამედიცინო დაწესებულებებს არ გააჩნდათ ბიუჯეტი, რის გამო აფთიაქები დროზე ვერ აწარმოებდნენ მათთან ანგარიშსწორებას და თვითონაც ვარდებოდნენ უცხოური ფირმების ვალში.

1922 წლის დეკემბერში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად დანიშნეს, სადაც თითქმის ერთი წელი იმუშავა. შემდგომ წლებში სააფთიაქო სამმართველოს უფროსად მუშაობდა.

აჭარის ჯანდაცვის კომისრად ის მეორედ 1926-29 წლებში, ხოლო მესამედ 1936-37 წლებში მუშაობდა. შუალედებში იყო წი-

თელი ჯვრის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე, მიწათმოქმედებისა და სურსათმომარაგების კომისარი, აჭარკრედიტკავშირის თავმჯდომარე.

სამწუხაროდ ჩვენ არ შემოგვრჩა ო. კონცელიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ამსახველი საბუთები, გარდა რამდენიმე ოფიციალური ცნობისა. 1923 წელს, აჭარის საბჭოების მე-3 ყრილობაზე ის გამოდის საანგარიშო მოხსენებით, ყურადღებას ამახვილებს მოსახლეობის სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებზე. საექიმო კადრებზე. მედიკამენტების მომარაგებაზე. სანიტარულ - ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდაზე. რომლის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადგილობრივი პირობები, რელიგია და ადათ-წესები. მომხსენებელმა აუცილებლად ჩათვალა სამედიცინო პერსონალის მოსახლეობასთან მოზომილი და ტაქტიანი ურთიერთობა, რათა მოეპოვებინათ მათი ნდობა და შემდეგ თავადვე დახმარებოდნენ ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ო. კონცელიძემ გაანალიზა დაავადებების მიზეზები და აღნიშნა, რომ ფართოდ გავრცელებული კუჭნაწლავის დაავადებათა ძირითადი მიზეზია ანტისანიტარია და ცუდი კვება.

ო. კონცელიძე აქტიურად მონაწილეობდა 1925 წელს ბათუმში გამართულ დასავლეთი კავკასიის მხარეთმცოდნეობის ყრილობის მუშაობაში, როგორც აჭარის სააფთიაქო სამმართველოს უფროსი, ხოლო 1929 წელს ბათუმში გამართულ სრულიად საქართველოს ექიმთა მე-5 კონგრესზე ის შედიოდა საორგანიზაციო ბიუროს შემადგენლობაში, რომელმაც ფაქტობრივად მოამზადა კონგრესი.

ო. კონცელიძე ჯანდაცვის კომისრად მუშაობა ბრძოლისა და დავა-კამათის პერიოდად უნდა იქნეს მიჩნეული, მას მთავრობასთან ნიადაგ უხდებოდა გაბედული ბრძოლა, რათა მიეღწია ფინანსების მომატებაზე, რაც ახალი დაწესებულებების გახსნის და შესაბამისად ახალი კადრების დანიშვნის საშუალებას იძლეოდა. თუ 1922 წელს ჯანდაცვაზე დაიხარჯა 200000 მანეთი, 1936 წელს ამ თანხამ 5.5 მილიონს მიაღწია. შესაბამისად ექიმების რიცხვი 38–დან 187-მდე, საშუალო სამედიცინო პერსონალის - 59დან 256-მდე

და სამედიცინო დაწესებულებების რიცხვი 21 დან 122-მდე გაიზარდა. სამწუხაროდ, არც ოსმან კონცელიძეს დაუფასდა ხალხისადმი და ქვეყნისადმი უანგარო სამსახური. 1937 წელს ის დააპატიმრეს და ბათუმში დახვრიტეს.

ასე ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე 45 წლის ასაკში თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწემ ოსმან ალის-ძე კონცელიძემ. რეაბილიტირებულ იქნა 1957 წელს.

ბრალად ედებოდა, რომ იყო წევრი კონტრრევოლუციური, მეამბოხე ორგანიზაციისა, რომელსაც მიზნად ჰქონდა შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობა აჭარაში და აჭარის შეერთება თურქეთთან. ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას და მავნებლობას ჯანდაცვის სისტემაში. ცდილობდა გადაებირებინა მოქალაქეები კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად-გადაიბირა ერთი კაცი(მომხსენებელი კონსტანტინიდი).

იძულებითი აღიარებითი ჩვენების მიხედვით, თითქოს ოსმან კონცელიძემ 5 ექიმი ჩააბა მავნებლურ საქმიანობაში. ხულოს რაიონში განგებ არ ვაგზავნიდი ექიმებსო. ამის გამო რაიონის 16 საექიმო პუნქტში მხოლოდ 3 ექიმი მუშაობდა. ნებისმიერი საღად მოაზროვნე მკითხველი მიხვდება, რომ ეს აღიარებითი ჩვენება არის იძულებით, გვემა-წამების შედეგად გამოძალული.

ოსმან კონცელიძეს კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად თვლიდნენ ჯერ ერთი, თავისი წარსული ცხოვრების გამო: საქართველოს გასაბჭოებამდე ირიცხებოდა სოციალისტ-ფედერაციულ პარტიაში (მემარჯვენეთა ფრთა), არჩეული იყო ბათუმის საქალაქო სათათბიროს დეპუტატად, ჰქონდა კერძო აფთიაქი, ცოლად ჰყავდა ბათუმში თურქეთის კონსულის სუატ-ბეის ნათესავი. მეორე, გასაბჭოების შემდეგ მდიდრულად ცხოვრობდა, ასრულებდა მუსლიმანური რელიგიის წესებს, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იმ ადამიანებთან, რომლებიც „ხალხის მტრის „იარლიყით დაპატიმრებული იყვნენ.

რიგით მომდევნო საგამოძიებო საქმით #21986 „შესწავლილი" იყო ოსმან კონცელიძის მეუღლის-ადვიე კონცელიძის კონტრრევოლუციური საქმიანობა. საგამოძიებო საქმეში აღნიშნულია, რომ

მისი მშობლები ცხოვრობდნენ თურქეთში, თვითონ კი იყო წევრი კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა, რომელსაც მიზნად ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა აჭარაში და მისი მიერთება თურქეთთან. ორგანიზაციის დავალებით ჩადიოდა თურქეთში ჯაშუშური საქმიანობისათვის (მომხსენებელი კონსტანტინიდი). აღნიშნულისათვის 1937 წლის 22 ნოემბერს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით (ავთანდილ ქურხული."... და რომ გახსოვდეს. თბილისი. 2004. გვ. 156, 157).

ალიოშა ბაკურიძე



პროფესორი ალიოშა ბაკურიძე დაიბადა 1955 წლის 17 აგვისტოს შუახევის რაიონის სოფელ შუბანში. 1972 წელს დაამთავრა შუბნის საშუალო სკოლა, ხოლო 1979 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი, პროვიზორის დიპლომით (წარჩინებით). სტუდენტობის დროს იყო აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის სახელობის სტიპენდიანტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პროფ. ა. ბაკურიძე მუშაობას იწყებს შუახევის რაიონში რაიონული აფთიაქის გამგის თანამდებობაზე, ხოლო 1982 წლიდან თითქმის 2 წელი მუშაობდა ჩაქვის აფთიაქის გამგედ. ამ შედარებით მოკლე პერიოდში ა. ბაკურიძემ აჭარის მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

პროფ. ა. ბაკურიძემ თავიდანვე კარგად იცოდა, რომ მეცნიერებაში არ არსებობს ფართო შარაგზა და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა მის კლდოვან ბილიკებზე ასვლისას. მიუხედავად მოსალოდნელი სიძნელეებისა, 1984 წელს მან სწავლა გააგრძელა ფარმაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, ქ. მოსკოვში. ასპირანტურა დაამთავრა 1987 წელს, წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წელს დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს და მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წამალთა ტექნოლოგიის კათედრაზე ასისტენტად. 1990–1995 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წამალთა ტექნოლოგიის კათედრის დოცენტია.

1994 წელს ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ფარმაციაში ყველა გრიფით, რაც ძალზე იშვიათი და გამორჩეული შემთხვევაა.

1995–2000 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორია, ხოლო 2000 წლიდან დღემდე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია, ასევე თავმჯდომარეობს სადისერტაციო საბჭოს ფარმაციაში.

პროფ. ა. ბაკურიძის სამეცნიერო მიღწევების აღიარება და ბრწყინვალე დაგვირგვინება იყო, როცა ის 2004 წელს აირჩიეს საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

1994–2005 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე მოღვაწეობისას წარმოჩინდა პროფ. ა. ბაკურიძე როგორც მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების თვალსაჩინო ორგანიზატორი.

2005–2008 წლებში ის უკვე იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორია, 2008 - 2015 წლებში კი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია.

პროფ. ა. ბაკურიძე შვიდი წელი ხელმძღვანელობდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ეს პერიოდი მისი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზატორული მოღვაწეობის ერთ-ერთი ნათელი და თვალსაჩინო მაგალითია. მან უნივერსიტეტი ჩაიბარა მძიმე, რთულ, შეიძლება ითქვას, კრიზისულ სიტუაციაში, როცა უნივერსიტეტის ავტორიტეტი საკმაოდ დაკნინებული იყო და სასწავლო-სამეცნიერო სამუშაოები თითქმის თვითდინებაზე იყო მისული.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად მუშაობის პერიოდში პროფ. ა. ბაკურიძე წარმოჩინდა როგორც უმაღლესი სკოლის, ზოგადად, განათლების სისტემის უბადლო მცოდნე, შე-

სანიშნავი ორგანიზატორი, შემოქმედი მოაზროვნე, შედეგზე ორიენტირებული ხელმძღვანელი და მეცნიერი. მან აამაღლა უნივერსიტეტის ავტორიტეტი და ცნობადობა მსოფლიო საუნივერსიტეტო სივრცეში, გაამრავალფეროვნა საგანმანათლებლო პროგრამები, შექმნა ახალი სპეციალობები. მისი უშუალო ინიციატივით საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა ფარმაციის მიმართულება, რითაც საფუძველი ჩაეყარა უმაღლეს საუნივერსიტეტო ფარმაცევტულ განათლებას აჭარაში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში ა.ბაკურიძემ კოლეგებთან ერთად მოიპოვა ორი სამეცნიერო გრანტი, რომელიც ეძღვნებოდა აჭარის მინერალური რესურსების კვლევას სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების მიზნით. შეისწავლეს აჭარის 38 დასახელების ჰიდრომინერალური რესურსი, ათი დასახელების თიხა და 58 დასახელების პელოიდი, რომელთა ნაწილს უახლოეს მომავალში, დიდი წარმატებით გამოიყენებენ ბალნეოლოგიურ პრაქტიკაში.

პროფ. ა. ბაკურიძეს გამოქვეყნებული აქვს 360-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 სახელმძღვანელო; მიღებული აქვს 9 საავტორო მოწმობა და 32 პატენტი;

ავტორია 30-მდე პრეპარატისა, რომლებიც სერიულად იწარმოება საქართველოში;

არის 23 დაცული სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ამჟამად ხელმძღვანელობს 3 ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამაც და ერთ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას: „ფარმაცევტული და კოსმეტოლოგიური ტექნოლოგიები“.

1996-2015 წლებში სტაჟირება გავლილი აქვს დანიის, ჩეხეთის, ეგვიპტის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, საფრანგეთის, კანადის, სტამბოლის, პოლონეთისა და სხვ. ქვეყნების მძლავრ და აღიარებულ უნივერსიტეტებში.

2006 წლიდან დღემდე მიღებული აქვს 10 სამეცნიერო გრანტი, აქედან 4 საერთაშორისო. 2006 წლიდან დღემდე სამეცნიერო მოხსენებებით წარსდგა ოცდაათი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის წინაშე.

პროფ. ა. ბაკურიძე დაბადებული სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და ორგანიზატორული მოღვაწეობის პარალელურად ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ და სამეწარმეო საქმიანობას. თითქმის ათი წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციას. მან შეიმუშავა საქართველოში ფარმაციის განვითარების კონცეფცია. აჩვენა როგორ უნდა გიყვარდეს დარგი, პროფესია, მისი ისტორია და ტრადიციები.

პროფ. ა. ბაკურიძე ფარმაცევტული წარმოების ორგანიზატორია. მან მეგობრებთან ერთად ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში დააფუძნა ფარმაცევტული საწარმო „ფიტოფარმი", რომელმაც დიდი როლი შეასრულა იმ უმძიმეს წლებში ქვეყანაში ფარმაცევტულ პრეპარატებზე დეფიციტის დაძლევის საქმეში. შემდეგ პროფ. ა. ბაკურიძე აფუძნებს ფარმაცევტულ საწარმო „ნეოფარმს", რომელიც ბუნებრივი სამკურნალო ნედლეულის ბაზაზე წარმოებული პრეპარატებითაა სახელგანთქმული და ამ კუთხით ის ქვეყანაში წამყვანი საწარმოა. დღეისათვის „ნეოფარმი" 200-მდე დასახელების სხვადასხვა ფარმაკოთერაპიული ჯგუფის მზა წამლის ფორმებს ამზადებს. ნეოფარმის ლოგო ამშვენებს სააფთიაქო ქსელსაც, რომელიც მოსახლეობაში დიდი ნდობითა და დამსახურებული აღიარებით სარგებლობს.

ზემოთ აღნიშნული უაღრესად შთამბეჭდავი სამეცნიერო წარმატებებისა და შრომითი ბიოგრაფიის მშრალი ციფრების უკან იკითხება პროფ. ა. ბაკურიძის მრავალწლიანი, ტიტანური, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური, ორგანიზატორული და საზოგადოებრივი საქმიანობა. ცხოვრების უდიდესი ნაწილი მან მეცნიერებას, შრომას, ახალგაზრდების აღზრდის საქმეს მოახმარა. პროფ. ა. ბაკურიძე დღეს საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებული მეცნიერია. მისი სახელმძღვანელოები სტუდენტებს უყვართ, მის შრომებს მეცნიერები ყურადღებით ეცნობიან, მის მიერ შექმნილ

ახალ პრეპარატებს ავადმყოფთათვის შვება და განკურნება მოაქვთ.

პროფ. ა. ბაკურიძე საყოველთაოდ აღიარებული, საქმეზე და შედეგზე ორიენტირებული, ინოვაციური, ფართო ერუდიციის მქონე, ქარიზმატული ლიდერია. მტკიცე ნებისყოფის, მეგობრობაში ერთგული, უღალატო, ტრადიციებისა და პრინციპების დამცველი პატრიოტია, რომელიც ქვეყნისა და საქმის, დარგისა და პროფესიის ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებს. ის პირად ცხოვრებაშიც მოკრძალებული და თავმდაბალია, რაც მისი მაღალი კულტურის მაჩვენებელია.

პროფ. ა. ბაკურიძე საუცხოო თამადა, მჭევრმეტყველი, ენციკლოპედიური ცოდნისა და მტკიცე, გაწონასწორებული ხასიათის მქონე მეცნიერია, რომელიც ადამიანებზე დადებითი ზემოქმედების გამორჩეულ უნარებს ფლობს. იგი დღესაც ახალგაზრდული შემართებითა და ენთუზიაზმით იღწვის.

პროფ. ა. ბაკურიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, უამრავი დიპლომითა თუ საპატიო სიგელით.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

მამული და ოჯახი დაგილოცოთ ღმერთმა.

ჯემალ ფუტკარაძე



დაიბადა 1963 წლის 15 აპრილს, შუახევის რაიონში, სოფელ ლომანაურში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1979 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1984 წლს. ჯემალ ფუტკარაძე წარჩინებულ სწავლასთან ერთად აქტიურად იყო ჩაბმული როგორც სამეცნიერო, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

1984 წლის აგვისტოში ჯემალ ფუტკარაძე მუშაობას იწყებს ქ. ბათუმის N5-ე აფთიაქში პროვიზორ-ტექნოლოგის თანამდებობაზე. ამავე წლის დეკემბრიდან სრულიად ახალგაზრდა 21 წლის ფარმაცევტს, აწინაურებენ და სამუშაოდ გადაჰყავთ მშობლიური შუახევის რაიონის რაიცენტრალური აფთიაქის გამგედ. შუახევის აფთიაქში მუშაობის პერიოდში (1984-1988 წლები), განსაკუთრებით გამოჩნდა ჯემალ ფუტკარაძის, როგორც ხელმძღვანელის, გამორჩეული მენეჯერული თვისებები.

1988 წელს ჯემალ ფუტკარაძე პრაქტიკული ფარმაციიდან სამეცნიერო ასპარეზზე ინაცვლებს. 1988 წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები ქალაქ მოსკოვის სამკურნალო მცენარეთა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ВИЛАР) ასპირანტურის დასწრებულ განყოფილებაზე და სასწავლებლად მოსკოვში გადადის. ასპირანტურის პერიოდში ჯემალ ფუტკარაძე მუშაობდა რა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ანალიტიკური ქიმიის ლაბორატორიაში, დაეუფლა იმ პერიოდისათვის ინოვაციურ მაღალეფექტური სითხოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდს (HPLC) და წარმატებით გამოიყენა აღნიშნული მეთოდი, სამკურნალო მცენარეულ ნედლეულში ბიოლოგიურად აქტიური ნივთი-

რებების აღმოჩენის, იდენტიფიცირებისა და რაოდენობრივი შეფასების მიზნით. სწორედ მის მიერ პირველად იქნა შემუშავებული და შემოთავაზებული ბრტყელფოთოლა ხარიშუბლას ბალახში პიროლიზიდინის ჯგუფის ალკალოიდების და მათი N-ოქსიდური ფორმების რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები და მეთოდიკები. მოგვიანებით სწორედ ეს კვლევები დაედო საფუძვლად მის სამეცნიერო ნაშრომს და მიენიჭა მას ფარმაციის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1991 წლიდან ჯემალ ფუტკარაძე ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, შემდგომში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. სამედიცინო უნივერსიტეტში მუშაობის 20 წლიან პერიოდში (1991-2011 წლები) მან გაიარა სამეცნიერო - აკადემიური თანამდებობების ყველა საფეხური:

იყო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი (1991-1992), თსსუ-ის წამალთა ტექნოლოგიის კათედრის ასისტენტი (1992- 2004), თსსუ-ის წამალთა ტექნოლოგიის კათედრის დოცენტი (2004-2006), თსსუ-ის ფარმაცევტული ტექნოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი (2006-2010), თსსუ-ის ფარმაციის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის დირექტორი (2008-2011).

2009- 2012 წლებში ჯ. ფუტკარაძეს ეკავა თბილისის ევროპული უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა.

2012 წლიდან ჯემალ ფუტკარაძე იწყებს პოლიტიკურ მოღვაწეობას. არჩეული იქნა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და დაინიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ.

2012-2016 წლებში მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ჯემალ ფუტკარაძე აქტურად იყო ჩაბმული როგორც აჭარის რეგიონის, ასევე სრულიად საქართველოს მასშტაბით მიმდინარე სამუშაოებში, როგორც პროფესიული კუთხით (ფარმაცევტული და სამედიცინო მომსახურება), ასევე საქველმოქმედო, სამეცნიერო, პოლიტიკური მიმართულებებით. მისი

ორგანიზებითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიება, სემინარები, შეხვედრები.

2016 წელს ჯემალ ფუტკარაძე აფუძნებს საერთაშორისო - საქველმოქმედო ფონდს „აჭარული სოფლის სახლი". სწორედ ეს ფონდი იქცა მრავალი აჭარელი ეკომიგრანტის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, სტუდენტების, საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე პირების მშველელად.

2017 წელს ჯემალ ფუტკარაძე ინიშნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩევლად ეკოლოგიის, გარემოს დაცვისა და ქართული წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთაშორისო ბაზრების მოძიება-გაფართოების კუთხით.

სამედიცინო-ფარმაცევტული სამეცნიერო- კვლევითი მუშაობის პერიოდში მიღებული ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე ჯემალ ფუტკარაძემ თანამოაზრეებთან ერთად საფუძველი დაუდო ახალი სასოფლო სამეურნეო კულტურების: ლურჯი მოცვი, ჰასკაპი, ქართული ზეთისხილი, ქართული აბრეშუმი, ქართული თუთა - დანერგვას და მათგან ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ბიოლოგიურად აქტიური პროდუქტების წარმოებას.

ჯემალ ფუტკარაძე არის სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის საგრანტო თემების ხელმძღვანელი და მკვლევარი. არის 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, სხვადასხვა ქართული და საერთაშორისო ასოციაციების დამფუძნებელი და წევრი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

გივი სარჯველაძე
(1924-2000)



პროფესორი გივი სარჯველაძე დაიბადა 1924 წლის 30 მარტს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა ჩაქვის #1 ჩაის ფაბრიკაში დაიწყო. იგი ფაბრიკის ბიოქიმიური კონტროლის ლაბორატორიას განაგებდა. სიახლისადმი მისი მისწრაფება შეუმჩნეველი არ დარჩა. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გადაჰყავთ, ჯერ ჩაქვის ფილიალში ბიოქიმიის ლაბორატორიის გამგედ, შემდეგ კი ამავე ინსტიტუტის ბიოქიმიის განყოფილების გამგედ. სწორედ აქ გამოვლინდა გივის, როგორც მეცნიერის ნიჭი, ერუდიცია და მეტად ნაყოფიერი მუშაობა. აღსანიშნავია, რომ აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ გამოყვანილი სელექციური ჯიშებისათვის მწვანე შუქის მიცემაში გივიც აქტიურად მონაწილეობდა.

თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მან მიუძღვნა ჩაის, ციტრუსების, დაფნის, ფეიხოას, კივის, სტევიას და სხვა სასოფლო-სამეურნეო დასამკურნალო მცენარეთა ქიმიის, ბიოქიმიის და ტექნოლოგიის აქტუალური საკითხების შესწავლას. მისმა ბევრმა ნამუშევარმა პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა. საქართველოში მოყვანილი კივის ნაყოფისა და სტევიას ფოთლების პირველი სერიოზული გამოკვლევები პროფ. გივი სარჯველაძეს ეკუთვნის. იგი 100-მდე სამეცნიერო შრომისა და 30-მდე გამოგონებისა და პატენტის ავტორია.

პროფ. გ. სარჯველაძე მონაწილეობდა ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის საქმიანობაში, როგორც ახალი პრეპარატების ათვისებისა და დანერგვის მეცნიერ-კონსულტანტი. არ ივიწყებდა

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასაც. მას ხშირად იწვევდნენ სუბტროპიკული ნაყოფის შენახვა-გადამუშავების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშიც. აქაც მისთვის ჩვეული ენერგიით აგრძელებდა მუშაობას საკვები პროდუქტების იოდით გამდიდრებაზე. იგი ამაში ხედავდა ჩიყვისა და იოდის დეფიციტით გამოწვეულ სხვა მეტად გავრცელებულ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას, რაც ესოდენ აქტუალურია აჭარაში.

1991 წელს ბათუმში პროფ. რამაზ სურმანიძის თაოსნობით გაიხსნა სამედიცინო – ეკოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც პირველია საქართველოში ამ ტიპის უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ამავე სასწავლებელში 1992 წელს გაიხსნა ბიოლოგია-ფარმაციის ფაკულტეტი. ფარმაციის კათედრის ხელმძღვანელად მიწვეული იქნა პროფ. გ. სარჯველაძე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული სასწავლებლის ფარმაციის სპეციალობა პირველი უმაღლესი ფარმაცევტული განათლების კერაა აჭარაში, ხოლო პროფ. გივი სარჯველაძე ფარმაციის პირველი კათედრის პირველი გამგე!

პროფ. გ. სარჯველაძემ მოკლე დროში კათედრა მაღალკვალიფიციური პედაგოგებით დააკომპლექტა. გაშალა სრულმასშტაბიანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. მისი ლექციები გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური დონით. მალე სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის დიდი პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა.

პროფ. გ. სარჯველაძეს მუდამ სჯეროდა, რომ ბათუმშიც შეიძლებოდა მაღალკვალიფიციური ფარმაცევტული კადრების მომზადება და ამ რწმენას სიცოცხლის ბოლომდე არ ღალატობდა. შემდგომი პერიოდის გამოცდილებამ დაადასტურა პროფ. გ. სარჯველაძის მიერ აღებული კურსის სისწორე. ამჟამად თბილისში აჭარის რეგიონიდან პრაქტიკულად აღარავინ სწავლობს, რადგან ფარმაცევტული უმაღლესი განათლების მიღება ბათუმშიც შესაძლებელია.

ეთერი ჯაყელი



ეთერი ჯაყელი დაიბადა 1963 წელს ქობულეთის რაიონის სოფ. ხალაში, მოსამსახურის ოჯახში. 1979 წელს დაამთავრა ხალას საშუალო სკოლა, 1980-1985 წლებში სწავლობდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია - ბიოლოგიის სპეციალობაზე. 1986-89 წლებში სწავლა გააგრძელა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ბიოქიმიის სპეციალობით.

1994 წელს ე.ჯაყელმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის სპეციალიზებული საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ეთილენწარმომქმნელი ნივთიერებებისა და ამინოლ-ფორტეს გავლენა ფორთოხლის ნაყოფის ბიოქიმიურ თავისებურებებზე" და მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1997 წელს დაამთავრა ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიური ინსტიტუტი ფარმაციის სპეციალობით. მიენიჭა პროვიზორის კვალიფიკაცია.

ე. ჯაყელი სხვადასხვა დროს იყო: 1980-1985 წწ. ქობულეთის რაიონის ქვედა აჭყვის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი; 1986-1989 წწ. ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ასპირანტი, 1989-1995 წწ. ამავე გაერთიანების უმცროსი მეცნიერ-მუშაკი; 1995-1997 წწ. ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიური ინსტიტუტის ფარმაციის კათედრის დოცენტი;

1996 წლიდან ე.ჯაყელი მუშაობას იწყებს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოტანიკის კათედრაზე უფროს მასწავლებლად, 2000 წელს იგი არჩეული იქნა დოცენტად. 2006-2009 წწ. იყო ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

2014 წელს ე.ჯაყელი ფარმაციის დეპარტამენტში აირჩიეს ასისტენტ პროფესორად, 2021 წლიდან კი იგი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მტკიცებითი მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია. მიჰყავს სალექციო და ლაბორატორიულ მეცადინეობათა კურსები ფარმაცევტულ ბოტანიკაში, ფარმაკოგნოზიაში, სამკურნალო მცენარეებში, ბიოქიმიურ ეკოლოგიაში. უძღვება სევველე პრაქტიკებს ფარმაცევტულ ბოტანიკასა და ფარმაკოგნოზიაში, ხელმძღვანელობს სტუდენტთა სამეცნიერო კლუბს ფარმაციის მიმართულებით. ხელმძღვანელობს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს.

ე.ჯაყელი არის არაერთი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე. არის საერთაშორისო კონფერენციის- "International Health Science Conference"(IHSC 2020, 2021) და საერთაშორისო სიმპოზიუმის - "New Horisons in Science" (ISS 2018, 2019, 2021) სამეცნიერო კომიტეტის წევრი. აღნიშნულ სიმპოზიუმზე ასევე იყო ძირითადი მომხსენებელი.

ე.ჯაყელის სამეცნიერო ინტერესის სფეროს წარმოადგენს ფარმაკოგნოზია, ეთნობოტანიკა, ეთნომედიცინა, ბიოქიმია. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი ნაშრომი, როგორც უცხოურ, ისე ადგილობრივ ჟურნალებში; არის ერთ-ერთი ავტორი მონოგრაფიისა: *„აჭარაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეები და მათი ბიოეკოლოგია". მისი* სამეცნიერო კვლევების ძირითადი ნაწილი ეძღვნება აჭარაში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების ფარმაკობოტანიკურ შესწავლას და მათ გამოყენებას ეთნომედიცინაში.

აქტიურად მონაწილეობს დეპარტამენტის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. არის ქართული ფარმაციის დღისადმი მიძღვნილი არაერთი ღონისძიების, ასევე აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტური ვორქ-შოპების ავტორი და ორგანიზატორი. მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები მონაწილეობენ სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციებში. გავლილი აქვს პროფესიული განვითარების ტრენინგები.

2015-2016 წწ ასრულებდა ფარმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობას. ე.ჯაყელი აქტიურად მონაწილეობდა ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და აკრედიტაციისათვის მომზადებაში (2012 და 2020 წწ.).

წარმატებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის ე.ჯაყელი 2010 და 2015 წლებში დაჯილდოებულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო სიგელით. მიღებული აქვს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მადლობები: სამეცნიერო-სასემინარო თემების მომზადებასა და პრეზენტაციაში აქტიური მონაწილეობისათვის; საჯარო სკოლებში განხორციელებული კამპანიის - „პროფესორები მოსწავლეებისათვის" ფარგლებში, საჯარო სკოლებში წაკითხული საჯარო ლექციებისათვის; ასევე სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში სტუდენტთა ჩართულობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ალექსანდრე თიროშვილი
(1889-1979)



აჭარაში მომუშავე ქართველ პროვიზორთა შორის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო. იგი ბათუმში დაიბადა 1889 წელს, სწავლობდა ბათუმის ქართულ სკოლაში, შემდეგ კლასიკურ გიმნაზიაში. 1905 წელს მოსწავლეთა მასობრივ გამოსვლებში აქტიური მონაწილეობისათვის გიმნაზიიდან გარიცხეს „მგლის ბილეთით", რის გამო ერთხანს ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება.

ამის შემდეგ თვითონ ალ. თიროშვილს მოვუსმინოთ: „ერთ დღეს გიორგიმ მითხრა, „ბიჭო, ვიმეცადინოთ და დროებით დავიწყოთ სადმე მუშაობაო". გადავწყვიტეთ, პეტკევიჩის აფთიაქში დაგვეწყო მუშაობა. პეტკევიჩი ქართველებისადმი არ იყო კარგად განწყობილი, მაგრამ ქალაქის თავ ანდრონიკაშვილის პროტექციით მიგვიღო. მაშინდელ აფთიაქებში არც ერთი ქალი არ მუშაობდა. ჩვენ გაგვიტაცა მუშაობამ. აფთიაქის პატრონმაც შეხედა, რომ შეგვიყვარდა ეს დარგი, ხელს გვიწყობდა და დაგვინიშნა თითოს 50 მანეთი ოქროთი თვეში. მაშინ ეს დიდი ფული იყო.

ეს იყო 1911 წელს. ამგვარად ვმსახურობდი 3-4 წელიწადს, მაშინ ფარმაცევტული ინსტიტუტები არ არსებობდა და რომელიმე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტთან არსებობდა ფარმაცევტული განხრა. მე გავემგზავრე ხარკოვში. წამოვიდა იონა კვეკვესკირიც. 1915 წელს პირველი მსოფლიო ომის მიწურულს ჩავაბარეთ ფრიადზე და დიპლომებით დავბრუნდით ისევ ბათუმში. მხოლოდ პეტკევიჩის აღარ იყო ის აფთიაქი და მიეყიდა გიორგი ავალიანისთვის.

მუშაობა დავიწყე ავალიანის აფთიაქში, ეს იყო 1916 წელი. გასაბჭოების შემდეგ ვმუშაობდი სხვადასხვა აფთიაქში, ჯერ რეცეპტორად, შემდეგ კი გამგედ პირველი აფთიაქის, მესამე აფთიაქის,

მეხუთე აფთიაქის, წყლოსანთა აფთიაქის, აჭარსამედვაჭრობის გამგედ, გადამიყვანეს თბილისის მეოცე აფთიაქის გამგედ და ასე გადავყავდი სხვადასხვა აფთიაქის გამგედ. ბოლოს დამნიშნეს აჭარის აფთიაქების რევიზორად, სადაც ვიმუშავე სამ წელიწადს. შემდეგ შეთავსებით დამნიშნეს სამშობიარო სახლის აფთიაქის გამგედ. სულ აფთიაქების ხაზით ვიმუშავე 63 წელს"(ალექსანდრე თიროშვილი, „ჩემი მოგონებები", წიგნ. „მოგზაურობა ძველ ბათუმში", გაზეთი „ბათუმელები", 2014, გვ.194).

ალექსანდრე თიროშვილი იყო ცოცხალი მატიანე, შესანიშნავი მეხსიერების მქონე და მრავალი ამბების მომსწრე, ამავე დროს ულამაზესი გარეგნობისა და საოცარი ხიბლის მქონე ადამიანი. აი, რას ჰყვება მის შესახებ ცნობილი ჟურნალისტი ვლადიმერ დარჩია (გაზ."აჭარა", N87, 9 მაისი, 2003):

„არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ჩვენი ზღვისპირა ქალაქის ქუჩებში, უმეტესად კი ბულვარის სანაპიროზე ხშირად ვხვდებოდით ულამაზესი გარეგნობისა და ვაჟკაცური ხიბლის ხანდაზმულ მამაკაცს. ასაკის მიუხედავად, იგი მითიურ აპოლონს ჰგავდა, დიახ, - ულამაზესი ბაბუა! კეთილშობილების სხივებსაც აფრქვევდა ირგვლივ.

კეთილი განწყობილება და მისი მადლიანი ხელები სწორედაც იმისთვის იყო მოწოდებული, ტკივილები დაეამებინა ადამიანებისთვის, რადგან პროვიზორი გახლდათ, თავისი პროფესიის მეტრი. თავის ტკივლის საწინააღმდეგო იმდაგვარ ფხვნილებს ამზადებდა, მისი მიღების შემდეგ სწრაფად მოდიოდა შვება. ეს დღევანდელი მედიკამენტების „ეფექტიანობის" ფონზე უბრალოდ დაუჯერებელია. მერე რაოდენი ტაქტით ხვდებოდა კლიენტებს ეგრეთ წოდებული ბათუმის მეოთხე „წითელი ჯვრის" აფთიაქში. ამიტომ ბევრი მოქალაქე, პირველ რიგში, ამ სამედიცინო ობიექტებისკენ იღებდა გეზს, იცოდა წამლების გარდა, სასარგებლო

რჩევა-დარიგებებსაც მიიღებდა ბატონი ალექსანდრე (საშა) თიროშვილისაგან“.

აკაკი ჯაყელი
(1892-1954)



აკაკი ჯაყელი დაიბადა 1892 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ შრომაში. აქვე დაამთავრა საშუალო სასწავლებელი ფარმაციის განხრით და 1912 წლიდან საქმიანობას შეუდგა საქალაქო აფთიაქში მოწაფედ.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ა. ჯაყელი არმიაში გაიწვიეს, სადაც 1917 წლამდე ასრულებდა პოლკის აფთიაქის გამგის მოვალეობას. დემობილიზაციის შემდეგ, 1922 წლამდე ოზურგეთის აფთიაქს განაგებდა. შემდეგ ბათუმში გადავიდა და ერთერთ აფთიაქში რეცეპტარ-კონტროლიორად მუშაობდა. აქ ყოფნისას ჩაირიცხა თბილისის ფარმაცევტულ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1924 წელს მიიღო პროვიზორის თანაშემწის წოდება. 1941 წლამდე ბათუმში აგრძელებდა საქმიაქნობას, 29 ივნისს კი გაიწვიეს ნითელი არმიის რიგებში.

1942 წელს ა. ჯაყელი ტყვედ ჩავარდა, მაგრამ 1944 წელს სხვებთან ერთად ტყვეობას თავი დააღწია და იტალიელ პარტიზანებს შეუერთდა, უდინოს პროვინციაში შეიქმნა ქართველ პარტიზანთა 15-კაციანი ჯგუფი, რომელიც 5-კაციან ქვეჯგუფად დაიყო. ერთერთ ქვეჯგუფს აკაკი ჯაყელი მეთაურობდა. ამ ჯგუფმა სტალინის სახელობის პარტიზანთა ბატალიონისათვის მიუვალ მთებში, საველე პირობებში, გამოქვაბულში ჩამოაყალობა 32-საწოლიანი პარტიზანული ლაზარეთი, სადაც ფარმაცევტის მოვალეობას ა. ჯაყელი ასრულებდა. ამ ლაზარეთში ერთი წლის განმავლობაში მკურნალობა გაიარა 250-მა დაჭრილმა, მათ შორის 50-ს მძიმე ჭრილობები ჰქონდა.

სტალინის სახელობის ბატალიონმა და მისმა ლაზარეთმა დიდი სამსახური გაუწია იუგოსლავიის მებრძოლებს, რის გამოც ანტიფაშისტური ვეჩეს წარმომადგენლობამ აკაკი ჯაყელი დააჯილდოვა მედლით „მამაცობისათვის“.

ა.ჯაყელი პროფესიული საქმიანობის გარდა აქტიურად მონაწილეობდა პარტიზანულ ბრძოლებში, დივერსიულ საქმიანობაში, რისთვისაც მას არაერთხელ გამოუცხადეს მადლობა. ეს მადლობები დოკუმენტებითაც არის დადასტურებული, რომლებიც 1958 წელს ნ. ი. ჭეიშვილმა გამოაქვეყნა თავის წიგნში „ქართველი პარტიზანები ფაშისტებისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“ (ბათუმი. 1958. გვ. 61-69).

აკაკი ჯაყელი საბრძოლო დიდებით დაბრუნდა სამშობლოში და 1954 წლის 18 სექტემბერს გარდაიცვალა, დაკრძალულია ქობულეთში.

ნოდარ სუსარეიშვილი
(1931-2021)



აჭარის ფარმაცევტთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი და დამსახურებული პროვიზორი, ფარმაცევტთა ასოციაციის საპატიო წევრი, ჯანდაცვის „ფრიადოსანი“ ნოდარ სუსარეიშვილი.

დაიბადა 1931 წ. 14 მარტს ქ. ბათუმში. 1950 წელს დაამთავრა ორთაბათუმის საშუალო სკოლა. 1956 წელს კი-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი. იმავე წელს განაწილებით დაიწყო მუშაობა ქ. როსტოვის აფთიაქში, შემდეგ გადაიყვანეს ქ. ნოვოჩერკასკის პირველი კატეგორიის აფთიაქში ქიმიკოს-ანალიტიკოსის თანამდებობაზე.

1958 წელს მუშაობა დაიწყო ქ. ქობულეთის აფთიაქში, 1959 წ. გადაიყვანეს დაგვის აფთიაქის, შემდეგ გონიოს აფთიაქის გამგედ.

1963 წელს დაინიშნა აჭარის სააფთიაქო სამმართველოს ცენტრალური საწყობის გამგედ, შეთავსებით მუშაობდა მახინჯაურის აფთიაქის გამგედ.

1979 წლიდან 1982 წლამდე მუშაობდა ქ. ბათუმის N 4 აფთიაქის გამგედ, შემდეგ 1983 წლამდე მუშაობდა ოჩხამურის აფთიაქის გამგედ, საიდანაც დააწინაურეს ქ. ბათუმის N2 აფთიაქის მმართველის თანამდებობაზე. 1987-1990 წწ. მუშაობდა ჩაქვის აფთიაქის გამგედ.

1995 წელს ნ. სუსარეიშვილი გავიდა დამსახურებულ პენსიაზე და მუშაობა გააგრძელა კერძო სექტორში შპს „რაჟიკოს“ დირექტორად.

1997 წლიდან მუშაობდა აჭარის წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. 2003 წლიდან კი კვლავ კერძო სექტორში გააგრძელა საქმიანობა.

საკმაოდ მწარე ხვედრი არგუნა ბედმა. ჯერ იყო და შვილი მანუჩარი გარდაეცვალა, შემდეგ მეუღლე-მაგული, შემდეგ მეორე ვაჟი-შვილი - კახაც უდროოდ გარდაიცვალა. კახა ექიმი იყო და დიდხანს მუშაობდა ქ. ბათუმის N1 საავადმყოფოში მიმღები განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

ნოდარ სუსარეიშვილის ხანგრძლივი და დაუღალავი საქმიანობა ფარმაციის დარგში ხელისუფლებამ სათანადოდ დააფასა. იყო საქართველოსა და აჭარის დამსახურებული პროვიზორი, საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის „ფრიადოსანი".

ნ. სუსარეიშვილი მთელი ცხოვრების მანძილზე მხნეობას არ ჰკარგავდა, ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობდა. სიამაყითა და სიხარულით ატარებდა საქართველოსა და აჭარის საპატიო მონადირის ტიტულს.

ნორა ჭყონია

1949-52 წლებში სააფთიაქო სამმართველოს აჭარის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ნორა ბარანაბის ასული ჭყონია (1918-1980). დაიბადა ქ. ბათუმში, აქვე დაამთავრა რკინიგზის საშუალო სკოლა და 1935 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის ფარმაცევტული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს, მუშაობა დაიწყო ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ლაბორატორიაში ლაბორანტად.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ნ. ჭყონია მუშაობდა №4 და №3 აფთიაქების მმართველად, ხოლო 1949 წელს ახალგაზრდა პროვიზორი საქართველოს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს აჭარის განყოფილების მმართველად დააწინაურეს. ნ. ჭყონიას მუშაობის პერიოდში, 1950 წელს აჭარის აფთიაქებში დაინერგა ექსპრესანალიზის მაგიდების მუშაობა, მომდევნო წლებში კი გაიხსნა საკონტროლო-ანალიზური კაბინეტები.

1952-55 წლებში ნ. ჭყონია განყოფილების ფარმინსპექტორია, შემდეგ №4 აფთიაქის მმართველად გადაჰყავთ, ხოლო 1959 წლიდან გარდაცვალებამდე №5 აფთიაქის მმართველი იყო.

ნ. ჭყონია აქტიურად მონაწილეობდა აჭარის ფარმაცევტთა საზოგადოების საქმიანობაში. მისი ინიციატივით ამ დარგში დაინერგა მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები.

ნ. ჭყონია დაჯილდოებული იყო მედლებითა და სიგელებით, მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული პროვიზორის საპატიო წოდება.

ოთარ ბზიკაძე
(1930-2012)



ოთარ კირილეს ძე ბზიკაძე დაიბადა 1930 წლის 14 ივნისს ქ. ბათუმში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ მიენიჭა პროვიზორის კვალიფიკაცია.

1955-1980 წლებში მუშაობდა საქართველოს სააფთიაქო სამმართველოს აჭარის განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1980 წელს დაინიშნა ბათუმის საშუალო სამედიცინო სასწავლებლის დირექტორად, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა.

სხვადასხვა პერიოდში ო. ბზიკაძე საათობრივი დატვირთვით მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში და აჭარის წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის კურსებზე ფარმაკოლოგიის მასწავლებლად. 30 წელზე მეტხანს ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. გავლილი ჰქონდა სამედიცინო საქმის ორგანიზატორობის ციკლით კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები მოსკოვსა და ლენინგრადში, რაც შემდგომში წარმატებულად გამოიყენა აღზრდისა და მართვის ახალი მეთოდების დანერგვაში. გამოცემული აქვს სახელმძღვანელო სამედიცინო კადრებისათვის „ფარმოკოლოგია რეცეპტურით“ და ნაშრომი „სასარგებლო რჩევები“.

ოთარ ბზიკაძე მრავალი ათეული წელი კეთილსინდისიერად ემსახურა აჭარაში ფარმაცევტული და სამედიცინო საქმის განვითარებას, მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით საფუძველი ჩაეყარა სამედიცინო კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში რიგი ახალი მეთოდების დანერგვას.

სამედიცინო საქმიანობაში შეტანილი ღვაწლისა და მრავალმხრივი პედაგოგიური და ორგანიზატორული მოღვაწეობისათვის ოთარ ბზიკაძე დაჯილდოებული იყო აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ასევე საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსნის დიპლომით. მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული პროვიზორის და უმაღლესი კატეგორიის ფარმაცევტ-ორგანიზატორის წოდება. იყო აჭარის ფარმაცევტთა კავშირის საპატიო წევრი.

ამირან შამილაძე
(1952-2019)



ამირან ჯიმშერის-ძე შამილაძე დაიბადა 1952 წლის 4 მაისს ქ. ბათუმში. მამა-ჯიმშერ შამილაძე ჟურნალისტი, ხოლო დედა ქეთევან ჩიქოვანი პედაგოგი იყო. 1967 წელს დაამთავრა ბათუმის N1 საშუალო სკოლის რვა კლასი, მე-9 კლასიდან კი სწავლა გააგრძელა ქ. კიევის N138 საშუალო სკოლაში, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ ჩაირიცხა ქ. ხარკოვის ფარმაცევტულ ინსტიტუტში.

ა. შამილაძის ნიჭიერება და მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენილა ინსტიტუტში. სწავლის პარალელურად მუშაობდა ტოქსიკოლოგიური ქიმიის კათედრაზე ლაბორანტად. ეს სტუდენტისათვის დიდი ნდობა და აღიარება იყო.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ა. შამილაძემ ორი წელი იმსახურა საბჭოთა არმიის რიგებში.

1977 წელს ა. შამილაძემ მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის რაიონის ცენტრალურ აფთიაქში მმართველის მოადგილის თანამდებობაზე. 1980 წელს დაინიშნა ქ. ბათუმის N1 აფთიაქის მმართველად, რომელსაც 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა.

ა. შამილაძე იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ფარმაცევტული საქმის თვალსაჩინო ორგანიზატორი, გამოცდილი და წარმატებული ბიზნესმენი. ქალაქის N1 აფთიაქში მუშაობის დროს სრულად წარმოჩინდა ა. შამილაძის ტალანტი. მან გულისხმიერებით, ყურადღებიანობით, თანადგომითა და დარგისადმი უსაზღვრო სიყვარულით არა მარტო მთელი აფთიაქის კოლექტივის, არამედ ფარმაცევტული საზოგადოებისა და ქალაქის მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა

ა. შამილაძე გარკვეული პერიოდი მუშაობდა აჭარის სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის დირექტორად, სადაც სრულად წარმოჩინდა მისი მენეჯერული და ბიზნეს ტალანტი, მიზანსწრაფვა და კომპეტენტურობა, ინოვაციებზე ორიენტირებულობა. იყო უღალატო მეგობარი და სხვებისგანაც ამასვე მოითხოვდა.

შემდგომ წლებში ა. შამილაძე ბიზნესით იყო დაკავებული. სადაც კი იმოღვაწა, ყველგან დატოვა ნათელი კვალი. მას პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებოდნენ. ამორან შამილაძეც ყველაზე დიდ სიმდიდრედ და ჯილდოდ სწორედ ამას თვლიდა.

1996 წელს ა. შამილაძე არჩეული იქნა აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის გამგეობის წევრად, ხოლო 2003 წელს- ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილედ. არჩეული იყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის მე-2 და მე-3 ყრილობების დელეგატად.

2004 წელს მიენიჭა აჭარის წლის საუკეთესო ფარმაცევტ-მარკეტოლოგის საპატიო წოდება.

გარდაიცვალა 2019 წლის 18 იანვარს.

ანა დანელია-ქიქავა
(1899-1937)



ფარმაციის ისტორიამ ბოლო დრომდე არ იცოდა 1937 წლამდე ვინ ასრულებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობას. ავთანდილ ქურხულმა სახ. უშიშროების არქივში მიაკვლია საბუთებს და დაადგინა, რომ ეს იყო ანა ათანასეს ასული დანელია-ქიქავა, მეუღლე ცნობილი საზოგადო მოღვაწის ჯემალ ქიქავასი, რომელიც 1937 წლის 29 სექტემბერს დახვრიტეს ბათუმში.

ანა დანელია დაიბადა 1899 წელს სენაკის მაზრის სოფ. ლეხაინდრაოში. იყო სკკპ წევრი. მას არ მიუღია სპეციალური განათლება, მაგრამ დაჯილდოებული იყო ბუნებრივი ნიჭით.

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ბათუმში და აჭარის სოფლებში გაიზარდა სააფთიაქო ქსელი, ამიტომ დღის წესრიგში დადგა ამ სფეროში ორგანიზაციული და საკონტროლო სამსახურის გაძლიერების საკითხი. ამასთან დაკავშირებით 1932 წელს გაუქმდა აჭარის ჯანსახკომთან არსებული ფარმაცევტული განყოფილება, როგორც ამ საქმისათვის გამოუსადეგარი და შეიქმნა საქართველოს ჯანსახკომის სააფთიაქო სამმართველოს აჭარის განყოფილება, მას ევალებოდა სააფთიაქო ქსელის მუშაობაზე, აგრეთვე დამზადებული წამლებისა და მზა პრეპარატების ხარისხზე კონტროლის დაწესება. განყოფილების პირველ დირექტორად დანიშნეს ანა ათანასეს ასული დანელია-ქიქავა. მისი ინიციატივით 1935 წელს გაიხსნა ქიმიურ-ანალიზური ლაბორატორია, მაგრამ ადგილზე საჭირო სპეციალისტის არყოფნის გამო ლაბორატორიის გასამართავად მან თბილისიდან მოიწვია

პროვიზორი ბარბარე კონსტანტინეს ასული ბენდიანიშვილი. 1936 წლის 10 აპრილიდან ლაბორატორია შეუდგა მუშაობას.

განყოფილებამ აჭარის აფთიაქებში მრავალი დარღვევა გამოავლინა. ზოგჯერ აფთიაქში პრეპარატებს ეტიკეტის გარეშე ინახავდნენ, არ აღნიშნავდნენ დამზადების ვადას და ა.შ. ასეთი მდგომარეობა სრულიად არ შეესაბამებოდა სააფთიაქო ქსელის გამართულ და სამართლებრივად კანონიერ საქმიანობას, ამიტომ ა. დანელია-ქიქავას თაოსნობით 1936 წლის ნოემბერში ბათუმში ჩატარდა სპეციალური თათბირი, სადაც დაისახა გზები არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ენთუზიასტ ქალბატონს დიდხანს არ დასცალდა სამსახური. 1937 წელს მას ბრალად დასდეს, რომ „სამი წლის განმავლობაში იცოდა კონტრრევოლუციური, ტროცკისტული, ტერორისტული ორგანიზაციის არსებობის შესახებ და იზიარებდა ამ ორგანიზაციის წევრთა შეხედულებებს".

საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის 1937 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით სსკ 58-11-12 მუხლებით ანა დანელია-ქიქავას სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიესაჯა, რაც 30 ოქტომბერს სისრულეში იქნა მოყვანილი.

თენგიზ ნაკაიძე
(1952-1988)



თენგიზ აკაკის ძე ნაკაიძე დაიბადა 1952 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანებში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სკოლის საქმეთა მმართველად. 1949 წელს დაამთავრა თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ქიმიურ ფარმაცევტულსაკონტროლო - ანალიტიკურ ლაბორატორიაში ლაბორანტ - ანალიტიკოსად. მალე ის საქართველოს მთავარი სააფთიაქოს სამმართველოს აჭარის განყოფილების მმართველის მოადგილედ, ხოლო 1952 წლიდან მმართველად დანიშნეს. 1975 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ ის აჭარის სააფთიაქო სამმართველოს უფროსია. 32 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თ. ნაკაიძე სააფთიაქო დარგს აჭარაში. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სააფთიაქო ქსელი, წამალთმომსახურება მიუახლოვდა მოსახლეობას, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში, მომზადნენ კადრები, აშენდა ახალი შენობები, ხოლო ძველ, ამორტიზირებულ შენობებს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. აფთიაქები აღიჭურვა ახალი ავეჯითა და ინვენტარ-მოწყობილობებით.

თ. ნაკაიძის მუშაობის პერიოდში ახალი აფთიაქები გაიხსნა: შუახევში, ხიხაძირში, ქობულეთში, დიოკნისში, ხელვაჩაურში, მახინჯაურში, ლეღვაში, მუხაესტატეში, ქობულეთში (№2) და ბათუმში (№8). აჭარის სააფთიაქო საწყობთან შეიქმნა გალენურ-საფასოო ლაბორატორია.

1982 წლიდან თ. ნაკაიძე სათავეში ჩაუდგა №4 აფთიაქს, რომელიც მისსივე თაოსნობით მთავრობის მიერ გადაცემულ შენობაში გაიხსნა. აფთიაქი დაკომპლექტდა თანამედროვე მოთხოვნების

დონეზე არსებული ყველა ინვენტარითა და მოწყობილობებით, აქვე დაინერგა ფარმაციის უახლესი მეთოდები.

თ. ნაკაიძე 7-ჯერ აირჩიეს ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, ჯანდაცვის ფრიადოსნის ნიშანი, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს და აჭარის დამსახურებული პროვიზორის საპატიო წოდება.

თეიმურაზ ფალავანდიშვილი
(1943-2003)



თეიმურაზ ფალავანდიშვილი დაიბადა 1943 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ გორგაძეებში. დაამთავრა ხალას საშუალო სკოლა. 1967 წელს დაამთავრა ხარკოვის ფარმაცევტული ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო აჭარის სააფთიაქო სამმართველოს საწყობის მიმღებ განყოფილებაში ფარმაცევტად, შემდეგ განყოფილების გამგედ გადაიყვანეს.

1969 წლიდან, 11 წლის განმავლობაში თ. ფალავანდიშვილი ხელმძღვანელობდა ხელვაჩაურის რაიონის ცენტრალურ აფთიაქს. 1980 წელს დაწინაურეს აჭარის სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 2 წლის შემდეგ უფროსად დანიშნეს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იღვაწა.

1990 წლიდან განხორციელებული რეორგანიზაციების შედეგად აჭარის სააფთიაქო სამმართველოს რამდენჯერმე შეეცვალა სახელი. ჯერ აჭარის საწარმოო გაერთიანება „ფარმაცია“ ეწოდა, შემდეგ სახელმწიფო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ფარმაცია“, 1995 წლის სექტემბრიდან ეს სახელწოდება კვლავ შეიცვალა და ფარმსაქმიანობისა და სამკურნალო საშუალებათა ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ინსპექცია ეწოდა. 1997 წელს კვლავ მოხდა რეორგანიზაცია და შეიქმნა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს წამლისა და ფარმსაქმიანობის დეპარტამენტი. შესაბამისად, თ. ფალავანდიშვილს ეკავა ხან გენერალური დირექტორის, ინსპექციის უფროსის, ბოლოს კი თავმჯდომარის თანამდებობა.

თ. ფალავანდიშვილი 21 წელი ხელმძღვანელობდა ფარმაცევტულ დარგს აჭარაში. დიდია მისი ღვაწლი აჭარის ფარმაცევტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მოსახლეობის წამალთდახმარების პროგრესული ფორმების

დანერგვის, თანამშრომლების შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში. თ.ფალავანდიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა მრავალი პროგრესული წამოწყება. 1985 წელს გაიხსნა ცენტრალური სააფთიაქო საწყობი, რომელიც განთავსდა იზოლირებულ, სამსართულიან შენობაში და აკმაყოფილებდა იმ დროისათვის არსებულ მაღალ სტანდარტებს. გაიხსნა ახალი აფთიაქები ქ. ბათუმში და რაიონებში, სტანდარტული ევროავეჯით აღიჭურვა ქედის, შუახევისა და ხულოს ათიაქები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქალაქისა და რაიონების აფთიაქების უმრავლესობას. 1986 წელს ბათუმში გაიხსნა საავადმყოფოთაშორისო აფთიაქი, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფდა აჭარის მსხვილ სტაციონარულ და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს მზა წამლებით, ექსტემპორალური წამლის ფორმებითა და სამედიცინო დანიშნულების საქონლით. აფთიაქში მოეწყო ასეპტიკური ბლოკი, სადაც საინექციო ხსნარებიც მზადდებოდა.

კადრების მოზიდვისა და ადგილზე დამაგრების მიზნით თ. ფალავანდიშვილის ორგანიზებით ხელვაჩაურის ცენტრალურ რაიონულ და ბათუმის საავადმყოფოთაშორისო აფთიაქებთან მოეწყო საერთო საცხოვრებლები, რამაც არაჩვეულებრივი შედეგები გამოიღო.

აჭარაში ფარმაცევტული საქმიანობის ამაგდარს, დარგის გამოჩენილ ორგანიზატორსა და მოღვაწეს თ. ფალავანდიშვილს სიცოცხლეშივე დაუფასდა მისი შრომა: 1985-87 წლებში არჩეული იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, 1991-96 წლებში კი-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად.

2002 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ საუკეთესო ფარმაცევტად აღიარა, ხოლო მედიცინის მუშაკთა დღესთან დაკავშირებით, ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში გაწეული ღვაწლისა და დამსახურებისათვის დაჯილდოვდა საპატიო მედლით.

ბადრი აბულაძე
(1956-2005)



ბადრი აბულაძე დაიბადა 1956 წლის 20 მაისს ხულოს რაიონის სოფ.ვაშლოვანში. 1973 წელს დაამთავრა ხულოს საშუალო სკოლა. 1981 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ხულოს ცენტრალურ რაიონულ აფთიაქში უფროსი პროვიზორის თანამდებობაზე. 1986-1987 წლებში მუშაობდა შუახევის რაიონული ცენტრალური აფთიაქის გამგედ. 1987 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ხულოს რაიონულ ცენტრალურ აფთიაქში მმართველის თანამდებობაზე.

ბადრი აბულაძე იყო კარგი პროფესიონალი და სამეგობრო კაცი, კარგი მეუღლე და ჩინებული მამა. სამი შვილი გაუზარდა ქვეყანას, მათგან ირა და ბექა აბულაძეები მამის პროფესიას ეზიარნენ, ცირა კი ეკონომისტ-ფინანსისტია. ბექა დღემდე მუშაობს ხულოს აფთიაქში, სადაც ადრე ცენტრალური რაიონული აფთიაქი იყო განთავსებული.

ყველგან, სადაც კი მუშაობდა, ბადრი დიდ სითბოსა და სიყვარულს თესდა. მას პატივს სცემდნენ და აფასებდნენ. იგი იყო კეთილი, უზომოდ თავაზიანი, სათნო და ერთგული. მუდამ ღიმილი ეფინა სახეზე. იცოდა ხელმოკლე, უმწეო და გაჭირვებული ადამიანების სატკივარის გულთან მიტანა და გაზიარება.

სწორედ სიკეთითა და სიყვარულით იცხოვრა ამ ქვეყნად ბადრი აბულაძემ. ბევრი ოცნება და სურვილი დარჩა აუხდენელი, მაგრამ დატოვა კვალი ნათელი, სახელი ლამაზი. დღესაც დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებენ მას.

გიორგი დობორჯგინიძე
(1932-2018)



გიორგი გაბრიელის ძე დობორჯგინიძე დაიბადა 1932 წლის 14 დეკემბერს ქ. ბათუმში, პედაგოგის ოჯახში. 1951 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის №1 ვაჟთა საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1956 წელს პროვიზორის კვალიფიკაციით. 1957 წლის ბოლომდე მუშაობდა დაბა ჩაქვის აფთიაქში რეცეპტარ - კონტროლიორის თანამდებობაზე. 1958-1971 წლებში მუშაობდა ქედის რაიონში ცენტრალური რაიონული აფთიაქის მმართველად. 1971-72 წლებში ქ. ბათუმის №5 აფთიაქში რეცეპტარ კონტროლიორის თანამდებობაზე, ხოლო – 1972-82 წლებში ქ. ბათუმის №2 აფთიაქში ჯერ დეფექტარის, შემდეგ კი აფთიაქის მმართველის მოადგილის თანამდებობაზე. 1982-87 წლებში გ. დობორჯგინიძე ხელმძღვანელობდა ქ. ბათუმის №9 აფთიაქს, ხოლო 1987-2001 წლებში მუშაობდა ბათუმის საავადმყოფოთაშორისო აფთიაქში ჯერ პროვიზორ-ტექნოლოგის თანამდებობაზე, შემდეგ კი სპეცმედბაზის საქონელმცოდნედ. გიორგი დობორჯგინიძე პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად ენეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც: 1991-92 წლებში ქ. ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1992-2001 წლებში კი ქ. ბათუმის უმაღლეს მრავალდარგობრივ საწარმოო-სასწავლო ინსტიტუტში.

გიორგი დობორჯგინიძე აქტიურად მონაწილეობდა ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში, სადაც წაკითხული აქვს მრავალი მოხსენება, მასვე ეკუთვნის რამდენიმე პუბლიკაცია პრესაში ფარმაციის აქტუალურ თემებზე.

2003 წელს გ. დობორჯგინიძე არჩეულ იქნა აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის საპატიო წევრად.

გ. დობორჯგინიძე დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“. მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის პროვიზორ-ორგანიზატორის წოდება.

უნდა აღინიშნოს ის, რომ გ. დობორჯგინიძეს მუშაობა უხდებოდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, რომელიც დღევანდელობისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაშინ აფთიაქის მთავარი ფუნქცია წამლის მომზადება იყო. აფთიაქებს უჭირდა, არ ჰქონდათ საკმარისი აპარატურა, ხელსაწყოები, საზომ-საწონი საშუალებები. ექსტემპორალური წამალთფორმების მომზადება ხშირად ხდებოდა პრიმიტიულად და ზოგჯერ ტექნოლოგიის დარღვევითაც კი. სწორედ ასეთ გარემოში გამოვლინდა გ. დობორჯგინიძის გამომგონებლობითი და რაციონალიზატორული ნიჭი. მან სრულყო გამოხდილი წყლის მიღების ტექნოლოგია, დანერგა ბიურეტული სისტემა, წამლების სასტერილიზაციო კობის აპარატის ნაცვლად ქედის აფთიაქში დანერგილი იქნა ელექტროსტერილიზატორი, ხოლო შემდგომ კი – ავტოკლავი.

გ. დობორჯგინიძე იყო შესანიშნავი ქართული ოჯახის მამა და ბაბუა. მისი მეუღლე – ქ-ნი ნათელა წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა აჭარის სააფთიაქო სამმართველოს საბუღალტრო – საფინანსო სამსახურს. შვილი ლევანი ქალაქში ცნობილი კარდიოლოგი და შესანიშნავი პიროვნებაა.

გურამ გოგელია
(1929-1979)



გურამ რაჟდენის-ძე გოგელია დაიბადა 1929 წლის 15 მაისს ლანჩხუთის რ-ის სოფ. მამათში. დაამთავრა ამავე სოფლის ათწლედი. 1951 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საფერშლო სკოლის ფარმაცევტული განყოფილება პროვიზორის თანაშემწე - ფარმაცევტის სპეციალობით და მიენიჭა პროვიზორის თანაშემწის კვალიფიკაცია.

გურამ გოგელია მუშაობას იწყებს აჭარის სააფთიაქო სამმართველოს სისტემაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფ. ახალშენისა და ქედის აფთიაქების გამგედ. 1974-1979 წლებში (გარდაცვალებამდე) მუშაობდა შუახევში რაიონული აფთიაქის გამგედ.

გურამ გოგელიამ 1968 წელს წარჩინებით გაიარა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრალურ სკოლასთან არსებული პროვიზორის თანაშემწეების კვალიფიკაციის ამაღლების ორთვიანი კურსები.

შუახევის რაიონის მოსახლეობას დღესაც ახსოვთ ყურადღებიანი, მოფუსფუსე, მცოდნე, გულისხმიერი ფარმაცევტი. გ. გოგელიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შუახევის რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში.

ემილია იაროში
(1931-2019)



ემილია ალექსის ასული იароში, დაიბადა 1931 წ. ბელორუსიაში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 1954 წელს დაამთავრა ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია ქ. მოსკოვში, აგროქიმიური სპეციალობით. სწავლის დამთავრების შემდეგ განაწილებით მოხვდა სამკურნალო და არომატული მცენარეების საკავშირო ინსტიტუტის (ВИЛАР) ამიერკავკასიის საცდელ სადგურში, ქ. ქობულეთში, სადაც მან იშრომა 2007 წლის ჩათვლით. აქ მან გაიარა სხვადასხვა თანამდებობრივი საფეხურები, ჯერ მეცნიერ-მუშაკის, შემდეგ უფროსი მეცნიერ-მუშაკის, შემდეგ ბიოქიმიისა და ბოტანიკის ლაბორატორიის გამგის. 1975 წელს ე. იაროშმა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოში მოზარდი ჩვეულებრივი ლეღვის ფიტო-ქიმიური შესწავლა“ და მიენიჭა ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მან ლეღვის ფოთლებისგან მიიღო პრეპარატი „ფურალენი“, რომელიც გამოიყენება ლეიკოდერმიების (ვიტილიგოს) სამკურნალოდ. ამ პრეპარატის შექმნისათვის ე. იაროშს მიეცა საავტორო მოწმობა.

1989 წელს ე. იაროშმა მიიღო საავტორო მოწმობა გამოკვლევისათვის-კატარანტუსში ალკალოიდების შემცველობაზე სხვადასხვა სტიმულატორების ზეგავლენა.

ბოლო წლებში განაგებდა ფიტოქიმიურ ლაბორატორიას. სამი წლის განმავლობაში ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს სამკურნალო მცენარეული ნედლეულის სტანდარტიზაციის, ფარმაკოლოგიისა და ფიტოთერაპიის განხრით.

მთავარი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები ლაბორატორიისა, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ე. იაროში, იყო სამკურნალო თვისებების მქონე ბიოლოგიურად აქტიური შენაერთების (ალკალოიდები, გლიკოზიდები, ფლავანოიდები და სხვ.) მოძიებისა და გამოკვლევის მიზნით საქართველოს ფლორის შესწავლა, ასევე რიგი მცენარეების ინტროდუქცია.

საცდელ სადგურში ერთ-ერთი პირველი ინტროდუცირებული მცენარე იყო ალოე, რომლისგანაც 1958 წელს მიღებული იქნა პრეპარატი -„სპირტით კონსერვირებული ალოეს წვენი". შემდგომ წელს ალოეს წვენის ბაზაზე შეიქმნა სხვა პრეპარატი - „ალოეს სიროფი რკინით" (ფერო ალოე).

1960 წელს ინტროდუცირებული პასიფლორის ბაზაზე შეიქმნა „პასიფლორის სითხოვანი ექსტრაქტი". ეს პრეპარატები სასწრაფოდ დანერგილი იქნა ბათუმის ქიმიურ ფარმაცევტულ ქარხანაში, ხოლო ე. იაროში და სხვები დაჯილდოვდნენ მადლობებით და ფულადი პრემიებით. ე. იაროშმა თავისი წვლილი შეიტანა ხარისშუბლას გავრცელების არეალების გამოვლენისა და დაზუსტების საქმეში. პლატიფილინის ყველაზე მაღალი შემცველობა აღმოჩნდა ხარისშუბლაში. რომელიც გავრცელებულია გომის მთაზე, ბახმაროში და ბაკურიანში.

ე. იაროშმა 1986 წელს მიიღო პატენტი გამოგონებისათვის - ჩაის ყლორტებში მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობის გაზრდაზე ჰიბერელინის ზეგავლენა. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოლ-პალას, ევკალიპტის, კალანხოეს, სათოვლიას, ცხენისკბილას, ხემაგარას თესლების, გინკო-ბილობას, ნესვის ხის და სხვა სამკურნალო მცენარეთა შესწავლისა და ინტროდუქციის საქმეში. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მონაწილეობა აქვს მიღებული 13 ფარმაკოპეის სტატიის შექმნაში და სხვა.

ნახევარ საუკუნეზე მეტი (57 წელი) იღვაწა ქალბატონმა ე. იაროშმა საქართველოში, ქართული ფარმაცევტული მეცნიერების მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან უბანზე. ის არ ყოფილა განე-

ბივრებული ჯილდოებითა თუ ხმაურიანი იუბილეებით. მოკრძალებითა და რუდუნებითი შრომით შექმნა საინტერესო და საჭირო სამეცნიერო შრომები, გამოკვლევები, აღმოჩენები. დიდი და საინტერესო ოჯახის პატრონი იყო. მისი ქმარი გეოდორ ივანეს ძე იაროში 40 წელი მუშაობდა ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა მეურნეობაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ე. იაროშის ფარმაცევტული პროფესია გააგრძელა ქალიშვილმა მარინა კალიგანოვამ, რომელიც ამჟამად ქ. მოსკოვში რამდენიმე აფთიაქის მფლობელია და შვილიშვილმა ალექსანდრა კალიგანოვამ, რომელიც ასევე ფარმაცევტად მუშაობს.

ვულფ ფეიგინი
(1889-1964)

აჭარაში სააფთიაქო საქმის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამ კუთხის მკვიდრს, ცნობილ პროვიზორს ვულფ ფეიგინს.

ვ. ფეიგინი დაიბადა დაბა ჩაქვში. საშუალო განათლება ბათუმში მიიღო და 1907 წელს მუშაობა დაიწყო სურამში აფთიაქის მოწაფედ. შემდეგ სიმონ ჯუღელის დახმარებით გადავიდა თბილისში პივარსკის აფთიაქში. 1910 წლიდან სწავლობდა ხარკოვსა და როსტოვში, სადაც 1917 წ. დაამთავრა აქ ევაკუირებული ვარშავის უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტი და დაბრუნდა ბათუმში.

საბჭოთა პერიოდში ვ. ფეიგინი მუშაობდა სხვადასხვა აფთიაქში გამგედ, პროვიზორად, საწყობის გამგედ, ფარმინსპექტორად.

ვ. ფეიგინი პროფესიულ საქმიანობას კარგად ათავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. 1917 წელს აირჩიეს ქ. ბათუმის ხმოსნად, სოციალურ – დემოკრატიულ პარტიას ეხმარებოდა ფურცლის დაბეჭდვასა და გავრცელებაში.

არჩეული იყო აჭარის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის და ჯანსახკომის კოლეგიის წევრად, ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტადად.

ვ. ფეიგინის ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი სტუდენტი, ის ასწავლიდა აგრეთვე ტექნიკუმის მოსწავლეებსაც, მისი ინიციატივით აჭარაში მრავალი სიახლე დაინერგა: სააფთიაქო ქსელს შემოუერთდა წითელი ჯვრის საუწყებო აფთიაქები.

ვ. ფეიგინი იყო მრავალი სტატიისა და სამეცნიერო შრომის ავტორი. მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო. 1961 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული პროვიზორის წოდება.

ზაქრო ბოლქვაძე
(1930-2017)



ზაქრო შუქრის ძე ბოლქვაძე დაიბადა 1930 წლის 14 აპრილს ხულოს რაიონის სოფ. ფაჩხაში. 1940 წელს სოფ. ფაჩხის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სოფ. წაბლანის 7 წლიან სკოლაში. 1942 წელს, სამამულო ომის დროს იგი იძულებული გახდა სწავლა მიეტოვებინა და მუშაობა დაეწყო სოფ. ფაჩხის კოლმეურნეობაში. 1947 წ. სწავლა გააგრძელა სოფ. ყინჩაურის 8 წლიან სკოლაში, რომლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ქ. ბათუმის საფერშლო სკოლაში.

1952 წელს კი ზ. ბოლქვაძემ სწავლა გააგრძელა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1957 წელს და მიენიჭა პროვიზორის კვალიფიკაცია.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო შუახევის რაიონის ცენტრალური აფთიაქის გამგის თანამდებობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის შუახევის რაიონის აფთიაქთან დაქვემდებარებული სააფთიაქო პუნქტები არ ფუნქციონირებდა. სწორედ ზ. ბოლქვაძის ინიციატივით გაიხსნა სააფთიაქო პუნქტები ჯერ სოფ. ჭვანაში და შემდეგსხვა სოფლებშიც.

1970 წელს ზ. ბოლქვაძე დაინიშნა ხულოს რაიონის ცენტრალური აფთიაქის გამგედ. რაიონის სააფთიაქო ქსელი მოიცავდა სოფ. ხიხაძირის, დიოკნისისა და ღორჯომის აფთიაქებს და 12 მეორე კატეგორიის სააფთიაქო პუნქტს, რომლებიც გახსნილი იყო საფერშო და საფერშლო-საბებიო პუნქტებშიც.

1989 წელს 60 წლის ასაკში ზ. ბოლქვაძე გავიდა პენსიაზე და გადავიდა სოფ. სხალთაში მის მიერვე გახსნილი კატეგორიის სააფთიაქო პუნქტის გამგედ, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ბოლქვაძე მთელი თავისი პროფესიული მოღვაწეობის მანძილზე დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა ხულოსა და შუახევის რაიონის მოსახლეობაში. დაჯილდოებული იყო ორდენებით, მედლებითა და საპატიო სიგელებით.

ზაქრო ბოლქვაძემ მოღვაწეობა დაიწყო მაშინ, როცა ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში ადგილობრივი ფარმაცევტული კადრები არ იყო. ის ამ მხრივ პირველია. მას უყვარდა მშრომელი ხალხი, იცოდა მიწის ფასი, გამრჯე მარჯვენის მადლი. ყოველთვის დიდი სითბოთი და თანაგრძნობით უწევდა დახმარებას მოქალაქეებს, მათი სატკივარი გულთან მიჰქონდა და თუ დეფიციტურ წამალს ვერ უშოვნიდა, მაშინ ისეთი ტკბილი და მოკრძალებული უარით გაისტუმრებდა, რომ თვითონ პაციენტი უხდიდა მადლობას შეწუხებისათვის.

ზაქრო ბოლქვაძემ ცხოვრება დაასრულა ვალმოხდილმა, ამაღლებულმა, შვილებითა და შვილიშვილებით გარშემორტყმულმა, მეგობრებითა და ახლობლებით გარემოცულმა.

მადლენა სარჯველაძე
(1926-1998)





მადლენა იპოლიტეს ასული სარჯველაძე დაიბადა 1926 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო ჩიბათში. წარჩინებით დაამთავრა ჩიბათის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა პროვიზორის კვალიფიკაცია. შრომითი საქმიანობა დაიწყო მახუნცეთის აფთიაქში გამგის თანამდებობაზე, შემდეგ წლების განმავლობაში მუშაობდა ქ. ქობულეთის და ოჩხამურის აფთიაქებში, ქ. ბათუმში N4 აფთიაქში. გარდაცვალებამდე, ბოლო 30 წლის განმავლობაში იყო მახინჯაურის აფთიაქის გამგე.

მადლენა სარჯველაძე იყო კარგი მეუღლე, დედა და ბებია. თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე, გულისხმიერი, სათნო ადამიანი. დღესაც მახინჯაურის მცხოვრებლები, ვინც მას იცნობდა, მას „მადლენ ექიმად“ მოიხსენიებს. იგი იყო აჭარის დამსახურებული პროვიზორი, პერსონალური პენსიონერი. მოღვაწეობდა ისეთი ცნობილი სპეციალისტების გვერდით, როგორებიც იყვნენ ნორა ჭყონია, ოთარ ბზიკაძე, ვიშნევსკი, თ. ფალავანდიშვილი, გ. დობორჯგინიძე, ა. ვინოკური, ვ.პიხოვკინა და სხვები.

გარდაიცვალა 1998 წლის 10 მაისს.

ფაცია პატარაია
(1920-2004)



ფაცია ვლადიმერის ასული პატარაია დაიბადა 1920 წლის 8 აგვისტოს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩიბათში. ჩიბათის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ თბილისის ფარმაცევტულ სამწლიან სასწავლებელში – რომლის დასრულების შემდეგ მომენიჭა პროვიზორის თანაშემწის წოდება.

1943 წლის 22 აგვისტოს მუშაობა დაიწყო ბათუმის №1 აფთიაქში ასისტენტად. სხვადასხვა დროს მუშაობდა №4 და №3 აფთიაქებში ასისტენტად, მოლარედ, მოანგარიშედ, დამფასოებლად, ხელზე გამყიდველად, რეცეპტარ-კონტროლიორად.

1970 წლიდან 1986 წლამდე (პენსიაში გასვლამდე) შეთავსებით მუშაობდა ქ. ბათუმის ინფექციურ საავადმყოფოში აფთიაქარის თანამდებობაზე.

ფ. პატარაიას მინიჭებული ჰქონდა სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტის წოდებით. დაჯილდოებული იყო: „საპატაიო ნიშნის ორდენით“ (1976), „შრომის გმირის წოდებით“ (1977) , ვ. ი. ლენინის 100 წლისთავთან დაკავშირებით „საიუბილეო მედალი“.

მიღებული ჰქონდა ი.ბ. სტალინის მადლობა ზურგში კეთილსინდისიერი მუშაობისათვის.

ილია გერაძე
(1895-1958)



ილია სერგოს ძე გერაძე დაიბადა 1895 წელს ქ. ქუთაისში, მოხელის ოჯახში. საშუალო სკოლა იქვე დაამთავრა, რის შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საფარმაცევტო ტექნიკუმში. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობდა ბათუმის აფთიაქებში. 1930 წელს ერთი წლით მიავლინეს ქ. მოსკოვში ფარმაცევტთა დახელოვნების კურსებზე. აქედან დაბრუნების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო ფარმაკო-ქიმიურ ინსტიტუტში. სწავლის პარალელურად მუშაობა №1 აფთიაქში ღამის მორიგედ.

1939 წელს ი. გერაძემ დაამთავრა ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტი და განაწილებით ჩამოვიდა ბათუმში, სადაც დანიშნეს №1 აფთიაქის გამგედ. ერთდროულად ფარმაკოლოგიას ასწავლიდა ბათუმის საფერშლო-საბებიო სკოლის მოსწავლეებს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ი. გერაძე ბათუმის მოსახლეობაში კითხულობდა ლექციებს სამოქალაქო თავდაცვის საკითხებზე. მისი ლექციები და გაკვეთილები გამოირჩეოდა სისადავით, ლაკონურობითა და დამაჯერებლობით. მოკრძალებული, ჩუმი უპრეტენზიო, მაგრამ თავისი საქმის ღრმა მცოდნე დაუვიწყარი შთაბეჭდილებას ტოვებდა მსმენელზე, ხოლო აფთიაქში მასთან კლიენტის მისვლა ნამდვილ ინტელიგენტი – მასპინძლის ოჯახში დახვედრას ემსგავსებოდა.

ი. გერაძის მეუღლე სოფიო ბათუმში კარგად ცნობილი ოჯახიდან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის გ. ხეჩინაშვილის და, ფარმაცევტი იყო.

თინათინ სარჯველაძე



თინათინ იპოლიტეს ასული სარჯველაძე დაიბადა ლანჩხუთის რ-ის სოფ. ზემო ჩიბათში 1933 წლის 11 სექტემბერს. დაამთავრა ჩიბათის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ქ. ბათუმის კოფეინის ქარხანაში ქიმიკოსად.

1974 წელს კოფეინის წარმოება შეწყდა. არსებული საწარმოს ბაზაზე შეიქმნა ქიმიურ -ფარმაცევტული ქარხანა (დირექტორი ა. კონცელიძე), სადაც თ. სარჯველაძე დაინიშნა ლაბორატორიის გამგედ, შემდეგ გადაყვანილი იქნა ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსად.

1992 წლიდან თ. სარჯველაძე აქტიურად ჩაება სასწავლო -საგანმანათლებლო პროცესში. ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა ფარმაციის კათედრა (გამგე- გივი სარჯველაძე), სადაც თ. სარჯველაძე ასწავლიდა ფარმაცევტულ ქიმიას.

მიუხედავად სიძნელეებისა, სიცივისა (კათედრა არ თბებოდა), უშუქობისა, უწყლობისა, იმდენად დიდი იყო ენთუზიაზმი, რომ კათედრამ შეძლო მრავალი მაღალკვალიფიციური კადრის მომზადება. შემდგომ წლებში, თ. სარჯველაძე პარალელურად რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელსა და კოლეჯში კითხულობდა ლექციებს და ატარებდა პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობებს ფარმაცევტულ ქიმიაში, არაორგანულ, ორგანულ და ანალიზურ ქიმიებში, ბიოქიმიასა და ტოქსიკოლოგიურ ქიმიაში.

სარჯველაძეების გვარმა რამდენიმე ცნობილი მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკი მისცა ფარმაციას. მათ შორის უნდა გავიხსენოთ პროფესორი გივი სარჯველაძე, პროფესორი-ოლია სარჯვე-

ლაძე (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), მადლენა სარჯველაძე-აჭარის დამსახურებული პროვიზორი, მახინჯაურის აფთიაქის გამგე წლების მანძილზე.

თინა სარჯველაძის შრომა და ღვაწლი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი თავის დარგსა და ქვეყანას უხმაუროდ, მაგრამ დიდი სიყვარულითა და შემართებით.

მაგული ხელაია



მაგული ბეგლარის ასული ხელაია დაიბადა 1946 წლის 22 დეკემბერს მოსამსახურის ოჯახში. 1953 წელს სწავლა დაიწყო რუსთავის №10 საშუალო სკოლაში, რომელიც 1964 წელს დაამთავრა.

1966 წელს სწავლა გააგრძელა აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც 1971 წელს დაამთავრა.

1971 წლის 1 ივნისს მუშაობა დაიწყო აჭარის სააფთიაქო სასამართლოს ქ. ბათუმის №3 აფთიაქში რეცეპტორ-კონტროლიორად, 1973 წლიდან კი - ამავე აფთიაქში დეფექტარად.

1981 წლის მაისიდან რეორგანიზაციამდე მუშაობდა შპს „მეცხოე აფთიაქის“ დირექტორის პოზიციაზე.

მ. ხელაიამ 1982 წელს გაიარა დახელოვნების კურსი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე ფარმაცევტული საქმის ორგანიზატორის ციკლით.

1987 წლის 24 ივლისს მიენიჭა მეორე კატეგორიის პროვიზორის წოდება.

მიღებული მაქვს დიპლომები, სიგელები.

აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის მიერ

2005 წელს ფარმაცევტთა დღესთან დაკავშირებით „წლის საუკეთესო ფარმაცევტის“ საპატიო წოდება მიენიჭა.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.

თამაზ ავალიანი



თამაზ ავალიანი დაიბადა 1956 წლის 3 აპრილს ქედის რაიონის სოფ. დანდალოში მოსამსახურის ოჯახში. 1973 წელს დაამთავრა ქედის რაიონის სოფ. გოგიაშვილების საშუალო სკოლა წარჩინებით და ერთი წელი ქ. ბათუმის №2 ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში იმუშავა.

1974 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე, 1975 წელს კი ამავე ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1980 წელს და მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის რაიონის სოფ. აჭარისწყლის აფთიაქში მმართველის თანამდებობაზე. 1985-1986 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის №7 აფთიაქში, ხოლო 1986-1987 წწ. ქ. ბათუმის საავადმყოფოთაშორისო აფთიაქში მმართველად.

1987-1991 წლებში თ. ავალიანი მუშაობდა აჭარის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 1991 წლიდან კი მუშაობას აგრძელებს საავადმყოფოთაშორისო აფთიაქში მმართველის თანამდებობაზე. 1995 წ. აღნიშნული აფთიაქის აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს რესპუბლიკურ ბაზად გადაკეთების შემდეგ თ. ავალიანი დაინიშნა დირექტორის თანამდებობაზე, ხოლო 1997 წელს ამ ორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა შპს „ვიტაფარმი“, რომლის გენ. დირექტორად თ. ავალიანი დაინიშნა.

2003-2004 წლებში თ. ავალიანი აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტმენტს ხელმძღვანელობს, 2004 წლის ოქტომბრიდან კი კვლავ შპს „ვიტაფარმში“ გააგრძელა მუშაობა გენ. დირექტორის თანამდებობაზე, სადაც იმოღვაწა 2012 წლამდე.

2012 წლიდან დღემდე თ. ავალიანი მუშაობს ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრის მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებების ბრუნვის სამსახურის უფროსად.

თ. ავალიანი ძირითადი საქმიანობის პარალელურად ეწეოდა საზოგადოებრივ და პედაგოგიურ საქმიანობას. 1982-1985 წლებში არჩეული იყო სოფ. აჭარისწყლის სასოფლო-საბჭოს დეპუტატად.

თ. ავალიანი არჩეული იყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის I (1996), II (2005), III (2014) და IV (2019) ყრილობების დელეგატად. 1996 წლიდან აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე და გამგეობის წევრია.

მაღალკვალიფიციური პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობისთვის თ. ავალიანს მიღებული აქვს არაერთი მადლობა, ასევე საქართველოს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ქების სიგელი ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის დარგში. ქართული ფარმაციის განვითარებაში და ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის დაჯილდოებულია აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის საპატიო სიგელით (2016).

თ. ავალიანი წლების მანძილზე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და ასწავლიდა სხვადასხვა საგანს ფარმაციის სპეციალობის სტუდენტებს ქ. ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტსა და ქ. ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტებში.

თ. ავალიანი არის შესანიშნავი ქართული ოჯახის მამა და ბაბუა. ჰყავს ოთხი შვილი და რვა შვილიშვილი. აღსანიშნავია, რომ მისი ქალიშვილები ნესტანი და ნათია მამის კვალს გაჰყვნენ, დაეუფლნენ ფარმაცევტის პროფესიას და საოჯახო ფარმაცევტული დინასტიის შექმნას ჩაუყარეს საფუძველი.

ლია ტურძელაძე



ლია ტურძელაძე დაიბადა 1952 წლის 5 აგვისტოს ქ. ბათუმში, პედაგოგის ოჯახში. 1959 წელს ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ქ. ამბროლაურში.

1969 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა წარმატებით და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1974 წელს და განაწილებით მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმის N1 აფთიაქში რეცეპტარ - კონტროლიორად, შემდეგ გადაიყვანეს დეფექტარის თანამდებობაზე.

1982 წელს ლ. ტურძელაძე სამუშაოდ გადაიყვანეს ბათუმის საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში პროვიზორ-ანალიტიკოსად. 1985 წელს ლ. ტურძელაძე დაინიშნა ქ. ბათუმის N2 აფთიაქის გამგედ, სადაც სამი წელი იმუშავა. აფთიაქი იყო პირველი კატეგორიის, წამლის მომზადების უფლებით. ემსახურებოდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებსაც.

1988 წელს მოხდა ქ. ბათუმის მე-2 და მე-4 აფთიაქების გაერთიანება. ლ. ტურძელაძე გადაიყვანეს გაერთიანებული მე-4 აფთიაქის მმართველის მოადგილედ, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში აფთიაქის მმართველად დააწინაურეს.

მე-4 აფთიაქი იყო პირველი კატეგორიის, განთავსებული ორსართულიან კაპიტალურ შენობაში. აფთიაქი იყო საჩვენებელი, მაქსიმალურად მიახლოებული სტანდარტებთან. სარეცეპტურო და სამარაგო განყოფილებებში დაცული იყო სანიტარულ-ტექნიკური ნორმატივები და აღჭურვილი იყო თანამედროვე სააფთიაქო ინვენტარით. აფთიაქი ემსახურებოდა სამამულო ომის მონაწილეებსა და ინვალიდებს, ასევე სამ წლამდე ასაკის ბავშვებს უფასოდ.

1998 წლის დეკემბერში ლ. ტურძელაძე დაინიშნა აჭარის წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც იმუშავა 2005 წლის 30 აგვისტომდე.

ლ. ტურძელაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ფარმაცევტთა და ექიმთა კონფერენციების მუშაობაში. სადაც კი იმუშავა, ყველგან იგრძნობოდა გამოცდილი პროფესიონალი, საქმეზე და დარგზე ორიენტირებული პიროვნება. სკოლებს შორის კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. დაჯილდოებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო სიგელით როგორც 2003 წლის საუკეთესო ფარმაცევტი. აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებულმა კავშირმა 2004 წელს მიანიჭა წლის საუკეთესო ფარმაცევტის საპატიო წოდება. მიღებული აქვს ფარმაცევტ-ორგანიზატორის სახელმწიფო სერტიფიკატი.

ინგა დავითაძე



ინგა ნოდარის-ასული დავითაძე დაიბადა 1979 წლის 9 მარტს შუახევის რაიონის სოფ. ოლადაურში.

1985 წელს სწავლა დაიწყო სოფ. ოლადაურის საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. დაამთავრა 1999 წელს წარჩინების დიპლომით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო შპს „ჰეკატეფარმში" სამკურნალო მცენარეების საფასოო განყოფილებაში უფროს ფარმაცევტად.

2000-2003 წწ. მუშაობდა აფთიაქ „მერკურში" ფარმაცევტის თანამდებობაზე.

2003-2010 წწ. მუშაობდა შპს „ჰეკატეს" სააფთიაქო ბაზაში ფარმაცევტის თანამდებობაზე.

2010-2015 წწ. მუშაობდა შპს „ჰეკატეს" N1 აფთიაქში ფარმაცევტის თანამდებობაძე, ხოლო 2015 წლიდან დღემდ მუშაობს იმავე აფთიაქის მთავარი ფარმაცევტის (მენეჯერის) თანამდებობაზე.

ძირითადი სამუშაოს პარალელურად ინგა დავითაძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში და შპს ბათუმის საზოგადოებრივ აკადემიაში, სადაც მიჰყავს „სააფთიაქო ფარმაციის" კურსი. ინგა დავითაძე არის მაღალკვალიფიციური, გამოცდილი პროფესიონალი. ფართოდაა ცნობილი მისი კონსულტაციები ფარმაკოთერაპიაში, რაც პაციენტთა დიდ მადლიერებასა და აფთიაქის წარმატებებს განაპირობებს. კოლეგებთან ურთიერთობაში ზედმიწევნით იცავს ფარმაცევტის ფიცის, ფარმაცევტული ეთიკისა და დეონტოლოგიის მოთხოვნებს, ამიტომაც თანამშრომლებს შორის სარგებლობს დიდი და დამსახურებული სიყვარულითა და ავტორიტეტით.

ინგა დავითაძის აქტიური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის იგი რამდენჯერმეა დაჯილდოებული საპატიო სიგელებით. 2014 წელს არჩეული იყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის III, ხოლო 2019 წელს IV ყრილობის დელეგატად.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

მზია ბერიძე



დაიბადა 1972 წლის 19 დეკემბერს ქ. ქობულეთში.

დაამთავრა ქ. ქობულეთის N3 საშუალო სკოლა წარჩინებით (1989); ქობულეთის სახელმწიფო ლიცეუმი, ფარმაცევტის სპეციალობით (2003).

მუშაობდა: ქობულეთის საყოფაცხოვრებო სამსახურის საგალანტერიო საამქროს უფროსად (1990-1994); ქობულეთის რაიონულ სახელმწიფო არქივში მეთოდისტად (1994-2007); 2007 წლიდან მუშაობას იწყებს შპს „ჰეკატე"-ს N2 აფთიაქში ფარმაცევტად, ხოლო 2010 წლიდან გადაყვანილი იქნა ამავე ფირმის N7 აფთიაქში, მთავარი ფარმაცევტის პოზიციაზე.

მ. ბერიძე მცოდნე, გულისხმიერი და საქმიანი პროფესიონალია. მომხმარებლები მას ენდობიან და მისი სჯერათ. აფთიაქში საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობა მაღალ პროფესიულ დონეზე აქვს აყვანილი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მაგული ცივაძე



დაიბადა 1966 წლის 28 მაისს, შუახევის რაიონის სოფელ ჭვანაში.

წარჩინებით დაამთავრა სოფელ ჭვანის საშუალო სკოლა (1982), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი, პროვიზორის სპეციალობით (1990), გაიარა ინტერნატურა ქ. ბათუმის N11 საავადმყოფოთაშორისო აფთიაქში (1990 -1991).

1992-1993 წწ. მუშაობდა შპს „ჰეკატეს" N1 აფთიაქში მმართველის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 1998 წ-დან ამავე აფთიაქის მმართველია. 2013-2015 წწ ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს აფთიაქის უფროსია, ხოლო 2015 წლიდან დღემდე ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის აფთიაქის მენეჯერია.

1996 წ. არჩეულ იქნა შპს „ჰეკატეს" პროფკომიტეტის თავმჯდომარედ. 2004 წელს არჩეული იქნა პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების I ყრილობის დელეგატად. 2004წ. მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროფკავშირის ქალთა კომიტეტ „ქომაგის" ფორუმში.

2001 წ. მიიღო ფარმაცევტ-ორგანიზატორის სახელმწიფო სერთიფიკატი.

2008 წლის მაისში მიიღო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სერტიფიკატი „სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები". პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქ. ბათუმის სამედიცინო კოლეჯში (1991-1993), ხოლო 1997 წლიდან ასწავლის ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

არის აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის წევრი, არჩეული იყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის მე-2 და მე-4 ყრილობების დელეგატად.

2004 წელს მიენიჭა „წლის საუკეთესო ფარმაცევტის" წოდება.

სხვადასხვა დროს დაჯილდოებულია სიგელებით: „დარგში ნაყოფიერი და მაღალკვალიფიციური საქმიანობისათვის“, „კომპანიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის“, „საქმისადმი ერთგულებისა და პროფესიონალიზმის გამო“, „წარმატებული საქმიანობისათვის“.

მაია მაზარაძე



დაიბადა 1980 წლის 6 ოქტომბერს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენში.

დაამთავრა ახალშენის საშუალო სკოლა (1986); ქ. ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი (2004).

2005 წელს მუშაობა დაიწყო შპს „მერკური“-ს აფთიაქში ფარმაცევტის თანამდებობაზე. 2006 წელს სამუშაოდ გადადის შპს „ჰეკატეს“-ს ფარმაცევტულ ბაზაში, ფარმაცევტის თანამდებობაზე. შემდეგ მუშაობდა შპს ჰეკატეს N5 აფთიაქში ფარმაცევტად (2009-2010), ხოლო 2010 წლის მარტიდან დღემდე მუშაობს შპს „ჰეკატეს“ N6 აფთიაქში მთავარი ფარმაცევტის პოზიციაზე.

აფთიაქი, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობს მ. მახარაძე, ერთ-ერთი მოწინავეა რეგიონში. მ. მახარაძე მაღალი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში. მისი კვალიფიციური კონსულტაციები და ფარმაცევტული ზრუნვა სამაგალითოა და წარმატების საწინდარიც.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სვეტლნა ნაკაშიძე



სვეტლანა ვლადიმერის ასული ნაკაშიძე დაიბადა 1954 წლის 1 ივნისს, ქედის რ-ნის დაბა ქედაში.

1971 წელს წარჩინებით დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა.

1974-75 წწ. მუშაობდა ქ. ბათუმის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში. 1975-78 წწ. მუშაობდა ქ. ბათუმის ტყავის ქარხანაში მზა პროდუქციის საწყობში.

1978 -1983 წწ. სწავლობდა ქ. მოსკოვის ი.მ. სეჩენოვის სახელობის N1 სამედიცინო ინსტიტუტში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე.

1983 წელს დაიწყო ფარმაცევტული საქმიანობა ქ. ბათუმის N1 აფთიაქში პროვიზორ-ტექნოლოგის თანამდებობაზე.

1984-90 წწ. მუშაობდა ამავე აფთიაქში სარეცეპტურო-საწარმოო განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო 1990-96 წწ. ამავე განყოფილების გამგედ.

1996 წელს ქ. ბათუმის N1 აფთიაქის ბაზაზე შეიქმნა შპს „ფარმაკი“, სადაც ს. ნაკაშიძემ მუშაობა გააგრძელა პროვიზორ-ტექნოლოგად, ხოლო 2012 წლიდან დღემდე მუშაობს შპს „ჰეკატეს“ აფთიაქში პროვიზორ-ტექნოლოგის პოზიციაზე.

ს. ნაკაშიძე გამოცდილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტია, კოლეგებს შორის სარგებლობს კარგი და დამსახურებული ავტორიტეტით. წამლის სააფთიაქო ტექნოლოგიის განხრით ის ერთერთი წამყვანი სპეციალისტია აჭარაში.

მიღებული აქვს ფარმაცევტ-ტექნოლოგის სახელმწიფო სერტიფიკატი.

ნანა მჭედლიშვილი



ნანა მჭედლიშვილი დაიბადა 1963 წლის 14 მაისს ქ. ხაშურში. 1970-80 წლებში სწავლობდა ქ. ხაშურის N1 საშუალო სკოლაში. 1982 წელს სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის N64 სამედიცინო სასწავლებელში (ფარმაციის განხრით), რომელიც დაამთავრა 1984 წელს წითელ დიპლომზე. 1984 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1989 წელს წარჩინების დიპლომით.

1989 წლის აგვისტოდან 1993 წლის ივნისამდე მუშაობდა ქ. ბათუმის N11 საავადმყოფოთაშორისო აფთიაქში პროვიზორ-ანალიტიკოსად.

1993 წლის ივნისიდან მუშაობას იწყებს შპს „ჰეკატეფარმის“ აფთიაქში პროვიზორად, ხოლო 2000 წლიდან მუშაობას აგრძელებს შპს „ჰეკატეს“ N1 აფთიაქში ფარმაცევტის პოზიციაზე.

2004 წლის ივლისიდან ინიშნება „ჰეკატეს“ ფარმაცევტული ბაზის მთავარ ფარმაცევტად. ამ თანამდებობაზე მუშაობდა 2015 წლის მაისამდე.

2015 წლის მაისიდან დღემდე კი შპს „ჰეკატეს“ მარკეტინგის განყოფილების მენეჯერია.

ნ. მჭედლიშვილი ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციებში. 1987-88 წლებში მის მიერ მომზადებულმა თემამ (პროფესორ ვ. ერიაშვილის ხელმძღვანელობით) ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე პირველი ადგილი დაიკავა.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის რამდენჯერმე დაჯილდოებულია საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრით. ჰყავს ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

ნანა პატარაია



დაიბადა 1964 წლის 15 აგვისტოს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩიბათში.

1981 წელს დაამთავრა სოფ.ჩიბათის საშუალო სკოლა. 1983 წელს დაამთავრა ქ. თბილისის საბაზო მე-3 სამედიცინო სასწავლებელი პროვიზორის თანაშემწის სპეციალობით.

1983 წელს მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის ცენტრალურ რაიონულ აფთიაქში ფარმაცევტის თანაშემწის თანამდებობაზე. 1985 წელს სამუშაოდ გადავიდა ქ. ბათუმის N1 აფთიაქში ხელზე გასაყიდი განყოფილების ფარმაცევტის პოზიციაზე. 1987 წელს ამავე განყოფილების ცვლის უფროსად დააწინაურეს.

1994 წლიდან დღემდე მუშაობს შპს „ჰეკატეს" N1 სათაო აფთიაქში ფარმაცევტის პოზიციაზე.

ნ. პატარაია მაღალკვალიფიციური, გამოცდილი ფარმაცევტია. კოლეგებს შორის სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით.

კომპანიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის შპს ჰეკატეს ადმინისტრაციის მიერ რამდენჯერმეა დაჯილდოებული საპატიო სიგელით (2010, 2014, 2015), ასევე დაჯილდოებულია სიგელით აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის მიერ დარგში ნაყოფიერი და მაღალკვალიფიციური საქმიანობისათვის (2008).

ჰობი: მოგზაურობა, პოეზია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ნანული მიქელაძე



ნანული მიქელაძე დაიბადა 1961 წლის 25 დეკემბერს შუახევის რაიონის სოფ. ნენიაში. 1980 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის სამედიცინო სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო შუახევის რაიცენტრალურ საავადმყოფოში საოპერაციო მედდის პოზიციაზე. 1985-1995 წლებში მუშაობდა სამხედრო ნაწილში სამედიცინო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

1995-1999 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე.

1999-2012 წლებში მუშაობდა შპს „გიოს“ აფთიაქში ფარმაცევტის პოზიციაზე. 2012 წლიდან მუშაობს ამავე აფთიაქში მთავარი ფარმაცევტის თანამდებობაზე.

ნ.მიქელაძემ თავი გამოიჩინა როგორც პროფესიის მოყვარულმა და მცოდნე პროფესიონალმა. იგი მომთხოვნია საკუთარი თავის მიმართ და ყურადღებიანია კოლეგებთან, პაციენტებთან, მომხმარებელთან ურთიერთობაში. ნ. მიქელაძე ყველგან და ყოველთვის პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ამიტომაც დამსახურებული ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს კოლეგებს შორის, საზოგადოებაში.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

ნინო თურმანიძე



ნინო ოთარის ასული თურმანიძე დაიბადა 1964 წლის 20 იანვარს შუახევის რ-ნის სოფ. სამოლეთში.

1981 წელს წარჩინებით დაამთავრა შუახევის რ-ნის უჩამბის საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც 1986 წელს წარმატებით დაამთავრა.

1986 წლიდან ეწევა პრაქტიკულ ფარმაცევტულ საქმიანობას. იყო ქ. ბათუმის N11 საავადმყოფოთაშორისო აფთიაქის ფარმაცევტ-ანალიტიკოსი (1986-1989); ხელვაჩაურის ც/რ აფთიაქის ფარმაცევტ-ტექნოლოგი (1989-1991); ამავე აფთიაქის სარეცეპტურო-საწარმოო განყოფილების გამგე (1991-1998); 1998 წლიდან მუშაობას იწყებს შპს „ჰეკატეში" ჯერ N1 აფთიაქში ფარმაცევტად (1998-1999), შემდეგ ფარმაცევტული ბაზის დირექტორის მოადგილედ (1999-2001).

2001 წლიდან მუშაობას აგრძელებს შპს „კარაბადინში" წამყვან ფარმაცევტად და აფთიაქის მენეჯერად (2001-2012); 2012 წელს ბრუნდება შპს „ჰეკატეს" სისტემაში, სადაც 2015 წლამდე მუშაობდა N5 აფთიაქის მთავარ ფარმაცევტად, შემდეგ გადაიყვანეს ამავე ფირმის ფარმაცევტული ბაზის მენეჯერის თანამდებობაზე, სადაც მუშაობს დღემდე.

ნინო თურმანიძე პარალელურად აქტიურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. ასწავლიდა ლათინურ ენასა და ფარმაკოლოგიის საფუძვლებს ხელვაჩაურის სამედიცინო კოლეჯში (1990-1995); ხოლო შემდეგ ქ. ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიურ ინსტიტუტში (1995-2004); მიღებული აქვს ფარმაცევტ-ორგანიზატორის სახელმწიფო სერტიფიკატი. არის უნიკალური დამწვრობის მალამოს ავტორი, რომელიც წარმატებით გამოიყენება, როგორც დამწვრობის, ასევე ტროპიკული წყლულების, დაინფიცირებული

ჭრილობების და პედიატრიაში-გამოყენების სამკურნალოდ. ამ მალამოთი 30 წელზე მეტია უშურველად ემსახურება რეგიონის და არამარტო რეგიონის მოსახლეობას.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

სოფიო ჭალალიძე



დაიბადა 1982 წლის 31 იანვარს ქ. ბათუმში. 1997 წ. დაამთავრა ორთაბათუმის საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა ქ. ბათუმის, პროფესიულ სამეცნიერო სასწავლო-საწარმოო ცენტრში, ფარმაცევტის სპეციალობით. კურსის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა.

2000-2002 წწ. იყო შპს „ტაის-ექსტრა"-ს შესყიდვების განყოფილების მენეჯერი.

2002-2004 წწ. შპს „ოვენ-ნ"-ის შესყიდვებისა და გაყიდვების მენეჯერი.

2004-2005 წწ. შპს „ფიტომაგი"-ს გაყიდვების მენეჯერი.

2005-2006 წწ. აფთიაქი „არნიკა"-ს მმართველის მოადგილე.

2007 წელს საცხოვრებლად საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო შპს „ბათფარმაში", მომარაგებისა და გასაღების განყოფილების მენეჯერის თანამდებობაზე.

2009 წლიდან დღემდე მუშაობს შპს „ჰეკატეში" მარკეტინგის განყოფილებაში წამყვან სპეციალისტად.

გავლილი აქვს საერთაშორისო სტანდარტების (ISO) კურსები მენეჯმენტისა და შიდა აუდიტის განხრით.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი

რამაზ მსახურაძე



რამაზ ზურაბის (ზაბითის) ძე მსახურაძე - დაიბადა ს. გომარდულში. 1981 წელს დაამთავრა ბარათაულის საშუალო სკოლა.

1981-1986 წლიბში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაციის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო შუახევის რაიონის ცენტრალურ აფთიაქში. 1988 წლიდან მუშაობას აგრძელებს ქედის რაიონის სოფ. მახუნცეთის აფთიაქის გამგედ, 1992 წლიდან სამუშაოდ გადაყავენ ქ. ბათუმის N10 აფთიაქის გამგედ. 1993 წლიდან 8 აფთიაქის გამგეა, 1996 წელს მან დააფუძნა შპს „გვირილა-2" და შექმნა სააფთიაქო საბითუმო ბაზა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

2010 წელს რამაზ მსახურაძემ ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში შექმნა საკალმახე მეურნეობა შპს „გურიის საკალმახე", 2011 წელს მან და მისმა მეგობრებმა დააფუძნეს სს „გომარდული" რომელიც აქტიურად მონაწილეობს შუახევის რაიონის სოფელ გომარდულში სამთო სათხილამურო კომპლექსის მშენებლობაში.

რამაზი აქტიური ქველმოქმედია. აღსანიშნავია მისი მონაწილეობა გამონათლევის წმინდა გიორგის, სოფ. ჭალის წმინდა სამების, ბათუმის დავით აღმაშენებლისა და სხვა ეკლესია - მონასტრების მშენებლობაში.

რამაზ მსახურაძეს ეკუთვნის აგრეთვე მწერალ რამაზ სურმანიძის წიგნის „ზეცასთან მოუბარის" გამოცემის ფინანსური უზრუნველყოფა. ეს წიგნი მხატვრულად ასახავს დიდი მწერლისა და მეცნიერი ასტრონომის აბუსერის ძე ტბელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

2014 წ. დააფუძნა შპს „ახალი ხედვა". აშენებული აქვს სამი 26 სართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი. 2016 წელს დააფუძნა შპს

„სახლი ხეივანში“ - გმირთა ხეივანში შარტავას N10-ში, ააშენა 33 სართულიანი სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსი.

2019 წლის 26 დეკემბერს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა (თავ-რე მაყვალა გონაშვილი) მიანიჭა ქართული კულტურის ქომაგის წოდება და გადასცა სათანადო დიპლომი.

რ. მსახურაძე აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის გამგეობის უცვლელი წევრია 1996 წლიდან. 2003 წელს მიენიჭა „წლის საუკეთესო ფარმაცევტ-მენეჯერის“ საპატიო წოდება. არჩეული იყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის მე-2, მე-3 და მე-4 ყრილობების დელეგატად.

რაფიელ ერისთავი

რაფიელ შამანდალის-ძე ერისთავი დაიბადა რაჭის მაზრის სოფელ ცეხში 1885 წელს. ჩვენთვის უცნობია სად მიიღო მან პირველდაწყებითი და საშუალო ფარმაცევტული განათლება. 1917 წელს ის გახდა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი.

1931 წელს ქედაში გაიხსნა პირველი აფთიაქი, სადაც მმართველის თანამდებობაზე გამოცდილი პროვიზორი რაფიელ ერისთავი გაამწესეს. ქედაში წასვლამდე რ. ერისთავი ბათუმის აფთიაქებში მუშაობდა ასისტენტის თანამდებობაზე. როგორც ირკვევა, რ. ერისთავი ქედაში 1937 წლამდე განაგრძობდა საქმიანობას და მოსახლეობაც ძალზე კმაყოფილი ჰყავდა. ექიმთა სიმცირის გამო იგი ხშირად ავადმყოფებს კონსულტაციებს უტარებდა და წამლებსაც უნიშნავდა, მაგრამ ის ამ საქმეს ჩამოაშორეს, როგორც „ხალხის მტერი“.

1937 წლის 30 სექტემბერს რ. ერისთავი დააპატიმრეს ქედაში. მის პირად საქმეში ჩაუწერიათ: „1936 წლიდან იყო წევრი აჭარის კონტრრევოლუციური მეამბოხე ორგანიზაციისა, რომელშიც გადაიბირა ქედის რაიონის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა“. წაყენებულ ბრალდებაში რ. ერისთავმა თავი დამნაშავედ არ ცნო. მიუხედავად ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სამეულის 1937 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10-11 მუხლით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. (ავთანდილ ქურხული. “...და რომ გახსოვდეს. თბილისი. 2004. გვ. 101, 102).

რ. ერისთავის შემდგომი ბედი და გარდაცვალების თარიღი ჩვენთვის უცნობია.

რეზო დოლბაია



რეზო დოლბაია დაიბადა 1931 წელს ხობის რაიონში, ფარმაცევტის ოჯახში. მისი მამა-სევერიან დოლბაია ხობის ცენტრალური აფთიაქის გამგე იყო, ხოლო დედა-დარეჯან ჟღენტი იმავე აფთიაქის ფარმაცევტის თანაშემწე.

ჭაბუკმა რეზომ მშობლების გავლენით ფარმაციის სპეციალობა აირჩია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი. ცოლად შეირთო თანაკურსელი დარეჯან ბიბილეიშვილი და ასე შეიქმნა დოლბაიების ფარმაცევტული დინასტია.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე რ. დოლბაიამ მუშაობა ქ. დონის როსტოვის მე-20 აფთიაქში დაიწყო. 1955-1959 წლებში მუშაობდა ბათუმის სამხედრო ჰოსპიტალში ფარმაცევტად.

1959 წლიდან საქმიანობას იწყებს აჭარის სააფთიაქო სამმართველოს სისტემაში ჯერ ბათუმის N1, N2 აფთიაქებში, შემდეგ სამმართველოს ფარმინსპექტორად, საიდანაც გადაიყვანეს ქ. ბათუმის მე-8 აფთიაქის გამგედ.

1992-1998 წლებში მუშაობდა აჭარის საწარმოო გაერთიანება „ფარმაციის" ფარმინსპექციის უფროსად, აჭარის წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

1998-2005 წლებში მუშაობდა ამავე დეპარტამენტში წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე.

2006 წლიდან დამსახურებულ პენსიაზეა.

2005 წელს არჩეული იქნა აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის საპატიო წევრად.

დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის 3-ჯერ (2004, 2006 და 2008 წლებში) იქნა დაჯილდოებული აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის სიგელით.

რეზო დოლბაიამ იმთავითვე მიიქცია ყურადღება როგორც ნიჭიერმა, თავის საქმეზე შეყვარებულმა ახალგაზრდამ. მან წესიერებით, პროფესიონალიზმითა და საქმისადმი ერთგულებით მნიშვნელოვანი კვალი დატოვა კოლეგებში, საზოგადოებაში.

რ. დოლბაიამ ნახევარ საუკუნეზე მეტი იღვაწა ფარმაცევტულ დარგში. იგი პროფესიულ ცოდნა-გამოცდილებას ყოველთვის უშურველად გადასცემდა ახალგაზრდა სპეციალისტებს და იყო კიდეც მათთვის მაგალითი.

რეზო დოლბაიას მოღვაწეობის შედეგი და სიმდიდრეა მრავალრიცხოვანი მადლიერი ავადმყოფი, მრავალი დაფრთიანებული ახალგაზრდა კოლეგა, შესანიშნავი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები და ზოგადად, კაცურად განვლილი ცხოვრების გზა.

რუსუდან გუგუშვილი
(1955-2015)



დაიბადა 1955 წლის 30 დეკემბერს დაამთავრა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის N2 საშუალო სკოლა (1972). ქ. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი (1978).

მუშაობდა ხელვაჩაურის რ/ც აფთიაქში ქიმიკოს-ანალიტიკოსად (1978-1982); ქ. ბათუმის N1 აფთიაქში რეცეპტ-კონტროლიორად, პარალელურად მუშაობდა ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს აფთიაქში ანალიტიკოსად (1982-1985); 1985 წელს გადადის ქ. ბათუმის N2 აფთიაქში სამარაგო განყოფილების გამგედ, ხოლო 1988 წლიდან გადაყვანილ იქნა ქ.ბათუმის N4 აფთიაქში სარეცეპტურო განყოფილების გამგის მოადგილედ.

1999 წლიდან გარდაცვალებამდე (2015) მუშაობდა შპს „ჰეკატეს" N1 აფთიაქში ფარმაცევტად.

აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებულმა კავშირმა 2006 წელს მიანიჭა „წლის საუკეთესო ფარმაცევტის" საპატიო წოდება და დააჯილდოვა დიპლომით.

რ. გუგუშვილი კოლეგებსა და მომხმარებლებს შორის სარგებლობდა დიდი და დამსახურებული სიყვარულით. პაციენტებს განსაკუთრებით მოსწონდათ მისი უნარი ინფორმაცია მიეწოდებინა მშვიდად, დამაჯერებლად და მაღალკვალიფიციურად.

რ. გუგუშვილს უხვად ჰქონდა მომადლებული ხელოვნების ნიჭი, სიყვარული და უნარი. ცეკვავდა შესანიშნავად. იგებდა ყველა შეჯიბრს. 2008 წელს ფარმაცევტებს შორის წლის საუკეთესო მოცეკვავის საპატიო წოდება მიენიჭა და აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის დიპლომით დაჯილდოვდა.

სერგო ძირკვაძე
(1936-2011)



სერგო ძირკვაძე დაიბადა 1936 წელს ხულოს რაიონის სოფ. დიოკნისში. 1953 დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. 1958 წელს ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ხულოს ცენტრალურ რაიონულ აფთიაქში რეცეპტარ-კონტროლიორის თანამდებობაზე.

1962-1993 წლებში მუშაობდა სოფ. დიოკნისის აფთიაქის გამგედ. 1993-1994 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის №10 აფთიაქის მმართველად. 1994 წლიდან პედაგოგირ სამუშაოზეა – ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის ზოგადი სამედიცინო დისციპლინების კათედრის ასისტენტია, 2000 წლიდან კი ამავე ინსტიტუტის ფარმაციის კათედრის დოცენტია. 2004 წლის დეკემბრიდან ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ფარმაციის კათედრის გამგეა.

2003 წლიდან ხელმძღვანელობს ფიტოთერაპიულ კომპანიას „სერგო ძირკვაძე“. სერგო ძირკვაძე ფარმაცევტული საქმის გამოცდილი ორგანიზატორია. მას 1984 წელს მიენიჭა უმაღლესი კატეგორიის პროვიზორის წოდება.

2001 წლიდან ფარმაცევტ-ორგანიზატორის სერტიფიკატის მფლობელია.

სერგო ძირკვაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო რამდენიმე მოწვევის სოფ. დიოკნისის სასოფლო საბჭოს დეპუტატი. თავის დროზე ხელმძღვანელობდა ტერიტორიულ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს. არჩეული იყო აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის საპატიო წევრად.

ს. ძირკვაძეს შრომაში მიღწეული წარმატებები სათანადოდ დაუფასდა. დაჯილდოებულია მედლით, საპატიო სიგელებით.

1981 წელს მიენიჭა აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს დამსახურებული მუშაკის წოდება. 1991 წელს საქართველოს ხალხური მედიცინის ასოციაციამ მიანიჭა სახალხო მკურნალის წოდება.

სერგო ძირკვაძე არა მარტო კარგი პრაქტიკოსი, არამედ მეცნიერ-მკვლევარიც იყო, რომლის ამოცანასაც სამკურნალო მცენარეების შესწავლა, ხალხური მკურნალობის რეცეპტების გაშიფრვა და მათ საფუძველზე პრეპარატების შექმნა წარმოადგენდა. ამ მხრივ მან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია კიდეც. 2001 წელს რეგისტრაციაში გაატარა პრეპარატი „ძირკვაძის მალამო", კიდევ ორი პრეპარატი კი - კლინიკურ და ფარმაკოლოგიურ კვლევებს გადიოდა. არის ორი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

სერგო ძირკვაძე იყო თავმდაბალი, უშუალო, უბრალო, კეთილსინდისიერი. უყვარდა ფარმაცია და თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემდა ახალგაზრდა ფარმაცევტთა თაობებს.

ტარიელ ქარცივაძე



ტარიელ ბეჟანის ძე ქარცივაძე დაიბადა 1958 წლის 30 სექტემბერს შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურში.

1975 წელს დაამთავრა სოფელ ოლადაურის საშუალო სკოლა. ეწეოდა შრომით საქმიანობას სოფელ ოლადაურის კოლმეურნეობაში (1975-1977). იმსახურა საბჭოთა არმიაში (1977-1979).

1984 წელს დაამთავრა ქ. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯერ აჭარის სააფთიაქო სამმართველოს ცენტრალური სააფთიაქო ბაზის საექსპედიციო განყოფილების უფროსად (1984-1985), შემდეგ ხელვაჩაურის რაიონის ცენტრალური აფთიაქის მმართველის მოადგილედ (1985-1987), შუახევის რაიონის ცენტრალური აფთიაქის მმართველად (1987-1991), ხელვაჩაურის რაიცენტრალური აფთიაქის მთავარ პროვიზორად (1991-1992).

1992 წლიდან ეწევა კომერციულ საქმიანობას.

1992 წლიდან 2000 წლამდე იყო ფარმაცევტული კომპანია შპს „გიო"-ს დირექტორი

2002-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაში ფარმაციის მთავარი ექსპერტის პოზიციაზე.

2017 წლიდან დღემდე არის სამშენებლო კომპანია „ჩემი სახლი"-ს დირექტორი.

2017 წლიდან დღემდე არის სამშენებლო კომპანია „mix-ბათუმი"-ს დირეატორი.

2018 წლიდან დღემდე არის სამშენებლო კომპანია „გერ გრუპი"-ის გენერალური დირექტორი.

მისი ხელმძღვანელობით ქ. ბათუმში აშენდა და ექსპლუატაციაში გადაეცა 10 მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი, 3000-მდე საცხოვრებელი ბინა.

ტარიელ ქარცივაძე კომერციულ საქმიანობას კარგად უთავსებს საზოგადოებრივ აქტივობებსაც. არის აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის გამგეობის წევრი (1996 წ-დან), იყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის მე-3 და მე-4 ყრილობების დელეგატი. არის ქ. ბათუმის სახალხო აკადემიის საპატიო წევრი, ასევე ზურაბ გორგილაძის სახელობის ლიტერატურული პრემიებიებს ერთ-ერთი აქტიური სპონსორი.

ქართული კულტურის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის საქართველოს მწერალთა კავშირმა 2019 წელს მიანიჭა ქართული კულტურის ქომაგის წოდება.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

ამირან ცინცაძე



ამირან ნიკოლოზის-ძე ცინცაძე დაიბადა 1960 წლის 27 ოქტომბერს ბაღდათის რაიონის სოფ. წითელხევში. 1977 წელს დაამთავრა წითელხევის N1 საშუალო სკოლა. ორი წელი იშრომა სოფ. წითელხევის კოლმეურნეობაში მევენახედ. 1979 წელს ჩაირიცხა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამედიცინი ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე, 1980 წელს კი ჩაირიცხა იმავე ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის პირველ კურსზე, რომელის დაამთავრა 1985 წელს.

ა. ცინცაძე აქტიური სტუდენტური ცხოვრევით ცხოვრობდა. პარალელურად ისწავლა და დაამთავრა ახალგაზრდა ლექტორთა, თეატრისა და სპორტის მეორადი ფაკულტეტები.ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. არჩეული იყო ფარმაცევტული ფაკულტეტის პარტიული ბიუროს და სპორტული კომიტეტის წევრად.

1985 წელს ინსტიტუტის განაწილებით ა. ცინცაძემ მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმის N1 აფთიაქში ჯერ რეცეპტარ-ტექნოლოგად, შემდეგ სამარაგო განყოფილების გამგედ. ამ პერიოდშიც პარალელურად ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო სააფთიაქო სამმართველოს სახალხო კონტროლის თავმჯდომარე, პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე.

1987 წელს ა. ცინცაძე დაინიშნა ქ. ბათუმის N9 აფთიაქის გამგედ, რომლის პრივატიზების შემდეგ მის ბაზაზე შექმნა შპს „უკვდავა-ფარმი“ და დაინიშნა დირექტორად. დღემდე აგრძელებს ბიზნეს-საქმიანობას ამავე კომპანიაში.

ა. ცინცაძე აქტიურად მონაწილეობდა აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის საქმიანობაში. იყო ასოციაციის გამგეობის წევრი და საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე.

ა. ცინცაძე თამამად შეიძლება დავასახელოთ ეტთ-ერთ პირველ ფარმაცევტად, რომელმაც დანერგა ფარმაცევტული ზრუნვის

კონცეფცია. მადლიერი პაციენტები ასეთი ზრუნვის გამო ამირან ექიმსაც ეძახიან.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

ჭეთევან ღვინჯილია



დაიბადა 1978 წლის 8 ივნისს ქ. გროდნოში (ბელორუსია), მოსამსახურის ოჯახში.

დაამთავრა ქ. ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის N1 საშუალო სკოლის 9 კლასი, შემდეგ ბათუმის პედაგოგიური კოლეჯის სკოლამდელი და დაწყებითი აღზრდის ფაკულტეტი;

2002 წელს დაამთავრა ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის ტექნოლოგიის ფაკულტეტი;

2003 წელს დაამთავრა ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი.

2004 წელს მუშაობა დაიწყო შპს „ჰეკატეში" ფარმაცევტის თანამდებობაზე. 2007 წლიდან გადაყვანილი იქნა გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახურში მენეჯერის პოზიციაზე, 2018 წლიდან მუშაობს შპს „ჰეკატეს" მარკეტინგის განყოფილებაში ფარმაცევტ-ოპერატორის პოზიციაზე.

არჩეული იყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის მე-3 ყრილობის დელეგატად (2014).

ჰობი-კულინარია.

ჰყავს შვილები - ნიკო და ნინი მანველიძე .

შალვა პატარაია

პროვიზორთა ძველი თაობის წარმომადგენელი იყო შალვა ივანეს ძე პატარაია. შ. პატარაია დაიბადა 1919 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში. დაამთავრა სოფლის სკოლა, შემდეგ თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი.

1941 წელს ახალგაზრდა სპეციალისტი არმიაში გაიწვიეს და მიანიჭეს სამედიცინო სამსახურის კაპიტნის წოდება. იბრძოდა ჩრდილო კავკასიის ფრონტზე, 114-ე დივიზიის 805-ე პოლკში. ხელმძღვანელობდა ბრძოლის ველიდან დაჭრილთა გამოყვანას და ბრიგადების მედიკამენტებითა და სამედიცინო აღჭურვილობით მომარაგების საქმეს.

დემობილიზაციის შემდეგ შ. პატარაია აჭარაში ჩამოვიდა, აქვე დაოჯახდა და შეუდგა მშვიდობიან შრომას. წლების განმავლობაში იყო შუახევის, ჩაქვის და ქობულეთის რაიონული აფთიაქების მმართველი. ფაქტობრივად, მისი ხელმძღვანელობით დაარსდა აფთიაქი ახალგახსნილ შუახევის რაიონში ჯერ კიდევ 1952 წელს.

შ. პატარაიას დამსახურება აღინიშნა მთავრობის მრავალი ჯილდოთი, სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით და 16 მედლით. მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული პროვიზორის საპატიო წოდება.

შოთა აფხაზავა
(1918-2017)



სამამულო ომის მონაწილე პროვიზორთა შორის ერთ-ერთი ცნობილი ორგანიზატორია შოთა აფხაზავა. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში დაბადებულმა (1918 წ.) პირველდაწყებითი განათლება სოფელში მიიღო. შემდეგ სწავლა ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში გააგრძელა, რომელიც დაამთავრა 1937 წელს.

1942 წელს შ. აფხაზავამ დაამთავრა ქ. თბილისის ფარმაცევტული ინსტიტუტი და მუშაობას შეუდგა ბათუმის №1 აფთიაქის მმართველის მოადგილედ, შეთავსებით სამედიცინო სასწავლებლის ფარმაკოლოგიის მასწავლებლად.

1944 წლის დასაწყისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, ახლად დაოჯახებული შ. აფხაზავა სამუშაოდ გაუშვეს ქლუხორის რაიონული აფთიაქის მმართველად, როგორც ცნობილია, სწორედ ამ წელს მოხდა ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ყარაჩაევო-ჩერქეზეთის მოსახლეობის სრული დეპორტაცია შუა აზიის რესპუბლიკებში, ამიტომ ამ რეგიონების წარმოება-დაწესებულებები ივსებოდა სხვა რესპუბლიკებიდან მოწვეული სპეციალისტებით. აქ შ. აფხაზავა 1949 წლამდე დარჩა. ბათუმში დაბრუნებულ სპეციალისტს მუშაობა არც კი ჰქონდა დაწყებული, როცა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის უწყება მოუვიდა. შ. აფხაზავას მიანიჭეს ლეიტენანტის წოდება და ამიერკავკასიის საავიაციო არმიაში, კერძოდ ბათუმის ავიაგამანადგურებულ დივიზიაში აფთიაქის უფროსად დანიშნეს. ამ დივიზიაში სამი ავიაპოლკი შედიოდა: ბათუმის, მერიისა და ცხაკაიასი. სამი წლის შემდეგ კაპიტნის ჩინით შ. აფხაზავა ბათუმის გარნიზონის სამედიცინო მომარაგების უფროსად გადაიყვანეს.

1959 წელს ნ. ხრუშჩოვის ნებით ქართული დივიზიის დაშლასთან დაკავშირებით, ავადმყოფობის მოტივით, შ. აფხაზავა თადარაგის მაიორის წოდებით, სამოქალაქო სამსახურს დაუბრუნდა. დაინიშნა სააფთიაქო საწყობის გამგედ, შემდეგ მუშაობა გააგრძელა ქ.ბათუმის №3 აფთიაქის გამგის თანამდებობაზე. შ. აფხაზავას ინიციატივით გაიხსნა ქ. ბათუმის №8 აფთიაქი, სადაც მმართველად თვითონ გადავიდა, შემდეგ ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა ქ. ბათუმის №1 აფთიაქში მმართველის თანამდებობაზე.

აფთიაქის შემდეგ შ. აფხაზავა მუშაობდა სააფთიაქო სამმართველოს ინსპექტორად, სავაჭრო-საწარმოო განყოფილების გამგედ, ახლად აშენებული აჭარის ცენტრალური სააფთიაქო საწყობის დირექტორის მოადგილედ (დირექტორი ვ. მახარაძე).

ღვაწლმოსილი და დამსახურებული პროვიზორი შ. აფხაზავა დაჯილდოებული იყო სამთავრობი ჯილდოებით, მედლებით, სიგელებით.

სააფთიაქო ქსელებში თითქმის 60 წლის ნაღვაწი კაცი გულისტკივილით ამბობდა, რომ აფთიაქებში აღარ იგრძნობა დამახასიათებელი სუნი, აღარ მზადდება ექსტემპორალური წამალთ ფორმები. ქვეყანა მზა წამლების ფარდულებმა მოიცვა და აფთიაქებმაც დაკარგა მთავარი დანიშნულება – ფარმაცევტული აზროვნება. ისინი სავაჭრო ობიექტებად გადაიქცა.

ნათია მახარაძე



დაიბადა 1981 წლის 27 ნოემბერს, ქალაქ ბათუმში.

1999 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის N14 საშუალო სკოლა წარჩინებით და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წითელ დიპლომზე 2004 წელს. ნ. მახარაძე იყო საქართველოში ფარმაციის უძემდებლის იოველ ქუთათელაძის სახელობის სტიპენდიანტი.

ნ. მახარაძემ 2004 წელს მუშაობა დაიწყო შპს „ჰეკატე PS"-ში ფარმაცევტის პოზიციაზე, ხოლო 2005 წელს გადაყვანილი იქნა შპს „ჰეკატე"-ს N1 აფთიაქში ფარმაცევტის თანამდებობაზე. 2006 წელს ნ. მახარაძე სათავეში ჩაუდგა შპს ჰეკატეს სააფთიაქო სუპერმარკეტს, რომელიც პირველი იყო საქართველოში ამ ტიპის დაწესებულებებს შორის. ამ ობიექტის მაღალ დონეზე ამოქმედების მიზნით, ჰოლანდიიდან კონსულტანტი იქნა მოწვეული. შედეგმაც არ დააყოვნა. მსგავსი დაწესებულება საქართველოს დედაქალაქში მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იქნა გახსნილი.

2012 წელს ნ. მახარაძე გადაიყვანეს ჰეკატეს მომარაგებისა და მარკეტინგის განყოფილების უფროსად, შემდეგ ერთხანს სასტუმრო ტაოს ხელმძღვანელობდა, 2021 წლის თებერვლიდან დღემდე ჰეკატეს საცალო საფთიაქო ქსელის მენეჯერია.

ნ. მახარაძე არის გამოცდილი და ღრმად განსწავლული პროფესიონალი, ახასიათებს გამორჩეულად მაღალი პასუხისმგებლობა, აკურატულობა და პუნქტუალობა. კოლეგებს შორის სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით.

ალი მჟავანაძე



ალი ისმაილის ძე მჟავანაძე დაიბადა 1943 წლის 28 თებერვალს ქედის რაიონის სოფელ ხარაულაში. სწავლა დაიწყო ადლიაში, მაგრამ მეორე კლასიდან ოჯახი გადაასახლეს ყაზახეთში (1952-1953), რის გამოც სწავლა იქ გააგრძელა. 1953 წლის ბრძანებით გადასახლებაში მყოფნი დააბრუნეს სამშობლოში, კერძოდ ქედის რაიონის სოფელ ხარაულაში. სწავლა დაასრულა 1961 წელს. სტაჟირებისთვის იმუშავა ბათუმში მშენებლობაზე, მუშად. 1964 წელს ჩააბარა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1968 წელს. იმავე წელს დანიშნა აჭარის სააფთიაქო სამმართველოს ქედის რაიონული აფთიაქის გამგედ.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ალი მჟავანაძე სიყვარულითა და რუდუნებით ემსახურება მშობლიურ რაიონს, საყვარელ დარგს. მრავალი სიხარულისა და გაჭირვების მომსწრეცაა, მაგრამ ფარხმალი არასოდეს დაუყრია, თავის თავში ნახულობდა ძალას დაეძლია წინააღმდეგობანი და გამარჯვებული გამოსულიყო. იგი სისტემატურად იმაღლებდა კვალიფიკაციასა და ცოდნის დონეს. 1979 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გაიარა სამ თვიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. 2003 წელს თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდა და მიენიჭა ფარმაცევტ-ორგანიზატორის სერტიფიკატი.

ალი მჟავანაძე დღესაც აგრძელებს კომერციულ საქმიანობას იმავე აფთიაქში, რომელიც შპს „ალიფარმის" სახელწოდებას ატარებს.

ალი მჟავანაძე კარგი მეოჯახეა. ყავს ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ვალიკო დიმიტრის ძე ცეცხლაძე



დაიბადა შუახევის რაიონის სოფელ დარჩიძეებში 1964 წლის 3 სექტემბერს.

1981 წელს წარჩინებით დაამთავრა დარჩიძეების საშუალო სკოლა. 1982 წელს ჩაირიცხა ქალაქ თბილისში სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, რომელიც დამთავრა 1987 წელს.

1987 წლის სექტემბრს მუშაობა დაიწყო შუახევის რაიონის ცენტრალურ აფთიაქში პროვიზორად.

იმავე წლის დეკემბრიდან 1990 წლის მაისამდე მუშაობდა შუბნის აფთიაქის გამგედ.

1990 წელს საცხოვრებლად გადავიდა ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა აჭყვაში, სადაც 1992 წლამდე მუშაობდა სოფლის აფთიაქის გამგედ. 1992-1993 წლებში მუშაობდა ქალაქ ბათუმში შპს „ესკულაპის“ აფთიაქის მენეჯერად. 1993-2001 წწ. მუშაობდა ქალაქ ბათუმის მედტექნიკის აფთიაქის მენეჯერად. 2001 წლიდან დღემდე მუშაობს ქალაქ ბათუმში შპს „ვალერიანის“ დირექტორად და აფთიაქის მენეჯერად. პარალელურად, 2006-2012 წლებში მუშაობდა შპს „კრისტალის“ სააფთიაქო ქსელის ბათუმის აფთიაქების მენეჯერად.

ვალიკო ცეცხლაძე პროფესიული საქმიანობის პარალელურად ეწეოდა საზოგადოებრივ და სოციალურად აქტიურ საქმიანობას. არჩეული იყო ქვედა აჭყვის სასოფლო საბჭოს დეპუტატად პოლიტიკური ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ სიით.

წლების მანძილზე უსასყიდლოდ ეწეოდა ახალი კურსდამთავრებულების პრაქტიკულ მომზადებას და ხელს უწყობდა მათი პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებას. მის აფთიაქში სტაჟირებული და პრაქტიკაგავლილი სპეციალისტები დასაქმებულები არიან ქალაქისა და რაიონების სხვადასხვა სააფთიაქო ქსელებში.

ჰობი: პოეზია, მუსიკა. ყავს მეუღლე, სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

მარინა გეგიძე



დაიბადა 1961 წლის 10 იანვარს ქ. ქობულეთში.

დაამთავრა სოფ. გვარას საშუალო სკოლა (1987), ლენინგრადის ფარმაცევტული სასწავლებელი (1988).

მუშაობდა ქ. ქობულეთის N2 სახელმწიფო აფთიაქში ფარმაცევტის თანამდებობაზე (1981-1995). ქობულეთის რაიონის ჩაქვის არასასოფლო საერო სკოლა-ლიცეუმში ექთან-დიეტოლოგად (1997-2006), სპს „ბადრი ქათამაძე და კომპ."-ში ფარმაცევტად (2006-2008).

2008 წლიდან 2020 წლამდე მუშაობდა ქ. ქობულეთში, შპს „ჰეკატეს" N2 აფთიაქში მთავარ ფარმაცევტად.

ძირითადი სამსახურის პარალელურად მ. გეგიძე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ქ. თბილისის სამედიცინო კოლეჯ „პანაცეას" ბათუმის ფილიალში.

მ. გეგიძე იყო ერთ-ერთი მოწინავე აფთიაქის ხელმძღვანელი. მისი კონსულტაციები და მაღალი პროფესიონალიზმი ცნობილი იყო მთელს ქალაქში. მას მარინა ექიმსაც ეძახდნენ.

ამჟამად მ. გეგიძე დამსახურებულ პენსიაზეა.

ჰყავს ორი ვაჟი.

მანანა ხაბაძე



მანანა ხაბაძე დაიბადა 1967 წლის 30 მარტს ქ. ბათუმში. 1985 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ბათუმის N 23 საშუალო სკოლა.

1995 წელს დაამთავრა „ქ. თბილისის სამედიცინო აკადემია“ ფარმაცევტის სპეციალობით და მიენიჭა პროვიზორის კვალიფიკაცია.

1996 -1999წწ. მუშაობდა „ქ.ბათუმის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს აფთიაქში პროვიზორის პოზიციაზე.

1999 - 2005 წწ. „აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს“ სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის ინსპექციის მთავარი სპეციალისტია;

2000 წლიდან - 2012 წლამდე შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ ლექტორი.

2006 წელ მიენიჭა ფარმაცევტ-ორგანიზატორის სახელმწიფო სერტიფიკატი.

2011 -2013 წწ. მუშაობდა შპს „ცოდნაში“ ტრენერად ფარმაციის განხრით.

1999-2011 წწ. შპს „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან არსებული მრავალდარგოვანი კოლეჯის“ წამყვანი მასწავლებელია სამედიცინო მიმართულების სპეციალობებზე.

2012-2013 წწ. შპს „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან“ არსებული პროფესიული პროგრამების ხარისხის მართვის სამსახურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსია.

2013 წლიდან დღემდე ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელია, პარალელურად ასწავლის ფარმაციის განხრით და ხელმძღვანელობს ფარმაცევტულ პროგრამას.

აღსანიშნავია მ. ხაბაძის აქტიურობა აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის საქმიანობაში. არჩეული იყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის მე-2 ყრილობის (2005) და მე-4 ყრილობის (2019) დელეგატად აჭარიდან. მინიჭებული აქვს აჭარის წლის საუკეთესო ფარმაცევტის საპატიო წოდება (2005).

მ. ხაბაძე სისტემატურად იმაღლებს ცოდნის დონეს. ტრენინგები აქვს გავლილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში და სხვ. ის კარგად უხამებს ერთმანეთს ოჯახს, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ქეთევან კონცელიძე



დაიბადა 1977 წლის 22 თებერვალს დაამთავრა მახინჯაურის საშუალო სკოლა (1994), ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი (1999)

მუშაობდა შპს „მერკური"-ს აფთიაქში ფარმაცევტად (2000-2002); შპს „ჰეკატე"-ს ბაზაში ფარმაცევტის თანამდებობაზე (2002-2010); 2010 წელს ქ. კონცელიძე გადაყვანილი იქნა შპს „ჰეკატე"-ს N8 აფთიაქში მთავარი ფარმაცევტის თანამდებობაზე, სადაც დღემდე წარმატებით აგრძელებს მუშაობას.

ქ. კონცელიძე კოლეგებს შორის და მოსახლეობაში სარგებლობს კარგი, დამსახურებული ავტორიტეტით. ის ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფციას ყოველდღიურ პრაქტიკაში ახორციელებს.

ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ერთი შვილიშვილი.

გურამ სურმანიძე



გურამ სურმანიძე დაიბადა 1969 წლის 12 აგვისტოს შუახევის რაიონის სოფ. დარჩიძეებში. 1986 წელს დაამთავრა სოფ. ნარუნჯის საშუალო სკოლა. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ერთხანს (1986-1987) მუშაობდა ოზურგეთის რაიონის დაბა ნარუჯის ჩაის ფაბრიკაში მუშად. 1989 წელს სწავლას აგრძელებს თბილისის სამედიცინო აკადემიაში ფარმაციის სპეციალობით.

1995 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო აკადემია და მიენიჭა ფარმაცევტის კვალიფიკაცია. იმავე წელს მუშაობა დაიწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოში ფარმაცევტული ინსპექტორის თანამდებობაზე, 2002 წლიდან ამავე ინსპექციის ხელმძღვანელია. 2004-2006 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წამლის სააგენტოს უფროსის მოადგილის პოზიციაზე.

2006 წლიდან გ. სურმანიძე მუშაობას იწყებს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს აფთიაქში ჯერ მთავარ სპეციალისტად, ხოლო 2012 წლიდან დღემდე ამავე აფთიაქის გამგის თანამდებობაზეა.

გ. სურმანიძე მუდმივად იმაღლებს პროფესიული ცოდნის დონეს. 2002 წელს მას მიენიჭა ფარმაცევტ-ორგანიზატორის კვალიფიკაცია. ძირითადი საქმიანობის პარალელურად გ. სურმანიძე 2016-2017 წლებში ბათუმის სამედიცინო აკადემიაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ეთერი ცხვარაძე



ეთერი ცხვარაძე დაიბადა 1938 წლის 6 იანვარს ქ. სამტრედიაში. 1955 წელს დაამთავრა კულაშის საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე. დაამთავრა 1960 წელს პროვიზორის კვალიფიკაციით.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ე. ცხვარაძე მუშაობას იწყებს ქ. ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს აფთიაქში ანალიტიკოსად, შემდეგ იგი გადაჰყავთ რეცეპტარ-კონტროლიორის თანამდებობაზე, ხოლო 1969 წლიდან 2006 წლამდე ამავე აფთიაქის ხელმძღვანელია. ამჟამად საქმიანობას აგრძელებს ამავე აფთიაქში წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე.

ე. ცხვარაძე თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად უზიარებდა კოლეგებს. თავის საქმიანობაში მუდამ იცავდა ფარმაცევტული ეთიკისა და დეონტოლოგიის წესებს. იყო სამართლიანი და ყურადღებიანი ხელქვეითებთან ურთიერთობაში. განუწყვეტლივ იმაღლებდა პროფესიული და მმართველობითი ცოდნის დონეს. 2001 წელს გაიარა ზოგადი კურსი „სამკურნალო საშუალებების რაციონალური გამოყენების მენეჯმენტის" ხაზით ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის ბაზაზე.

ე. ცხვარაძის აქტიურობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა აჭარის ფარმაცევტული საზოგადოების მიერ. 2005 წლის 2 ოქტომბერს, ფარმაცევტის დღესთან დაკავშირებით აჭარის ფარმაცევტთა რეგისტრირებული კავშირის მიერ მას მიენიჭა „წლის საუკეთესო ფარმაცევტის" საპატიო წოდება.

პროფესიული საქმიანობის პარალელურად ე. ცხვარაძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა სასწავლებელში. მონაწილეობდა ახალგაზრდა ფარმაცევტული კადრების აღზრდა-ჩამოყალიბების დიდ და საპატიო საქმეში. ბათუმის სამედიცინო აკადემიაში ხანგრძლივი და

ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ბათუმის სამედიცინო აკადემიამ 2017 წლის 26 ოქტომბერს მას მიანიჭა „საპატიო აკადემიელის წოდება“.

ია კონცელიძე



ია კონცელიძე დაიბადა 1988 წლის 6 თებერვალს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფერიაში. დაამთავრა ფერიის საბაზო სკოლა.

2003 წელს ჩააბარა ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან არსებულ მრავალდარგოვან კოლეჯში, რომელიც დაამთავრა 2006 წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო შპს „თაბის“ აფთიაქში ფარმაცევტად, სადაც იმუშავა 2 წელი, შემდეგ გადავიდა სამუშაოდ შპს „36,6“-ის აფთიაქში, სადაც ერთი წელი იმუშავა. შემდეგ იყო შპს „მკურნალი“, იქედან კი მუშაობას აგრძელებს შპს „აჭარა 97“-ში. 2015 წელს დაინიშნა შპს „ჰეკატეს“ ჩაქვის აფთიაქში მენეჯერის პოზიციაზე, სადაც დღემდე აგრძელებს მუშაობას.

აფთიაქის მენეჯერის პოზიციაზე მუშაობისას სრულად წარმოჩინდა ია კონცელიძის ფარმაცევტული, ორგანიზატორული და პროფესიული უნარ-ჩვევები. მან სრულად გაართვა თავი დიდ და საპასუხისმგებლო დატვირთვას და მისდამი რწმუნებული აფთიაქი მოწინავეთა რიგებში ჩააყენა.

ია კონცელიძე პრაქტიკულად წარმატებით ახორციელებს ფარმაცევტული ზრუნვის კონცეფციას, რის შედეგადაც დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა მოსახლეობაში. იგი კოლეგებს შორის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ცნობარი. ნაკვეთი 2, თბილისი, 1987, გვ.48.

2. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ტბილისი, 1978.

3. აჭარის ა/რ არქივი, ფონდი ი-7, ანაწ.1, საქმე 46, გვ. 1-22.

4. აჭარის ა/რ არქივი, ფონდი ი-7, ანაწ.1, საქმე 461, გვ.13.

5. აჭარის ა/რ არქივი, ფონდი ი-7, ანაწ.1, საქმე 183, გვ.17.

6. აჭარის ა/რ არქივი, ფონდი ი-7, ანაწ.1, საქმე 244, გვ.5.

7. აჭარის ა/რ არქივი, ფონდი ი-81, ანაწ.1, საქმე 123, გვ.7.

8. არის ა/რ არქივი, ფონდი ი-6, ანაწ.1, საქმე 648, გვ.10.

9. არის ა/რ არქივი, ფონდი ი-6, ანაწ.1, საქმე 648, გვ.2.

10. აჭარის ა/რ არქივი, ფონდი ი-6, ანაწ.1, საქმე 635ა, გვ.3.

11. აჭარის ცსა, ფ.რ-2, აღწ.1, საქმე1, ფურცელი 43, 48.

12. გაზეთი „უწყებები", N244, 17 იანვარი 1992.

13. აჭარის ცსა, 3.167, აღწ.1, საქ.19, ფურცელი 2,7-10.

14. აჭარის ცსა, ფ.167, აღწ.1, საქ.27. ფურცელი 2.

15. აჭარის ცსა, ფ.167, აღწ.1, საქ.93. ფურცელი 44.

16. აჭარის ცსა, ფ.167, აღწ.1, საქ.118, ფურცელი 5-10.

17. ბზიკაძე ო.-„აჭარის ასსრ რესპუბლიკაში სააფთიაქო საქმის განვითარების მოკლე მიმოხილვა „წიგნიდან - „საქართველოში სააფთიაქო პრაქტიკისა და ფარმაციის განვითარების ზოგიერთი საკითხი", თბილისი, 1982.

18. ბზიკაძე ო. - ფარმაციის განვითარების ისტორიის საკითხები აჭარაში, გაზ. „ფარმაკონი", N9-10 (67-68), დეკემბერი, 2009.

19. გოზალიშვილი გ. - მითრიდატე პონტოელი, თბილისი, 1962.

20. გოგიტიძე ც. - სამკურნალო მცენარეთა ქობულეთის საცდელი სადგურის ისტორია 1992 წლიდან დღემდე. გაზ. „ფარმაკონი", N7 (64), ივლისი, 2009.

21. დიდმანიძე რ. - მედიცინა ბათუმის (ხელვაჩაურის) რაიონში 1921-1995წწ., ბათუმი, 2009.

22. კომახიძე თ. - ქ. ბათუმის ჯანმრთელობის კერებისა და საკურორტო ქსელის განვითარების ისტორია. წიგნი-2, ბათუმი, 1997.

23. კომახიძე თ. - აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, წიგნი II, ბათუმი, 2011. ლორთქიფანიძე ო. - არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1980.

24. მახარაძე ვლ. - მეცნიერი, ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე (აკადემიკოსი ალეკო ბაკურიძე-65). გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", N 102, სამშაბათი-ოთხშაბათი, 18-19 აგვისტო, 2020.

25. მახარაძე ვლ. - ფარმაციის ისტორია იწყება შუმერიდან. გაზ. „ფარმაკონი", N9-10 (86-87), სექტემბერი-ოქტომბერი, 2011.

26. მახარაძე ვლ.- ფარმაცია. (პუბლიცისტიკა სიტყვები ინტერვიუ და სხვ.). საგამომცემლო სახლი „ინოვაცია", 2011, 430 გვ.

27. მახარაძე ვლ. - მასალები საბჭოთა წყობილებამდე ქ. ბათუმში სააფთიაქო საქმის განვითარების შესახებ. გაზ. „ფარმაკონი", N 9-10, ნოემბერ-დეკემბერი, 2009.

28. მახარაძე ვლ. - კაცი, რომელსაც ფარმაცია უყვარდა (თემურ ფალავანდიშვილის შესახებ). გაზ. „ფარმაკონი" N1(7), იანვარი, 2004.

29. მახარაძე ვლ.- ფარმაციის ისტორიისათვის აჭარაში. გაზ. „ფარმაკონი", N 5, ივლისი, 2008.

30. მახარაძე ვლ. - ფარმაციის ორგანიზატორი და საჩინო პედაგოგი. (ოთარ ბზიკაძე). გაზ. „ფარმაკონი", N6-9 ივნისი - სექტემბერი, 2005.

31. მახარაძე ვლ. - გიორგი დობორჯგინიძე (ბიოგრაფიული პორტრეტი). გაზ. „ფარმაკონი", აპრილი-მაისი, 2005.

32. მახარაძე ვლ. - მუდამ ღიმილიანი და სათნო (ბადრი აბულაძე). გაზ. „ფარმაკონი", აპრილი-მაისი, 2005.

33. მახარაძე ვლ. - მამული და ოჯახი დაგილოცოთ ღმერთმა! (ზაქრო ბოლქვაძე). გაზ. „ფარმაკონი", N1-2, იანვარი-თებერვალი, 2005.

34. მახარაძე ვლ.-ფარმაციის მოამაგე და პატრიოტი (სერგო ძირკვაძე). გაზ. „ფარმაკონი", N 3 (21), მარტი, 2005.

35. მახარაძე ვლ.-ფარმაცევტთა დინასტია. (რეზო დოლბაიას 70 წლისთავთან დაკავშირებით). გაზ. „აჭარა P.S ", N 33 (184), 21-28 სექტემბერი, 2001.

36. მახარაძე ვლ. - „ქართული კარაბადინი"-მნიშვნელოვანი შენაძენი მედიცინის ისტორიაში. გამოხმაურება რ.სურმანიძე სადოქტორო დისერტაციაზე „ქართული კარაბადინი" (აჭარაში აღმოჩენილი ვარიანტები, მე-18 საუკუნე)". გაზ. „აჭარა", N13-14, 15 იანვარი, 2000.

37. მახარაძე ვლ. - მედიცინის ისტორიის მნიშვნელოვანი შენაძენი. (გამოხმაურება რ.სურმანიძის წიგნზე „ქართული კარაბადინი. XVIII საუკუნე"), გაზ. „მედიცინა", 31 აგვისტო, 1999.

38. მახარაძე ვლ. - აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაცია-ისტორია, პრობლემები, პერსპექტივები. გაზ. „ფარმაცევტული მაცნე , N 4-6, 1999.

39. მიქელაძე თ., - ქსენოფონტეს ანაბასისი, თბილისი, 1967.

40. მახარაძე შ. - ზოგიერთი ცნობები სააფთიაქო დაწესებულებების შესახებ აჭარაში (1860-1915 წლებში). გაზ. „ფარმაკონი", N 5-6 (62-63), მაისი-ივნისი, 2009 წ.

41. მუსხელიშვილი დ. - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბილისი, 1980.

42. ნიორაძე გ. - ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში, თბილისი, 1953.

43. ჟღენტი ვლ., გელბახიანი პ., ტატიშვილი ირ., - მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები, თბილისი,1971.

44. სურმანიძე რ. - რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში (აჭარის მაგალითზე უძველესი დროიდან 1945 წლამდე, წიგნი I, ბათუმი, 2001 წ.

45. სურმანიძე რ. - რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში (აჭარის მაგალითზე.1946-1990 წლები)., წიგნი II. ბათუმი, 2003 წ.

46. სურმანიძე რ. - მედიცინა უძველესი დროიდან ახ.წ. IV ს-მდე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები,

აჭარა, ტომი I, ბათუმი, 2007, გვ.361.

47. სურმანიძე რ.- ხალხური მედიცინა. წიგნ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი II, ბათუმი, 2009.

48. სურმანიძე რ. - ქართული კარაბადინი (აჭარაში აღმოჩენილი ვარიანტები), მე-18 საუკუნე. ავტორეფერატი დისერტაციისა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1999, გვ.17.

49. სურმანიძე რ.- ეტიუდები ფარმაციის ისტორიიდან. გაზეთი „ფარმაკონი", N6-N7(53-54), აგვისტო - სექტემბერი, 2008.

50. სურმანიძე რ. - ჯანმრთელობის დაცვის სათავეებთან, ბათუმი, 1972 წ.

51. სურმანიძე რ.-მცირე კარაბადინი-I (აჭარული ვარიანტი), ბათუმი,1990 წ.

52. სურმანიძე რ.-მცირე კარაბადინი-II , ბათუმი,1992 წ.

53. სურმანიძე რ. - ქართული კარაბადინი. აჭარაში აღმოჩენილი ვარიანტები (XVIII საუკუნე), ბათუმი,1996

54. სალუქვაძე ს. - თბილისის N 1 აფთიაქი-მუზეუმის ისტორია. თბილისი, 2004.

55. სალუქვაძე ს. - წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე. თბილისი, 1987.

56. საქართველოში სააფთიაქო პრაქტიკისა და ფარმაციის განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბილისი, 1982.

57. სანიკიძე ლ. - ძველი მედიცინის ისტორია, თბილისი,1997.

58. სააკაშვილი მ.გ., გელაშვილი ა.პ., - საქართველოს მედიცინის ისტორია, ტომი III ,წიგნი 1, თბილისი, 1956.

59. სააკაშვილი მ.გ., გელაშვილი ა.პ.,- საქართველოს მედიცინის ისტორია, ტომი III , წიგნი 2, თბილისი, 1958.

60. სემიუელ ნ. კრამერი.-ისტორია იწყება შუმერიდან, თბილისი, 1988.

61. უჯმაჯურიძე ს.-გურიაში სააფთიაქო საქმის განვითარების ისტორიიდან. გაზ. „ფარმაცევტული მაცნე", აპრილ-მაისი, 2001 წ.

62. ფირფილაშვილი პ. - ნარკვევები ძველი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბილისი, 1989.

63. ქუთათელაძე ი.გ. - „მასალები საქართველოში ფარმაციის ისტორიისათვის". შრომათა კრებული, ნაწილი I, „მეცნიერება", თბილისი, 1972, გვ. 293.

64. ქურხული ა.- ...და რომ გახსოვდეს, თბილისი, 2004.

65. ყაუხჩიშვილი თ. - სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957.

66. ენგელია რ. - მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია (წიგნი I: ძველი აღმოსავლეთი), თბილისი, 2009.

67. შენგელია მ. - ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბილისი, 1963.

68. შენგელია რ. - ძიებანი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბილისი, 1981.

69. შენგელია რ. - ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი, 1980.

70. შენგელია რ. - მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, თბილისი, 1961.

71. შენგელია მ. - „უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა", თბილისი, 1979 წ. შენგელია რ. - მედიცინის ისტორია, თბილისი,1988.

72. შაშიკაშვილი ნ., დიასამიძე ი., ქურჩიშვილი ი., - ნარკვევები სამედიცინო საქმის განვითარების შესახებ აჭარაში, თბილისი, 1958.

73. ჩუბინიძე გ. - ფარმაციის ისტორია, თბილისი, 2011.

74. ცეცხლაძე შ. - აჭარის ასსრ ნომენკლატურულ პირთა შესახებ (1921-1940), ბათუმი, 2013, გვ.133-155).

75. ჭუმბურიძე ბ. - ფარმაციის განვითარების ისტორიული ეტაპები საქართველოში. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ფარმაცევტული მეცნიერებები 21 საუკუნეში", სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 2014, გვ.24-34.

76. ჭუმბურიძე ბ. - ფარმაცევტთა სამევნიერო საზოგადოება საქართველოში XX საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 2010.

77. Саакашвили М. Г. и др.- Медицина грузии. Книга II. Тб. 1986.

78. Шенгелия М. С.- История медицины грузии, Тб., 1984.

79. Южный берегъ черного моря. Русские субтропики. Климатолечебный курорт БАТУМЬ. 1912 г. стр. 22-23.

80. «Кавказское Товарищество Торговли Аптекарскими Товарами въ Тифлисъ, отделенія; въ Баку и Батумъ. Очеркъ 25-лътней въеятельности. 1882-1907г. стр. 34-3512.

81. «Всеобщій Адресъ Ежегодникъ города Батума на 1902 годъ», изд. книжнаго магазина М. Николадзе, Годъ I-й, стр. 88. и

82. Фитохимическое и растениеводческое исследование некоторых растений, произрастающих в Аджарии. Составлено Э.П. Кемертелидзе, Тбилиси, 2010.

83. Хантадзе Г.-Очерки теории и практики фармации в Грузии, Тбилиси, 1983.

84. Эристави К.Д., Гелбахиани П.Г., Саакашвили М.Г., Гелашвили А.П.- Медицина Грузии, книга 1, Тбилиси, 1967.

85. Семенченко В.Ф. –История фармации: Учебное пособие.- Москва, 2003.-640с.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა _____ 3
შესავალი _____ 6
თ ა ვ ი I. წამალთმცოდნეობა და ფარმაცია უძველესი დროიდან ახ. წ. I საუკუნემდე _____ 19
თ ა ვ ი II. წამალთმცოდნეობა და ფარმაცია აჭარაში I ს. ახ.წ. -1878 წლამდე _____ 47
თ ა ვ ი III. ფარმაცია (სააფთიაქო საქმე) ბათუმის ოლქში 1878-1920 _____ 64
თ ა ვ ი IV. ფარმაცია საბჭოთა აჭარაში 1921-1990 _____ 88
თ ა ვ ი V. ფარმაცია თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში 1991-2020 (აჭარის მაგალითზე)_____ 123
თ ა ვ ი VI. ფარმაცევტული მრეწველობა აჭარაში ____ 157
თ ა ვ ი VII. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა აჭარაში_____ 171
თ ა ვ ი VIII. უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლება აჭარაში _____ 195
თ ა ვ ი IX. აჭარის ფარმაცევტთა ასოციაცია და მისი საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი _____ 210
თ ა ვ ი X. ღვაწლმოსილნი და ალამდარნი _____ 279
ლიტერატურა _____ 361

ავტორის შესახებ



ვლადიმერ მახარაძე დაიბადა შუახევის რაიონის სოფ. მახალაკიძეებში 1957 წლის 24 აპრილს. მშობლები: ისრაფილ მახარაძე, მერი მანელიშვილი. დაამთავრა სოფ. ოლადაურის საშუალო სკოლა (1973 წელს, ფრიადებზე), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი (1978 წელს, წარჩინებით).

იყო ხელვაჩაურის რაიონის ცენტრალური რაიონული აფთიაქის უფროსი პროვიზორი (1978-80), საბჭოთა არმიის ოფიცერი (1980-82), აჭარის სააფთიაქო სამმართველოს გასაღების განყოფილების უფროსი (1982-83), აჭარის ცენტრალური სააფთიაქო ბაზის დირექტორი (1984-85), ქ. ბათუმის N10 აფთიაქის მმართველი (1986-91).

ვ. მახარაძემ 1990 წელს დააფუძნა ფარმაცევტული კომპანია „ჰეკატე", რომელიც დარგში უხუცესი კომპანიაა საქართველოში. იგი ამავე კომპანიის უცვლელი გენერალური დირექტორია დღემდე. დღეისათვის ეს კომპანია აერთიანებს სააფთიაქო ქსელს 12 აფთიაქით, საბითუმო ფარმაცევტულ ბაზას, სააფთიაქო სუპერმარკეტსა და სასტუმროს. ვ.მახარაძე არის ასევე ერთ-ერთი დამფუძნებელი რამდენიმე კომპანიისა (სამშენებლო, საწარმოო, სავაჭრო და სხვ.).

იყო საქართველოს ფარმაცევტთა I (1978) და II (1987) ყრილობების დელეგატი; საქართველოს ფარმაცევტთა I საერთაშორისო კონგრესის წევრი (თბილისი, 2002); პირველი საერთაშორისო კონგრესის „ჯანმრთელობა და წამალი" და ასთმის ევროპის მეორე კონგრესის მონაწილე (თბილისი, 2003); ფარმაცევტთა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილე (ხარკოვი, 2003); საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მომავლის ტექნოლოგიები და სიცოცხლის ხარისხი" მონაწილე (ბათუმი,

2017); საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის I (1990), II (2005), III (2014) და IV (2019) ყრილობების დელეგატი.

არის აჭარის ფარმაცევტთა რეგიონალური ასოციაციის დაარსების ინიციატორი და ხელმძღვანელი 1996 წლიდან. გაზეთ „ფარმაკონის" დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია 2005 წლიდან . იყო ჟურნალ „ფარმაცევტული მაცნე მედეასა" და არის გაზეთ „შუახევის" სარედაქციო კოლეგიების წევრი. არჩეული იყო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრად (2005–2019) და ამავე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად (2014–2019).

ვ.მახარაძის ინიციატივით აჭარის ფარმაცევტთა ასოციაციის IV კონფერენციაზე (2003.07.01.) 2 ოქტომბერი დაწესდა ფარმაცევტის დღედ. იგი აღიარა საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდიუმმა (2006). მანვე შეიმუშავა „ფარმაცევტის ფიცის" ტექსტი და ფარმაცევტის ეთიკური კოდექსის ახალი ვარიანტი. ვ.მახარაძის ეს ორივე ინიციატივა მოიწონა და მიიღო საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის II ყრილობამ (2005 წლის 2 ივლისს).

ვ. მახარაძე იყო აჭარის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი (1991-96), ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საკრებულოს დეპუტატი (1992-95).

არის აჭარის მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე (2004-დღემდე), საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის აჭარის სადროშოს გამგეობის წევრი(2008-დღემდე), სსიპ „აჭარის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის" პალატის საბჭოს წევრი (2014-დღემდე).

ბიზნესის პარალელურად ვ.მახარაძე ეწევა სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას. მან პროფ. რამაზ სურმანიძესთან ერთად დააარსა ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტი (1991). იყო ამ ინსტიტუტის სოციალური ფარმაციის კათედრის გამგე (1997-2006), რექტორი (2010-11). ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ფარმაციის დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი (2007-2013). ამჟამად სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას აგრძელებს ბათუმის შ.რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიწვეული პროფესორის რანგში. არის 11

წიგნის (მ/შ 3 სახელმძღვანელოს), 25 სამეცნიერო ნაშრომისა და 200-ზე მეტი პუბლიცისტური წერილის ავტორი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფარმაკოეკონომიკა, ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკა, ადმინისტრაციული და სოციალური ფარმაცია.

ვ.მახარაძე გამოირჩევა თავისი საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოღვაწეობით. არის პოეტ ზურაბ გორგილაძის სახელობის ლიტერატურული პრემიის, ასევე მრავალი სასკოლო თუ სხვა სახის პრემიების ერთ-ერთი უპირველესი დამაარსებელი და მუდმივი სპონსორი. არის საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციასთან არსებული ლიტერატურული პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის (კომისიის) წევრი.

ვ.მახარაძე სპორტის ქომაგი და მფარველიცაა, განსაკუთრებით ქართული ჭიდაობის. არჩეული იყო აჭარის ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტად (2009-2010), აჭარის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ (2009-2012). იყო ქართული ჭიდაობის აჭარის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი (2012-2020). ყოველწლიურად ტარდება ვ.მახარაძის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში (2010 წლიდან).

ვ. მახარაზე დაჯილდოებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის საიუბილეო მედლით (2004),

ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი პირადი წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლითა და საპატიო სიგელით (2012).

პოეტ ზურაბ გორგილაძის შემოქმედების პოპულარიზაციისათვის 2013 წელს მიენიჭა ზურაბ გორგილაძის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება ლიტერატურის დარგში.

წიგნისათვის „მედიცინა და ფარმაცია ხატოვან აზროვნებაში“ მიენიჭა აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება (2017).

მარეთის ხეობის მოსახლეობის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის ვ.მახარაძეს 2015 წელს მიენიჭა საპატიო მარეთელის წოდება.

არის მრავალი საპატიო სიგელის, დიპლომისა და სერტიფიკატის მფლობელი. მინიჭებული აქვს წლის საუკეთესო ფარმაცევტორგანიზატორის (2004) და ფარმაცევტებს შორის წლის საუკეთესო თამადის (2007) საპატიო წოდებები.

დასახელებულია აჭარის წლის საუკეთესო ბიზნესმენად (2004).

მისი ბიოგრაფია შესულია წიგნში „საქართველოს სამედიცინო კალენდარი" (2006 და 2010), ხოლო ოჯახი შეტანილია წიგნში „საქართველოს საპატიო ოჯახები" (2010).

ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ქართული მწერლობის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა (თავ-რე მაყვალა გონაშვილი) მიანიჭა ქართული კულტურის ქომაგის წოდება და გადასცა სათანადო დიპლომი (2019წ. დეკემბერი).